

ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

ნესტან გერგაშვილი

მითოპოეტური მოდელები და სახე-სიმბოლოები ნონოს პანოპლისელის
„დიონისიაკაში”

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რუსუდან ცანაგა

თბილისი

2011

სარჩევი:

შესავალი	4
ნაწილი I ეპოსის ნონოსისეული ხედვა	
1. გვიანანტიკურობა	16
2. გვიანანტიკური ხანის ეგვიპტე და ბერძნული პოეზია	18
3. ნონოს პანოპოლისელის ბიოგრაფია	23
4. ნონოსის სკოლა	26
5. ოდის გაჩნდა ინტერესი ნონოსის პოეზიისადმი	29
6. ნონოსის პოემის თემატიკა და სტილი	32
ნაწილი II ნონოსის პოეტიკის ზოგიერთი ასპექტი	
1. „დიონისიაკას“ კომპოზიციური თავისებურებანი	39
2. გველი	48
3. სარკე	54
4. ცეკვა	58
5. ანტიტიპური პოეზია	63
5.1. ლაქებიანი ტყავი, ვენახი და ვარსკვლავიანი ზეცა	64
5.2. ღვინო და მისი ორეულები	67
5.3. მხატვრობა და დამწერლობა	71
5.4. მეტყველი მდუმარება	73
ნაწილი III კოსმოგონია „დიონისიაკაში“, ორგორც განახლების მითოპოეტური მოდელი	76
ნაწილი IV დიონისე – ანტიკური და პოსტანტიკური	
1. პროტოდიონისე ანუ ძაგრეგსი	84
2. ორგზის შობილი ღმერთი	
2.1. მითი დიონისეს ორგზის შობაზე	89
2.2. დიონისეს სახელის ეტიმოლოგია	91
2.3. დიონისეს ბაგშვობა და სიჭაბუქა	92
2.4. დიონისე – მითისა და მისტერიული რელიგიის პერსონაჟი	95
2.5. დიონისე – მებრძოლი ღმერთი	103
2.6. დიონისეს საბრძოლო იარაღები	107

2.7.	დიონისეს გარეგნობა	109
2.8.	დვინო და ტრფობა	112
2.9.	დიონისეს მეტამორფოზები	117
3.	დიონისეფ-იაკქოსი	134
ნაწილი V სამოთრაპეს მისტერიები „დიონისიაკაში“		136
ნაწილი VI ქალაქები და სასახლეები „დიონისიაკაში“		
1.	ქალაქის დაარსება	152
2.	ქალაქები	159
3.	სასახლეები და ბაღები	163
ნაწილი VII პეფესტოს მიერ შექმნილი ნივთები		
1.	დიონისეს ფარი	170
2.	ჰარმონიას ყელსაბამი	172
დასკვნა		175
შენიშვნები		192
ბიბლიოგრაფია		196

შესავალი

ანტიკური ბერძნული ლიტერატურა იწყება ეპოსით – ჰომეროსის „ილიადითა“ და „ოდისეით“ და ეპოსითვე სრულდება, გვიანანტიკური ეპოქის წარმომადგენლის – ნონოს პანოპლისელითა და მისი სკოლით.

ეპოსი (ოფი-) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „სიტყვას“, „ამბავს“, „ლექსს“ (დვორეცე 1958: 652). უკვე ჰომეროსის დროიდან ეს ტერმინი ასევე გამოიყენება გარკვეული სალექსო საზომით ჩამოყალიბებული ინფორმაციის აღსანიშნავად. საკმაოდ ადრე უნდა შექმნილიყო თავად უანრის განმსაზღვრელი სპეციფიკური ბერძნული ტერმინი ეპოპოიია (οφი-ροι ἴτ), რომელიც უკვე ჰეროდოტოსთან გახვდება, ხოლო არისტოტელე მას გამოიყენებს, როგორც უანრის საყოველთაოდ მიღებულ სახელწოდებას. ეს ტერმინი ორი ნაწილისაგან შედგება: „ეპოსი“ და „ქმნა, გაკეთება“. ამდენად, იგი შეიცავს თავად ტერმინს ეპოსი, რომელიც, ისევე, როგორც მისგან ნაწარმოები „ეპიკოს“ (ეპიკური), არაერთგზის გვხვდება ბერძნულ წყაროებში უანრის აღმნიშვნელად.

ეპიკური პოეზია მსოფლიო ლიტერატურის უძველესი უანრია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბერძნებმა სრულყვეს. თუკი პიპოთეტურ საერთოინდოევროპულ და ზეპირ ტრადიციაში შემონახულ შედარებით გვიან ჩაწერილ ინდურ ეპოსს არ მივიღებთ მხედველობაში, ამ უანრის ისტორია ხმელთაშუაზღვისპირეთში უნდა იწყებოდეს ყველაზე გვიან ძვ.წ. III ათასწლეულიდან (გორდეზიანი 2002: 31-32).

გარკვეული დროის განმავლობაში ძველი ხალხების ეპოსებიდან ევროპელთაოვის ცნობილი იყო მხელოდ ჰომეროსის პოემები, მაგრამ XIX საუკუნეში მეცნიერებისათვის მისაწვდომი გახდა ძველინდური ეპოპეები – „მაპაბპარატა“ და „რამაიანა“, აღმოჩნდა ასევე ბაბილონური გილგამეშის ეპოსის პირველი ფრაგმენტები. მალევე ასირიოლოგი პ. იენსენი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თითქმის ყველა ძველებრაული და ბერძნული მითი, ასევე ეპიკური სიუჟეტი, მესოპოტამიური წარმოშობისაა (იენსენი 1928). XX ს-ის 30-იან წლებში აღმოჩნდა ქანაანური ეპოსის ფრაგმენტები. ამას ემატება ასევე მითოლოგიური ხასიათის ეპიკური ტექსტები „ენუმა ელიში“, და შუმერულ-აქადური მითები, აგრეთვე ხეთურ-ხურიტული „სიმღერა ულიქუმიზე“. აღმოსავლური და ბერძნული ეპოსების შედარების საფუძველზე მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს ეპიკური უანრის დეფინიცია: ამ უანრის განმსაზღვრელი თავდაპირველი ელემენტია ეპიკური ტექნიკისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ენა, რომელსაც მ. პარიმ ფორმულების ენა

უწოდა. ფორმულების ენა ნიშნავს იმას, რომ ზეპირი ეპიკური პოეზიისთვის მთავარი ერთეულია არა სიტყვა, არამედ ფორმულა, რომელსაც პარი განსაზღვრავს, როგორც „სიტყვათა ჯგუფს, რომელიც რეგულარულად გამოიყენება ერთი და იმავე მეტრულ პირობებში გარკვეული იდეის გამოსახატად” (პარი 1930: 80-81). სავსებით შესაძლებელია, რომ ერთმანეთის მსგავსი ფორმულური ეპითეტებისა და შედარებების გაჩენა ბერძნულსა და ახლოაღმოსავლურ ეპოსებში აიხსნება არა უბრალოდ დამთხვევითა და ზეპირი პოეტური ტრადიციის კანონებით, არამედ აღმოსავლური პოეზიის კონკრეტული ხერხების უნგბლიერ სესხებით.

ეპოსის საერთო მახასიათებელია ასევე მეტრი. ლირიკული პოეზიისაგან განსხვავებით, ყველა ძველი ეპიკური პოემის სალექსო ერთეული არის არა სტროფი, არამედ – სტრიქონი (პრარი). ამასთან, ყველა ძველი ბერძნული ეპოსი ტრადიციულად დაქტილური ჰქეზამეტრითაა დაწერილი.

ეპიკური სტილის მეორე ელემენტია ეპოსის კომპოზიცია, რომელშიც შედის გარკვეული თემებისა და მოვლენების ერთობლიობა. ეპიკურ თემებს მიუკუთვნება: შეკრებების აღწერა ზეცასა და მიწაზე (თათბირები), გმირების მოსვლა და წასვლა, სტუმართა მიღება, ნადიმები, დღესასწაულები, ჩაცმა და აღჭურვა, სიზმრები¹, მოგზაურობა და ა. შ. კომპოზიციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გმირთა სიტყვებს, მათ ქებას და დატირებას², ამა თუ იმ მოვლენის პატალოგებს³. კომპოზიციის ეს ელემენტები ეპიკურ ფორმულებთან ერთად იყო ის საშენი მასალა, რომლითაც ეპიკოსი ქმნიდა თავის პოემას. ძველი ეპოსების შედარებითმა შესწავლამ აჩვენა, რომ ეს საშენი მასალა, არსებითად, ერთი ტიპისაა არა მხოლოდ ერთი ნაციონალური ტრადიციის ფარგლებში, არამედ გეოგრაფიული და ეთნიკური საზღვრების გარეშეც კი (გრინცერი 1971: 134-198).

საინტერესოა, თუ როგორ ესმოდათ ანტიკური საბერძნეთის მოდგაწევებს ეპოსის უანრის არსი და ფუნქცია. ყველაზე ჩამოყალიბებული ინფორმაცია ამის შესახებ არისტოტელეს „პოეტიკაში” გვხვდება. მან დაადგინა ეპიკური პოეზიის აუცილებელი და დამახასიათებელი შემდეგი ნორმები: „ფაბულა დრამატული და, ამასთან, ერთი მთლიანი, დასრულებული მოქმედების მოქმედები უნდა იყოს, მოქმედებისა, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა და დასასრული, რათა მან, როგორც მთლიანმა ცოცხალმა ორგანიზმა, მისთვის ჩვეული სიამოვნება მოგვანიჭოს. თავისი კომპოზიციით ის არ უნდა ჰგავდეს ისტორიას, რომელშიაც აუცილებელია არა ერთი მოქმედების, არამედ დროის ერთი მონაკვეთის ასახვა, რომლის

განმავლობაშიაც ხდება ყოველივე ის, რაც შეემთხვა ერთსა თუ მრავალს და რის შიგნითაც ცალკეული მოვლენები მხოლოდ შემთხვევით უკავშირდებიან ერთიმეორებს . . . და მაინც, ბევრი პოეტი მცდარ გზას ირჩევს და ისტორიკოსს ბაძავს. . . . პომეროსი ამ მხრივაც ღვთაებრივად გვეჩვენება სხვა პოეტებთან შედარებით: მას არ უცდია მთელი ომის ასახვა, თუმცადა ამ ომს თავისი დასაწყისიც პქონდა და დასასრულიც“ (Aristot. Poet. 90). და მართლაც ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეპოსის განვითარების ისტორიაში შემობრუნება პომეროსიდან იწყება. იგი ამოსავალი ხდება, პირდაპირ თუ ირიბად, მთელი ბერძნული⁴, ლათინურენოვანი⁵ და ახალი ევროპული ეპიკური პოეზიისთვის.

ნონოს პანოპოლისელის მიბაძვის საგანიც პომეროსის პოემებია. ის პომეროსის შემოქმედებისადმი დიდ აღფრთოვანებას გამოხატავს. თავად ნონოსი გარდამავალი ეპოქის ავტორია, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით V საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ელინიზირებულ ეგვიპტეში. მისი „დიონისიაკა“ ბერძნულ ენაზეა დაწერილი და ნონოსიც, უპირველეს ყოვლისა, ბერძენ პოეტად მოიაზრება. თუმცა ის ფაქტი, რომ იგი ეგვიპტელი იყო და სიცოცხლის დიდი ნაწილი პანოპოლისსა და ალექსანდრიაში გაატარა, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მის პოეზიაში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ტრადიციების უნებლიერ შერწყმა მოხდა, რამაც განსაკუთრებული ხიბლი მიანიჭა „დიონისიაკას“. სწორედ ამის გამო საინტერესოდ მიგვაჩნია ნაშრომის შესავალში მოკლედ მიმოვიხილოთ ნონოსის პოეზიის აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ტრადიციების ორიენტირები და შემოქმედებითი პრინციპები, რისი მეშვეობითაც შევძლებოთ უფრო დრმად ჩავწვდეთ „დიონისიაკას“.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ევროპული ლიტერატურის დასაბამად ითვლება ანტიკური ბერძნულ-რომაული მწერლობა, აღმოსავლეთში კი გაცილებით მეტი ქაქეანა მოიაზრება: ეგვიპტე, მესოპოტამია, ინდოეთი და ა. შ. ჰეროდოტოსიდან მოკიდებული, ყველა აღიარებს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთი იყვნენ თავისებური „აზიელი“ მასწავლებლები ბერძნებისა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ევროპულმა ლიტერატურამ გადაიღო და მექანიკურად გააგრძელა აღმოსავლური ლიტერატურული ტენდენციები. ს. ავერინცევი დასავლური და აღმოსავლური მენტალობის სხვაობას ლიტერატურული პროცესის განვითარების სხვადასხვა გზაში ხედავს (ავერინცევი 1971: 206-266). ახლო აღმოსავლეთის

ლიტერატურები და ანტიკური საბერძნეთის ლიტერატურა სხვადასხვა რიგის მოვლენებია. მათი განვითარების პროცესი ერთი გზის სხვადასხვა სტადია კი არ არის, არამედ, ორი სხვადასხვა გზაა, რომლებიც გაიყვნენ ერთი წერტილიდან სხვადასხვა მიმართულებით. საბერძნეთში მოხდა ის, რაც პრინციპულად არ შეიძლებოდა მომხდარიყო „ბიბლიურ” სამყაროში – ლიტერატურამ პირველად გააცნობიერა თავი, როგორც ლიტერატურამ. ბერძნული ლიტერატურის ავტონომიზაციის პროცესს მოგვიანებით ხელი შეუწყო საბერძნეთში ლიტერატურის სპეციალური თეორიის – პოეტიკის – წარმოშობამ, ლიტერატურის თეორიის დაბადებამ. ბერძნებმა სიტყვა ამოიღეს ცხოვრებისული და საკრალური მიმოქცევიდან და „მხატვრულობის” ბეჭდით აღბეჭდეს, რითაც პირველად დასაბამი მისცეს ლიტერატურას.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე კულტურულ სამყაროში – ახლოაღმოსავლურშიც და ელინურშიც – სრულიად განსხვავებულია ლიტერატურული შემოქმედის სოციალური სტატუსი. ახლოაღმოსავლეთმა იცის „ბრძენის” ტიპი – ეს არის ფრიად გამოცდილი წიგნიერი ადამიანი, რომელიც მეფის სამსახურშია მწერლისა ან მისი მრჩევლის თანამდებობაზე, რომელიც მოცალეობისას ერთობა მახვილგონივრული სენტენციებით, გამოცანებითა და იგავებით*. პალესტინა იცნობდა აგრეთვე წინასწარმეტყველებს, რომელნიც ნაკლებ კონფორმისტები იყვნენ, ვიდრე მეფის კარს მიბმული „ბრძენნი”. ლიტერატორის შტრიხები უკვე ბერძნული პოეზიის სათავეებთან იკვეთება: პომეროსი, იმ სახით, როგორადაც ის წარმოჩენილია „ბიოგრაფიებში”, „ოდისეაში” ბრმა აედის – დემოდოკოსის სახით წარმოდგება. რა თქმა უნდა, ლეგენდარული მომღერალი-მთქმელის სახე ცნობილია მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხებისთვის. და მიუხედავად ამისა, დემოდოკოსის სახეში არაჩვეულებრივი ემფაზითაა ჩადებული განყენებული მჭვრეტელობის იდეა – სიცოცხლე მხოლოდ საკუთარი ხელოვნებისთვის⁶.

„დიონისიაკას” ტექსტში ნონოსი თავის სახელს არსად ახსენებს. თუმცა, მისი პოეზია იმდენად გამორჩეულია თავისებური, სხვა პოეტებისთვის სრულიად უცნობი სტილით, რომ ადვილად განვასხვავებთ ნონოსის პოემას სხვა

* ბრძენთა ხელიდან გამოვიდა: „პტახოტეპას სწავლება”, „სოლომონის იგაზთა წიგნი”, „იმედგაცრუებულის საუბარი თავის სულთან”, „ეპლესიასტე” და სხვა შედევრები.

ტექსტებისგან. სწორედ ეს თავისებურებაა ავტორის ინდივიდუალობის ძირითადი განმსაზღვრელი, თუნდაც მისი სახელი მკითხველისთვის სრულიად უცნობი იყოს.

ცნობილია, რომ აღმოსავლური ლიტერატურებისათვის უცნობია ინდივიდუალური „ავტორობის“ ცნება, მისთვის დამახასიათებელია „ანონიმურობა“, რომელიც მაშინაც სახეზეა, როდესაც ტექსტს ახლავს მითითება ავტორის შესახებ*.

ინდივიდუალური სტილის ცნებას მკაცრად შეესატყვისება ინდივიდუალური ხასიათის ცნება. ბერძნულში ეს ორივე ცნება ერთი ტერმინით იფარება: *carakthr th-* *Iekew~, carakthr tou* *aīq̪rwpou* – სტილის ხასიათი და ადამიანის ხასიათი. ბერძნულ ლიტერატურას ახლოაღმოსავლური სიტყვიერებისაგან განასხვავებს ავტორის თვითშეგნების განვითარება. რადგანაც ანტიკური ავტორი ქმნის პლასტიკურ-ჩაკეტილ „ხარაკტერებს“, შესაბამისად, მან (ავტორმა) აუცილებლად უნდა დაინახოს ასეთივე „ინდივიდუუმი“ და „ხარაკტერი“ თავის საკუთარ პიროვნებაში. აღმოსავლურ ლიტერატურაში ავტორები აღწერენ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს ისე, რომ იგნორირებას უკეთებენ ადამიანის ფსიქოლოგიას, მის ხასიათს. ამის საპირისპიროდ, ბერძნებმა დაინახეს ადამიანის სხეულებრივ-სულიერი სახე, მისი „ხარაკტერი“**, როგორც სისტემა შტრიხებისა და თვისებებისა, როგორც მთლიანი და კანონზომიერი საგნობრივი სტრუქტურა, რომელიც ექვემდებარება დაკვირვებას სიტუაციების თანმიმდევრულ რიგში. ამ სტრუქტურაში ყველაფერს უნდა მიეჩინოს თავისი ადგილი: ინტონაციას, მოძრაობას, ჟესტებს⁷. ბერძნებისთვის ის, რომ ადამიანი არის „ბუზდუნა“, ან „მატყუარა“ ისეთივე თვალსაჩინო და გამომხატველია, როგორც მისი სიმაღლე ან ცხვირის ფორმა. ადამიანის შინაგანი „ნიდაბი“ მისი გარეგანი „ნიდბის“ მსგავსია. სწორედ ამიტომ აინტერესებდათ ბერძნებს ასე ძალიან მეცნიერება – ფიზიოგნომიკა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ ანტიკურ ლიტერატურაზე. დაკვირვების ფიზიოგნომურმა კულტურამ ბერძნულ ლიტერატურას მისცა შესაძლებლობები, რომლებიც უცნობი იყო ახლო აღმოსავლეთის სიტყვიერებისთვის. საქმე ის კი არ არის, რომ იქ არ იყო საკმარისი გამომსახველობითი პიროვნული სახეები, რომლებიც მკითხველის

* ადსანიშნავია, რომ ეს „ანონიმურობა“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს უსახობას.

** სიტყვა *carakthr*-ის თავდაპირველი მნიშვნელობაა ამოჭრილი ბეჭედი ან ამ ბეჭდის ჩაზნექილი ანაბეჭდი (ტგიფრი). კ. ი. რაღაც მაგაფიოდ გამოხატული და უძრავად გაშეშებული სახე, რომლის გამოცნობა იოლად და შეუცდომლად შეიძლება.

ემოციებს გამოიწვევდნენ, არამედ ის, რომ ეს პიროვნული სახეები ჩვენს აღქმას მიეწოდება არა როგორც „ხასიათები”.

„დიონისიაკას” პერსონაჟებს (მაგ., კადმოსი, ჰარმონია, ელექტრა, სემელე, ინო, დიონისე, პერა, დერიადესი, აიონი და ა.შ.), როგორც თემის მომდევნო ქვეთავებიდანაც დავრწმუნდებით, მკვეთრად განსაზღვრული ხასიათები, ანუ „ხარაკტერები” აქვთ. ნონოსი ოლიმპიელ ღმერთებს, მსგავსად ჰომეროსისა, აღწერს როგორც პლასტიკურ ექსტრუდის ფიქსირებული ნიშნებით, როგორც ნიდბებს, რომლებიც ადამიანთა ნიდბებისგან მხოლოდ სტატიკურობითა და თვითიდენტიფიკაციის მაღალი ხარისხით განსხვავდებიან. მათ შეიძლება დაელაპარაკო, დააკვირდე და გადმოსცე პლასტიკური სახით*.

ახლა გადავიდეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ნაწარმოების დასაწყისი. ძველი ალთქმის ცალკეულ წიგნებს თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მათ არა აქვთ ფორმობლივად გამოყოფილი „შესავალი” (ბერძნ. Prooimion-ი), მათი პირველი ფრაზა უმეტესად იწყება კავშირით „და”, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ტექსტის ჭეშმარიტი დასაწყისი მის ფარგლებს გარეთაა.

ბერძენი ავტორი ასე არ იქცევა. მის ნაწარმოებს ყოველთვის გააჩნია შესავალი, რითაც მთხოვობელი მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. რაც შეეხება, ნონოსის პოემას, მას საკმაოდ ვრცელი შესავალი, ანუ პროოიმიონი აქვს, სადაც ავტორი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის თავისი პოემის სტილზე და თითქოს წინასწარ გვამზადებს მის აღსაქმელად (I, 1-44).

ტექსტის მოცულობის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბერძნებმა თავიანთ ლიტერატურის თეორიაში** და ლიტერატურის პრაქტიკაში შეძლეს სრული სიცხადით გაეცნობიერებინათ მოცულობის ფაქტორის ესთეტიკური ზემოქმედება. ანტიკური ლიტერატურული ნაწარმოები, განსხვავებით ახლოალმოსავლურისგან, პრინციპში არ შეიძლება იყოს ნებისმიერად გაგრძელებული, არც შეწყდეს ნაგულისხმევ „და ასე შემდეგ და ამგვარად” სიტყვებით. „სიმღერიდან სიტყვას გერ ამოაგდებ” – ეს იცოდა ყველა ხალხმა, მაგრამ მხოლოდ ბერძნებმა დაიწყეს ისეთი სიმღერების შექმნა, რომელსაც სიტყვას

* აღსანიშნავია, რომ ეგვიპტურ ღმერთებსაც ფრიად პლასტიკური იერსახე ჰქონდათ. ეგვიპტეში ცნობილი იყო საერალურ ქმედებათა პრაქტიკა, რომელზეც ქურუმები გამოდიოდნენ ღმერთის ნიდბებით (მატიე 1956: 64-80).

** არისტოტელეს შენიშვნა „მოცულობასთან” (περιεργο-) დაკავშირებით, რომელიც ეხება ტრაგედიას (Aristot. Poet. 1449b).

ვერ დაუმატებ. მაგალითად, „ოიდიპოს მეფე” და „ნადიმი” ისეა პლასტიკურად და კომპოზიციურად შეკრული, რომ მათ ვერავითარი მეორე სოფოკლე ან მეორე პლატონი ვერ დაამატებდნენ რაიმე ორგანულს. ამ მხრივ ნონოსის პოემა, ვფიქრობთ, უფრო აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების მატარებელია. მიუხედავად იმისა, რომ „დიონისიაკა” ექვემდებარება გარკვეულ კომპოზიციურ სიმეტრიულობას, აქვს პროოიმიონი და დასკვნითი ნაწილი, ტაქსტი მოკლებულია პლასტიკურ შეკრულობას, მკითხველს კი დასასრულის არარსებობის შეგრძნება რჩება, იმდენად, რომ ნონოსის ერთ-ერთი მკვლევარის რედოლფ კაიდელის აზრით, ნონოსს პოემა დაუმთავრებელი დარჩა.

გარდა ამისა, ნონოსი ძალიან ხშირად მიმართავს ძველი სამყაროს ქვეყნების ზეპირი პოეტური ტრადიციისათვის დამახასიათებელ ე.წ. „ჩართულ ისტორიებს”, რომლებსაც არა აქვთ შეხება მთავარ სიუჟეტთან და რომლებიც საკმაოდ ზრდიან ნაწარმოების მოცულობას. მაგ., „მაჟაბჰარატაში” ასეთი ეპიზოდები სულ მცირე სამჯერ ზრდის ეპოსის ზომას. ბევრი სწავლულის აზრით, ჩართული მოთხოვობები ანგრევს პოემის კომპოზიციურ სიმწყობრეს და მას გადააქცევს ძველინდური გადმოცემებისა და ცოდნის თავისებურ ენციკლოპედიად (ვინტერნიცი 1908: 263-264)⁸. მსგავსად ამისა, ხშირად „დიონისიაკასაც” მითოლოგიურ ენციკლოპედიას უწოდებენ.

აქეე შევჩერდებით „დიონისიაკას” ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელშიც აშკარად ჩანს აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების გავლენა. ეს არის გმირის გადარჩენა წარდგნისგან კიდობანის მეშვეობით^{**}, ან მის გარეშე^{***}. პოემის ეს ეპიზოდი აშკარად ეხმიანება ბიბლიურ მოტივებს. „ოდისეაში” მსგავს სიუჟეტად შეიძლება მივიჩნიოთ გმირის მისვლა ფეაკების ქვეყანაში. ოდისევსი იქ ტივით მოხვდა ოგიგიდან (V, 251-280). ამ ეპიზოდის ანალიზისას უერმენი ასკვნის, რომ ამგვარი ტივი სრულიად უცნობი იყო ბერძნებისათვის და მას აფრიკის, აზიის და ეგვიპტის ხალხები გამოიყენებდნენ (ჟერმენი 1954: 399-411; ლორიმერი 1950: 524).

* მაგ., კალამოსისა და კარპოსის ისტორია (XI, 367-489); მწყემსი ჰიმნოსის ნიკაიასადმი ტრფობის ამბავი (XV, 172-432); აფროდიტესა და ათენას შეჯიბრის ისტორია (XXIV, 233-333); ფაეთონის ტრაგიკული დაღუპვის ისტორია (XXXVIII, 105-431) და ა. შ.

** ნონოსის მიხედვით, დევგალიონი გადაურჩა საზარელ წარდგნას, სწორედ იმიტომ, რომ მან, მეუღლებთან ერთად, კიდობანს (ეჟი; Iarnaki)შეაფარა თავი (III, 211-212).

*** წარდგნას გადაურჩა დარდანოსიც, როდესაც ის სამოთრაკედან უცხო მხარეში (ძველისძველ იდაში) გაემგზავრა, სადაც მან დაარსა ქალაქი დარდანია (III, 220-224). არსებობს მოსაზრება, რომ დარდანოსი წარდგნას ტივის მეშვეობით გადაურჩა (ამის შესახებ დაწერილებით მოთხოვობილია ქვეთავში – ქალაქის დამარსებელი გმირები).

უერმენი ასევე შენიშნავს, რომ თავად ტივით მოგზაურობის მოტივი ბერძნებს შორის არ იყო გავრცელებული, მაშინ, როდესაც ეგვიპტურ მოთხოვობებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. უერმენი და სხვა მკვლევარები ძირითადად ეგვიპტური გადმოცემების საფუძველზე გამოყოფენ მოტივს – „ვინც გემის დაღუპვას გადაურჩა” და მიიჩნევენ, რომ ამ მოტივს პირდაპირი კავშირი აქვს „ოდისეასთან” (ვებგრი 1870: 88). ჩვენი აზრით, „დიონისიაკაში” აშკარად გამოიკვეთება მსგავსი მოტივი. რის გამოც ვფიქრობთ, რომ ნონოსის პოემის ზემოთ აღნიშნული ეპიზოდი აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების გავლენას განიცდის⁹.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც გამოარჩევს ელინურ ლიტერატურას აღმოსავლურისგან არის აღწერა – „ეპფრასისი”, რაც სიტყვიერი ხელოვნების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. სამი ძირითადი კატეგორიიდან, რომელ შიც, ასე თუ ისე, ექცევა ყველაფერი, რაც იწერება – დარიგება, თხრობა, აღწერა, – „მხატვრული” ლიტერატურისათვის სპეციფიკურია მხოლოდ აღწერა. ამიტომ სწორედ იგი აღმოჩნდა კონსტიტუციური კრიტერიუმი ბერძნული ტიპის ლიტერატურისთვის. უკვე პომეროსის პოემებში ვხვდებით ისეთ აღწერებს, რომლებიც ფაბულით პროვოცირებულნი არ არიან. ეპიკური სტილის კანონებით პომეროსის პოეტიკის ამ თავისებურების ახსნა შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ არც „გილგამეშში”, არც „მაპაბჲარატაში”, არც ჩრდილოურ ეპოსში, არც „სიმღერაში როლანდზე”, არც „სიმღერაში ნიბელუნგებზე” მსგავსი არაფერი არ გვხვდება.

უნდა ითქვას, რომ აღწერის თვალსაზრისით ნონოსი გამორჩეული სიზუსტით მიჰყვება პომეროსის გზას. მსგავსად პომეროსისა, ნონოსისეული ეპიკური თავისუფლება სინამდვილეში არაეპიკურია, ანუ – არათხორბითი. პოეტი აღწერის დროს თითქოს აჩერებს თხრობას და მკითხველთან ერთად გარკვეული დროით გამოდის (თხრობის) დინებიდან, რათა სტატიკური სურათის ჭვრეტით განიცადოს თავისი სიტუაციის გარეთ მყოფობა. საქმე ის არ არის, რომ ნონოსისეული შედარებები „გაშლილია”, (რაც საკმაოდ ჩვეულებრივია ფოლკლორული ტიპის პოეტიკისთვის) არამედ ის, რომ მსგავსად პომეროსისა, ისინი მომენტალურად გვიბიძგებენ შინაგანი განდგომისა და მჭვრეტელობისაკენ¹⁰.

ეპოსის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა ასევე ერთი და იმავე ეპიზოდის გამეორება. მაგალითად, მოთხოვობა პენელოპეს ეშმაკობაზე, რომელსაც

საქმროებისგან თავის დაღწევა სურდა, „ოდისეაში” მეორდება სამჯერ (II, 88-110; XIX, 137-156; XXIV, 128-146). ეპიკური მომღერალი, რომელიც თავის სიმღერას მრავალი დღის განმავლობაში ასრულებს, ვერ ამჩნევს გამეორებას, ამასთან, ერთი და იგივე ისტორია მან იცის რამდენიმე ვარიანტად და მას სხვადასხვანაირად გადმოსცემს*. ხშირია გამეორების მაგალითები აღმოსავლურ ეპოსებშიც.

„დიონისიაკაში” ავტორი ერთი და იმავე სიუჟეტის გამეორებას შეგნებულად მიმართავს არა პოემის ზეპირად ცირკულირების მიზნით, არამედ, მკითხველზე ძლიერი ზემოქმედების მოსახდენად, რის გამოც, ვფიქრობთ, სიუჟეტური გამეორება ნონოსთან თავისებურ პოეტურ ხერხს წარმოადგენს**.

ელინურ ლიტერატურას ახლოადმოსავლურისგან განასხვავებს ასევე უნივერსუმის სხვადასხვანაირი გაგება. ბერძნული სამყარო არის „კოსმოსი”, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაა „განწესება” (მოკაზმულობა), რაც არის „რიგი” და „წესრიგი”***. ამის საპირისპიროა, მაგალითად, ძველებრაული სამყარო – „ოლამი”, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობაა „საუკუნე”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროის მდინარება. „კოსმოსის” შიგნით თავად დროც მოცემულია სივრცობლივი მოდუსით: კაცმა რომ თქვას, სწავლება მარადიულ დაბრუნებაზე აშკარად თუ ლატენტურად არის ყოფის ყველა ბერძნულ კონცეფციაში – მითოლოგიურშიც და ფილოსოფიურშიც (ავერინცევი 1971: 206-266). როგორც ჩვენი ნაშრომის მომდევნო ქვეთავებიდან გახდება ნათელი, ნონოსის მსოფლალქმის ერთ-ერთი ძირითადი კონცეფცია სწორედ „კოსმოსს” უკავშირდება, თავდაპირველი წესრიგის დაკარგვა და მასთან დაბრუნების მუდმივი მცდელობა ნონოსის სამყაროს შეცნობის ძირითადი პრინციპია.

რაც შეეხება ეპიკურ მოტივებსა და სიუჟეტებს, ვ. ჟირმუნსკის აზრით, საგმირო ეპოსში გამოიყოფა შემდეგი: გმირის სასწაულებრივი დაბადება, მისი „ანცობანი”, მაგიური მოუწყვლელობა, უჩვეულო ცხენი და იარაღი, დაძმობილება და სხვა. ჟირმუნსკის მიხედვით, ამ მოტივთა უმეტესობა ადის ზღაპრულ, ან

* „ოდისეაში” ასევე ორჯერაა გამოყენებული ერთი ფოლკლორული მოტივი – ჯადოქარი თავისთან აყოვნებს მოგზაურს – პარალელური ეპიზოდები: ოდისევსი კირკესთან და კალიფსოსთან (ვუდჰაუსი 1930: 216-217; ვეისი 1962: 53-55).

** ნონოსთან სიუჟეტური გამეორების მაგალითები იხილეთ ქვეთავში – „დიონისიაკას” კომპოზიციური თავისებურებანი.

*** თავდაპირველად კითო~~ი იხმარებოდა ან სამხედროთა რიგის აღსანიშნად, ან ქალის აღკაზმულობისა. სამყაროს სტრუქტურაზე ეს სიტყვა პითაგორამ (ან პარმენიდემ) გადაიტანა.

ზღაპრის მონათესავე მითოსურ წარმოდგენებამდე და ადათ-წესებამდე (ჟირმუნსკი 1962: 9-15)

სასწაულებრივი დაბადების მაგალითები სხვადასხვა ეპოსებში გვხვდება. „ილიადაში” ოდისევსი (X, 144) და პეტორი (XIII, 54) კონკრეტული მამების შვილებადაც იწოდებიან და ზევსისაც. „დიონისიაკაში” დიონისე მოკვდავი სემელესა და ზევსის პირმშოა (VIII). გმირის დვთაებრივი წარმომავლობის მოტივის მნიშვნელობა, კ. ბოურას აზრით, იმაშია, რომ იგი ხსნის ეპიკური გმირის გამორჩეულ თვისებებს (ბოურა 1961: 94-96). პ. ა. გრინცერის მოსაზრებით, ძველი ეპოსი ამ მოტივით ინარჩუნებს მითთან კავშირს. სწორედ მითში მთავარი გმირი ყოველთვის ან დმერთია, ან – დმერთის ძე.

მითისა და ეპოსის კავშირზე მიუთითებს ასევე გმირის მიერ ქალდმერთის სიყვარულის უარყოფის მოტივი. ეს ძველი ეპოსების ხშირი თემაა ამა თუ იმ ვარიაციით. მას ზოგჯერ ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი, ხან კი – პერიფერიული. „მაჭაბარატაში” არჯუნა აბუჩად იგდებს ნიმფა ურვაშის სიყვარულს, რამა „რამაიანაში” კი – სურპანახტის. გილგამეში ზიზდით პასუხობს ქალდმერთი იშთარის სატრფიალო სიტყვებს. ოდისევსი ტოვებს მასზე შეევარებული კალიფსოს კუნძულს და უარყოფს კირკეს. ტროას ომის მიზეზიც ხომ „პარისის განსჯა” გახდა, რომლის შემდეგ შეურაცხყოფილმა პერამ და ათენამ პარისისა და ტროელების დასჯა გადაწყვიტეს. „ოდისეაში” ეს მოტივი მიყრუებულია, სამაგიეროდ, „ილიადაში”, „რამაიანაში” და „გილგამეშში” უარყოფილი ქალდმერთის რისხვა გმირის უბედურების პირდაპირი მიზეზია. „დიონისიაკაში” ეს მოტივი აშკარადაა გამოკვეთილი, თუმცა ქალდმერთის რისხვას დიონისეს რისხვა ცვლის. ყველა ქალწული (ნიკაია, ავრე), ვინც უარყო დვინის ღმერთის სიყვარული, შეურაცხყოფილია და საბოლოოდ – უბედურების მსხვერპლი (XVI, 1-301; XLVIII, 241-942).

ცნობილმა შუმეროლოგმა ა. კიფიშინმა საფუძვლიანად გამოიკვლია რისხვის მითორიტუალური მოდელი. მისი აზრით, ღვთაებრივი რისხვის თავდაპირველი იდეა უკავშირდება მდედრ ღვთაებას – ქალდმერთ დედას. სხვა ყველა „რისხვა” ამ მოდელის მოდიფიკაციებია. ქალდმერთის რისხვა თავს ატყდება მის პარტნიორს, რასაც მოსდევს დასჯა, დანაწევრება და ადდგომა. მამრი ღვთაებების რისხვის მოტივი უთუოდ გვიანდელია. იგი ქალდმერთი დედის რისხვის ანალოგით უნდა იყოს დამკვიდრებული (კიფიშინი 2000: 160-162; 167). „რისხვათა” „გადანაცვლება” იმ

ბუნებრივმა პროცესმა წარმოშვა, რაც წარმართულ რელიგიებში მამრის პრიორიტეტის დამკვიდრებას უკავშირდება (ანტიკურობაში ეს პროცესი ხოონური რელიგიის ოლიმპიურით შეცვლასთანაა ასოცირებული).

სხვადასხვა ეპოსის ეპიზოდების მსგავსება, აგრეთვე მათი კომპოზიციური ფუნქციების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ უარყოფილი ქალღმერთის მოტივი იყო არსებითად მნიშვნელოვანი ძველი ეპოსის შინაარსში. აქ ჩვენ ვხვდებით, არა მხოლოდ ცალკეული ეპოსების სიახლოვეს, არამედ – ეპოსისა და მითის. იმ შემთხვევაში, როდესაც გმირები არ იხოცებიან ქალღმერთთა რისხეით, ისინი „თითქმის” იხოცებიან, რადგან ძველ ეპიკურ პოემებში გმირის სიკვდილის მოტივი რეალიზებულია ერთი მნიშვნელოვანი ხერხით: გმირის ნაცვლად იღუპება ვიდაც სხვა.

„ილიადას” მკვლევარებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება, რომ პატროკლე იღუპება აქილევსის საჭურველით, იგი ტროელებს აქილევსი ჰგონიათ. მისი სიკვდილი მკითხველის მიერ აღიქმება, როგორც ნიშანი აქილევსის მალევ დაღუპვისა. იგივე ხდება „გილგამეშში” – გილგამეშის სუბსტიტუტია ენქიდუ. „ოდისეაში” არ არის რომელიმე კონკტეტული შემნაცვლებელი პერსონაჟი, თუმცა ოდისევსის ნაცვლად მისი მეგზურები იღუპებიან. ამ მოტივს, თავის მხრივ, პარალელი ეძებნება მითსა და რიტუალში ჩანაცვლებული მსხვერპლის შესახებ (გრინცერი 1971: 159-160; 162-164). „დიონისიაკაში” ამპელოსის* სიკვდილს თუ განვიხილავთ, როგორც სიკვდილს დიონისეს ნაცვლად, აღმოვაჩენთ კალენდარული მითის მნიშვნელოვან კომპოზიციურ ელემენტს – მცენარეული სამყაროს დროებითი სიკვდილისა და მისი კელავგანახლების იდეას.

აღმოსავლური და დასავლური ეპიკური ტრადიციების ორიენტირების ძიებამ მიგვიყვანა მითისა და ეპოსის საერთო კომპოზიციურ მსგავსებამდე. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ისეთი მუდმივი ეპიკური მოტივები, როგორიცაა: გმირის ღვთაებრივი წარმომავლობა, ქალღმერთის სიყვარულის უარყოფა, მისი შურისძიება, სუბსტიტუტების სიკვდილი – გარკვეულ შესაბამისობაშია მითის სტრუქტურასთან. პ. გრინცერი შეეცადა სხვადასხვა ეპოსებში ცალკეული მოტივების სიახლოვის მიზეზების გარკვევისას მოეცა ამ მოტივების მითოლოგიური ახსნა. როგორც ირკვევა, ყველა ეპოსში აისახება საყოველთაოდ გაგრცელებულ მითოსური სიუჟეტები და წარმოდგენები. სავარაუდოა, რომ ეპიკური პოემების შინაარსებში

* ამპელოსი დიონისეს განუყრელი მეგობარია, რომელიც სიკვდილის შემდეგ ვაზად გადაიქცევა.

ჩადებულია გარკვეული პრინციპები, რომლებიც ხელს უწყობს ერთი და იმავე მოტივებისა და სიუჟეტების გამოყენებას. ამიტომ, შეიძლება აღინიშნოს, რომ მსგავსების კარდინალური შტრიხები, რომლებიც დასტურდება ინდოელების, ბაბილონელების, ქანაანელების და ბერძნების ეპოსებში მომდინარეობს იქიდან, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმეორებენ ერთი და იმავე მითის სიუჟეტურ სქემას და ადიან ერთიან კომპოზიციურ მოდელამდე.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რატომ აქვთ ამდენად განხვავებულ ხალხებს ასეთი მსგავსი მითები? როგორც ჩანს იმიტომ, რომ თავად მითი თავის აგებულებაში ასახავდა ადამიანური გამოცდილებისა და ქმედების რადაც უმნიშვნელოვანების ასპექტებს, აფიქსირებდა ადამიანური ქცევებისა და სამყაროს აღქმის სამაგალითო მოდელებს. მიუხედავად ასეთი სიუჟეტური მსგავსებისა, ეპოსი მითისაგან წარმოშობილი კი არ არის, არამედ, მითის მსგავსად, ერთი და იმავე კომპოზიციური სქემის რეპრეზენტაცია. მითოსური კომპოზიციური სქემის შეღწევა ლიტერატურაში ხდება არა მხოლოდ ეპოშში. ეს სქემა არსებობს ლიტერატურის თითქმის ყველა უანრში, განსაკუთრებით კი – ფოლკლორულში (მაგ., ჯადოსნური ზღაპარი)*.

ამრიგად, ნონოსის პოემა ატარებს, ეპიკური პოეზიისათვის დამახასიათებელ, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ სტრუქტურულ ელემენტებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავსად სხვა ეპოსებისა (მხედველობაში გვაქს „ილიადა“ და „ოდისეა“, ასევე ბაბილონური, ინდური და უგარითული ეპოსები), „დიონისიაკას“ კომპოზიციის საფუძველს მითოლოგიური მოტივები განსაზღვრავენ. პოემის სხვადასხვა სიუჟეტები გარკვეულ შესაბამისობას ჰქოვებს მითის სტრუქტურაში. ჩვენი კვლევის მიზანიც ხომ სწორედ მითოსური მოდელებისა და სახე-სიმბოლოების გამოკვეთად ნონოსის „დიონისიაკაში“.

* ქ. დიუმეზილის მტკიცებით, ტიტუს ლიგიუსის „ისტორიის“ მთელი რიგი ქიზოდები მითოსური ტრადიციის სულისკვეთების გათვალისწინებითაა დაწერილი (დიუმეზილი 1948: 85-87).

ნაწილი I

ეპოსის ნონისისეული ხედვა

1. გვიანანტიკურობა

გვიანანტიკურობა არის ხანა, რომელსაც ისტორიკოსთა ნაწილი კლასიკური ანტიკური ეპოქიდან შეუძლია საუკუნეებისკენ გარდამავალ პერიოდს უწოდებს. ისტორიკოს პ. ბრაუნის მიხედვით ეს ხანა III-VIII საუკუნეებს შორის არსებულ პერიოდს მოიცავს. გვიანანტიკურობას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა შეფასებას აძლევს. მეცნიერთა ნაწილი ამ ხანას აყვავებისა და აღმავლობის ხანას უწოდებს, ნაწილი კი მას აფასებს, როგორც სრული ანარქიის ეპოქას. რ. ბაგნალის მოსაზრებით გვიანანტიკურობა იყო პერიოდი, როდესაც წარმოუდგენელი უწესრიგობა ბატონობდა როგორც ხელისუფლებაში, ისე ჯარში. გაპარტახებულ ქალაქებს სასაფლაოს ფუნქციადა ეკისრებოდათ. თუმცა, უკანასკნელ წლებში გვიანანტიკურობას სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა ნაწილი დადებით შეფასებას აძლევს, მეოთხე საუკუნეს კი ახასიათებს, როგორც მეტად საინტერესოსა და ცხოველმყოფელ ეპოქას. ამის საუკუთესო მაგალითს წარმოადგენს პ. ბრაუნის წიგნი გვიანანტიკურობაზე, რომელშიც ისტორიკოსმა ამ ეპოქას კულტურული ინოვაციების ხანა უწოდა (ბრაუნი 1971: 17).

აღსანიშნავია, რომ გვიანანტიკურობა განიცდის ჭეშმარიტ მუტაციას. ახალი სული აღწევს ყველა სფეროში დაწყებული ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე მატერიალური და შიდა ფორმებიდან, დამთავრებული კოლექტიური მენტალობის ყველაზე დაფარული სტრუქტურებით. ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველ საფეხურზე. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ცვლილებები: რომის ახალი იმპერია დაემორჩილა კონსტანტინეს ცენტრალიზებულ მონარქიას: ძალა კონცენტრირებულია იმპერატორის ხელში, რომელიც მართავს სახელმწიფოს მოქალაქეებს სასამართლოსა და კონსტანტინეპოლის მეშვეობით. კონსტანტინეპოლის ახალ რომს უწოდებენ, რადგან მან ეკონომიკური, ადმინისტრაციული და იურიდიული თვალსაზრისით, განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

ცვლილება განიცადა საზოგადოებამაც. ს. საიდისა და მ. ტრედეს მოსაზრებით, გვიანანტიკურობა მეტად ამბიციური ხანაა, სადაც ჯარისკაცებს, მოსამართლეებსა და საიმპერატორო კანცელარიის მუშაკებს, რომელნიც დაბალ

სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ, საშუალება ეძლეოდათ აღზევებულიყვნენ სოციალურ კიბეზე და ხშირად აღწევდნენ ისეთ თანამდებობებსაც კი, როგორიცაა კონსული ან პრეტორიანელი პრეფექტი. ყოველივე ეს ბიძგს აძლევდა მკაცრად იერარქიული საზოგადოების შექმნას. ამასთანავე, გპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მონათმფლობელური წყობილების თანდათანობით დაშლა და ფეოდალურ სისტემაზე გადასვლა.

ყველა ამ მნიშვნელოვანმა ცვლილებამ გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ იდეოლოგიაზე. პირველ რიგში კი გამოიწვია რელიგიური სინკრეტიზმი: თავად რომში ეთაყვანებოდნენ არა მარტო ბერძნულ-რომაულ დმერთებს, არამედ ეგვიპტურ, სირიულ, მცირეაზიულ დმერთებსაც. სწორედ ამის გამო იყო გაუგებარი იმპერიის წარმართი მოსახლეობისათვის იუდაიზმი და ქრისტიანობა.

II ს-ის ბოლოდან ქრისტიანობა ადარ განიცდის დევნას, ხოლო უკვე IV საუკუნეში ოფიციალურად იქნა აღიარებული იმპერატორ კონსტანტინეს მიერ და თანდათანობით იქცა იმპერიის ყველაზე გავლენიან რელიგიად (საიდი 1999: 154-155). ამ ცვლილებებს შედეგად მოჰყვა ბერძნული კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის ერთმანეთთან დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ V საუკუნის შუა წლებში რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია ქრისტიანობა იყო, წარმართობა მაინც ძნელდა თმობდა თავის პოზიციებს. ის ჯერ კიდევ მყარად იდგა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, როგორც მოსახლეობის დაბალ ფენებში, ისე ინტელიგენციას შორის. მრავალ სოფელში ხალხი არ წყვეტდა კავშირს წინაპართა რიტუალებსა და ცერემონიებთან. სკოლებში მოზარდები ეზიარებოდნენ ანტიკურ მწერალთა შემოქმედებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა გვიანანტიკური ლიტერატურის განვითარებაზე. ამ ეპოქის ლიტერატურის ორიგინალობა განაპირობა ძველი ბერძნული და ელინისტური ხანის მწერლობის ტრადიციების გაგრძელებამ, ასევე სინთეზმა რომაული მწერლობის ენასთან, უანრთან და თემატიკასთან. ქრისტიანები კითხულობდნენ წარმართ კლასიკოსებს, როგორც მხატვრული შემოქმედების უმაღლეს ნიმუშებს. რაც მათთვის მისაღები იყო, მას იზიარებდნენ, ხოლო რაც არა, მას იგნორირებას უკეთებდნენ. ყოველივე ამის გამო, ადრეული ქრისტიანული აზროვნება განიცდის ელენიზმის დიდ გავლენას (პოპკინსონი 1994: 4-5). მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, როგორც ქრისტიანობა, ისე წარმართობა ცდილობს საკუთარი უპირატესობის შენარჩუნებას, რაც, ფაქტობრივად, საკმაოდ კარგად აისახა ლიტერატურაშიც. აქ ე.წ. წარმართული და

ქრისტიანული პროდუქცია თავისი მოცულობით დაახლოებით თანაბარ ადგილს იჭერს (გორდეზიანი 2005: 266).

ამავე პერიოდიდან შეინიშნება ცვლილებები ბერძნული და ლათინური ენების ურთიერთმიმართებაშიც. იმპერიის აღზევების ხანაში ლათინური ხდება ძალაუფლების ენა, ხოლო ბერძნული – კულტურის ენა. იმპერიის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრში განხორციელებული ცვლილებები აღმოსავლეთთან დაკავშირებით თანდათანობით იწვევდა ლათინური ენის პრივილეგირებულობას, რომელმაც დაიწყო ბერძნულის, როგორც კულტურის ენის, პოზიციების მისაკუთრება. თეოდოსი მეორემ დაარსა ლათინური გრამატიკისა და რიტორიკის კათედრა კონსტანტინეპოლიში. ეგვიპტური პაპირუსები გვაუწყებენ, რომ სკოლის მოწაფეები კითხულობდნენ ვერგილიუსს და თარგმნიდნენ მის პოემებს ბერძნულ ენაზე. გვიანანტიკური ხანის უკანასკნელი ბერძენი პოეტების ნაწარმოებებში აშკარად შეინიშნება ვერგილიუსისა და ოვიდიუსის გავლენა, რაც ასევე იმპერიის ბერძნულ მოსახლეობაში ლათინური კულტურის პოპულარულობაზე მიუთითებს. მეოთხე საუკუნის ანტიოქიაში, რიტორ ლიბანიოსის ცნობით, ბერძენ ახალგაზრდათა დიდი ნაწილი ამჯობინებდა შექსწავლა ლათინური ენა და იურისპრუდენცია, და არა – ბერძნული ლიტერატურა.

ამ ახალ სულსა და მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციულ ფორმებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ბერძნული, ქრისტიანული თუ წარმართული ლიტერატურის ორიგინალობისათვის. გვიანანტიკური ლიტერატურის სიმყარე და კონსერვატულობა მხოლოდ და მხოლოდ ფასადია, რომლის მიღმაც განუწყვეტლივ თავს იჩენს ტრადიციული ლიტერატურული უანრების განმეორება, კლასიკოსების იმიტაციები და ციტირებები, ტრანსფორმაციები, და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, წარსულთან გაჩენილი ნაპრალის ერთგვარი ზედაპირულობა (საიდი 1999: 155-156).

2. გვიანანტიკური ხანის ეგვიპტე და ბერძნული პოეზია

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ეგვიპტეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ ეკონომიკური ან სტრატეგიული მნიშვნელობით, არამედ იმითაც, რომ ეგვიპტე ატარებდა იმ დიდ ცივილიზაციას, რომლის მიმართ ინტერესი არ ქრებოდა. ამაზე იხიც მიუთითებს, რომ ქრისტეს შობიდან III

საუკუნეში რომის იმპერატორებს ისევე გამოსახავდნენ ტაძრის კედლებზე, როგორც ფარაონებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბერძნულ-რომაულ სამყაროში დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ეგვიპტურ კულტურასა და პანთეონს. სწამდათ, რომ საბერძნეთის მრავალი დმერთის წარმოშობა სწორედ ეგვიპტეს უკავშირდებოდა.

გ. ბოუერსოქის მოსაზრებით, ბერძნული კულტურის შერწყმა ეგვიპტურთან ძირითადად ელინისტური სანიდან დაიწყო. სწორედ ამ დროიდან ნელ-ნელა კვდება ძველი ეგვიპტური ენა. რომის იმპერიის ბატონობისას კი ეგვიპტელი ქურუმებიც ბერძნულ ენაზე აღავლენდნენ დვთისმსახურებას, რათა კავშირი არ გაეწყვიტათ მოსახლეობის უმრავლესობასთან. ყოველივე ამან გამოიწვია ბერძნული მითოლოგიისა და დმერთების თანდათანობით შერწყმა ეგვიპტურ ტრადიციებთან (ბოუერსოქი 1990: 55-56).

მეოთხე საუკუნის ეგვიპტის აშკარა მომხიბვლელობა დადასტურებულია ათასამდე არალიტერატურულ წყაროში, რომელიც საშუალებას გვაძლევენ გვიანანტიკური ეპოქის ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ წვრილმანებს ჩავწევთ, რომელიც არსად სხვა წყაროში არაა შემორჩენილი. შ. ბაგნალი აღნიშნავს, რომ „ეგვიპტე იყო ნაყოფიერი პროვინციული საზოგადოება ბერძნების მიერ ოკუპირებულ მიწაზე, რომელიც იმყოფებოდა რომაული კანონმდებლობის ქვეშ“ (ბაგნალი 1993: 4).

რომის იმპერიის უკანასკნელ წლებში ეგვიპტე იქცა ბერძნული პოეზიის ნავსაყუდელად. ეგვიპტელები, წერდა ევნაპი სარდელი, დაახლოებით 400 წელს, გაგიჟებული არიან პოეზიაზე (eři; poitikh/ men sfodra mainontai), და მართლაც ძნელად თუ დავასახელებთ IV-V საუკუნის ბერძენ პოეტს, რომელიც არ იყო წარმოშობით ეგვიპტელი. ამ პოეტთა უდიდესი ნაწილისთვის პოეზია წარმოადგენდა დვთიურ საჩუქარს და უპირველეს ყოვლისა, პროფესიას. ალან კამერონის მოსაზრებით, ქრისტიანულ სამყაროში მათი უმეტესობა წარმართად რჩებოდა. თუმცა, იმავე მეცნიერის მოსაზრებით, არაა მნიშვნელოვანი ამ პოეტთა სარწმუნოების საკითხი, რადგანაც ფაქტია, რომ ამ პერიოდის ყოველი ეგვიპტელი პოეტის შემოქმედებას ასაზრდოებდა მითოლოგიური თემატიკა და შესაბამისად, თითოეული მათგანის შემოქმედება ორგანულად წარმართობას მიეკუთვნებოდა. ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების პერიოდშიც კი, ისინი პომეროსის ეპიგრანებად რჩებოდნენ, მათი პოეზია ემსახურებოდა წარმართ დმერთა ქებას.

როგორც აღვნიშნეთ, IV საუკუნეში ქრისტიანობა საბოლოო ტრიუმფს აღწევს. საუკუნის უპანასკნელ წლებში თეოდოსი დიდი წარმართულ კულტთა განადგურებას უჭერს მხარს. მიუხედავად ამისა, ეგვიპტის მრავალ ქალაქში V საუკუნის შუა სანებშიც კი დვოისმსახურება ხორციელდებოდა წარმართულ ტაძრებში. წარმართობა ისევ განაგრძობდა არსებობას ალექსანდრიის ინტელექტუალურ წრებში, სადაც კლასიკური ლიტერატურისა და ნეოპლატონიზმის სწავლება VI საუკუნემდე გრძელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელ პოეტთა დიდი ნაწილი წარმოშობით სწორედ იმ ქალაქებიდან იყვნენ, სადაც წარმართობა ძნელად თმობდა თავის პოზიციებს. მაგალითად, პამპრეპიუსი, კირუსი, ნონოსი და ტრიფილოროსი პანოპლისიდან იყვნენ, ქრისტოდორუსი – კოპტუსიდან, ოლიმპიოდორუსი – ეგვიპტური თებედან, ანდრონიკუსი – პერმოპოლისიდან, ხოლო კლავდია და პალადასი – ალექსანდრიიდან.

პანოპლისი, ნონოსის მშობლიური ქალაქი, წარმოადგენდა ელინისტური კულტურის ცენტრს ეგვიპტეში. ჰეროდოტის ცნობით, მის დროს ეს იყო ერთადერთი ეგვიპტური ქალაქი, რომელიც მეგობრულად ეკიდებოდა ბერძნულ წეს-ჩვეულებებს (კამერონი 1985: 470-471). IV საუკუნეში პანოპლისი იქცა ბერძნული კულტურის ცენტრად. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სწორედ ამ რეგიონში და მის მახლობლად აღმოჩნდა მნიშვნელოვან პაპირუსთა უმრავლესობა. სავარაუდოდ, პანოპლისში უნდა ყოფილიყო კარგი სკოლები და ბიბლიოთეკები. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ბრაუნის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პანოპლისი, როგორც ბერძნული კულტურის ცენტრი, ამავდროულად იყო ქრისტიანების წინააღმდეგ წარმართთა ინტელექტუალური რეაქციის ცენტრი. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პანოპლისი, გარდა თავისი ელინისტური ტრადიციებისა, იყო ქრისტიანული – ბერებისა და წმინდანების ქალაქი. პოპკინსონის მიერ გამოცემულ კრებულში აღნიშნულია, რომ „თუკი ჩვენ უგულებელვყოფთ პანოპლისური კულტურის ამ მნიშვნელოვან ასპექტს, მაშინ ვერასდროს ჩავწვდებით ბიზანტიური პოეზიის ჭეშმარიტ არსეს“ (პოპკინსონი 1994: 5, 220).

IV-V საუკუნეებში ეგვიპტეში დაახლოებით მოსახლეობის სამი მეოთხედი ქრისტიანი იყო, ხოლო დანარჩენი კვლავ მისდევდა წარმართულ რელიგიას. ქრისტიანობისა და ელინიზმის გავრცელება გვიანანტიკურ ეგვიპტეში თანდათან იწვევდა ეგვიპტური კულტურის კვდომას. ამას ნონოსის პოეზიაც ადასტურებს, სადაც მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ბერძნულ მითოლოგიას და თითქმის არ

მოიხსენიება ეგვიპტე თუმცა, თუ კარგად ჩავუკვირდებით, ეგვიპტელ პოეტთა ნაწარმოებებში ეგვიპტური კულტურისა და ცივილიზაციის გავლენას აღმოვაჩენთ. ამ პერიოდის ეპოსთა უმრავლესობა წარმოადგენს ბერძნული მითოლოგიის გერსიფიკაციას, მიუხედავად ამისა, მათში ბერძნულ მოტივთა გვერდით აშკარაა ლოკალური ელემენტების არსებობაც. „დიონისიაკადან“ ჩანს, რომ ნონოსი ამაყობდა თავისი ქვეყნით. ის ნილოსს „ჩემს“ მდინარეს უწოდებს (ეჟიუ Neij oio – XXVI, 238) (ბოუერსოქი 1990: 57-63).

ს. საიდი აღნიშნავს, რომ „გვიანანტიკური ხანის პოეზია აგრძელებდა წარსულის ბრწყინვალე მოდელებისა და ნიმუშების სესხებას, როგორც ფორმის, მეტრიკის, ასევე ენის თვალსაზრისითაც. შემდგომ კი ამ მოდელების ტრანსფიგურირება ხდებოდა მათში ახალი სულის ჩაბერვის გზით“ (საიდი 1999: 156). შესაბამისად, გვიანანტიკური ხანის ყველა ეგვიპტელი პოეტი ეპოსს წერდა დაქტილური პეგზამეტრით. გარდა ეპოსისა, ისევე როგორც ელინისტურ ხანაში, პოეტები დაქტილური პეგზამეტრით ქმნიდნენ ენკომიონებს, რომელნიც ძირითადად სახელმწიფოს უმაღლეს პირთა წარმატებებზე მოგვითხრობდნენ და ეპითალამიებს, რომელთაც ახალდაქორწინებულებს უმღეროდნენ. ამასთანავე ამ პერიოდის პაპირუსების დიდი ნაწილიც დაქტილური პეგზამეტრითაა გამართული. უკვე მე-6 საუკუნიდან პეგზამეტრს თანდათანობით შეცვლის იამბური ტრიმეტრი, რომელიც ენაში კვანტიტეტური პრინციპის დაკარგვის გამო უფრო მისაღები გახდა თანამედროვე პოეზიისათვის.

მითოლოგიური ეპოსის გავლენა გვიანანტიკური ეპოქის პოეტების შემოქმედებაზე დიდი იყო. პომეროსისა და იმპერიის გვიანი ხანის (late Empire) ალექსანდრიული პოეტების გავლენით იქმნებოდა კვინტუს სმირნელის „პოსტპომერიკა“, „ორფიკული არგონავტიკა“, ნონოსის „დიონისიაკა“, ტრიფიოდოროსის „ილიონის ადება“, კოლუთეს „ელენეს მოტაცება“ და მუსეოსის „პერო და ლეანდროსი“. ამ ეპიკოსთა დიდი ნაწილის ნაწარმოებები შეიქმნა მეოთხედან მეექვსე საუკუნეებამდე. მათი ავტორები ნაწარმოებთა თემას ძირითადად სესხულობდნენ ტროას ციკლიდან და ეპაექრებოდნენ პომეროს. მაგ., კვინტუს სმირნელი პომეროსის მიბაძვით ქმნის ნაწარმოებს, რომელიც ზომით პომეროსის პოემების ნახევარია, ხოლო ნონოსი „დიონისიაკათი“ ქმნის ერთად აღებული „ილიადასა“ და „ოდისეას“ ზომის პოემას.

ადსანიშნავია ისიც, რომ ეგვიპტელ პოეტთა დიდ ნაწილს კარგად უნდა სცოდნოდა ლათინურენოვანი ლიტერატურა. იმპერიის უკანასკნელ წლებში აუცილებელი იყო ასევე ლათინური ენის ცოდნა პროფესიული წარმატების მისაღწევად, რადგან ქვეყანაში იურისპრუდენცია ლათინურ ენაზე წარმოებდა. ლათინურის ცოდნა სავალდებულო იყო ჯარშიც და სახელმწიფო სამსახურშიც. სწორედ ამის გამო, IV-V საუკუნეებში ეგვიპტეში ლათინური ენა ფართოდ გავრცელდა. პაპირუსებში შემონახული ცნობების მიხედვით, ეგვიპტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ პერიოდში არა მარტო საუბრობდა ლათინურად, არამედ კითხულობდა კლასიკოს ავტორებსაც. ასევე, ნონოსიც კითხულობდა და ბაძავდა ოვიდიუსა და კლაუდიანუს. პტოლემაიოსისა და ადრეული იმპერიის ეგვიპტეში თითქმის ყველა სწავლობდა ბერძნულ ენას. როგორც ადვინიშნეთ, კულტურული თვალსაზრისით ამ პერიოდის ეგვიპტის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იყო ქალაქი თებე და მისი რეგიონი პანოპოლისი. თუმცა, ეს დაახლოებით ერთ საუკუნეს გაგრძელდა. როდესაც წარმართობა საბოლოოდ ჩაკვდა ამ ადგილებში, მასთან ერთად არსებობა შეწყვიტა ბერძნულმა პოეზიამაც. ალან კამერონის სიტყვებით, პამპრეპიუსი, რომელიც დაიბადა 440 წელს, იყო უკანასკნელი „გზააბნეულ პოეტთა“ შორის. ის ასევე იყო უკანასკნელი წარმართი პოეტი. ამის შემდეგ ეგვიპტელ ქრისტიანთა ძირითადი ენა ხდება ეგვიპტური, ანუ კოპტური და არა ბერძნული (კამერონი 1985: 483, 494-495, 508).

ამრიგად, გვიანანტიკური ეგვიპტე იქცა ამ პერიოდის ბერძნული პოეზიის ნავსაყუდელად. პოეზიისა, სადაც წარმართული ბერძნული და ეგვიპტური ტრადიციები შეერწყა ქრისტიანულ მსოფლადქმასა და ნოვატორობას. კულტურული ტრადიციების სწორედ ეს სინთეზი წარმოადგენს გვიანანტიკური ეპოქის პოეზიის თავისებურებასა და მომხიბვლელობას. ვფიქრობთ, ამ მეტად საინტერესო ეპოქის პოეზიის ხასიათის გამომხატველად და შეიძლება ითქვას, სიმბოლოდ იქცა ნონოს პანოპოლისელი, რომელმაც შექმნა როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული ნაწარმოებები და ამგვარად გამოხატა ელინიზებულ-ქრისტიანული კულტურის თავისებურება. სწორედ ამის გამო ნონოსი უნდა აღვიქვათ არა მხოლოდ როგორც კლასიკური ეპოსის ტრადიციების გამგრძელებელი, არამედ, როგორც გვიანანტიკური ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი პოეტი.

3. ნონოს პანოპოლისელის ბიოგრაფია

ნონოს პანოპოლისელის, ერთი მხრივ, ქრისტიანული და მეორე მხრივ, წარმართული ნაწარმოებების ავტორის, ცხოვრების გზა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მკვლევართა შორის. მისი ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული. ხელმოწერილია მისი პოემის „დიონისიაკას“ მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერი, ე.წ. ბერლინის პაპირუსი, რომელიც პოემის ავტორად ნონოს პანოპოლისელს ასახელებს. სწორედ ამ ხელნაწერის მეშვეობით ჩვენთვის ნათელი ხდება პოეტის სახელი და მისი წარმომავლობა.

ის, რომ ნონოსი პანოპოლისიდან იყო, ჩანს ერთი ეპიგრამიდანაც: „Νοννο-
εῖγω Ρανο~ μεν εἶη; ποι ἵ~“ (მე ვარ ნონოსი. ჩემი ქალაქია პანოსი) (პატონი 1917: 102-103).

პანოპოლისი, კოპტური ხემისი, იყო ეგვიპტელთა ღმერთის – მინას* წმინდა ქალაქი. მინა ბერძნებმა გააიგივეს პანთან და შესაბამისად, ქალაქსაც პანოპოლისი უწოდეს. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პანოპოლისში დაბადებული ნონოსი ცხოვრობდა ალექსანდრიაში და ხშირად მოგზაურობდა მცირე აზიაში, ძირითადად კი კონსტანტინეპოლში (პოპინსონი 1994: 4).

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იყვნენ პოეტის მშობლები: ბერძნები თუ კოპტები. თუმცა, ნონოსი არაა ბერძნული სახელი და არც ხემისი – ბერძნული ქალაქი. ს. ავერინცევის მოსაზრებით, ერთადერთი ელინიზირებული ქალაქი მაშინდელ ეგვიპტეში იყო ალექსანდრია, სადაც მოღვაწეობდნენ ბერძენი პოეტები და მწერლები. მისივე გამოკვლევით, ადამიანი, რომელიც დაიბადა ხემისში და რომლის სახელი იყო ნონოსი, შეუძლებელია აღზრდილიყო ელინიზებულ ოჯახში. მისი აზრით, პანოპოლისელი წარმოშობით კოპტი იყო (ავერინცევი 1977: 134).

სახელი ნონოსი, უცნობი კლასიციზმის პერიოდისათვის, იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში ვრცელდება მის აზიურ და აფრიკულ პროვინციებში. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ვიანი. იგი მიიჩნევს, რომ ნონოსი ბერძნული მეტსახელია, რომელიც შემდეგ პირის სახელად იქცა (ზახაროვა 1997: VII-IX). ენციკლოპედიაში „Der Neue Pauly“ კითხულობთ, რომ სახელი ნონოსი

* ეგვიპტურ მითოლოგიაში ნაყოფიერების ღმერთი. იგი მფარველობდა ადამიანთა შობადობასა და საქონლის გამრავლებას. მისი კულტი გავრცელებული იყო ხემისში, კოპტოსში, ომბოსსა და ნუბიაში. მოგვიანებით, კოპტოსის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად გადაქცევის შემდეგ, მინამ შეიძინა ვაჭრობის, ქარაგნებისა და უდაბნოს მფარველი ღმერთის ფუნქციები (მელეტინსკი 2003: 366).

გავრცელებული იყო ეგვიპტეში ქრისტეს შობიდან IV საუკუნეში. იგი სირიული ან ეგვიპტური წარმომავლობისაა. ლექსიკონში ასევე აღნიშნულია, რომ შესაძლებელია, ის ბერძნული „*nennos*”-იდან (რაც „*διόδος*“ ან „*δαδუის*“ კნინობითი ფორმაა) იყოს ნაწარმოები (მეთცლერი 1999: 995-998).

საფიქრებელია, პანოპოლისში დაბადებული პოეტი ცხოვრობდა ალექსანდრიაში. ამაზე „დიონისიაკას“ ერთ-ერთი სტრიქონიც მიუთითებს, სადაც ნონოსი ფაროსს მეზობელ კუნძულს უწოდებს – „*Farwi para; geitoni nhswi*“ (Nonn. Dion. I, 13)*. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, თითქოს ნონოსი ცხოვრობდა „დიონისიაკაში“ მის მიერ შექებულ ქალაქ ბეირუთში, სადაც სწავლობდა ცნობილ იურიდიულ სკოლაში. არც ისაა საფუძველს მოკლებული, რომ ნონოსმა მიიღო რიტორიკული განათლება (ზახაროვა 1997: VIII-X).

პანოპოლისელის შემოქმედებიდან ჩვენამდე მოღწეულია ორი ნაწარმოები, დაწერილი ბერძნული ეპოსისათვის ტრადიციული დაქტილური ჰეგზამეტრით: ერთია „იოანეს სახარება“, ხოლო მეორე – წარმართულ თემაზე შექმნილი პოემა „დიონისიაკა“¹¹. ენციკლოპედია „Der Neue Pauly“-ს მიხედვით, ნონოსმა „დიონისიაკა“ ალექსანდრიაში შექმნა. პოემა ყველაზე ვრცელი ეპოსია და მოიცავს 21 382 სტრიქონს (მეთცლერი 1999: 995-998). ნონოსის მიერ გალექსილი პარაფრაზას შესახებ დიდხანს გრძელდებოდა დავა. მკვლევართა ერთ ნაწილს ეჭვი ეპარებოდა, რომ მისი ავტორი მართლაც ნონოსი იყო (პოპინსონი 1994: 5).

ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ნაწარმოების ავტორობამ წინ წამოსწია ნონოსის სარწმუნოების საკითხი. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პოეტი „დიონისიაკას“ წერისას ქრისტიანი იყო (ვიანი 1994: 197-223; ალენი 1996: 75-91; მიგუელებ-კავერო 2009: 557-582). თუმცა, ნაწარმოების პირველ ძალით გამოიყენება მოყოლებული ითვლებოდა, რომ ნონოსი „დიონისიაკას“ დაწერის შემდეგ გაქრისტიანდა და ტექსტიდან გადაუხვევლად გალექსა „იოანეს სახარება“ (ზახაროვა 1997: X). არსებობს ასეთი მოსაზრებაც, თითქოს უკვე ხანში შესული პოეტი გახდა ქრისტიანი ეპისკოპოსი, რასაც მოჰყვა სახარების გალექსვა. შესაძლოა, თავიდან იგი მონაწილეობდა დიონისურ მისტერიებში, შემდეგ კი იმედი

* ნონოსის ტექსტის ციტირებისას ვიყენებთ შემდეგ გამოცემებს: Nonni Panopolitani, Dionysiaca, Recensuit A. Koechly, L. 1857. ასევე ვოფალისწინებთ თარგმანებს:

1997. Nonnos. Dionysiaca. With an English Translation by W. H. D. Rouse. Cambridge, Harvard University Press, 1940-42. ნაშრომში მოტანილი ციტატები თარგმნილია ჩემ მიერ. ციტირებისას ვუთითებთ პოემის სიმღერასა და სტრიქონს.

გაუცრუვდა და მოინათლა. ამ პიპოთებასთან დაკავშირებით მოჰყავთ ის ფაქტი, რომ პოემაში დიონისე გამოყვანილია, როგორც უბედურების მომტანი ღმერთი (გრაბარ-პასეკი 1964: 66). ერთი მოსაზრების მიხედვით, ნონოსი გაიგივებულია ამავე სახელის მქონე ედესის ეპისკოპოსთან, რომელიც მოღვაწეობდა ქრისტეს შობიდან V ს-ის პირველ შვიდ ათწლეულში (მეთცლერი 1999: 995-998).

დასაშვებია საწინააღმდეგო ვარიანტიც: ქრისტიანულ ოჯახში დაბადებულმა ნონოსმა ახალგაზრდობაში გაღეკსა სახარება, შემდეგ კი გაიტაცა წარმართულმა ბერძნულმა პოეზიამ და წლები მიუძღვნა „დიონისიაკას“ წერას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კაიდელი „დიონისიაკას“ პოეტური თვალსაზრისით უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, ვიდრე სახარების პარაფრაზას.

შედარებით ფრთხილი მკვლევარები გვახსენებენ, რომ აუცილებელი სულაც არაა, პოეტური ნაწარმოებები წარმოადგენდნენ ავტორის კონფესიონალური კუთვნილების მანიფესტაციას. გარდა ამისა, V ს-ში რელიგიური შეტაკებების სიმწვავე შედარებით შემცირდა, რადგან გამწვავდა ქრისტიანობაში წარმოშობილი ერესების ურთიერთშორისი ქიშპობა. ბევრი აფრიკელი და ალექსანდრიელი ავტორი თავის შემოქმედებაში ერთმანეთში ურევდა წარმართულ და ქრისტიანულ მოტივებს. ამას გარდა, სკოლები კვლავ წარმართულ განათლებას იძლეოდნენ, თუმცა ეკლესია ქრისტიანული იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეუძლებელი არც ისაა, რომ ქრისტიან პოეტს დაეწერა „დიონისიაკა“, რომელიც ასახავდა იმდროინდელი ელინიზმის მითოლოგიურ ტრადიციებს. გ. ბოუერსოქის მიხედვით, „დიონისიაკას“ ქვემოთ მოტანილ სტრიქონს არასოდეს არ დაწერდა წარმართი ავტორი ქრისტიანულ ერამდე. “Bakco~ aħax dakruse, brotwn iħha dakrua l-isħi” (იტირა ბრძანებელმა ბაკქოსმა, რათა ცრემლთაგან ეხსნა მოკვდავნი – XII, 171). ტრადიციულად, წარმართი ღმერთები არასდროს არ იღებდნენ საკუთარ თავზე მოკვდავთა უბედურებას. გვიანანტიკურ წარმართობაში კი განსაკუთრებით შეიმჩნევა სოტერიოლოგიური ხასიათის ქრისტიანული ელემენტები. მისი მოსაზრებით, ქრისტიანობა და წარმართობა არ იყვნენ ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებაში. პირიქით, მრავალი სახე თუ სიმბოლო შეითვისა ქრისტიანობამ წარმართობიდან. ეგვიპტელი პოეტები წერდნენ წარსული დროის წარმართ გმირებზე, ღმერთებზე და არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდათ, თუკი ისინი მათ აწმყოშიც შემოვიდოდნენ. „დიონისიაკას“ წერის პერიოდში ნონოსის ქრისტიანობას უჭაქვეშ არც ჯ. ჰეინსვორფი აყენებს. მისი მოსაზრებით, „დიონისიაკა“ არა

რელიგიური პოემა. ის რომანია, რომლის ავტორი ნაწარმოების წერისას ქრისტიანი უნდა ყოფილიყო (ბოუერსოქი 1990: 43-44, 64-67). ს. ავერინცევის მოსაზრებით, შეუძლებელია გამოვიცნოთ წარმართი იყო თუ ქრისტიანი ნონოსი „დიონისიაკას“ წერისას, რადგან „ჩვენ პოეტის სულის სიღრმეში ჩაწვდომა არ შეგვიძლია, ჩვენ მხოლოდ მის ლექსებს გკითხულობთ“ (ავერინცევი 1977: 147).

პანოპოლისელის ცხოვრების დათარიღებასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. *Terminus post quem*—ად მიიჩნევა კლავდიანუსის ნაწარმოები (394-397), რომელსაც იცნობს ნონოსი. *Terminus ante quem* არის აგათია სქოლასტიკოსი (530-580). იგი ნონოსს თავის თანამედროვედ თვლის (მეთცლერი 1999: 995-998). ს. საიდის აზრით, ნონოსის „დიონისიაკა“, სავარაუდოდ, შეიქმნა ქრისტეს შობიდან 450-470 წლებში (საიდი 1999: 158).

როგორც ვნახეთ, ნონოსის ბიოგრაფიიდან ჩვენამდე ძალზე მწირი ინფორმაციაა მოღწეული. პოეტის ცხოვრება ჩვენთვის ისეთივე ამოუცნობი და ძნელად ჩასაწვდომია, როგორც მისი პოეზია, რომელიც ს. ავერინცევის სიტყვებით, „არის ირიბი მნიშვნელობების, გაორმაგებული სახეების, მინიშნებებისა და გამოცანების პოეზია“ (ავერინცევი 1977: 148).

4. ნონოსის სკოლა

როგორც აღვნიშნეთ, გვიანანტიკურობაში მოულოდნელ უკანასკნელ აყვავებას განიცდის ეპიკური პოეზია, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ნონოს პანოპოლისელი. იგი პომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის შემდეგ ყველაზე კრცელი პოემის „დიონისიაკას“ ავტორად გვევლინება. მისი ნაწარმოები იმდენად დიდ გავლენას ახდენდა პოეტის თანამედროვე ეპიკოსებზე, რომ ნონოსის სტილის მიმდევარ პოეტთა ჯგუფიც კი შეიქმნა, რომელსაც ნონოსის სკოლას უწოდებენ. ეს ეპიკოსები დაახლოებით IV-V სს. მოღვაწეობდნენ და ნონოსის მსგავსად, მითოლოგიურ თემებს ამუშავებდნენ. ნონოსის სკოლას ეკუთვნიან კვინტუს სმირნელი, ტრიფიოდოროსი, მუსეოსი, კოლუთე და სხვები.

„პოსტპომერიკას“ ავტორი კვინტუს სმირნელი ნონოსის წინამორბედი პოეტია. მიუხედავად ამისა, იგი ნონოსის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რადგან

მსგავსად ამ სკოლაში გაერთიანებული პოეტებისა, იგი ამუშავებდა მითოლოგიურ თემებს დაქტილური პეგზამეტრით. კვინტუს სმირნელზე ძალიან ცოტა რამ ვიცით. შესაძლოა, მისი მშობლიური ქალაქი იყო სმირნა, რომელიც იმპერიის პერიოდში გამორჩეული პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ სმირნელი მხოლოდ და მხოლოდ მისი ფსევდონიმი იყო, იმისათვის რომ უფრო აშკარა ყოფილიყო მსგავსება მასა და მისი მიბაძვის საგანს – პომეროსს შორის. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი მოღვაწეობდა მესამე საუკუნეში, ზოგი კი – მეოთხეში.

„პოსტპომერიკას“ ავტორი ცდილობს შეავსოს ის სიცარიელე, რაც არსებობს „ილიადასა“ და „ოდისეას“ შორის. ნაწარმოები შედგება თოთხმეტი წიგნისგან და მოგვითხობს ამბებს დაწყებული პექტორის სიკვდილიდან დამთავრებული ტროადან აქაველების სამშობლოში გამომგზავრებით. კვინტუს სმირნელი ყოველგვარი ყოფმანის გარეშე სესხულობს თავისი პოემის ძირითად მოდელს. ერთი შეხედვით, მისი ნაწარმოები სხვადასხვა ვერსიების თავმოყრას წარმოადგენს. პომეროსის პოემების გარდა „პოსტპომერიკა“ ებმიანება პესიოდედან დაწყებული და ალექსანდრიული ეპოქით დამთავრებული ბერძნული პოეზიის ტრადიციებს. პოეტი ემყარება ასევე ლათინურ პოეზიასაც. მისი ნაწარმოები ვერგილიუსის „ენეიდასა“ და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ დიდ გავლენას განიცდის. ს. საიდისა და მ. ტრედეს მოსაზრებით, ის იყენებს სტილს, რომელიც ახასიათებს ზეპირ პოეზიას, გაურბის გამეორებას, იყენებს ფორმულებს და ქმნის თავისუფალ ვარიაციებს. მის ნაწარმოებში ხშირად ვხვდებით პომეროსისეულ შედარებებს. კვინტუსი ბრწყინვალედ ქმნის ახალ ესთეტიკას: აქილევსა და პენთესილეას შორის გამართული ბრძოლა ებმიანება აქილევსა და აიასს შორის გამართულ ბრძოლას. თუმცა, როდესაც პოეტი აღწერს აქილევსის მოწინააღმდეგე პერსონაჟი ქალის მშვენიერებას, ყურადღებას ამახვილებს მის ქალურ სინაზეზე და შიშის გრძნობაზე, რაც პომეროსის ეპოსთან შედარებით სრულიად განსხვავებულ ელფერს აძლევს მის ნაწარმოებს (საიდი 1999: 157-158).

ტრიფიოდოროსი ეგვიპტელი იყო V-VI სს. გრამატიკოსი და პოეტი. მისი პოემებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ „ილიონის აღება“, რომელიც 691 დაქტილური პეგზამეტრისაგან შედგება (ყაუხეზვილი 1973: 59). მისი ნაწარმოები ახლოს დგას კვინტუს სმირნელის პოემასთან, თუმცა, მისგან განსხვავებით მეტი რეალიზმი ახასიათებს. პოემის ყველაზე საინტერესო ნაწილებად მიჩნეულია ხის

ცხენის გადატანისა და ტროაში გამართული ნადიმის აღწერა, კასანდრას წინასწარმეტყველება და პრიამოსის ქამათი მასთან. ტროას აღების დღეს ბერძნების თავაშვებული სისასტიკის აღწერისას ტრიფიოდორე ღრმად ნატურალისტურ სცენებს გვთავაზობს (გრაბარ-პასეკი 1964: 56).

კოლუთე ეგვიპტის ლიკოპოლისიდან იყო და ცხოვრობდა ანასტასი I-ის დროს დაახლოებით 491-518 წლებში. ლექსიკოგრაფ სვიდას გადმოცემით, მას დაუწერია რამდენიმე პოემა, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 394-ჰეგზამეტრიანი „ელენეს მოტაცება”. შინაარსის მიხედვით მისი ნაწარმოები ახლოს დგას კიკლიკურ პოემასთან „კიპრიები”, რომლის პროზაული შინაარსის გაცნობა მითოგრაფოსების მეშვეობით გახდა შესაძლებელი. „ელენეს მოტაცება” ნაკლებად ატარებს პერიკულ-ეპიკურ ხასიათს. ის უფრო ახლოს დგას ელინისტური ხანის ეპილიონებთან და ბუკოლიკურ პოეზიასთან. არსებობს მოსაზრება, რომ პოემა ორი ეპილიონისაგან შედგება („პარისის განსჯა” და „მოტაცება”), რომელნიც ერთმანეთთან ცუდად არიან დაკავშირებულნი.

მუსეოსის ცხოვრების წლები დიდხანს იყო ბურუსით მოცული. ზოგიერთი მკვლევარი მას ლეგენდარულ, პომეროსის წინადროინდელ მუსეოსთანაც კი აიგივებდა. დღეს, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გამორკვეულია, რომ მუსეოს ნონოსის სკოლის პოეტია და ცხოვრობდა V-VI საუკუნეებში. მისი „პერო და ლეანდროსი” ძალიან პოპულარული პოემა იყო. იგი შედგება 340 დაქტილური პეგზამეტრისგან და ამჟავებს ძველ რომანტიკულ თქმულებას ორ შეყვარებულზე (ყაუხეჩიშვილი 1973: 59).

ამ პროფესიონალი პოეტების დიდი ნაწილი მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში, რათა მოგზაურობისას ნანახი შემდგომ აღწერათ თავიანთ ნაწარმოებებში. საფიქრებელია, რომ ძირითადად მოგზაურობდნენ ანტიოქიასა და კონსტანტინეპოლის, ასევე რომში და შედარებით ნაკლებად ათენში. ისინი განათლების მისაღებად ალექსანდრიაში მიემგზავრებოდნენ, სადაც IV-V საუკუნეებში პოეტ-გრამატიკოსთა დიდი ნაწილი მოღვაწეობდა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ნონოსიც გრამატიკოსი უნდა ყოფილიყო. მისი ნაწარმოები მის უსაზღვრო განათლებულობაზე მიუთითებს (საიდი 1999: 484-493).

5. როდის გაჩნდა ინტერესი ნონოსის პოეზიისადმი

ნონოსის „დიონისიაკას“ ტექსტის პირველი გამომცემელი გახლდათ გერმანდ ფალკენბურგი, რომელმაც პოემა პირველად 1569 წელს გამოაქვეყნა ანტვერპენში. ფალკენბურგი წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ ნონოსის შემოქმედებით აღფრთოვანდა მისი მეორე ნაწარმოების – იოანეს სახარების პარაფრაზას გაცნობის შემდეგ. წლების მანძილზე იგი „დიონისიაკას“ ხელნაწერის მიგნებაზე ოცნებობდა, თუმცა, საბოლოოდ, პოემის ტექსტი მისმა მეგობარმა იოან სამბუკმა აღმოაჩინა.

ნონოსის პოეზიით აღფრთოვანებული ფალკენბურგი პოეტს პომეროსს ადარებს. მისი მოსაზრებით, „დიონისიაკა“ გაუდენთილია პომეროსის სულით და პომეროსის ნაწარმოებებს ჩვენამდე რომ ვერ მოეღწიათ, ის, რაც გვხიბლავს მათში, აღდგენილი იქნებოდა ნონოსის პოემის მეშვეობით.

„დიონისიაკას“ ტექსტის ისტორია ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ავტორის სახელი აღარც კი ახსოვდათ, მის ტექსტს კითხულობდნენ ბიზანტიაში. Anthologia Palatina-ში (10, 120) შემორჩენილია პოემის ორმოცდამეორე სიმღერის ორი სტრიქონი (209-210). მეოთხე საუკუნეში მოღვაწე გენესიუსის მეოთხე წიგნში „Basilei eti“ გვხვდება ნაწყვეტები „დიონისიაკას“ 37-ე სიმღერიდან, რომელიც ეძღვნება ოფელტესის დაკრძალვის შემდეგ გამართულ ასპარეზობას (სტრიქონები: 290, 500, 554, 621, 624, 676, 723). დაახლოებით 846-847 წლებში გარდაცვლილი მიხეილ სინკელოსის ეპიტაფია გაჯერებულია ნონოსის პოემის სტრიქონებით (III, 110; XXVIII, 278; XXXII, 248; XXXIV, 25). „დიდ ეტიმოლოგ“ მოჰყავს პოემის IX სიმღერიდან ნაწყვეტები (11, 17, 19-24). ევსტათი სოლუნელი კი შვიდჯერ ახსენებს „დიონისიაკას“ I სიმღერას. მიუხედავად ამისა, თითქმის არსად არაა მითითებული ავტორის სახელი.

არსებობს ასევე ხელოვნების ნიმუში, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ის „დიონისიაკას“ ან მისი ილუსტრირებული ხელნაწერის ზეგავლენითაა შექმნილი. ესაა სპილოს ძვლის ლარნაკი (დაახლოებით დათარიღებულია ქრისტეს შობიდან 1000 წ.), მასზე გამოსახულია ხარზე მჯდომი ევროპე, რომლის შეპყრობას ცდილობს ექვსი გიგანტი. გიგანტებს შორის ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ნონოსისეული მრავალხელიანი ტიფონია. ევროპეს მოტაცებას, ტიფონსა და გიგანტომაქიას ერთმანეთთან მხოლოდ ნონოსი აკაგშირებს. „დიონისიაკას“

ხელნაწერთა ერთ ნაწილზე შემორჩენილია პოეტის სახელი, თუმცა, ხელნაწერთა უმრავლესობა ანონიმურია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტის სახელი გ.წ. ბერლინის პაპირუსის მეშვეობით ხდება ცნობილი, რომელიც დაახლობით VI საუკუნით თარიღდება. მეორე ხელნაწერი, რომელშიც ასევე ხელმოწერილი იყო პოემა, დაკარგულია. ის კირიაკოს ანკონელს უნახავს 1444 წლის ნოემბერში ათონის ლავრაში.

ჩვენამდე მოაღწია „დიონისიაკას“ მხოლოდ ერთადერთმა ხელნაწერმა, რომელიც შემონახულია კოდექს ლაურენტიუსში (Codex Laurentianus 32.16.). მასში, გარდა „დიონისიაკასი“, შემორჩენილია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, პესიოდეს, თეოკრიტოსის, ფოკილიდესისა და გრიგოლ ნაზიანზელის ნაწარმოებთა ნაწყვეტები. ეს ხელნაწერი შექმნილია მაქსიმე პლანუდეს სახელოსნოში კონსტანტინეპოლში (ზახაროვა 1997: V-XXII). იგი დათარიღებულია 1280 წლით და განმარტებულია პლანუდესა და შემდეგ უკვე ფილელფოს მიერ. სწორედ ეს ხელნაწერი იყიდა 1423 წელს ფრანჩესკო ფილელფომ. უცნაურია, მაგრამ მანუსკრიპტი არსად არ იყო აღნიშნული ავტორის სახელი. ნონოსის სახელი მიკვლეულ იქნა პოლიციანოს მიერ 1489 წელს და შემდეგ უკვე ფალკენბუგის მიერ 1569 წელს. ის, რომ „დიონისიაკას“ ავტორი ნონოსი იყო, საბოლოოდ დაზუსტდა 1907 წელს ბერლინის პაპირუსით (დილერი 1983: 276-277).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად „დიონისიაკა“ 1569 წელს გამოიცა გერვარდ ფალკენბურგის მიერ. ზუსტად ორმოცდაორი წლის შემდეგ, 1605 წელს გამოქვეყნდა პოემის მეორე რედაქცია ქალაქ ჰანაუში ეილპარდ ლიუბინის მიერ. ერთი წლის შემდეგ კი ეს გამოცემა თარგმანთან ერთად შევიდა ბერძნული ეპოსის კრებულში, რომელიც მომზადდა იაკობ ლეკციის მიერ. დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ პეტრე კუნეს, დანიილ გეინსისა და იოსებ სკალიგერის მიერ მომზადდა და გამოიცა იმ დროისათვის უკვე ფუნდამენტური გამოცემა, რომელიც ასევე ფალკენბურგის გამოცემას ეფუძნებოდა.

კლასიციზმის ეპოქაში, დაახლოებით ორასი წლის მანძილზე, „დიონისიაკას“ ტექსტი არ გამოცემულა: პოემა არ აკმაყოფილებდა ეპოქის გემოვნებას. რომანტიზმის ხანაში ისევ იღვიძებს ინტერესი მის მიმართ, თუმცა გამოსცემენ პოემის მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს. 1857 წელს „დიონისიაკას“ ტექსტი მოამზადა და გამოსცა გვიანდელი ეპოსის ცნობილმა მკვლევარმა ჰერმან კეხლიმ. რასაც მოჰყვა მომდევნო წლებში უ. ჟ. დ. როუზისა და ლ. რ. ლინდის მიერ Loeb Classical

Library-ის სერიაში გამოცემული „დიონისიაკა“. ასევე ფ. ვიანის ხელმძღვანელობით მომზადებული მრავალტომიანი, ფუნდამენტური გამოცემა. პოემის გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე რ. კაიდელს.

თრასწლოვანი ისტორიის მანძილზე ნონოსის შემოქმედება სხვადასხვა შეფასებას იმსახურებდა მკითხველთა და მეცნიერთა მიერ. პოეტის როლი ენა, მკვეთრად გამოხატული მისტიციზმი და სიმბოლიზმი იზიდავდა რენესანსისა და ბაროკოს ეპოქის, ასევე რომანტიზმისა და XX საუკუნის მკითხველთ.

ჯერ კიდევ XV საუკუნეში ანჯელო პოლიციანო ნონოსს „mirificum poetam”*-ს უწოდებდა. იულიანე სკალიგერი მას ჰომეროსზე მაღლა აყენებდა, ხოლო მიურე აღფრთოვანებული იყო „დიონისიაკათი“ და მის ავტორს იხსენიებდა, როგორც „განათლებულსა და მაღალფარდოვან პოეტს“**. მხატვრული თვალსაზრისით მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნონოსის მიერ გალექსილ „იოანეს სახარებასაც“. კრამუაზის მოსაზრებით, ლვთაებრივი პლატონი რომ ყოფილიყო ზიარებული ქრისტეს ნათელს და რომ პქნონდა შესაძლებლობა გასცნობოდა ნონოსის პარაფრაზას, არ განდევნიდა თავისი სახელმწიფოდან პოეტებს.

XVI საუკუნის ბოლოს ჩნდება ნონოსის შემოქმედების საპირისპირო, უარყოფითი შეფასება. აკრიტიკებენ ძირითადად ავტორის უჩვეულო სტილს. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს: იოსებ სკალიგერი მიიჩნევს, რომ „გვიანანტიკური ხანის პოეტებს არაფერი არ შეუქმნიათ, გარდა მაღალფარდოვანი სიტყვების ფუჭი შრიალისა“. მათ თვალსაჩინო წარმომადგენლად კი ნონოსს ასახელებს. ჯ. ბ. ბალზაკი პანოპლისელი პოეტის შეფასებისას მეტად ექსპანსიურ დასკვნას აკეთებს: ნონოსი ეგვიპტელი იყო, – აღნიშნავს ის, – ამიტომად მისი სტილი ველური და შიშისმომგვრელი. ნაწარმოების ზოგიერთი ნაწილი ისეა აგებული, რომ მისი ავტორი დემონებისგან შეპყრობილს უფრო გავს, ვიდრე – პოეტს. რენე რაპენმა თავის ნაწარმოებში მის სტილს ბნელი და დახლართული უწოდა (ზახაროვა 1997: VI-XXXII). გ. ბრადენის მოსაზრებით, „ნონოსის პოემის თხრობა მოუქნელი, ბუნდოვანი და გაუგებარია“ (ბრადენი 1974: 855). ეს არის ნაწილი იმ „ბარბაროსული ლიტერატურისა“, აღნიშნავს ი. ლინდი, „რომელშიც დიდ როლს თამაშობს ორიენტალისტური აზრი, რომელიც კულტურის რეფლექსიების განმეორებას წარმოადგენს და მასში თავისუფლება დათრგუნულია“ (ლინდი 1938:

* „განსაცვიფრებელ პოეტი“.

** „Poeta eruditus ac grandiloquus“.

65). „უარყოფით შეფასებას აძლევს ნონოსს, როგორც პოეტს, „დიონისიაკას“ ტექსტის ერთ-ერთ გამოცემას დართულ წინასიტყვაობაში ჰ. ჯ. როუზიც. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „არადამაკმაყოფილებელია ნონოსის ცოდნა ასტროლოგიასა და ასტრონომიაში. ხოლო, რაც შეეხება პოეტის მიერ ნაწარმოებში გამოყენებულ მითოლოგიას, მას მკითხველის შეცდომაში შეეგანა შეუძლია“ (როუზი 1940-42: XII).

არსებობენ ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „დიონისიაკაში“ მაინც შეინიშნება გარკვეული წესრიგი, რაც აისახება არა მის თემატიკაზე, არამედ მისი აგების ფორმასა და ტექნიკაზე (ვითბი 1994: 123). თუმცა, ის, რომ ნონოსი ბერძენ კლასიკოს პოეტთა რიგში უკანასკნელ ადგილს იკავებს, ს. ავერინცევის მოსაზრებით, სამართლიანი გადაწყვეტილებაა, რადგან ნონოსი ბერძნული კლასიკის ანტიპოდია. ეპროპული კულტურული ტრადიცია დადებით შეფასებას აძლევს ნონოსს, როგორც პოეტს, თუმცა, მის სახელს არ იხსენიებს ბერძენ კლასიკოსთა შორის, რადგან მისი შემოქმედების მეშვეობით განხორციელდა ანტიკური ლიტერატურული ტრადიციების ფუნდამენტურ დირებულებათა დეფორმირება. მიუხედავად ამისა, ნონოსი დიდი პოეტია, რადგან მისი პოეტიკური პრინციპები ორიგინალობით გამოირჩევა. ავერინცევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუკი ჩვენს წინაშე უგუნურებაა, ეს უგუნურება ეფუძნება მეოდეს“ (ავერინცევი 1977: 133). „დიონისიაკას“ ჭრელსა და დამაბნეველ ნაწარმოებს უწოდებს ა. ლესკიც (ლესკი 1990: 1118).

6. ნონოსის პოემის თემატიკა და სტილი

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურ ნაწარმოებთა თითქმის მთელი ნაწილი და განსაკუთრებით ბერძნული ეპოსი მითოლოგიურ სიუჟეტებზეა აგებული. ნონოსიც არ არდვევს ამ ტრადიციას და ქმნის მითოლოგიურ ეპოსს. „დიონისიაკაში“ საკმაოდ ვრცლადაა ასახული თითქმის მთელი ბერძნული მითოლოგია. ნონოსი ზოგიერთ მითს ისე ვრცლად მოგვითხრობს, როგორც არც ერთ სხვა ჩვენამდე მოღწეულ ანტიკურ ნაწარმოებში არაა შემორჩენილი.

ვიდრე გადავიდოდეთ „დიონისიაკას“ თემატიკასა და ეპოსის ნონოსისეულ ხედვაზე, შევეცდებით კიდევ ერთხელ მიგუბრუნდეთ და შედარებით ვრცლად წარმოვადგინოთ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მითს ლიტერატურაში, რათა უფრო თვალნათელი გავხადოთ ჩვენი კვლევის მიზანი.

მითოლოგია, როგორც სინკრეტული მთლიანობა, მოიცავდა არა მხოლოდ რელიგიისა და უძველესი ფილოსოფიური წარმოდგენების ჩანასახს, არამედ ხელოვნებასაც, უპირველეს ყოვლისა კი სიტყვიერ ხელოვნებას. მხატვრულმა ფორმამ მითისგან მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ განზოგადების ხერხი, არამედ თავად სინკრეტიზმიც. ლიტერატურა თავისი განვითარების გზაზე იყენებდა ტრადიციულ მითებს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. XX ს-ის მრავალი მწერალი (ჯოისი, კაფკა, ლორენსი, ელიოტი, კოკტე) შეგნებულად იყენებს თავის ნაწარმოებში მითოსს, როგორც მასალის მხატვრული ორგანიზაციის ინსტრუმენტს, მუდმივი ფსიქოლოგიური საწყისებისა და მყარი კულტურული მოდელების ასახვის საშუალებას. სხვა შემოქმედნი კი, რომელთა მიზანს წარმოადგენს მოვლენათა რეალისტური ასახვა ან კიდევ თანამედროვე მხატვრული ისტორიული ნაწარმოების შექმნა, მხოლოდ იმპლიციდურად იყენებენ მითოლოგიურ ელემენტებს.

ე. მ. მელეტინსკის სიტყვებით, ლიტერატურულ მითოლოგიზმში პირველ პლანზე გამოდის პირველადი მითოლოგიური პროტოტიპების მუდმივი ციკლური განმეორების იდეა, რომელიც წარმოგვიდგებიან სხვადასხვა „ნიღბებით“ (მელეტინსკი 2000: 7-8). უნივერსალური მოდელები „მუშაობენ“ დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებლად. მითებისა და რიტუალების ცნობილ მკვლევართა ნაშრომებში ცალსახადად ნათქვამი, რომ უნივერსალური მითორიტუალური მოდელები „უკვდავნი“ აღმოჩნდნენ და გარკვეული მოდიფიკაციებით საუკუნიდან საუკუნეში გადადიან.

რატომ იყენებენ მწერლები მითს თავიანთი თხზულებებისათვის? არა იმიტომ, რომ ფანტაზია არ ჰყოფნით ამბების გამოსაგონებლად, არამედ, ალბათ, იმიტომ, რომ მითორიტუალურ მოდელში „მუშაობს“ სიმბოლოების შეუცნობელი, მაგრამ ყველაზე „გასაგები“ ენა. ენა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა სულიერ სამყაროზე (ცანავა 2005: 9-13). უნივერსალური მითორიტუალური მოდელები მხატვრულ მეტაფორად გარდასახვისას ეპოქის სულისკვეთებას და შემოქმედის პოზიციას გამოხატავენ. მეცნიერები თვლიან, რომ მითის ყველა ვარიანტი და ვერსია თანაბარი უფლებით სარგებლობს, არა აქვს მნიშვნელობა დროსა და ადგილს. მითი და რიტუალი არის ყველგან და ყველაფერში (მელეტინსკი 2000: 13-15).

მაშ ასე, იმისათვის, რომ უკეთ ჩამოვაყალიბოთ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული, დავსძენთ, რომ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში პირდაპირ თუ

ფარულად „მუშაობს“ მითოსური მოდელები, სახეები და სიმბოლოები. ამგვარი მითოსური მოდელებისა თუ ელემენტების ამოცნობას, ამოკითხვას კი სჭირდება სიმბოლოების ენა. ამიტომ, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოებში ვიკლეპთ მითოსურ ელემენტებსა და სახეებს, გვერდს ვერ ავუკლიოთ მათ სიმბოლურ მნიშვნელობას. სწორედ მხატვრული და მითოსური სახეებისა და სიმბოლოების სინკრეტიზმს ვუწოდებთ ჩვენ მითოპოეტურ მოდელებსა და სახე-სიმბოლოებს, რომელთა გამოკვეთა ნონოსის პოემა „დიონისიაკაში“ წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. ვფიქრობთ, პოემის ავტორი მითოპოეტურ მოდელებსა და სახე-სიმბოლოებს თავის ნაწარმოებში იყენებს, როგორც ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად, რაც საშუალებას გვაძლევს პოემის კვლევა სწორედ ამ მიმართულებით წარვმართოთ.

ამრიგად, ნონოსი თავისი პოემის ფაბულად იყენებს მითოსურ სიუჟეტებს. ნაწარმოები მოგვითხრობს დიონისეს ლაშქრობას ინდოეთში და მის ბრძოლებს მეფე დერიადესის წინააღმდეგ. ა. ლესკის მიხედვით, სიუჟეტი ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობის მითად ქცეულ ამბავს გადმოგვცემს (ლესკი 1990: 1118). ამ მოსაზრებას იზიარებს გ. ბოუერსოქიც, რომელიც მიიჩნევს, რომ დიონისეს ინდოეთში მოგზაურობა შთაგონებულია ალექსანდრეს მიერ ამ მხარეში ქრისტეს შობამდე 320 წელს განხორციელებული ლაშქრობით. მისივე მოსაზრებით, ელინისტურ ეპოქაში დიონისეს ტრანსფორმირება შედარებით ახალგაზრდა დმერთად და მხმელ მოგზაურად, სწორედ, მისი სახის ალექსანდრესთან გაიგივებამ გამოიწვია.

დიონისეს მითების ციკლთან დაკავშირებული ნაწარმოებები შესამჩნევად იშვიათია კლასიკურ პერიოდში. სამაგიეროდ, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება ელინისტურ და რომაულ ეპოქებში. როგორც ცნობილია, პომეროსის პოემებში დიონისეს მეტად უმნიშვნელო ადგილი აქვს დათმობილი. „ილიადაში“ ის არის “*carma brotoīsin*” (მოკვდავთა სიხარული). არც ტროას ომის დროს და არც თდისევსის მოგზაურობისას არსად ჩანს დიონისე. მის შესახებ ფრაგმენტები შემორჩენილია მხოლოდ ე.წ. პომეროსის პიმნებში (ბოუერსოქი 1994: 157).

უქველია, რომ „დიონისიაკას“ სიუჟეტის აგებისას ნონოსი ეყრდნობა მისი დროისათვის უკვე არსებულ დიონისეს მითთან დაკავშირებულ საკმაოდ მდიდარ ეპიკურ პოეზიას. ჯერ კიდევ ალექსანდრიულ ეპოქაში პოემა დიონისეზე დაწერა ეგვირიონ ქალკისელმა. ვინმე დიონისეს ეპუთვნის პოემები „ბასარიკა“ და „გიგანტიადა“. ინდოეთის მეფე დერიადესი, რომელიც ნონოსთან დიონისეს მთავარი

მოწინააღმდეგა, პირველად სწორედ დიონისეს ნაწარმოებშია მოხსენებული (ზახაროვა 1997: XV). ეჭვგარეშეა ისიც, რომ ნონოსი იცნობდა პეისანდროსის პოემას „*Hrwičai; qeogamiai*“. ფ. ვიანის მოსაზრებით, სწორედ ამ პოემას ეყრდნობოდა პანოპლისელი, როდესაც წერდა კადმოსის ისტორიას და ჩამოთვლიდა ზევსის თორმეტ მიწიერ სატრფოს (ვიანი 1994: 86).

აღსანიშნავია, რომ გვიანანტიკურობაში დიონისეს ტრიუმფის თემა ძალიან პოპულარული იყო. დიონისესთან დაკავშირებულ მითიურ სიუჟეტებს ჯერ კიდევ მეორე და მესამე საუკუნეების სარკოფაგებზე გამოსახავდნენ¹² (მაცი 1968-75; ზანკერი 2004: 135-167). მოგვიანებით კი ამ მოტივმა გადაინაცვლა მოზაიკურ გამოსახულებებსა (ლევი 1947: 91-104, 244-248; ბეილთი 1990: 5-9) და სხვადასხვა ქსოვილებზე (რუტსკოვსკაია 1990: 28-29; ტოროკი 2005: 283-284; ნეცერი 1994: 34-39)¹³. გამორიცხული არ არის, რომ ნონოსის პოემაზე გარკვეული გავლენა სწორედ ამგვარმა სცენებმა და გამოსახულებებმა მოახდინეს, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა ნონოსის ცხოვრების წლებზე ადრეა დათარიღებული. ნონოსმა თავის პოემაში მოახერხა ლიტერატურულ ნაწარმოებებში შემონახული ბაქტოსის სამყაროსთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციისა თუ მითის თავმოყრა. გარდა ამისა, მის პოეტურ ქმნილებაზე გარკვეული გავლენა სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშსაც უნდა მოეხდინა, რომლებიც ასახავდნენ სიუჟეტებს დიონისეს ციკლის მითებიდან.

აშკარად „დიონისიაკაზე“ ანტიკური ტექსტების გავლენა. ჩანს, რომ ნონოსი ზედმიწევნით კარგად იცნობდა პეისიოდეს ნაწარმოებებს, ევრიპიდეს „ბაკქ ქალებს“, პეისანდროსის შემოქმედებას. შესისლხორცებული პქონდა ლათინურენოვანი ლიტერატურაც. უმჭველია, რომ იგი იცნობდა ოვიდიუსის „მეტამორფოზებს“, შესაძლოა, ვერგილიუსის „ენეიდასაც“.

და ბოლოს, ყველაზე თვალში საცემი პოემი არის ის, რომ ავტორის მიბაძვის საგანი პომეროსის პოემებია. როგორც ალბინ ლესკი აღნიშნავს, ამ ჭრელსა და დამაბნეველ ნაწარმოებში ჩანს პომეროსის გავლენა თემატურ და მორფოლოგიურ დონეზე. „დიონისიაკას“ მე-13 სიმღერაში, სადაც ნონოსი აღწერს, თუ როგორ ხდება მებრძოლთა შეგროვება დიონისეს გარშემო ინდოეთში გასამგზავრებლად, პოეტი უხმობს პომეროსს, ისევე როგორც „აღელვებულ ზღვაში განწირული მეზღვაურები უხმობენ ხუჭუჭომიან ღმერთს“ (ερει; p̄l wthre- aij h̄tai p̄l agktosunh- kal ehusin aijhgona Kuanocaiithn – XIII, 51-52). მისთვის ეპიკური პოეზია

აღელვებული ზღვაა, პომეროსი კი „ეპოსის ნავსაყუდელი“. პანოპლისელი პოეტი შეგნებულად ბაძავს „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს და თავის „დიონისიაკას“ უწოდებს „გამოჭედილს პომეროსის მიბაძვით“ (*teleia- de: tupon mimhlon Omhrou – XXV, 8).*

„დიონისიაკა“ 48 სიმღერისაგან შედგება ერთად აღებული „ილიადისა“ და „ოდისეის“ მსგავსად. ამასთან აქვს ორი პროომიონი (I, 1-33 და XXV, 1-17 სიმღერებში), ორივე მათგანი მუზისადმი მიმართვით იწყება. პ. კოლარის მოსაზრებით, პოემის მამოძრავებული ძალაა პერას რისხვა, ისევე როგორც პომეროსის პოემაში – აქილევსისა¹⁴. ამასთან „დიონისიაკაში“ ნონოსი დაწვრილებით აღგვიწერს დაკრძალვის შემდეგ გამართულ შეჯიბრებებს, ხშირად ბრძოლის სცენების გადმოცემისას ბაძავს პომეროსს, აღგვიწერს დიონისეს ფარს ისევე, როგორც პომეროსი – აქილევსისას. მიუხედავად ამისა, ნონოსი ეპონი სრულიად განსხვავდება პომეროსის პოემებისგან: „დიონისიაკას“ თემატური სიჭრელის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი უამრავი უსახელო პერსონაჟისა და ერთმანეთის გამომრიცხავი მრავალრიცხოვანი ეპითეტების მიღმა რჩება ყველაფერი პომეროსისეული. ა. ლესკის მოსაზრებით, პოემის კომპოზიცია მსხვერპლად ეწირება ნაწარმოების ექსტაზურ ფორმას (ლესკი 1990: 1118-1119). უამრავი ისტორია დამერთებისა და გმირების შესახებ ჩაქსოვილია ეპოსის ძირითად სიუჟეტში, რომელთა შორის კავშირი ძნელად მოსაძებნია.

„დიონისიაკა“ პროტეგსისადმი მიმართვით იწყება, რაც შეფარვით მიგვანიშნებს პოემის საერთო ხასიათზე: მის სიჭრელესა და ფერების ხშირ ცვალებადობაზე. სწორედ ეს სიჭრელე, გარდასახვის მოტივი გასდევს მთელ ნაწარმოებს, რაც მის უანრულ მრავალფეროვნებაზეც აისახება. თუმცა, „დიონისიაკა“ ეპიკური პოემაა, დაწერილი ეპოსისათვის ტრადიციული დაქტილური პეგზამეტრით, ნაწარმოები ხშირ შემთხვევაში სცილდება საგმირო ეპოსის ჩარჩოებს და სხვადასხვა უანრულ ტენდენციებს ამჟღავნებს. მაგალითად, ვიფშტრანდის დაკვირვებით, ნონოსი ხშირად იყენებს ბერძნული რომანისათვის დამახასიათებელ სტილს: „დიონისიაკაში“ ხშირად პერსონაჟთა სიტყვების რიტორიკული ტონი აზრის გამოტანას უშლის ხელს. სტილის სწორედ ეს თავისებურება აახლოვებს ერთმანეთთან ნონოსის პოემასა და აქილევს ტატიოსის რომანს „ლევკიპე და კლიტოფონი“, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვისაუბროთ „დიონისიაკაში“ ბერძნული რომანისათვის დამახასიათებელი სტილის არსებობაზე.

გარდა ამისა, ბერძნულ რომანს უსათუოდ მოგვაგონებს „დიონისიაკაში“ აღწერილი უამრავი სასიყვარულო ისტორია. პოეტი ხშირად თავისი გმირების სილამაზეს გადაჭარბებულად აგვიწერს. მაგალითად, კადმოსის, ამპელოსის, პერმესის გარეგნობაზე საუბრისას ავტორი დასძენს, რომ მათი ხელები რძეზე თეთრია, თვალთა ციალი აბნელებს სელენეს შუქს, მათი ყელი დილის ვარსკვლავს ჰგავს და ა.შ. გმირთა სილამაზის ასეთი აღწერა არ ახასიათებს ტრადიციულ ეპოსს და სწორედ ნონოსის თანამედროვე ბერძნულ რომანებს მოგვაგონებს.

გარდა ამისა, ნონოსის მიერ აღწერილი ბრძოლის სცენები მკვეთრად განსხვავდება პომეროსის არისტიკისაგან*. პანოპოლისელი სათითაოდ არ ასახელებს ბრძოლაში დაცემულ მებრძოლთა სახელებს, მათ მოიხსენიებს, როგორც „ერთი“, „მეორე“, „მრავალი“ და სხვა. აქ ნონოსზე, ვიფშტრანდის მოსაზრებით, გავლენა მოახდინა ლიბანიოსის რიტორიკულმა ეფურასისმა. პერბერტ ჰანგერი იმასაც აღნიშნავს, რომ „დიონისიაკა“ სხვა ადრებიზანტიური ეპოსების მსგავსად პატარ-პატარა ეფურასისების ნაერთს წარმოადგენს (ჰანგერი 1991: 272).

საფუძველს მოკლებული არაა, რომ „დიონისიაკაზე“ ისტორიული პროზის გავლენაც ვივარაუდოთ. ნონოსის ქანრულ სინთეზში შედის ასევე სამეცნიერო-სამედიცინო, ასტროლოგიური, გეოგრაფიული ლიტერატურა. ზოგჯერ „დიონისიაკაზე“ დიდაქტიკური ეპოსის გავლენაც შეინიშნება. დიდაქტიკური ეპოსი ელინისტურ და რომაულ ეპოქებში სამეცნიერო პროზის ჰეგზამეტრულ პარაფრაზირებას წარმოადგენდა.

პოემაში გვხვდება ასევე პასტორალური და ალექსანდრიული ეპილიონების ჟანრის სიუჟეტები. ბაირონ ხერიზი იკვლევდა პოემის ბუკოლიკურ ელემენტებს, რომელიც აისახება მწყემსი კადმოსის, ამპელოსის, აქტეონის, ჰიმნოსისა და ნიკაიას ამბებში. ჯენარო დ'იპოლიტო „დიონისიაკაში“ ეპილიონების რამდენიმე სახეს გამოყოფს: ეპილიონები ქალწულებზე, ეპილიონები დიონისეს მასპინძლებზე, ასევე კადმოსსა და ფაეთონზე.

რ. ნიუბოლდი პარალელებს ავლებს ნონოსის პოემას, სიდონიუსის პანეგირიკებსა და ევგიპტუსის აგიოგრაფიას შორის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამივე ავტორის ნაწარმოებები ენკომიონებს წარმოადგენენ. თუკი ნონოსი თავისი პოემით ხოტბას ასხამს წარმართ დიონისეს, სიდონიუსი თავის პანეგირიკებს მე-5

* დირსეულთა, ქველთა შერკინება.

საუკუნის იმპერატორებს უძღვნის, ხოლო ევგიპტესი მე-5 საუკუნეში მოღვაწე წმინდანს – სევერინუს (ნიუბოლდი 1985: 1-16).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, „დიონისიაკა“ წარმოგვიდგება, როგორც რიტორიკული, სატრფიალო ასევე საგმირო ეპოსი. სინამდვილეში კი ნაწარმოვბი არ ეძღვნება არც პერსონაჟების საგმირო საქმეებსა და მამაცობას, და არც მათ სასიყვარულო ისტორიებს. „დიონისიაკა“, როგორც ფ. ვიანი აღნიშნავდა, „მითოლოგიური ეპოქის განვითარების ისტორიაა“ და აქედან გამომდინარე, „მითოლოგიური“, ან „თეოლოგიური“ ეპოსია (ზახაროვა 1997: XXXVIII-XLVII). პოემაში მოთხრობილია უამრავი მითი, რომლებიც ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, დავიწყებას მისცემოდა. სწორედ ამიტომ პ. გ. ბეკი ნონოსს „ბერძნული მითოლოგიური სამყაროს არქეოლოგს უწოდებს“ (ბეკი 1990: 398).

ნონოსის ლექსიკა მეტნაკლებად ტრადიციული ეპიკური ლექსიკაა, თუმცა, ამ ლექსიკის გამოყენების ხერხი პოეტს სრულიად განსხვავებული აქვს. იგი უამრავ სინონიმს იყენებს არა აზრის ნათელსაყოფად, არამედ პირიქით, მისი გაბუნდოვანებისათვის. ავერინცევი, ამ მხრივ, ნონოსის მანერას ფსევდო დოონისე არეოპაგელის სტილს ადარებს (ავერინცევი 1977: 137-138). ა. ვ. ზახაროვას მოსაზრებით, ლექსიკის მხრივ პანოპლისელი ყველაზე ახლოს ოპიანესთან დგას, რაზეც მიუთითებს ის, რომ მათ მრავალრიცხოვანი იშვიათი სიტყვა და კონსტრუქცია აქვთ საერთო (ზახაროვა 1997: XVII).

რაც შეეხება ნონოსის სალექსო საზომს, მან ამ თვალსაზრისით ერთგვარი რეფორმა გაატარა. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ენაში უკვე აღარ განირჩეოდა მოკლე და გრძელი ხმოვნები, რაც ნონოსმა შეინარჩუნა, როგორც პეგზამეტრის საფუძველი. თუმცა, თავისი პეგზამეტრი ენის ახალ კანონებსაც შეუფარდა. ავტორი გაურბის ხასმოდიას, სინიდესისსა და ელიზიას. ხშირია მეტრული და გრამატიკული მახვილის თანხვედრა (პანგერი 1992: 486-487). პოეტი რედუცირებას უკეთებს პეგზამეტრის ფორმებს ცხრამდე. მასთან ბატონობს საშუალო ცეზურა. პეგზამეტრის გასამართად ნონოსი კომპოზიტებსაც ქმნის (მეთცლერი 1999: 938).

ამრიგად, ნონოსი თავისი „დიონისიაკათი“ ქმნის ისეთ ეპოსს, რომელსაც ბერძნულ მწერლობაში არც მის დრომდე და არც მის შემდეგ მიმდევარი არ ჰყოლია. აქვე განვსაზღვრავთ, რომ როდესაც ვსაუბრობთ ნონოსის სკოლაზე,

მხედველობაში გვაქვს იმ პოეტთა ჯგუფი, რომელნიც მსგავსად ნონოსისა V-VI სე-ში მითოლოგიურ თემებს დაქტილური ჰეგზამეტრით ამუშავებდნენ და რომელნიც ერთმანეთის მსგავსი თემატიკისა და მეტრიკის გამო ნონოსის სკოლაში გააურთიანეს. ხოლო, როდესაც აღვნიშნავთ, რომ ნონოსს მიმდევარი არ ჰყოლია, ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, მის უჩვეულო სტილს, რაც გამოხატულია, როგორც პოემის მხატვრული ორგანიზაციის პრინციპით, ისე – მისი სიჭრელით, ქაოტურობითა და დინამიურობით; ასევე – სამყაროს მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ურთიერთმიმართებათა მეტაფორულ-სიმბოლური აღქმით.

„დიონისიაკა“ არის პოემა, რომელშიც თავმოყრილია, როგორც ანტიკური მითოლოგია, ასევე ალექსანდრე მაკედონელის ამბავი დიონისეს ინდოეთში ლაშქრობის ფონზე. ეს, ერთი შეხედვით, ყოველგვარ კომპოზიციურ სიმეტრიულობას, ყოველგვარ გეგმას მოკლებული პოემა, სადაც უამრავი მითი, უსახელო პერსონაჟები, მძაფრი რიტორიკული თხრობა, სინონიმებისა და მეტაფორების სიუხვე, სიმბოლოებისა და მეტამორფოზების მთელი სერია ბუნდოვანს ხდის ნაწარმოების ძირითად სიუჟეტს, თუმცა სწორედ ეს განსაზღვრავს პოეტის სტილს. მკვეთრი ფერების ხშირი მონაცელება იწვევს „დიონისიაკას“ სიჭრელეს, რაც თავისებური ესთეტიკური ხერხია და პოემის დასაწყისშივეა გამოხატული პროტევსისადმი მიმართვით.

ნაწილი II

ნონოსის პოეტიკის ზოგიერთი ასპექტი

1. „დიონისიაკა“ კომპოზიციური თავისებურებანი

მრავალი მკვლევარი, როგორც აღვნიშნეთ, ნონოსის ნაწარმოებს ყოველგვარ გეგმასა და კომპოზიციას მოკლებულ პოემად მიიჩნევდა. იმდენადაც, რომ რუდოლფ კაიდელის აზრით, „დიონისიაკა“ პანოპლისელს არ დაუმთავრებია, რის გამოც მას არანაირი კომპოზიციური გეგმა არ აქვს (კაიდელი 1927: 393-394). მიუხედავად ამისა, XX საუკუნეში განხორციელებული პომეროსის კვლევის მეთოდოლოგია (გეომეტრიული კომპოზიცია) მიესადაგა ნონოსსაც. პირველი მეცნიერი, რომელმაც სცადა მოქებნა „დიონისიაკაში“ კომპოზიციური სიმეტრიის ნიშნები, იყო კ. შტეგემანი. მისი მოსაზრებით, პოემის კომპოზიცია ესადაგება ასტროლოგიურ

რიცხვთა სიმბოლიკას. პოემაში სიმღერათა რაოდენობის განმსაზღვრელია ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი, გამრავლებული წელიწადის ოთხ დროზე (სულ 48 სიმღერა). ნონოსისათვის მნიშვნელოვანია ასევე რიცხვი 5. ეს რიცხვი უკავშირდება აიონის^{*} კულტს, რომელიც არა ერთხელაა ნახსენები „დიონისიაკაში“. შტეგემანი ასევე აღნიშნავს, რომ ნონოსმა პოემა ააგო პანეგირიკის ფორმით, გაითვალისწინა რა პანეგირიკის შექმნის მენანდრე ლაოდიკიელისეული კანონები. მკვლევარის მიერ წარმოდგენილი სქემაც სწორედ პანეგირიკის პრინციპით არის შედგენილი და ის შემდეგ ნაწილებს მოიცავს: შესავალი, გმირის გვარ-ტომობა, მამის სახელი, დაბადება, აღზრდა, განათლება, ომებში მონაწილეობა, საქმიანობა მშვიდობიან დროში, შედარება სხვა გმირებთან (დიონისე, პერსევსი და ჰერაკლე). ყველა ეს ელემენტი აღმოაჩინა შტეგემანმა „დიონისიაკაში“ სათანადო რიგით. თუმცა, შედარება, ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნითი ნაწილი, პოემაში ცენტრალურ ადგილს იკავებს და წარმოადგენს სარკისებური კომპოზიციის დერძს (შტეგემანი 1930: 33).

შტეგემანის თეორიას შეეწინააღმდეგა პიერ კოლარი. მისი აზრით, პოემაში სიმღერების რაოდენობა აიხსნება პომეროსისადმი მიბაძვით. ამას ისიც ადასტურებს, რომ „დიონისიაკას“ ორი პროოიმიონი აქვს. კოლარის მოსაზრებით, პოემის ღერძია ჰერას რისხვა. ყველაფერი, რაც კი თავს დაატყდება დიონისეს, აიხსნება ქალღმერთის ჩარევით. მკვლევარის მიერ წარმოდგენილი პოემის კომპოზიური სქემა ითვალისწინებს ჟანრული და თემატური ელემენტების სარკისებული ასახვის პრინციპს „დიონისიაკას“ მთავარი ღერძის – ინდოეთის ომის – გარშემო. შევეცდებით ეს სქემა მოკლედ წარმოვადგინოთ:

- I. სასიყვარულო ისტორია: ზეგსი და ევროპე;
- II. გიგანტომაქია: ზეგსი და ტიფონი;
- III-IV. კადმოსის მოგზაურობა სამოთრაკეზე;
- V. დიონისეს ოჯახის უბედურება: ინო, ავტონოე;
- VI-VIII. უიღბლო სიყვარულის ისტორიები: ზეგსი და პერსეფონე, ზეგსი და სემელე;
- IX-X. დიონისეს დაბადება;
- X-XVIII. სასიყვარულო ისტორიები: დიონისე და ამპელოსი, დიონისე და ნიკაია; ინდოეთის ომის დასაწყისი.

* ნონოსთან აიონი იგივე „მარადისობაა“, ან „დროის მარადიული მიმოქცევა“, ხანდახან მოიაზრება, როგორც დვთაქბა.

IX. სტაფილოსის დაკრძალვისას გამართული თამაშები;

XX-XXXII. ინდოეთის ომი

XXXVII. ოფელტესის დაკრძალვისას გამართული თამაშები;

XXIII-XXXVI; XXXVIII. სასიყვარულო ისტორიები: მორევსი და ქალკომედე, ფაქტონი;

ინდოეთის ომის უკანასკნელი მოვლენები;

XXXIX-XL. დერიადესის სიკვდილი;

XLI- XLII. უიღბლო სიყვარულის ისტორია: დიონისე და ბეროვ;

XLIV-XLVI. დიონისეს ოჯახის უბედურება: პენთევსი;

XLVII. დიონისეს მოგზაურობა ნაქსოსზე;

XLVIII. გიგანტომაქია: დიონისე და გიგანტები;

XLVIII. სასიყვარულო ისტორიები: დიონისე და პალენე, დიონისე და ავრა. ამგვარად, პოემის მეორე ნაწილი წარმოადგენს პირველი ნაწილის სარჯისებურ ასახვას (კოლარი 1960: 27-65).

ჯენარო დ'იპოლიტო შეეცადა სიმდერები გაეერთიანებინა ოქტადებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მოსაზრებით, პოემაში ესა თუ ის მნიშვნელოვანი ამბავი ხდება ყოველი რვა სიმდერის შემდეგ. სიცარიელე კი მათ შორის შევსებულია სხვადასხვა ეპილიონებით (დ'იპოლიტო 1961: 58-68).

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ნონოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარის, ფრანსუა ვიანის მოსაზრებები. ვიანი იხსენებს „პოიკილის“ პრინციპს და მიიჩნევს, რომ „დიონისიაკა“ წარმოსახვაში ქმნის ჭრელი გვირგვინის სახეს, რომლის დეროები ერთმანეთს რთული ორნამენტებით ეწვნის. ამასთან დაკავშირებით, მას ნონოსის გამოთქმა ახსენდება – „სიმდერის დაწვნა“, ან „სიმდერის ერთმანეთში არევა“. პოეტი ხომ „დიონისიაკას“ პირველივე სტრიქონებიდან თავის სიმდერას პროტევსს უკავშირებს:

„sth̄sateimoi Prwtha pol̄utropoñ, offra faneih
poikil̄on eip̄o~ efcwn, ōti poikil̄on ūmn̄on aj̄rassw“ (I, 14-15).

(მომეცით ნება (მუზებო) მივუახლოვდე მრავალსახიან პროტევსს, დაე, მან გამოაჩინოს თავისი ჭრელი სახე. მე კი მრავალფეროვან სიმდერას ავაწყობ).

ფ. ვიანის მიხედვით, ნონოსი შეგნებულად არ ამთხვევს ერთმანეთს სიუჟეტებისა და სიმღერების საზღვრებს. ეს კომპოზიციური ანუანბემანის* შეგნებული ესთეტიკური ხერხია. პოემა არ არის ქაოტური. მის აგებულებაში ორი მთავარი პრინციპი ერწყმის ერთმანეთს: „აღმავალი“ და „წრიული“. პოემის კომპოზიციური დერძი, მკვლევარის მოსაზრებით, XXV სიმღერაა. „ინდიადაში“** სიმღერები დაჯგუფებულია „პენტადებად“. ყოველი მათგანი „პოიკილიის“ პრინციპის მიხედვით, მრავალფეროვანი ხდება სასიყვარულო ეპილიონის ჩართვით. პოემის მთავარი დერძის გარშემო ზოგიერთი ელემენტი მართლაც ასახვს მეორეს, თუმცა, არა ისეთი ფორმალური სიზუსტით, როგორც ეს კოლარსა და შტეგემანს წარმოედგინათ. ამის შემდეგ ფ. ვიანს ნაშრომში მოჰყავს სარკისებური ასახვის მაგალითები: „პროტოდიონისე“, ძაგრევსი, აისახება „პოსტდიონისეში“, ანუ იაკქოსში; დუბლირებულია დიონისეს ორი ილბლიანი სიყვარული, სიუჟეტები ნიკაიასა და ავრეზე: ორივე ფრიგიელი მონადირეა, ორივე მათგანი დიონისემ მსგავსი ხერხით დაიმორჩილა. ბაკქი ქალები დიონისეს არყოფნისას ორგზის გადაარჩენენ ლაშქარს – ამბროსია მაშინ, როცა ბაკქოსი დევნილია ლიკურგოსის მიერ, ქალკომედე კი მაშინ, როცა დიონისეს სიგიუე შეიპყრობს; დვინის ღმერთი ინდოელების ბელადს ორგზის შეებრძოლება და დაამარცხებს თირსოსით, პოემის პირველ ნახევარში – ორონტს, მეორეში კი – დერიადეს (ვიანი 1994: 86-96; ვიანი 1976: 18-29). პოემა იწყება და მთავრდება „გიგანტომაქიით“.

კომპოზიციური თვალსაზრისით სიუჟეტების სარკისებური ასახვის გარდა, ნონოსი თხრობისას ძალიან ხშირად მიმართავს გაორების პრინციპს. ტექსტიდან მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: პოემაში წყაროს ორი შესართავი აქვს; ზევსი კადმოსს ორმაგად აჯილდოებს: ის სამყაროს პარმონიის მცველი ხდება და მშვენიერი პარმონიას მეუღლე; როდესაც ატიკის მეფის ასული ფილომელა ტირის თავის უბედურებაზე, მასთან ერთად უცრემლოდ კვნესის ექოც; საბრალო აქტეონი ორმაგ დანაშაულს ჩადის: ათენას ზეთისხილის ტოტებზე ადის და შიშველ არტემისს უმზერს ფარულად; ინოს ორი რამ აწუხებს: მისი ქმარი სიგიუეს შეუპყრია და ცოლად თემისტო შეურთავს; დიონისე ორმაგ ჯილდოს აწესებს ასპარეზობაში გამარჯვებულთათვის; სტაფილოსის ცოლს, მეთეს, ქმრის სიკვდილი

* enjambement (გადატანა).

** „ინდიადას“ ფ. ვიანი უწოდებს „დიონისიაგას“ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს, სადაც აღწერილია დიონისეს ლაშქრობა ინდოეთში ვაზის კულტის გასავრცელებლად.

და ლისეოსის გამგზავრება ტანჯავს; ვაზის მოყვარული ტერფსიქორე ინდოელებს ორმაგი წინწილით იგრიებს; პოეტი მრავალჯერ ახსენებს ორმაგ ავლოსებს, ორპირიან ცულებს, გაორმაგებულ გუგუნსა და ღმუილს. ყოველივე ეს დიონისეს უკავშირდება, რომელსაც მოაქვს დვინო, თრობა და ექსტაზი, რაც იწვევს გაორების, გაბუნდოვანების შეგრძნებას ადამიანში. ნონოსი ცდილობს „დიონისიაკას“ შინაარსი მის მხატვრულ სტილს დაუკავშიროს: პოემაში აღწერილია, თუ როგორ ხედავს დიონისური სიგიჟის მსხვერპლი პენთევსი ორ ფაეთონს ერთის მაგიერ და როგორ გაორდება მის თვალწინ ქალაქი თებე.

ნაწარმოებში გაორების, გაორმაგების ფუნქცია ეკისრება სარკეს. მას ორი მხარე აქვს: რეალური და ირეალური. ნონოსთან პირველი სამყარო ცხადში აისახება, ხოლო მეორე – სიზმარში. აღსანიშნავია, რომ „დიონისიაკაში“ სიზმარი ყოველთვის აირეპლება ცხადში და არა პირიქით. ამ შემთხვევაში საინტერესოა გავიხსენოთ პ. იუნგის თეორია, რომლის მიხედვით, ადამიანის სიზმრები მოგვაგონებენ მითისა და ზღაპრების სახეებსა და მოტივებს. მითებს, როგორც პირველყოფილი ცნობიერების პროდუქტს, უახლოვდებიან არქეტიპები, ფსიქიკური სტრუქტურის ელემენტები. ფსიქე შეიცავს ყველა იმ სახესა და ფორმას, რომელიც ასახულია მითებში, – წერს იუნგი. სიზმრებს მითებისა და ზღაპრების ამოსავალ ფორმებად მიიჩნევდა პ. ვუნდტიც (მელეტინსკი 2000: 57-74).

„დიონისიაკას“ ტექსტიდან ჩვენ მიერ ზემოთ თქმულის ნათელსაყოფად რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ: მე-7 სიმღერაში ქალწულ სემელეს ასეთი სიზმარი ახსენდება: თითქოს ვაზი გაიზარდა მის ქალაქში, ყურძნის მძიმე მტევნები მწიფდებოდა მის ყლორტებზე. უცებ, ზეციდან ჩამოვარდნილი ცეცხლი წაეკიდა ვაზს. მტევნებს ვერაფერი დააკლო, რადგან ჩიტმა მოიტაცა ისინი და ჯერ კიდევ უმწიფარნი კრონიონს გადასცა. მან კი თავის ბარძაყში მოათავსა მტევნები და რქიანი ჭაბუკი შობა. სიზმარს ცხადი ცვლის: ზევსი სემელეს გაუმიჯნურდება, ქალი ზეციური ცეცხლის მსხვერპლი ხდება, ხოლო პერმესი დიონისეს გადაარჩენს და ზევსს მიჰვრის, რომელიც თავის თემოში მოათავსებს მას და ხელმეორედ შობს. ვაზი სემელედ გადაიქცევა, ყურძნის მტევნები – დიონისედ, ხოლო ჩიტი – პერმესად.

მე-11 სიმღერაში დიონისე ამპელოსის სიკვდილთან დაკავშირებით შემდეგ ხილვას ნახავს: რქიან გველს ზურგით ირემი მოჰყავს, შემდეგ კი ხრამში აგდებს მას. საბრალო ცხოველი ქვებზე იგლიჯება, ხოლო მისი სისხლი წყაროდ ისე

მოედინება კლდიდან, როგორც სამსხვერპლოზე. ამავე სიმღერაში პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაიჩება ხრამში ხარზე მჯდომი ამპელოსი, რომელიც მსხმოიარე ვაზად გადაიქცევა. დიონისეს ხილვაში კლდეებზე დაღვრილი ორმის სისხლი დაჭყლებილი ყურძნის მტევნებია.

სიუჟეტურ გაორმაგებას ვხვდებით 44-ე სიმღერაშიც. ვიდრე ნონოსი მოგვითხრობდეს პენთევსის თავს დატრიალებულ უბედურებაზე, აგავე ასეთ სიზმარს იხსენებს: ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე პენთევსი ქუჩაში ცაკვავს და მდერის, მეფის კვერთხის მაგიერ ხელში თირსოსი უჭირავს. შემდეგ იგი მაღალი ხის კენტეროზე ზის, ხეს გარს ცხოველები ეხვევიან, რომლებიც ხიდან აგდებენ მეფეს, დათვები კი მის სხეულს ფლეთენ, ძუ ლომი ხელებსა და თავს აგლეჯს და ასე მიმართავს იქვე მდგარ კადმოსს: ეს მე ვარ, ცხოველთმმუსვრელი აგავ, მიიღე პენთევსის თავი ჩემი პირველყოფილი ძლიერების ნიშნად. ეს საშინელი სიზმარი 46-ე სიმღერაში ცხადდება და პოეტი დაწვრილებით აგვიწერს, თუ როგორ იმოსება პენთევსი ქალად, როგორ ცეკვავს თირსოსით ხელში. შემდეგ როგორ იმალება უზარმაზარი ფიჭვის ტოტებში. მენადებისა და ბაკქი ქალების გუნდი მალე უახლოვდება მას. ისინი ხიდან აგდებენ პენთევსს, შემდეგ კი ფლეთენ. აგავე თავს მოაგლეჯს და ისევე, როგორც სიზმარში, კადმოსის წინაშე ამაყობს თავისი სიძლიერით.

მოტანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სიზმარში აღწერილი ყოველი ამბავი „დიონისიაკაში“ მითადაა ქცეული. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს ნონოსის ერთ-ერთი პოეტური ხერხია, რომლის მეშვეობით ავტორი ამა თუ იმ ამბავს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ანიჭებს.

რამდენიმე წლის შემდეგ, ვიანი კვლავ დაუბრუნდა „დიონისიაკას“ კომპოზიციის საკითხს და გამოთქვა მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომ პოემის კომპოზიციის მამოძრავებელი ძალებია ბედისწერა და ღვთაება. ზევსის ჩანაფიქრი, აჩუქოს სამყაროს დიონისეს მეშვეობით ღვინო და მისტერიები, გამჟღავნებულია XIII სიმღერაში და წინასწარ განსაზღვრულია ბედისწერის მიერ. მის განხორციელებას კი ბიძგს აძლევს პერას რისხვა (ვიანი 1994: 86-96).

ნონოსის სტილის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე – ქაოტურობაზე საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ავსტრალიელმა მეცნიერმა რ. ფ. ნიუბოლდმა, რომლის მიხედვით, „დიონისიაკას“ მკითხველთათვის უცხო არ უნდა იყოს ქაოსის, ხმაურისა და უწესრიგობის შეგრძნება. ქაოსის თეორია,

ცნობილია, როგორც დაფარული წესრიგის ან დინამიური სისტემის თეორია. ის ახალი გზად იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს ლიტერატურაში ფრაგმენტულობისა და არასწორხაზოვნების მიღმა არსებულ წესრიგს, აღნიშნავს მკვლევარი. ნონოსის პოემის ქაოტურობა იმაში მდგომარეობს, რომ „დიონისიაკას“ ახასიათებს სპირალური და ქსელური სტრუქტურა, რაც გამოხატულია ცეკვასა და ქვეწარმავლის მსგავს მოძრაობებში. სწორედ ამგვარი პრინციპი აკავშირებს ერთმანეთს უწესრიგობასა და შეუცნობელ წესრიგს. მისი აზრით, „დიონისიაკა“ დიალოგის ფუნქციას ასრულებს წესრიგსა და უწესრიგობას შორის. პანოპლისელი კი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ ავტორთა რიცხვში, რომლებმაც ინტეიტიურად განავითარეს არასწორხაზოვანი დინამიკა (ნიუბოლდი 1999: 37-51).

იდეა, რომ წესრიგი მოულოდნელად ჩნდება პირველქმნილი ქაოსიდან, სხვადასხვა ავტორთან დასტურდება. არის ჰესიოდესთანაც, თუმცა, მიშელ სერეს მიხედვით, მხოლოდ ლუკრეციუსმა მოახერხა, შეექმნა სრულყოფილი ტრაქტატი არალინეარული დინამიკის სტრუქტურის განმარტებისას (ჰარარი 1982: 98-116). მნიშვნელოვანია ის, რომ ლუკრეციუსთან ქაოსის განდევნის შემდეგ სითხის სპირალური ბრუნვისაგან იბადება ვენუსი/დედა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ლუკრეციუსის კოსმოსს სპირალური სტრუქტურა აქვს (ჰეილსი 1991: 118-205).

სპირალი, ქვეწარმავლები, ცეკვა და წრეები დიდ როლს თამაშობენ „დიონისიაკას“ გააზრებაში. პოემის სტრუქტურის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ ნაწარმოებისათვის უფრო შესაფერისია ბზრიალისა და ტრიალის მეტაფორები, ვიდრე შენობისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრული წყობა (პიურსი 1974: 8). ყოველივე ზემოთქმულს ისიც ადასტურებს, რომ „დიონისიაკას“ პირველი სტრიქონებიდანვე ნონოსი თავის პოემას გველს ადარებს: „მე კი მრავალფეროვან სიმღერას ავაწყობ, იგი მიიღებს გველის იერს“ (I, 15-16), ვკითხულობთ ტექსტში. ერთი შეხედვითაც აშკარაა, პოემაში ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ საგანი ერთმანეთთან სპირალური პრინციპითაა გადაჯაჭვული: გველი უკავშირდება ვაზის ყლორტს, ვაზი – დიონისეს, დიონისე – ღვინოს, ღვინო – ხარის რქებს (ანუ ღვინის სასმელ ჭურჭელს), ხარის რქა – ნახევარ მთვარეს, ანუ სელენეს, სელენე – ღამეს, ღამე – დიონისურ ცეკვებსა და მისტერიებს, ეს უკანასკნელი კი – ისევ ვაზსა და დიონისეს. და ასე დაუსრულებლად სიტყვა სიტყვას ერთვის, ამბავი – ამბავს. ყოველივე ერთმანეთზეა მჭიდროდ გადაჯაჭვული გრძელი, დახვეული, ჭრელი გველის მსგავსად.

ვფიქრობთ, ნაწარმოებში მხატვრული სახეების ერთმანეთთან წრიული დაკავშირების ერთ-ერთი მაგალითია ტირსენიელი მეკობრეების მიერ დიონისეს შეპყრობის სცენა. ჭაბუკ ღმერთს მეკობრეები გააშიშვლებენ, გაძარცვავენ და გაპოჭავენ. ამ დროს დიონისე თავისი ძალის გამომჟღავნებას იწყებს: გემზე ბაკქოსის მიერ სასწაულების მოხდენა სწორედ გველების გაჩენით იწყება. ნონოსი ამ სცენას ამგვარად აღწერს:

„ . . . υφηνειο~ de kerasth-

οι kaiαι~ ei ikessin aיהdramen eij~ kera~ istou ” (XLV, 139-140).

(ქარის სისწრაფით ანდას გარს რქიანი გველი შემოეხვია).

ამის შემდეგ პოეტი იწყებს სხვადასხვა სურათის ერთმანეთთან წრიულ დაკავშირებას. ტექსტში ვკითხულობთ:

„kai; cl oeroi~ petaloisi kataiskio~ aיהeri geitwn
isto~ ehn kuparissos~ υπερτατο~. Ej de mesodmh/
kissos~ aיהersipoithto~ aיהhien hjeri geitwn,
seirhn aujtoelikton ejpiplaka~ kupariessw” (XLV, 141-144).

(გემის ანდა მწვანე ფოთლებით შეიმოსა, კვიპაროსად იქცა. მასზე სურო გაიზარდა და მიაღწია მწვერვალს).

სუროდან პოეტი ვაზის ყლორტებზე გადაინაცვლებს:

„ajmfi; de phdal iδisin υπερκυγασα qal aish-

Bakcia~ ajmpeloenti kamax ebaruneto karpw” (XLV, 145-146).

(ზღვაში ტივტივებდნენ სანიჩე თრკაპებს შემოხვეული ყურძნის მტევნებით დამძიმებული ვაზის ლერწები).

გემის სიღრმეში კი ხტიან გარეული ცხოველები: დრიალებენ ლომები და ჯიხვები. ამის შემდეგ ნონოსს მოულოდნელად ყვავილები ახსენდება: „aיהxi futoio de; pontou aיהea kumatoente~ aיהebi uon υpatoto~ οι koi” (ზღვაში ყვავილები ამოვიდა, ქაფიანი ტალღები მათ დეროებზე ეხეთქებოდა – XLV, 153-154), – წერს პოეტი, „kai; rbdon eplasthse, kai; ulyogen, wl eji; khpw/ aיהrotokoi kenewne~ ejfoiniassonto qal aish~, kai; krinon ej rbgivi~ aיהmarusseto“ (თითქოს ბაღში ისე გაიშალა ვარდები, მისი ფურცლები ზღვის აქაფებულ ტალღებშიც კი ელვარებდა, შროშანები დაიწინწკლნენ ზღვის შეეფებით – XLV, 155-157). ახლა ზღვის წყნარი ზედაპირი ნონოსს ზურმუხტისფერ მდელოებს აგონებს. პოეტი შემდეგ სურათებს გვიხატავს:

„kai; sfin oijo~ baquidendron ejfaineto kai; nomo~ u h~

kai; coro~ aיהronomwn kai; pwea mhl obothrwn” (XLV, 159-160).

(მთიანი ხეობები ტევრებში, ნაკრძალები ტყეებს შორის, მიწათმოქმედთა ფერხული და მწყემსების ცხვრები).

ბოლოს კი აღნიშნავს, რომ გაშლილი ზღვიდან მოჩანს მიწა (gaian īdein ephokhsan – XLV, 165). ამ წინადადებით პოეტი ისვა უკან, გემზე გვაბრუნებს და მოგვითხრობს, თუ როგორ გადაეშვნენ ზღვაში დელფინებად ქცეული ტირსენიელი მეკობრები.

გარდა ამისა, ტექსტში ხშირად ავლოსის ხმები გველებთანაა შედარებული: ლიბიური ორმაგი ავლოსი ათენას გორგონას გველების მიბაძით გამოუგონია, ბოლი გველის ტანივით იგრიხება ჰაერში, ქვეწარმავლის მსგავსია ასევე ყელსაბამი, რომელიც აფროდიტემ ჰარმონიას მიართვა ქორწილში, „wl ofi- h̄j el ikwde- ēcw̄n dema-“ (მისი ტანი გველივით იგორგლება – V, 145)*. ამ ნაწყვეტებში ნონოსი ავლოსის ხმებს, თავად ავლოსს, დრუბლებსა და კვამლს ადარებს უხსენებელს და ამ გზით აკაგშირებს ერთმანეთთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე მეტად მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც გამუდმებით იქცევს ყურადღებას „დიონისიაკას“ კითხვისას, არის ცეკვა. ჯ. მილერის მოსაზრებით, „ცეკვის კოსმიური ღმერთი იგივე ღვინის ღმერთია, ამიტომაც მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დიონისეს მოძრაობის იმიტაციასთან. ნიმფების, ცხოველებისა და სატირების ცეკვის სცენა მრავალფეროვანი, ჭრელი სიმფონიაა, სადაც ტრიალებენ, როგორც სხვადასხვა ფორმები, ისე სხვადასხვა ელემენტები. ნონოსის ხედვით, კოსმიურ ცეკვას ასრულებს ღვთაებრივ მოცეკვავეთა მთელი თაობა, რომელიც მუდმივად გარდაისახება უნივერსალურ სულთა გუნდად“ (მილერი 1986: 312). „დიონისიაკას“ ერთ ნაწყვეტში ნონოსი სიმღერას თებეზე ქალწულის ცეკვასთან აიგივებს. ტექსტში ვკითხულობთ:

„Qhbh/d’ eftapul w/kerasw mel o~, otti kai; aujh;

ejmf’ ejme; bakceuqeisa peritresei, oia de; numfh

mazon ebn gumnwse“ (XXV, 11-13).

(შვიდკარიბჭიანი თქბეს შესაქებად სიმღერას ავაწყობ, რათა ისე დაბზრიალდეს, როგორც მოცეკვავე ქალწული, რომელიც მკერდს იშიშვლებს).

საინტერესოა ისიც, რომ პოემის პირველივე თაგში ნონოსის მუზები კი არ მღერიან, არამედ ცეკვავენ პროტევსის გარშემო. მთელი პოემა დაუსრულებელი

* აღსანიშნავია, რომ ეს გველიც დუბლირებულია: მას ორი თავი და ორი ქუდი აქვს.

ქორეოგრაფიის რთვაა და სპირალური მოძრაობა. ის შთაგონებულია იმ ღმერთის მიერ, რომელიც ცეკვაგს დედის წიაღში თუ ბრძოლის ველზე. ჯ. ლინდსეი აღნიშნავს, რომ „პოემას შეიძლება ბრწყინვალე საცეკვაო დრამაც კი ვუწოდოთ” (ლინდსეი 1965: 77).

ნონოსისათვის შემოქმედებითი აქტის უნივერსალური მოდელია ქოსმოსი, რომლის მიბაძვით იქმნებიან მის პოემაში ქალაქები, სასახლეები, ბაღები და ა. შ. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი პოეზიაც მიკროკოსმოსის მოდელზეა შექმნილი, რომლის მიზანსაც ქაოსის დაძლევა და მისი კოსმოსად გადაქცევა წარმოადგენს. ნონოსთან ქაოსის ერთ-ერთი სიმბოლოა გველი, რომელიც შეიძლება დაფარული წესრიგის სიმბოლოდაც მივიჩნიოთ. პოეტი თავის პოეზიასაც ხომ ხშირად გველს ადარებს. ხწორედ ამით შეიძლება ავხსნათ „დიონისიაკას” ერთი შეხედვით უკიდეგანო ქაოტურობა, რომელშიც დაფარულია წესრიგი. გარდა ამისა, პოეტის მცდელობა მიბაძოს პომეროსის პოემებს, როგორც საუკეთესო პარადიგმას, ნათელს ჰყენს, რომ მისი მიზანია ქაოტური პოეზია გარკვეულ წესრიგს დაუმორჩილოს. ვფიქრობთ, ხწორედ ამიტომ დომინირებს ნონოსის პოეზიაში გველის სიმბოლიკა. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მისი კოსმოსის აღქმისა და მისი პოეზიის შეცნობისათვის მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება სარკესა და ცეკვას. ჩვენ შევეცდებით მომდევნო ქვეთავებში უფრო დაწვრილებით წარმოვადგინოთ ნონოსის პოეტიკის სწორედ ეს სამი ძირითადი ნიშანი, რომელნიც განსაზღვრავენ პოეტის მეტაფორულ და სიმბოლურ სტილს.

2. გველი

გველს რთული სიმბოლიკა აქვს. პალეოლითის დროინდელი გველის გამოსახულებანი კლდეებსა და ირმის რქებზე, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა ნაყოფიერებისა და წვიმის სიმბოლოს. თუმცა, მოგვიანებითაც სექსუალურობა და მიწის ნაყოფიერება მისი სიმბოლიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტი იყო. გველი წარმოადგენდა მაგიურ-რელიგიურ ძალთა სიმბოლოს, რომელიც დასაბამს უდებდა სიცოცხლეს. ხანდახან ის გამოსახავდა თავად ღმერთ-შემოქმედსაც კი.

ითვლებოდა, რომ გველს მუდმივი კაგშირი პქონდა მიწის, წყლის, წყვდიადისა და საიქო სამყაროს საიდუმლოებებთან. თავად მისი ფორმა

ასოცირდებოდა ზღვის ტალღებთან და მთაგრეხილებთან, მდორე მდინარესთან, კაზის ლერწოთან და ხის ფესვებთან, ცისარტყელასა და ელვასთან, ასევე სამყაროს სპირალურ მოძრაობასთან (ტრესიდერი 1999: 114-120).

ხშირად გველს უკავშირებდნენ წინასწარმეტყველების უნარს, იმის გამო, რომ მას წყვდიადში ხედვა შეეძლო. საინტერესოა, რომ ბერძნული სიტყვა „დრაკონი“ (*drakwn*), რომელიც აღნიშნავს გველს, ეტიმოლოგიურად მხედველობასთანაა დაკავშირებული*. გარდა ამისა, გველი ხოონური არსებაა, რის გამოც უდავოა მისი კავშირი პირველყოფილ ძალებთან და შესაბამისად, განსაკუთრებულ ცოდნასთან. ამის საუკეთესო მაგალითია პითონი, რომელიც იცავს დელფოს სამისნოს (ონიანსი 1999: 552).

გველის სიმბოლიკას პარადოქსული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ერთდროულად აღორძინებისა და ნგრევის სიმბოლოა. მას დიდი ძალა აქვს, თუმცა, პოტენციურად საშიშია. ხშირად გვევლინება სიკვდილისა და ქაოსის ემბლემად, პარალელურად კი სიცოცხლის სიმბოლოც არის. მაგალითად, მოსეს მიერ შექმნილი სპილენძის გველი ითვლება წინა სახედ ქრისტეს ჯვარზე გაკვრისა, ამავდროულად კი ქრისტიანულ და ოუდეურ ტრადიციაში გველი კაცობრიობის მტრად მოიაზრება და იდენტიფიცირებულია ეშმაკთან (ტრესიდერი 1999: 114-120).

გველი მკაცრი და დაუნდობელია. მისი ნაკბენი შხამიანია და ხშირად სასიკვდილო. თუმცა, ამავდროულად მისი შხამი წამლად შეიძლება იქცეს და მომაკვდავს სიცოცხლე დაუბრუნოს. იგი ხოონური სიმბოლოა და ამასთანავე წყლის სტიქიის სიმბოლიკასაც ატარებს. ის, როგორც ფალიკური ასევე ქალური საწყისის სიმბოლოცაა (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 200).

„დიონისიაკაში“ გველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა. ნონსი მას მოიხსენიებს შემდეგი სიტყვებით – *drakwn*, *ēcidna*, *oīfī~*. ძალიან ხშირად ვხვდებით ასევე ზედსართავ სახელებს – „გველისთმიანი“ ან „გველური“. დიონისეს კავშირი გველთან უცნობი არ არის ტრადიციული ბერძნული ლიტერატურისთვის, თუმცა ხშირად პოემაში აღწერილი გველები ველური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ. ისინი მეტად ძლიერი არსებანი და დესტრუქციული ძალების მატარებლები არიან: მაგალითად, გველი, რომელიც კადმოსის მეომრებს კლავს და კადმოსსაც ემუქრება, განსაკუთრებული სადიზმით გამორჩეული არსებაა (IV, 356-370). მიწისგან შობილი ტიფონიც და გიგანტებიც, რომლებსაც ასევე ახასიათებთ ქვეწარმავლური ნიშნები,

* ზმა *derkomai*-ს, რაც ხედვას, დანახვას ნიშნავს, აორისტის ფორმაა *drakon* (დორეცი 1958: 353).

საშიშ გამანადგურებელ ენერგიას ფლობენ (I, II, XLVIII, 31-86). პოემაში გველები ხშირად აფრქვევენ შესამს, ფართოდ აღებენ ხახებს და საზარლად სისინჯებენ, მათ აქვთ რქებიც. ტექსტიდან მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „*ijsotupou taurioi drakwn kukl oūto kerasthf*” (ხარის მსგავსი რქიანი გველი იგორგლება – I, 194); „*āmfilafh-fol idessi drakwn ēj elikto kerasthf, gl̄wssan ēcwn probl̄hta kechnoito~ āqerewno~*” (უზარმაზარ რქიან გველს პირიდან აღმოხდა საბრძოლო ყიუჩა, მას ხახიდან მოუჩანს შუბისებრი ენა – VI, 192-193); „*kai; promo~ ēī ikoei~ ōfiwdei>marnato tecnh/a ujcenith sail piggi tōphou surigmon ijallwn, penthkontapeleqro~ ōfi~ kukl oumeno~ ol kw̄l*” (მეომარი (გველი) ბრძოლისთვის ემზადება, იგორგლება და უზარმაზარი ხახიდან საზარლად სისინჯებს, გველი ორმოცდაათ წყრთაზეა გაწოლილი – XXV, 502-504).

აშკარაა, რომ „დიონისიაკაში” გველები, ისევე როგორც ზოგადად მითოლოგიაში, განასახიერებენ ცნობიერებაში ღრმად დალექილ პირველყოფილ შიშს. ისინი პოლივალენტური არსებანი არიან და თითქმის ყოველთვის ასოცირდებიან ღვთაება დიდ დედასთან, რადგანაც გააჩნიათ უნარი გამოიცვალონ გველი კანი: „*w̄l ōfi~ ādranewn fol idwn speirhma tinaka~, ēmpal in hbhseie tel oumeno~ oim̄masi qesm̄w̄n*” (გველი მაშინვე იცვლის ძველ კანს, რადგან წმინდა წესის წყლებში განიბანა და ახალგაზრდობა დაიბრუნა – XLI, 181-182). ასევე შეუძლიათ შეაღწიონ ყველა კლდესა და გამოქვაბულში, შთანთქონ დიდი ზომის ქმნილებები. გველები გამუდმებით აღვიძებენ ადამიანებში შიშის გრძნობას. შესწევთ შეკუმშვის საოცარი უნარი (სლეითერი 1969: 75-122). გველები ნონოსთან ასევე ფალიკური სიმბოლიკის მატარებლებიც არიან. ქალური და მამაკაცური საწყისების ერთიანობის სიმბოლიკა პოემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ცალკე მამაკაცური ან ქალური საწყისის მიმართ შიში გამოწევულია ნარცისიზმისკენ მიდრეკილებით, ფატალური, კურიოზული პასიურობითა და სუსტად გამოხატული ინდივიდუალობით (ბორნმანი 1975: 52-67).

„დიონისიაკაში” გარდა საშინელი, მიწისგან შობილი ურჩხულებისა, რომლებიც სამყაროს დესტრუქციითა და დეფორმირებით ემუქრებიან, არსებობენ გველები, რომლებიც იცავენ ბაკქი ქალების უბიწოებას: ერთ-ერთი ბრძოლის დროს ინდოელი ხელში ჩაიგდებს დიონისეს თანმხლებს – მარონიდას, თუმცა მოძალადეს გველი დააფრთხობს:

„ . . . ēxapinh~ gar

ōflio~ eīspe drakwn upkokol pio~ īxui geitwn,

dusmenes~ d' h̄ixe kat' aujeno~, . . ." (XV, 80-82).

(უცაბედად ქალწულის მპერდისა და წელის მახლობლად ჩასაფრებული გველი გამოცოცდა და კისერში ეძგერა მტერს).

გველივე იცავს ქალკომედას, რომელსაც ინდოელი ბელადი მორევსი გაუმიჯნურდება:

„aj l arti~ ajcrantoio drakwn ajnephil ato kol pou,
parqenikh~ aqamoio bohqob~, ajnfi; de; mitrhn
ajnfilafh~ kukl outo fulaktori gastero~ ol kw/
ojku; de; surizonto~ ajsightwn ajo; laimwn
petrai ejmukhsanto" (XXXV, 209-213).

(ქალწულის) უბიწო საშოდან უცაბედად გველი წამოიმართა, (ქალკომედას) წელსა და მპერდზე მჭიდროდ შემოეხვია, რათა დაეცვა მისი სხეული და ხახიდან ისეთი ხმა ამოუშვა, რომ ირგვლივ კლდეებმა საპასუხოდ დაიგუაუნეს.

როგორც ვნახეთ, ბაკქი ქალების ქალწულობის დამცველი გველებიც აგრესიულები არიან, ისინიც საზარლად სისინებენ და ფართოდ აღებენ საშინელ ხახებს. თუმცა, პოემაში ვხვდებით ასევე „უწყინარ“ გველებს:

„aujencion de; tenonta perix stefanhdon ei ika~
oijdal ehn ejikurton ehn docmwisato deirhn
meil ico~ ei ikoenti drakwn mitroumeno~ ol kw/
stemmati d' ol kaiw/kefal hn kukl wiato Kadmou
prhu> offi~, kai; gl wssa perix licmazen uphnhn" (XLIV, 107-111).

(ქედის წრიული მოძრაობით პატრონის კისრისკენ მიიწევს მოსიყვარულე გველი, კადმოსს წყნარად ეხვევა თავზე გვირგვინივით და წვერს ულოკავს).

გველის ეს ამივალენტურობა ისევ და ისევ დვოაება დიდ დედასთან მისი გაიგივებით უნდა აიხსნებოდეს.

აღსანიშნავია, რომ „დიონისიაკში“ გველი ხშირად ქაოსურ ქალებთან ასოცირდება, შესაბამისად წესრიგსა და ინდივიდუალურობას ემუქრება. მისი შეხება კანზე ადამიანში შიშისა და უსუსურობის განცდას იწვევს. თუმცა, შიშის დაძლევის შემდეგ, ადამიანი სულიერ სიძლიერეს აღწევს (ნიუბოლდი 1984: 89-98). გველის სწორედ ამ სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ ბაკქ ქალებს გველების შიში არ გააჩნდათ.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ გველი დროის სვლის სიმბოლოა. იგი მუდმივად იცვლის კანს, რაც სიცოცხლის შეცნობის, სიკვდილისა და კვლავ დაბადების მაუწყებელია. მისი სიმბოლო ერთდროულად მიგვანიშნებს ცხოვრების

მომხიბვლელობაზე და ასევე იმ შიშხე, რაც მას მუდმივად ახლავს (კემბელი 1988: 45). გველის, როგორც დროის სვლის სიმბოლოსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პომეროსთან სამყაროს დაბადების მიზეზია ოკეანოსი, რომელიც გარს ერტყმის დედამიწას. სავარაუდოდ, სამყაროს წარმომშობ მდინარეს, ანუ ოკეანოსს, გააჩნდა გველის ფორმა. თავად სიტყვა „ოკეანოსი” ნასესხებია სემიტური ენიდან და ნიშნავს „გარშემორტყმულს”. ხშირად გველის სახითაა წარმოდგენილი ასევე *yuchɪ* რომელიც ყოველივეს წარმომშობად ითვლება და ხშირად გაიგივებულია ოკეანესთან. ამასთან დაკავშირებით რ. ონიანსი იხსენებს ორფიქულ კოსმოგონიას, რომლის მიხედვით კვერცხის ფორმის სამყარო გაანაყოფიერა გველმა, სახელად ხრონოსმა*, რომელიც წყლისგან წარმოიშვა. პითაგორა მიიჩნევდა, რომ ხრონოსი ეს სამყაროს სულია (*yuchɪ*). ხრონოსი-დროის პონცეფციას რ. ონიანსი უსადაგებს წარმოდგენას მარადოსობაზე (*aijɪn*), რომელიც წარმომშობს სასიცოცხლო სითხეს და გაიგივებულია *yuchɪ*-სთან, ზურგის ტვინთან. ძევლი ბერძნების წარმოდგენით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული, ანუ *yuchɪ* იღებდა გველის ფორმას. ასევე არსებობდა წარმოდგენა, თითქოსდა მიცვალებულის ზურგის ტვინი გველად გარდაისახებოდა. ეს წარმოდგენები აისახა სპარტის მეფე კლეომენესის სიკვდილის შესახებ არსებულ ლეგენდაში, თითქოსდა, მათ, ვინც იცავდა მეფის ცხედარს, რამდენიმე დღის შემდეგ დაინახეს დიდი გველი, რომელიც შემოხვეოდა მეფის სახეს და იცავდა მას მტაცებელი ფრინველებისაგან. ასევე გველის ფორმა გააჩნდა ძევლი ბერძნების წარმოდგენით დროს, რომელიც იგივე ხრონოსია და გარს არტყია სამყაროს (ონიანსი 1999: 16, 210, 246-247).

გველი დროის სიმბოლოა ნონოსთანაც. პოეტი „დიონისიაკას“ გველს ადარებს: „*eij gar ejferpusseie draikwn kukl oumeno~ ol kw/ mel yw qeion afqli on*“ (თუკი ის დაიკლაკნება, როგორც გველი, გიმდერებ დვთიურ ჯილდოზე – I, 16-17), შესაბამისად მას დროის მარადიულ სვლასთან აკავშირებს. ნონოსისთვის „დიონისიაკა“ იგივე დროა, მითიური დრო, რომელშიც მომხდარი ამბები მისთვის განსაკუთრებულ ხოტბას იმსახურებენ. მითიური დროის ამბები პოეტისთვის ცხოვრების მარადიულობისა და მისი უწყვეტობის სიმბოლოა, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში მისაბაძ მოდელებს წარმოადგენენ. თავისთავად მის პოემას, რომელიც ჭრელი დახვეული გველის ფორმისაა, აქვს თავისი სიმბოლო –

* *Crono-* -ი ითარგმნება, როგორც დრო (დვორეცკი 1958 ა: 1787).

ჰარმონიას ყელსაბამი* (V, 136–154), რომელიც ასევე ქვეწარმავალს ჰგავს და შესაბამისად, ისიც დროის მარადიულობის სიმბოლოა. მისი პატრონია ჰარმონია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სანამ სამყაროში ჰარმონია იბატონებს, სიცოცხლის ციკლური ბრუნვა არ შეწყდება, ანდა პირიქით, სანამ ცხოვრების წრიული, ციკლური ცვალებადობა იარსებებს, სამყაროს ჰარმონია დაცული იქნება. ამრიგად, ნონოსთან დრო იგივე „დიონისიაკაა”, რომელსაც ჭრელი გველის ფორმა აქვს. გველი კი სიცოცხლის მუდმივობის სიმბოლოა.

პოემაში ნონოსი მიგვანიშნებს გველსა და დიონისეს შორის მჭიდრო კავშირის არსებობაზე. ჯერ ერთი, რომ გველად გარდასახული ზევსისა და პერსეფონეს სიყვარულის ნაყოფია პროტოდიონისე, ანუ ძაგრევსი:

„Zeus~ oftē poul uel ikto~ ajmeibomenoio proswrou
numfiō~ iheroenti drakwn kukloumeno~ ol kw̄“ (VI, 157-158).

(გველის სახიანი ზევსი იგორგლებოდა და სიყვარულის ცეცხლში იწვოდა).

ასევე სემელესთან ტრფობის დროს იმ უამრავ სახეს შორის, რომელსაც იღებს ზევსი, ერთ-ერთი სწორედ გველია:

„allote mitrwqeisan ufo; speirh̄si drakontwn
numfiō~ ajmpel oenti komhn ejfīggeto desmw̄“ (VII, 325-326).

(უცბათ გადაიქცა გველად ახალგაზრდა მეტრფე და ვაზის ლერწები დაწნა).

გარდა ამისა, დიონისე „გველისომებიანია“ (drakontokomoio – XI, 59), ინდოელების წინააღმდეგ გამართულ ომში კი გველი დვინის ღმერთისა და ბაკქი ქალების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს (XVIII, 198; XIV, 367; XV, 79-81).

ჩვენი მოსაზრებით, რადგან დიონისეს კავშირი სიცოცხლის ციკლური მონაცვლეობის იდეასთან საკამაოო არ არის, ნონოსი დიონისესა და გველს სწორედ დროის მარადიულობის სიმბოლიკის გათვალისწინებით უკავშირებს ერთმანეთს. სამგზის შობილი ღმერთი რამდენჯერმე უბრუნდება სიცოცხლეს, მსგავსად ვენახისა, რომელიც ჯერ ვაზის, შემდეგ ყურძნის, ბოლოს კი დვინის სახით ისევ და ისევ აგრძელებს არსებობას.

ვფიქრობთ, გველის, როგორც დროის სიმბოლიკა ჩანს ასევე ნონოსის მიერ გადმოცემულ კადმოსის ისტორიაში: ფინიკიელი გმირი ერთვება სამყაროს ჰარმონიულობის შენარჩუნების პროცესში – ეხმარება ზევსს სამყაროში ქაოსის

* მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე იხ. ქვეთავში – ჰარმონიას ყელსაბამი.

მომტან ტიფონის დამარცხებაში და ზეგსის ნებით ცოლად ირთავს პარმონიას. სიცოცხლის ბოლოს კი ის და მისი მეუღლე გველებად გარდაისახებიან (εβειν οισιωδεα μορφην – XLVI, 367). გველებად მათი გარდასახვა დროის ცვალებადობის მარადიულ პროცესში ჩართვაზე მიგვანიშნებს. როგორც უკვე აღვინიშნეთ, ბველი ბერძნების წარმოდგენით, ადამიანის სულს, ანუ γυνήს გველის ფორმა აქვს, ამიტომაც ხშირად გარდაცვლილი გმირები გველებთან ასოცირდებოდნენ (Plut. Vit. 60, 39). კადმოსი ხომ ნონოსის მითში სწორედ სამყაროს პარმონიულობის შენარჩუნების პროცესის მონაწილეა და პარმონიას მეუღლე, ამიტომაც მისი და პარმონიას გველებად გარდასახვა დროის მარადიულობის პროცესში ჩართვის მანიშნებელია.

მაშასადამე, ნონოსი ხოტბას ასხამს განსაკუთრებულ დროში მომხდარ განსაკუთრებულ ამბებს. ამიტომაც ადარებს თავის პოემას გველს და ცდილობს ქვეწარმავლის ფორმა ნაწარმოების აგების სტრუქტურაშიც ასახოს. მართლაც, „დიონისიაკას“ კითხვისას უნებურად თვალწინ გვიდგება ჭრელი, დახვეული, გრძელი გველი, რაც სიმბოლურად ასახავს ნაწარმოების უამრავ უსასრულო ისტორიასა და მითს, რომელნიც ერთმანეთს სპირალისებურად ებმიან.

3. სარკე

სარკე პოლიგალენტური და წინააღმდეგობით აღსავსე სიმბოლოა: ერთი მხრივ, იგი აფიქსირებს სამყაროს მრავალფეროვნებას, ხოლო მეორე მხრივ, განიხილება, როგორც წარმოსახვისა და ცნობიერების პროექცია. მისი სიმბოლო თავის თავში მოიცავს ასევე „ორეულის“ იდეას. ასახვის ან არეკვლის შესაძლებლობის გამო, ხშირად მის სიმბოლურ ანალოგად მიიჩნევენ თვალსა და წყალს. მიჩნეულია, რომ სწორედ თვალის მეშვეობით ადამიანის ცნობიერებამდე აღწევს კოსმოსის სახე.

სარკეში არეკლილი ყოველი ფორმა და სახება თითქოსდა სამუდამოდ მასში რჩება. ამ იდეაზე დაყრნობით ხორციელდება სარკის მაგიური გამოყენება სულთა გამოძახებისას. იმ სულთა, რომელნიც წარსულში სარგებლობდნენ ამ სარკით და რომელთა გამოსახულებებიც ჯერ კიდევ მასშია შემონახული. აქედან გამომდინარე, სარკე შეიძლება იყოს „სავსე ან ცარიელი“, რაც მის სიმბოლიკას მნიშვნელოვან

ასპექტს – პერიოდულობას სძენს. სწორედ ეს აკავშირებს სარკის სიმბოლიკას მთვარესთან. მთვარის მსგავსად სარკეც ხომ შეიძლება იყოს საგსე ან ახალი? გარდა ამისა, სარკე ისევე იდებს და აირეპლავს ფორმებსა და სახეებს, როგორც მთვარე – მზის ნათებას. ძველი კონცეფციების მიხედვით, სარკე სულის სიმბოლოა, რომელიც ინახავს ყოველ შთაბეჭდილებას და ამ გზით ამყარებს კავშირს სამყაროსთან. სარკე ასევე ასოცირდება კართან, რომლის გავლის შემდეგ სული თავისუფლდება ამქვეყნიური ცხოვრებისაგან და ხვდება სხვა სამყაროში.

თუ როდის გაჩნდა სარკე, ძნელი სათქმელია. პირველი სარკე, ალბათ, წყლის კამპამა ზედაპირი იყო. ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ამზადებდნენ ბრინჯაოს სარკეებს. დაახლოებით ჩვენს ერამდე IV საუკუნეში ეგვიპტეში ფართოდ გამოყენებული რკინის გაპრიალებული სარკეები გავრცელდა საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. რომის იაურიის დროს სარკეს აპირკეთებდნენ ოქროთი და ვერცხლით. თანდათან ის გადაიქცა ფუფუნების საგნად. ამასთან ის გამოიყენებოდა მაგიასა და კულტმსახურებებში. პირველი შუშის სარკე თარიღდება XII-XIII საუკუნეებით. მხოლოდ 1507 წელს ორ იტალიელს კუნძულ მურანოდან მოუვიდა თავში ბრწყინვალე იდეა; მათ სარკის ზედაპირი ვერცხლის ამალგამით მოაპირკეთეს. რის შემდეგაც წლების განმავლობაში ვენეციური სარკე ითვლებოდა საუკეთესოდ მთელს ევროპაში. დიდხანს ინახავდნენ ვენეციულები ამ საიდუმლოს, თუმცა, 1644 წელს დაიწყო „სარკის ომი“ ფრანგებთან, რაც იმით დასრულდა, რომ ვენეციულმა ოსტატებმა უკვე პარიზშიც დაიწყეს შეკვეთების მიღება. მალე ამ საიდუმლომ მთელი ევროპა მოიცვა.

ჩვენს დროშიც არსებობს ლეგენდები, რომლებშიც ნათქვამია, რომ სარკეში გარდაცვლილის სული აირეპლება. ალბათ, სწორედ ამის გამო ჭირისუფალთა სახლში სარკეებს ტილოთი ფარავენ. ასევე მიიჩნევენ, რომ სარკე ყოველივეს მცოდნეა და მრავალ ზღაპარში წინასწარმეტყველის როლსაც კი ასრულებს (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 196-198).

კათოლიკურ ეკლესიაში ღვთისმშობელი ზოგჯერ გამოსახულია სარკით ხელში, რაც მის უზადო სიწმინდეზე მიგვანიშნებს. სარკე ასევე წარმოადგენდა სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს ემბლემას. აღმოსავლურ კულტურაში, განსაკუთრებით კი იაპონურ მითებსა და რელიგიაში, ფართოდ იყო გავრცელებული სარკის, როგორც სიცოცხლის შეცნობის სიმბოლოს ფილოსოფიური მნიშვნელობა. ღმერთმა-შემოქმედმა იზანაგიმ თავის შვილებს

მისცა სარკე და უბრძანა ყოველ დილით და საღამოს მუხლმოყრილებს ეცქირათ მასში, სანამ ისინი არ განდევნიდნენ ბოროტ ფიქრებსა და გრძნობებს. ინდუიზმსა და ბუდიზმში სარკე მიჩნეულია სიმბოლოდ იმისა, რომ შემეცნებითი სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ილუზია და უბრალო ანარეპლი. ძველინდურ მითოლოგიაში საიქიო სამყაროს ბრძანებელი სარკის მეშვეობით ამოწმებს მასთან მოხვედრილი სულის კარმას მდგომარეობას. ფართოდაა გავრცელებული რწმენა, რომ გატეხილი სარკე უბედურების მომტანია, რაც უკავშირდება ძველ წარმოდგენას, თითქოსდა ადამიანის გამოსახულება მისი სასიცოცხლო ენერგიის ნაწილის მატარებელია და მისი „სული-ტყუპისცალი“. როგორც ისლამურ ისე ქრისტიანულ ტრადიციაში ადამიანის გული შედარებულია სარკესთან, რომელშიც აირეპლება ღმერთი (ტრესიდერი 1999: 111-112).

საინტერესოა, რომ ნონისი რამდენჯერმე ახსენებს სარკეს მოგვითხრობს რა მითს დიონისე-ძაგრევსზე. როდესაც ტიტანები ნაწილ-ნაწილ გლეჯენ ძაგრევსს, პოეტი აღნიშნავს, რომ „პატარა იცქირებოდა სარკეში, ტკბებოდა თავისი ცრუ გამოსახულებით“ (*ajtitupw/noqon eido- φιρευοντα katoptrw* – VI, 173). სხვაგან კი, როდესაც ზევსი შეიტყობს შვილის მკვლელობის ამბავს, ნონისი წერს: „(ზევსი) მიხვდა, რომ ცბიერ სარკეში იყო სიკვდილის მიზეზი, ბნელი მოჩვენება“ (*ginwiskwn skioenta tupon dol iatio katoptrou* – VI, 207). ამ პასაჟში აშკარაა, რომ პოეტი სარკეს წინასწარმეტყველის ფუნქციას ანიჭებს, ისევე როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილ ზღაპრებში. სარკემ თითქოს წინასწარ იცის ძაგრევსის მკვლელობის ამბავი, რის გამოც ნონისი მას „ცბიერს“ უწოდებს.

სარკე სხვა წყაროებში დაცულ დიონისე-ძაგრევსის მითშიც ფიგურირებს. ზევსის პატარა პირმშოს უამრავი სათამაშო აქვს, რომელთაც შემდგომ დიონისეს მისტერიებშიც ვხვდებით და რომლებსაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვთ. ეს სათამაშოებია სახსრის ძვლები, გირჩები, ვაშლები, მატყლის კონა. მათ შორისაა სარკეც, რაც პ. გათრის მოსაზრებით, შედარებით გვიან გაჩნდა ძაგრევსის სათამაშოების სიაში (გათრი 1993: 121-122).

ა. ლოსევი შემდეგნაირად სხნის დიონისე-ძაგრევსის სარკეში ცეკვას. იგი ძაგრევსის ორფიგული ინტერპრეტაციის განმარტებისას აღნიშნავს, რომ „დიონისე-ძაგრევსი ყოვლისმომცველობისკენ ისწრაფვის, რის გამოც, უპირველეს ყოვლისა, მიიღების მის გარშემო არსებული ტიტანური ყოფისკენ, რათა მასში იპოვოს და

დაამკვიდროს საკუთარი თავი. სწორედ ამას ასახავს დიონისეს მიერ სარკეში ცქერა, ამ სარკეს კი მას ტიტანები სთავაზობენ” (ლოსევი 1957: 161).

სარკეს ნეოპლატონიკოსები კაცობრიობის ბუნების აღეგორიად მიიჩნევდნენ. პროკლეს მიხედვით, სარკეში მაცქერალი დიონისე სიმბოლურად ასახავდა რეალურად არსებულსა და არარეალურ სამყაროებს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ფიქრობდნენ იმასაც, რომ დიონისეს სარკეში ყურება გამოხატავდა კაცობრიობის ბუნების გაორებულ ხასიათს: მის დვთაებრიობას, რაც მისი რეალური სახეა და მის მიწიერ, ტიტანურ ბუნებას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დვთაებრიობის ჩრდილი (გათრი 1993: 122-123).

ეჭვსგარეშეა, რომ ნონოსი კარგად იცნობდა დიონისესთან დაკავშირებულ საგანთა სიმბოლურ მნიშვნელობებს, შესაბამისად, მისთვის არც სარკის სიმბოლიკა იქნებოდა უცნობი. თუმცა, ვფიქრობთ, პოეტი, როგორც ძაგრევსის მითით, ასევე „დიონისიაკაში” აღწერილი სხვა ეპიზოდებით, მიგვანიშნებს, რომ სარკე ყოვლისმცოდნეა და უიღბლო მომავალზე წინასწარმეტყველებს. იგი ამ უმნიშვნელო ნივთს „უსიტყვოდ სიმართლის მდაღადებელს” (*sigalew/ khruki* – V, 596) უწოდებს. სარკე ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავენ მასში მაცქერალი ნონოსის გმირები.

გარდა ძაგრევსისა ბრინჯაოს სარკეში იცქირება ასევე პერსეფონე ზევსთან შეუდლებამდე. როდესაც ტრფობით ანთებული თვალებით შეჰყურებს მას ზევსი, პერსეფონე უმზერს თავის „ცრუ გამოსახულებას და ტპბება მისით” (...*Persefonei de; ...yeudomeni~ ioupon eiðo~ eþerketo Persefoneihi~* – V, 598-600). ამ პასაჟში პერსეფონეს სარკეში ცქერა თითქოსდა უკვე გვაუწყებს პროტოდიონისეს ტრაგიკულ ბედზე, რომელიც სიკვდილის წინ ასევე იცქირება სარკეში და ტპბება „თავისი გამოსახულებით“ (VI, 173). ძაგრევსის მსგავსად უბედურება მოუტანა თავისი გამოსახულების ცქერამ ნარცისსაც, მხოლოდ არა – სარკეში, არამედ – წყალში (XLVIII, 581-586). საინტერესოა, თუ რატომ უკავშირდება პოემაში სარკეში ცქერა სიკვდილს? თუმცა, ყველა შემთხვევაში ნონოსის გმირები სარკეში თავიანთ „ცრუ გამოსახულებას” (*ioupon eiðo~*) შესცქერიან, რაც ალბათ სარკის წინასწარმეტყველურ ფუნქციასთანაა დაკავშირებული.

სარკეს ნონოსის პოეზიაში სხვა სიმბოლიკაც აქვს: ის მეტად უცნაური საგანია, რომელშიც ნებით თუ უნებლიერ აირეკლება ნებისმიერი ფორმა და სახე. ნონოსის პოეზიაც დიდ სარკეს პგავს, სადაც მითების სამყაროს თითქმის ყველა

პერსონაჟია არეკლილი. ამასთან, „დიონისიაკაში” სარკესაც ჰყავს თავისი ორეული. ესაა ექო. თუკი, სარკა ყველა ფორმას ასახავს, ექო ყველა ბგერასა და ხმას იმეორებს. ის „შვიდპირიანია” (*eptaistomo* – I, 242), „შვიდსარტყლიანი ზეცის” (*oujranon eptazwnon* – I, 241) მსგავსად.

4. ცეკვა

ცეკვა სიხარულისა და მწუხარების უძველესი ინსტინქტური გამოხატულებაა. პირველყოფილ მოცეკვავების სწამდათ, რომ ისინი ცეკვისას კოსმიური ენერგიის ნაწილს შეადგენდნენ, ხოლო საცეკვაო უესტები და მოძრაობანი კი აწესრიგებდნენ კოსმოსის უხილავ ძალებსა და ბუნებრივ სტიქიებს. სწორედ ეს რწმენა დაედო საფუძვლად უძველესი ცეკვების რთულ სიმბოლიკას. ცეკვები სრულდებოდა წვიმის ან ნაყოფიერების გამოსაწვევად, სამხედრო წარმატების მისაღწევად და უბედურების თავიდან აცილების მიზნით, კეთილ სულთა პატივსაცემად ან კიდევ მტრულად განწყობილ ძალთა გულის მოსაგებად.

მრავალ კულტურაში ცეკვის რიტუალი და ექსტაზიური მოძრაობა ასოცირდებოდა წესრიგსა და შემოქმედებით ძალებთან. ზოგიერთ მითში ღმერთები სწორედ ცეკვით ქმნიან სამყაროს და ამყარებენ მასში წესრიგს. რიტუალური ცეკვების ერთ-ერთ მიზანს მიწასა და ზეცას შორის კავშირის დამყარება წარმოადგენდა. ცეკვისას დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელების მოძრაობას, რომელთა ახსნა მხოლოდ რიტუალებში ზიარებულებს შეეძლოთ.

ცეკვა მჭიდროდაა დაკავშირებული მაგიასთან და წარმოადგენს მაგიური გარდასახვების ინსტრუმენტს. სწორედ აქედან მომდინარეობს ცეკვისას ნიღბების ტარების ტრადიცია, რომელიც შეუმჩნეველს ხდის ამგარ მაგიურ გარდასახვებს. ჩინეთში ცეკვის ხელოვნება, როგორც კოსმიური პარმონიის გამოხატულება, უკავშირდებოდა რიტმისა და რიცხვის სიმბოლოს. ინდუისტურ ტრადიციაში შივას ცეკვა წარმოადგენს მუდმივი კოსმიური ენერგიის გამოსახულებას. აქედანაა ცეცხლის ალებიც, რომლებიც გარს ერტყმიან შივას. ეგვიპტეში ითვლებოდა, რომ რიტუალურ ცეკვებში მონაწილეობას იღებდა თავად ღმერთი. ბიბლიაში ცეკვა წარმოადგენს დიდი სიხარულის გამოხატულებას (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 479).

ცეკვაში ძირითადად აისახებოდა ამა თუ იმ ტომის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები და სცენები რეალური ცხოვრებიდან. აუცილებელი იყო მასში უამრავ ხალხს მიეღო მონაწილეობა, რადგანაც სწამდათ, რომ ეს აძლიერებდა ღმერთების წყალობას. სწორედ ამგვარად გადაიქცა ცეკვა თეატრის პირველქმნილ ფორმად, რომელიც აყალიბებდა რელიგიურ ნორმებს მრავლისმთქმელი მოძრაობებით, როგორც, მაგალითად, ამას ვხვდებით ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთის რელიგიურ მისტერიებში.

სხვადასხვა ცეკვას უწინ სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა პქონდა. მაგალითად, წრიული ცეკვები სიმბოლურად ასახავდნენ მზისა და მთვარის ციკლურ მონაცელეობას, ასევე წელიწადის დროთა მუდმივ მონაცელეობას; ხელგადაჭდობილი ჯგუფური ცეკვები – თანავარსკვლავედთა ცვალებას; ცეკვები რომელიმე ობიექტის გარშემო ტარდებოდა ამ ობიექტის ენერგიის კონცენტრაციის მიზნით, ან კიდევ, სიმბოლურად ასახავდა მის დაცვას. მოცეკვავები ცხოველების ტყავებსა და ფრინველების გამოსახულების ნიღბებში, რომელნიც ბაძავდნენ ცხოველთა მოძრაობებს, მიზნად ისახავდნენ ამ ცხოველთა და ფრინველთა ძალების მოზიდვას. დელფოს სამისნოში ქურუმის გველის მოძრაობების მსგავსი ცეკვა სიმბოლურად ასახავდა სიბრძნესა და ნაყოფიერებას, რომელსაც ფლობდა გველი.

დღემდე ნებისმიერი თავისუფალი საცეკვაო მოძრაობა ითვლება სამკურნალო თვისების მქონედ. იგი მოცეკვავეს საშუალებას აძლევს დროებით მოწყდეს დაძაბულ ყოველდღიურ ცხოვრებას, განსაკუთრებით ეს ხდება ტრანს-ცეკვის დროს, როდესაც მოცეკვავე აღწევს უმაღლეს მდგომარეობას და ამჟარებს კონტაქტს კოსმიურ ენერგიასთან. მსგავსი კონტაქტი ასახულია მოცეკვავე ღმერთთა გამოსახულებებში (მაგ., შიგა და ბუდა). თანამედროვე ცეკვებში კოსმიური ენერგიისა და ჰარმონიის სიმბოლიზმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა, საბოლოოდ არ გამქრალა (ტრესიდერი 1999: 365-367).

ცეკვა უძველესი დროიდან წარმოადგენდა რიტუალის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. განმეორებადობა რიტუალიზაციის მთავარი პირობაა. რიტუალური განმეორებადობით იბადება რიტმი, სმენითი სიგნალები, ჟესტები, მუსიკა და ცეკვაც, რომლებიც ადამიანთა ერთობის უძველესი ფორმებია (ცანავა 2005: 54). განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცეკვას დიონისური მისტერიების დროს, სადაც ცეკვავდა ყველა, ვინც კი მონაწილეობას იღებდა

ბაკქურ მსვლელობებში. ესენი იყვნენ ბაკქი ქალები, სატირები, სილენები, კორიბანტები, პანები და რაც მთავარია, თავად ღმერთი დიონისე.

ნონოსის პოემაში ცეკვას, როგორც შპვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რაც შეეხება თავად ცეკვის ფორმებს, „დიონისიაკაში“ წარმოდგენილია მისი სამი სახეობა: პანტომიმა, პირიხა (იარაღით ცეკვა) და ბაკქი ქალების როკვა. ნაწარმოების დასაწყისში მუზები ცეკვავენ, როგორც ბაკქი ქალები. პარმონიას ქორწილში კი ერთ-ერთი მათგანი ასრულებს პანტომიმას. პირიხა უფრო დაკავშირებულია მრისხანებასთან და პოემაში მას ძირითადად კორიბანტები ასრულებენ.

პანტომიმას ნონოსი მიიჩნევს ბრძნულ (*soñor*) და გონიფრულ (*noñmaw*) ცეკვად, რადგანაც მისი გაკონტროლება გონების მიერ ხდება. ბაკქი ქალების როკვა კი, მისგან განსხვავებით, უკავშირდება თრობას, უგუნურებასა და გაუკონტროლებულ ვნებებს. პირიხა, პანტომიმას მსგავსად, მიეკუთვნება ცეკვის ისეთ სახეობას, რომელიც რაიმეს გადმოცემას ცდილობს, თუმცა, ძირითადად გადმოგვცემს მრისხანებასა და სიშმაგეს. პირიხა კორიბანტების ცეკვაა, რომელიც ასახავს ბრძოლას და სრულდება იარაღის თანხლებით. „დიონისიაკაში“ აღწერილ ინდოეთის ომშიც სწორედ ამ ცეკვას ასრულებენ კორიბანტები. ისინი ცეკვით იბრძვიან დიონისეს მხარდასაჭერად. მათ საგმირო საქმეებს ნონოსი აგვიწერს პოემის XXVIII-XXIX სიმღერებში.

პირიხას ცეკვავენ დიონისეს მტრებიც, ანუ ინდოელები, მას შემდეგ, რაც ასტაკიდის ტბას დაეწაფებიან, სადაც ბაკქოსი წყალს ღვინოდ გადააქცევს და თრობას მიეცემიან (XV, 57). „დიონისიაკაში“ იარაღით ცეკვა იარაღით ბრძოლის ერთ-ერთი საპირისპირო მოქმედებაა. დიონისე ომში ცეკვავს, ხოლო მისი თანმხლებნი ცეკვითა და თირსოსით ამარცხებენ არესის მფარველობის ქვეშ მყოფ, მახვილითა და შუბით მებრძოლ ინდოელებს.

„დიონისიაკაში“ ცეკვა და ბაკქოსი ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან. ჯერ კიდევ უშობელი დიონისე დედის წიაღში ცეკვავს. პოემაში ვკითხულობთ:

„kai; barun ogkon eþousa qehgenew~ toketoio,
eiþ poterti~ suriggi gerwn ejnel izeto poimhn,
geitono~ eijsaibusa fil agraul ou mel o~ Hcou~,
oipciitwn qal amoio diestice quiadi riphil
Eijk tupo~ oujresifoito~ akoueto dizugo~ auj ou,
uyorofwn apedilo~ aþaqrwskousa mel aþrwn

eij̄ r̄ac̄in aij̄tokel eusto~ ej̄hmado~ eſt̄icen ū h~.
Kumbal on eij̄ pl ataghse, podwn eij̄ el izeto pal mw̄
I oxw̄/kampul on içno~ ūboskairousa pedil w̄” (VIII, 13-21).

(ბაკქოსის მუცლად ყოფნისას, სემელე, როგორც კი გაიგებდა ბებერი პანის სირინგის ხმას, ფეხშიშველა გარბოდა სასახლიდან უბრალო ქიტონში გამოწყობილი ტყიანი ტევრებისა და მთიანი ადგილებისკენ, კიმბალების ხმებზე ცეკვავდა, ბზრიალებდა და ხტოდა ჰაერში).

ამ ყოველივეს მიზეზი კი მის წიაღში მყოფი დიონისე გახლდათ. ხოლო, როდესაც ჰერას მიერ დევნილი პატარა ღვინის ღმერთი აღსაზრდელად ქალღმერთ რეას მიაბარეს, მას „kai; trocaloi; Korubante~ eſt̄w qeodeigmono~ auj̄ h̄- paidokomw/ Dionuson ej̄mitrw̄santo coreih̄“ (ხმაურიანი კორიბანტები ცეკვითა და სიმღერით ართობდნენ – IX, 162-163). ნონოსის მინიშნებით, დიონისემ კაცობრიობას ორი სიკეთე მოუტანა: მევენახეობის კულტურა და ცეკვის ახალი სახეობები (ნიუბოლდი 1993: 89-110).

აღსანიშნავია, რომ „დიონისიაკაში“ ამა თუ იმ პერსონაჟის დაკრძალვის შემდეგ თითქმის ყოველთვის იმართება შეჯიბრი ცეკვაში. მიუხედავად იმისა, რომ ნონოსის მიბაძვის საგანია ჰომეროსი, მისი პოემა ამ საკითხში მკვეთრად განსხვავდება „ილიადასა“ და „ოდისეასაგან“. ამ განსხვავებას თავად ნონოსი უსვამს ხაზს პოემაში. მაგალითად, როდესაც დიონისეს ერთგული და უხვი მასპინძელი სტაფილოსი გარდაიცვლება, მისი დაკრძალვის შემდეგ გაიმართება შეჯიბრი, თუმცა, არა სპორტულ თამაშობებში, არამედ ცეკვაში. ტექსტში ბაკქოსი ამგვარად მიმართავს თავის თანმხლებთ:

„Staful w/de katafqimenw/basil hi
ahtri; filoskarqmw/fil opaigmona r̄lqmon ageirw
oujdromo~ iþposunh~ . . . hmeterh gar
nuissa coror, bal bide~ ej̄iskirthmata tarswn,
ceir trocal h; kai; skarqmo~ eij ix, kai; neuima proswpou
aſtata kinumenoio, kai; aujhessa siwph;
daktula dineuswsa kai; oj̄chsthro~ oj̄wpwhn“ (XIX, 147-154)

(ლხინისა და დვინისმოყვარე განსვენებულ მეფე სტაფილოსს მხიარული ნადიმი ვუძღვნათ, თუმცა, მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან არა ორთაბრძოლასა და ცხენთა სრბოლაში, არამედ მხოლოდდამხოლოდ ცეკვაში, რომლის დროსაც მოქნილი ხელები და ფეხები უსიტყვოდ იმოძრავებენ, თითების მოხდენილი მონაცელება მჭევრმატყვალების ტოლფასი იქნება, თვალთა გამოხედვა კი – უსიტყვო მეტყველების).

მაშ ასე, ცეკვა ნონოსთან მჯევრმეტყველებაა და უსიტყვო მეტყველების თსტატური გამოხატულება, ამიტომაც კარგ მოცეკვავეს შეჯიბრისას დვინით სავსე ოქროს თასი ერგება, რაც უმაღლეს ჯილდოდაა მიჩნეული.

ინდოეთში ბრძოლისას გამარჯვებული დიონისე ელადაში ბრუნდება, სადაც ნიშნად სიხარულისა ცეკვავენ მდინარე ასოპოსი, დიოკეს წყარო (*Aswpo; d' ejcoreue* – XLIV, 8; *kukl adu~ aijsuissousa rba~ wjchisato Dirkh* – 10) და ტყებიც კი (kai; poter ti~ druvento~ ahaiikasa korumbou hmifanh~ ej igainen Amadrua~ uyoqi dendrou – 11-12). ასევე ცეკვით ეგებებიან დვინის ღმერთის მოსვლას ატიკაშიც: ცეკვავს ქუჩებში ბრძოდ გამოსული ხალხი (akoimhitou de; Luaiwu eij- coron euividine~ ephakceusaphsan Jaqhñai – XLVII, 3-4) და თავად მთებიც კი ცეკვავენ (*omozhil w/ de; coreih/ Eulon ejkrouuento mel o~ Khfisiide~ ojcqai* – 1-14). პოემაში ხშირად ადამიანთა სიკვდილიც ცეკვასთანაა შედარებული. როდესაც იკაროსის სასოწარკვეთილი ქალიშვილი ერიგონე თავს ჩამოიხრჩობს, სიკვდილის წინ „მისი ფეხები ისე ირხეოდნენ, თითქოს ცეკვავდნენ“ (*ajmfoterou~ doneusa poda~ bhtarmoni pal mw/* – 225). სხვაგან კი ბრძოლის დროს მეომრის მოჭრილი თავი ისე მიფრინავს ჰაერში, თითქოს ცეკვავსო (XXII, 346-348).

და ბოლოს, ნონოსის სამყარო ეს მუდმივად მოძრავი, დინამიკური კოსმოსია, სადაც თითქოს ყოველივე შეუჩერებლად ტრიალებს წრეზე, როგორც დაუსრულებელი და დინამიკური ცეკვა. სამყაროს ამგვარად აღქმა მეტად დიონისურია და უჩვეულო გვიანანტიკური ხანის ეპიკოსი პოეტისათვის, თუმცა, ამ მოსაზრების ჭეშმარიტება თანამედროვე ფიზიკოსებმაც დაადასტურეს (ნიუბოლდი 1981: 53-68). „დიონისიაკაში“ დვინის ღმერთს ყოველთვის და ყველგან თან სდევს ცეკვა, დაწყებული დედის საშოდან ინდოეთის ბრძოლებით და გამარჯვების ტრიუმფით დამთავრებული. ცეკვა ამარცხებს ომს, ისევე, როგორც მოცეკვავე ღმერთი – მებრძოლ ინდოელებს. ხალხის ცეკვა ნონოსთან დიონისეს ღმერთად აღიარების მაუწყებელია. ღვინის ღმერთის თაყვანისმცემელნი ბაძავენ ბაქოსის მოძრაობას, ანუ ცეკვას. თავად დიონისე ცეკვისას იღებს ღვთაებრივ ენერგიას. ამ ენერგიასთან ზიარებულნი არიან ბაქოსის მიმდევარნიც, რომელნიც ცეკვა-ცეკვით უგლიან ტყეებსა და მთების მწვერვალებს დიონისეს პატივსაცემად გამართულ რიტუალებში. ხოლო, რაც კი უკავშირდება პოემის მთავარ პერსონაჟს, დაკავშირებულია თავად პოემასთან და მისი აგების პრინციპთან. ამიტომაც ადარებს ნონოსი თავის მიერ შექმნილ ნაწარმოებს ცეკვას, რომელიც მოცეკვავე

ქალწულივით ბზრიალებს და უამრავი, დაუსრულებელი სიუჟეტით, ამბით, სახით თუ სახელით თავბრუს ახვევს თავის მკითხველს.

5. ანტიტიპური პოეზია

ბერძნული საგმირო ეპოსის ტრადიციების გათვალისწინებით, პოეტი თავისი ნაწარმოების სტილის თავისებურებებზე პირდაპირ არასოდეს საუბრობს პოემაში, თუმცა, ნონოსი არდვევს ამ ტრადიციას და „დიონისიაკას“ პირველივე სტრიქონებიდან მუზას დახმარებას სთხოვს, იმისათვის, რომ შექმნას „*poikilion sphikon*“, ანუ მრავალსახოვანი, მრავალფერი სიმღერა. სწორედ ეს პოიკილა, ანუ მრავალსახოვნება „დიონისიაკას“ სტილის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურებაა, თუმცა არა ერთადერთი. ნონოსის სტილის მეორე ძირითადი პრინციპია ანტიტიპია და იგი შემდეგში მდგომარეობს: ერთი საგანი, მოვლენა აისახება მეორეში, რომელიც თავის მხრივ ეხმიანება პირველს. ამ ფორმულას თავად ნონოსი პოემაში „*disticos almonihi*“-ს (ორგაეპოვან პარმონიას) უწოდებს, ხოლო მისი მკვლევარნი ზახაროვა და ტორშილოვი „ნონოსის პოეტიკის დოგმატიდ“ მიიჩნევენ (ზახაროვა 2003: 19-40).

ნონოსის პოეზიის ამ თავისებურების სიმბოლოა სარკე, რომელსაც სხვადასხვა ფორმისა თუ სახის ორეულის წარმოშობის თვისება აქვს. „დიონისიაკაში“ ვხვდებით, როგორც ანტიტიპურ სახეებს, ასევე ანტიტიპურ ტროპებს, ანტიტიპია გვხვდება პოემის კომპოზიციაშიც. თავად „დიონისიაკასაც“ ხომ ნონოსი პომეროსის მიბაძვით შექმნილს, ანუ „*tupon mimhilon Omhrou*“ უწოდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს თავის მცდელობას შექმნას „ილიადისა“ და „ოდისეის“ ორეული პოემა. აქედან გამომდინარე, თუკი ნონოსისეული იოანეს სახარება ევანგელიეს ანტიტიპს წარმოადგენს, მაშინ „დიონისიაკას“ პომეროსის ეპოსის ანტიტიპი შეგვიძლია ვუწოდოთ.

და საბოლოოდ, ანტიტიპიის გამოყენების მიზნით ნონოსი რამდენჯერმე აღწერს ერთსა და იმავე ეპიზოდს, ერთსა და იმავე სახეს და იმავდროულად ასახავს სხვა წიგნის ეპიზოდებსა და სახეებსაც. მაგალითად, პოემაში საკმაოდ ხშირად აღწერს ნონოსი პომეროსის ექვს გარდასახვას, რომელთა აღწერისას იმეორებს პომეროსის სტრიქონებსაც.

ნონოსი ანტიტიპური საგნებისა თუ მოვლენების ერთმანეთთან დაპირისპირებისას მიმართავს ტერმინებს: *ajtiitupo~, ijsotupo~, ajtirjvbro~, tupo~*. თუმცა, ყველაზე ხშირად იყენებს სიტყვა *ajtiitupo~, ომლის წინსართი აჟთი ნონოსისათვის მხოლოდ „საწინააღმდეგოს“ არ ნიშნავს. სწორედ ამ ტერმინის გამოყენებით ნონოსი ცდილობს აღწეროს ყველა ის ანტიტიპური სახე, ომელსაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს ხელითქმნილსა და ხელთუქმნელს, მიწასა და ზეცას, მეტყველებასა და დუმილს, ომსა და მშვიდობას.*

შევეცდებით ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ნათელსაყოფად ნაშრომში ანტიტიპური სახეების მაგალითები წარმოვადგინოთ. ასევე ყურადღება შევაჩროთ ნონოსისეული საგნებისა და მოვლენების ორეულებზე, ომელთაც ავტორი ერთდროულად ამსგავსებს კიდეც და განამსგავსებს.

5.1. ლაქებიანი ტყავი, ვენახი და ვარსკვლავიანი ზეცა

მას შემდეგ, რაც ნონოსი „დიონისიაკას“ I სიმღერაში შესთხოვს მუზებს მოუთხრონ პროტევსის გარდასახვებზე, ომლის ანტიტიპად იქცევა შემდგომ მისი პოემა, ევედრება მათ შემოსონ მისი სხეული ირმის ტყავისგან დამზადებული რიტუალური მოსასხამით – ნებრისით. ტექსტში ვკითხულობთ:

„*a&katermoi narqhka, Mimal lone~, wjnadithn de;
nebrida poikil onwton ejhmono~ ajti; ci twno~
sfigxatermoi sternoisi,*“ (I, 34-36).

(მომეცით მე ნართეკი, მიმალონებო*, და ჩვეულებრივი ქიტონის ნაცვლად, სამხრე ჭრელზურგოვანი ნებრისით შემოსეთ ჩემი მკერდი).

ნებრისი ნონოსთან ყოველთვის ჭრელია, ლაქებიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი შვლის ტყავისაა და არა ირმისა, რადგან ზრდასრული ირმის ტყავი კარგავს სიჭრელეს. ინიციაციის რიტუალებში ნებრისს რიტუალური ფუნქცია ენიჭება.

საფიქრებელია, რომ სიტყვა ნებრისი (*nebrif*)** ბერძნულ პოეზიაში ტრაგიკოსებმა დამკვიდრეს, რადგან ის არც პომეროსთან და არც მის შემდეგდროინდელ ეპიკოსებთან არ გახვდება. უკრიპიდე, ისევე როგორც ნონოსი,

* ნონოსთან მიმალონი – იგივეა, რაც ბაქები ქალი, მენადა, ბასარიდი ან მენალიდი.

** ახალგაზრდა ირმის ტყავს ნიშნავს (დვორეცე 1958 ა: 1124).

ნებრისს „ჭრელს“ უწოდებს*. ნონოსი ხშირად ახსენებს ნებრისს, რადგან მისი პოემის მთავარი გმირი ნებრისს ატარებს. ინიციაციის რიტუალიც ხომ დიონისეს უკავშირდება.

ირმის ოეთრწინწკლებიან მუქ ტყავს, ანუ ნებრისს, ისევე როგორც ყოველივეს ნონოსის პოეზიაში, გააჩნია თავისი მეწყვილე და ანტიტიპი: ეს არის ჯიქის მუქწინწკლებიანი ღია ფერის ტყავი. ეს ცხოველი მჭიდრო კავშირშია დიონისეს კულტთან. ვაზების მხატვრობაში ხშირია დიონისეს გამოსახულება, რომელსაც ეტლში ჯიქები ჰყავს შებმული. ჯიქი და მისი ტყავი უფრო მეტად მოგვაგონებს პომეროსის რეალიებს, ვიდრე ირემი: ჯერ ერთი ჯიქი პროტევსის ერთ-ერთი გარდასახვად „ოდისეაში“ (Od. IV, 457), გარდა ამისა, მენელაოსი სწორედ ჯიქის ტყავითაა შემოსილი პოემაში.

„დიონისიაკაში“ ვხვდებით მრავალ ეპიზოდს, როდესაც ჯიქის ტყავი და ნებრისი დაწყვილებული არიან. მათ ასევე გააჩნიათ საერთო ეპითეტები. მაგალითად, დიონისე პირობას დებს, რომ დაგლეჯს თავის მიჯნურ ნიკაიასათვის ჯიქთა „დიდი ხელოვნებით დამუშავებულ ტყავებს“ (*dermata pordal iwn pol uidaidala* – XVI, 96) „ხელოვნებით დამუშავებულ ნებრისებთან ერთად“ (*nebris i daidalehs* – XVI, 99), თუკი ქალწული შეიყვარებს მას. ხშირად ბაქები ქალების აღწერისას, ერთს ჯიქის ჭრელი მოსასხამი აცვია, მეორე კი ირმის მოსასხამშია გახვეული (*ai^{ll} h poikilonwton epi; sternoio kal uptrhn pordal iwn, efterh de; kata; croo~ oīla citwna stikta; filoskopel iwn ejhedusato dermata nebrw* – XIV, 357-360).

უნდა აღინიშნოს, რომ ნონოსი პოემაში ირმისა და ჯიქის გარდა შემოჰყავს სხვა ლაქებიანი (ხალებიანი) ცხოველები. მაგალითად, ფოცხვერი (Iugka~ – IX, 188), როგორც ჯიქის მეწყვილე და ანტიტიპი. ასევე ვეფხვი, რომელსაც ნონოსი იმავე ეპითეტებით იხსენიებს, როგორც ირემსა და ჯიქს: *ai^{pl} eo~, ai^{pl} onwto~* (ლაქებიანი – VI, 197; IX, 173), *daidaleo-* (XI, 69) და *stiktor* (ჭრელი – XL, 265). საინტერესოა, რომ ნონოსი ახსენებს გველსაც, როგორც ერთ-ერთ ლაქებიან არსებას.

„დიონისიაკაში“ ნებრისს უკავშირდება დიონისეს კულტის კიდევ ერთი სიმბოლო – ვაზი. თუმცა, მათი დაკავშირება ნაწარმოებში უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე ეს ნებრისისა და ჯიქის ტყავის შემთხვევაში გვქონდა.

* „ბაქე ქალებში“ ნახსენებია „ჭრელი ნებრისები“ (*poikilasi nebris* – Eur. Bacch. 249).

როდესაც ამპელოსი, დიონისეს ორეული და სატრფო, ვენახად გადაიქცა, პოემაში ბაკქოსი ასე აღწერს მისი ნებრისის ყურძნის მარცვლებად გარდასახვას:

„ . . . kai; aujh;

nebri~ aþexomenh~ pol uðaïdal on aþqo~ oþwrh~” (XII, 179-180).

(და თვით ნებრისი გარდაიქმნა ნაყოფის ჭრელ ფერებად).

აქ შემთხვევითი არ არის, რომ ნონოსი ზუსტად იმავე ეპითეტით მოიხსენიებს ყურძნის მარცვლების ფერებს, როგორითაც ნებრისს, ჯიქსა და სხვა ლაქებიან ცხოველებს. თუმცა, ამ შემთხვევაში *pol uðaïdal on* ითარგმნება, როგორც „ჭრელი“ ან „გადაჭრელებული“. მართლაც ვენახი, შემკული მოჩუქურობებული ფოთლებითა და ყურძნის მტევნებით დახუნძლული, შეესატყვისება პოიკილიის იდეას. საინტერესოა, თუ რატომ ანიჭებს ნონოსი უპირატესობას ნებრისს დიონისეს კულტის სხვა ატრიბუტებთან შედარებით. ამ კითხვაზე პასუხს თავად ავტორი გაგვცემს: პოემაში იგი რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ თეთრი ლაქებით დაწინწკლული ნებრისი ვარსკვლავიან ზეცას ჰგავს და მის ანტიტიპს წარმოადგენს. ნონოსი ამგვარად აღწერს, თუ როგორ გაეხვევა ყმაწვილი დიონისე ირმის ტყავში:

„kai; croi;l acnhenta~ aþeclainwse ci twna~
Euijio~ aþt i teles ton eþcwn paidhiion eþhn,
daidalehn ejl aiþoio ferwn wþoisi kal uptrhn,
aiþeriwn mimhl on eþcwn tupon aiþl on aþstrwn” (IX, 184-187).

(და შეიმოსა სხეული ხშირბეწვიანი ნებრისით ყმაწვილური ხიბლით სულ ახლახანს დავაჟკაცებულმა ევოემ. ზურგზე მოისხა დიდი ხელოვნებით დამუშავებული ირმის სამოხი, რომელიც ჰგავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას).

ის, რომ ნებრისი ნონოსთან ვარსკვლავიანი ზეცის გამოსახულებაა, პოემაში კიდევ რამდენჯერმეა აღნიშნული: დიონისე მიემართება ომში და „nebrida lacnhessan eþi; sternoio kaqaiya~, stikton eþcwn qwrhka tupon kecaragmenon aþstrwn“ (მკერდს რბილბეწვიანი ნებრისით იმოსავს, ლაქებიანი ჯაგმნით, რომელიც ვარსკვლავების დარად არის მოხატული – XIV, 238-239). სხვაგან სატირები იმოსებიან „ვარსკვლავიანი ცის მსგავსად მოხატული ირმის ტყავით“ (XIV, 133-134).

რ. ეისლერის მოსაზრებით, ლაქიანი ცხოველის ტყავის ვარსკვლავიან ცასთან გათანაბრების იდეა დაკავშირებულია ორფიკულ ტრადიციასთან. ეისლერი

იხსენებს ასევე ეგვიპტელი ქურუმის ქანდაკებას, რომელიც ვარსკვლავებით შემკულ ჯიქის ტყავშია გახვეული* (ეისლერი 1910: 102).

„ეთერის მსგავსეს“, „ეთერის სახეს“ (Turo- aiþero-) უწოდებს ნონოსი „ვარსკვლავიან გლობუსეს“ (VI, 65) და ტირსოსელი ღმერთის ასტროქიტონის სამოსს (X, 416). თავად ასტროქიტონი პოემაში ვარსკვლავიანი ზეცის პერსონიფიკაციაა.

5.2. ღვინო და მისი ორეულები

ჰველი ბერძნებისა და რომაელების ცხოვრებაში ღვინოს უდიდესი ადგილი ეკავა. ბერძნებს სწამდათ, რომ ღვინოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. მაგალითად, პომეროსი თავის პოემებში ხშირად აღნიშნავს, რომ ადამიანი ავნებს თავის frenē**-ს ღვინით (Hom. Od. XXI, 293). ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში ითვლებოდა, რომ სული შედგება პაერისაგან, ხოლო ჭარბი ღვინო ამძიმებს მას. ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ მშრალი სული საუკეთესოა, რადგანაც ის ყველაზე უფრო გონიერია (ონიანსი 1999: 52-53). თუმცა, ამავდროულად, ღვინო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბერძნებისა და რომაელების რიტუალებსა და წარმენა-წარმოდგენებში. მაგალითისთვის ისევ პომეროსის პოემებს მიუჟღუნდებით, სადაც ხშირად ღმერთებს მსხვერპლად სწირავდნენ ძვლებს, რომელნიც ცხიმით იყო დაფარული და ღვინით დასველებული (Il. XI, 772-774; Od. III, 456-459). ასევე ხშირად მიცვალებულის სხეულს კრემაციის შემდეგ ღვინოს აპკურებდნენ (Il. XXIII, 250; Od. XXIV, 71-73). რ. ონიანსის მოსაზრებით, ამგვარი რიტუალები უკავშირდება წარმოდგენებს ადამიანებსა და მცენარეებს შორის არსებულ მჭიდრო ნათესაურ კავშირებზე: ადამიანის არსებობისთვის აუცილებელია სითხე, ისევე, როგორც – მცენარეებისა და მათი ნაყოფისთვის. სწორედ ამ წარმოდგენასთანაა დაკავშირებული მიცვალებულთა პატივსაცემად შესრულებული მსხვერპლშეწირვა – ღვინის დაღვრა (coai), რომლის მეშვეობით ისევე, როგორც მცენარის კურკა ან თესლი კვლავ აღმოცენდება, ასე

* ქანდაკება ინახება ქ. ტურინში.

** frenē--ი ნიშნავს გულმკერდს, გულს, სულს (დვორეცკი 1958 ა: 1746). მეცნიერთა ნაწილი თვლილია, რომ ამ სიტყვაში ძველი ბერძნები დიაფრაგმას გულისხმობდნენ. მოგვიანებით ონიანსი და იუსტესენი ცალ-ცალკე მივიღნენ დასკვნამდე, რომ frenē--ში იგულისხმებოდა ფილტვები, რომელიც ადამიანის სულის სამყოფელად მიიჩნეოდა (ონიანსი 1999: 45-46; 52-53).

გარდაცვლილის სული პვლავ სიცოცხლეს ეზიარება. ამ შემთხვევაში დვინო გაიგივებულია სასიცოცხლო სითხესთან, რომელიც ასოცირდებოდა ადამიანის ან ცხოველის ძვლის ტვინთან, სპერმასთან, წყალთან და ამა თუ იმ მცენარის წვენთან. სასიცოცხლო სითხესთანაა გაიგივებული დვინო, როდესაც მას სვამენ ვისიმე დღეგრძელობის მიზნით ან მიცვალებულების მოსაგონებლად. ეს ადათი ჩვენს დროშიცაა შემორჩენილი, თუმცა, უცნობი რჩება მისი ფესვები.

გარდა ძველი ბერძნებისა, რომაელებიც აიგივებდნენ დვინოს სიცოცხლისათვის აუცილებელ სითხესთან, ამიტომაც ისინი სხეულს დვინით იზელდნენ და მას თავზეც ისხამდნენ. ითვლებოდა, რომ დვინო აძლიერებდა ადამიანის სექსუალობას (ონიანსი 1999: 216-217; 268-270). ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ დვინის დმერთ დიონისეს კულტი აშკარა ფალიკურ ხასიათს ატარებდა. ამას უნდა უკავშირდებოდეს ისიც, რომ დიონისესა და ბაქქ ქალებს შესწევდათ სხვადასხვა ადგილიდან წყლის, დვინის, რძისა და თაფლის გადმოდინების საოცარი უნარი (Eur. Bacch. 692-697).

„დიონისიაკაში” დვინის დმერთის ერთ-ერთი ეპიფანია სწორედ ვაზია. როდესაც ღმერთს გემბანზე ტირსენიელი მეკობრები შეიპყრობენ, იგი უზარმაზარ ყურძნის მტევნებით დახუნძლულ ვაზად გადაიქცევა (XLV, 137-145). პოემის ერთ-ერთ სიმღერაში სემელ ვაზის ლერწონაა გაიგივებული (Semel h futon hjen – VII, 155), რომელიც „დახუნძლულია ყურძნის უმწიფარი მტევნებით” (bebarhmenon oīmfaki karpw – 145), რაც ჯერ კიდევ უშობელ დიონისესთანაა შედარებული. ვაზისა და ადამიანის გაიგივების საოცარი მაგალითია დიონისეს მიჯნურის – ამპელოსის* გადაქცევა მსხმოიარე ვენახად. ტექსტში ვკითხულობთ:

„Ampel o~ aujtotele esto~ ehn hij l akato morfhn,
kai; pele nhdu mon aīqo~. Ajmeibomenoio de; nekrou
gasthr qamno~ ehn perimhketo~, akra de; ceirwn
akremone~ blaisthsan, ejherrizwnto de; tarsoi
bostruca boitrua~ hjsan” (XII, 175-179).

(ამპელოსმა თავისთავად შეიცვალა სახე და მზარდ მცენარედ გადაიქცა. მისი მკვდარი მუცელი ხვიარა რტოებად და ლამაზ ყლორტებად იქცა, თითების ბოლოებიდან ვაზის ლერწები გაეზარდა, ქუსლებიდან წამოზრდილი ფესვები მიწაში ჩაეფლნენ, კულულები კი ყურძნის მტევნებად გადაიქცნენ).

* ampel o~ – ვაზი ან ყურძნი (დოროევი 1958: 99).

გარდა ამისა, „დიონისიაკაში” ვხვდებით სტაფილოსს*, ბოტრისსა** და მეთეს***. ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან და პოემის XVIII სიმღერაში დიონისეს მასპინძლობენ.

ჩანს, გვიანანტიკურობაში დვინოს არ დაუკარგავს სიცოცხლის მიმნიჭებელი სითხის ფუნქცია, მეტიც, ნონოსთან ის ნაიარევთა წამალია. ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაჭრილებს ბაკქოსი ხავსითა და დვინით კურნავს (XXIX, 153-154), სხვაგან კი დაჭრილ ბაკქ ქალებს ჭრილობებს ვაზით უხვევს (XXIX, 264). დიონისე პირდაპირ კავშირშია ამ სიცოცხლისთვის აუცილებელ სითხესთან, რომლის ერთ-ერთი სახეა დვინო, ანუ ყურძნის წვენი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პოემაში დვინოს ასევე ნეგატიური ზემოქმედებაც შეუძლია***.

„დიონისიაკაში” დვინოს, ისევე როგორც თითქმის ყველაფერს, ორეულები გააჩნია. ვფიქრობთ, ერთ-ერთი მათგანია რძე. პოემაში რძე დვინის მეტოქედ ითვლება. გარდა იმისა, რომ რძით შესაძლებელია ჩვილის ან მოზრდილის გამოკვება, მას ასევე სამკურნალო თვისებებიც აქვს, მას ნონოსი „მკურნალ სითხეს” (XXXV, 310) უწოდებს. როდესაც დიონისეს სიგიუე შეიძყრობს, მისი განკურნება მხოლოდ ჰერას რძის საშუალებით მოხერხდება. ქალღმერთის რძე ბაკქოსს ოლიმპოსისკენ მიმავალ გზას გაუხსნის (*shn ierhn r̥aqamigga prohghteiran þi utroui**** – XXXV, 304*). საერთოდ ბერძნულ მითებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ჰერა ძუძუს აწოვებს და უკვდავებას ანიჭებს ზეგის ვაჟებს, მაგალითად, ჰერმესსა და ჰერაკლეს (დეონა 1955: 15-20). სწორედ ამის გამო ჰერას ხშირად ეწოდებოდა „კუროტროპოსი”. რასაკვირველია, ნონოსი ამ შემთხვევაშიც ანტიკურ ტრადიციას მიჰყება.

ვფიქრობთ, აუცილებელია ავხსნათ, თუ რატომ ანიჭებს ნონოსი ასეთ დიდ მნიშვნელობას რძეს, რომ არა ჰერას რძე, პოემის მიხედვით დიონისე ვერც უკვდავებას ეზიარებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ნონოსი ხშირად ქალის მკერდს, მისი ამოზნექილი ფორმის გამო, ბორცვთან აიგივებს*****.

* Staful hɪ – ყურძნის მტევანი (დვორეცი ა 1958: 1500).

** boîtru – ყურძნის მტევანი (დვორეცი 1958: 302).

*** Meqħ – თრობა (დვორეცი ა 1958: 1061).

**** დვინის ნეგატიურ ზემოქმედებაზე იხილეთ ქვეთავი – დიონისე – მითისა და მისტერიული რელიგიის პერსონაჟი.

***** „ოლიმპოსისკენ გზის გამკვლევი წმინდა წვეთი“.

***** პოეტი ერთ-ერთი ბაბქი ქალის მკერდს ბორცვებს ადარგს, ხოლო ძუძუსთავებს – წყლიან გაშლებს (XXXV, 32-33).

ბორცვი კი ეხმიანება ნონოსთან კოსმოსის წარმოსახვას. ხშირად კოსმოგონიურ მითებში სამყაროს ხელახლა დაბადება აღწერილია წყლის ზედაპირიდან ბორცვის ან გორაკის გაჩენით. როდესაც პოეტი აღწერს, თუ როგორ აღსდგა სიცოცხლე დედამიწაზე საშინელი წარლვნის შემდეგ, მოგვითხობს, რომ „წყლის სიღრმიდან პირველად მთის შიშველი მწვერვალები გამოჩნდა” (εἰτ̄ διπίσυ- κευκτωνα- εἴγυμηνθισαν εἵριψαι – VI, 379). გარდა ამისა, ბორცვს, გორაკს, მთასა და კლდეს რიტუალური ფუნქცია გააჩნდა. თრაკიასა და ფრიგიაში კლდე ან მთა ითვლებოდა დვთაება დიდი დედის საცხოვრებელ ადგილად ან ასოცირდებოდა მასთან. ხწორედ ქალის მკერდის ბორცვთან ან მიწასთან გაიგივებას უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ „დიონისიაკაში” ხშირად რძე არა ქალის მკერდიდან, არამედ მიწის წიაღიდან მოედინება, როგორც ჩანჩქერი ან წყარო (XXII, 15-18; XLI, 123-125)*.

პოემაში ქალი და მისი მაკროკოსმოსი დედამიწა ერთდროულად სიცოცხლის მომნიჭებელნი და მისი გამანადგურებლები არიან (ნიუბოლდი 2000: 11-24). შესაბამისად, ნონოსთან ქალის მკერდიც ამბივალენტურია: ის არის ნუგეში, ხსნა და პვების წყარო, თუმცა, ამავე დროს მაცდურია, ძლიერი და საშიში. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ტექსტიდან მოვიტანთ ქალის მკერდთან დაკავშირებულ შემდეგ ეპითეტებსა და შედარებებს: „შიშველი მკერდი – ეროსის ისრები” (gumnoi; mazoi... akontisthre- eīwtwn – VII, 264); „ცეცხლოვანი მკერდი” (mazoi pursoi – V, 592); „რძიოთ სავსე მკერდი” (mazoi; q̄l ibomenoio galakto – IX, 57-58); „მკერდი – მშვილდის ლარია, ძუძუსთავები – ეროსის ისრები” (sthqo- eīcei- aste tokon, eipei; sev mal l on oīstwn mazoi; oīsteususin oīsteuthre- Erwtwn – XXXV, 42-43); „ეჭვიანი მკერდი” (zhl hmwn mazoi – XXXV, 327).

გარდა იმისა, რომ პოემაში ქალის მკერდი ამბივალენტურია, ნაწარმოებში აშკარად გამოიყოფა მშობელი დედის ორი ტიპი: ერთი, რომელსაც შვილისთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია და მეორე, რომელიც საშიშ, დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს**. დაგიწყოთ იქიდან, რომ პერა, რომელიც დიონისეს დედინაცვალია, პოემაში ბაკქოსის მუდმივი მტერია: დაწყებული პატარა დმერთის შებიძან იგი ყოველთვის და ყველგან დევნის დიონისეს. გარდა ამისა, პოემაში ხშირია მაგალითები, როდესაც დედები თვითონ კლავენ თავიანთი შვილებს (აგავ,

* ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას ეხმიანება პოემის ტექსტიდან ერთი ფრაზა, სადაც ვკითხულობთ, რომ პერას მკერდიდან რძე „წყაროსავით მოედინება” (b̄l ipousta caiin – XXXV, 327).

** არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით ბაგშვის ფსიქოლოგიაში ნამდვილად გამოიყოფა დედის ორი ტიპი – „კარგი” და „ცუდი” (პარკერი 1995).

თემისტო, არგოსელი ქალები, ავრე)^{*}. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ „დიონისიაკაში“ როგორც ქალის მკერდის, ასევე ზოგადად ქალის სიმბოლიკა ღვთაება დიდი დედის არქეტიპულ სახეს უკავშირდება და მას წარმოაჩენს, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელს, ნაყოფიერსა და ბარაქიანს, რომელიც, ამავე დროს, პოტენციურად საშიში და დესტრუქციული ძალის მატარებელია.

ღვინის ერთ-ერთი ორეულია ასევე თაფლი. ნონოსი ხშირად გოლეულს ვენახს ადარებს, რადგან ის ისეთივე ჭრელია და მრავალფეროვანი, როგორც ვენახი. შესაბამისად, მისთვის ღვინო თაფლს ეხმიანება, რომელსაც შემდეგი ეპითეტებით ამკობს: *poikilο~, aiριο~, daidaleo~*. პოემაში მოთხოვობილი მითის მიხედვით ერთმანეთს ეპაექრებიან დიონისე და არისტეოსი – თაფლის აღმომჩენი. ისინი თავიანთი სასმელებით გაუმასპინძლდებიან ოლიმპოს ღმერთებს, რომლებიც უპირატესობას არა თაფლს, არამედ ღვინოს მიანიჭებენ. რასაკვირველია, მითი ორჯერ არის მოთხოვობილი პოემაში (XIII, 255; XIX, 227).

ნონოსი ასევე ერთმანეთთან აკავშირებს ღვინოსა და ნექტარს, როგორც ზეციურსა და მიწიერს: ამპელოსის მრავალფერი ნებრისი, ზეცის ხატება, გადაიქცა მრავალფერ ვენახად. ამის შემდეგ ნებრისში გახვეულმა დიონისემ აჩუქა დედამიწას ღვინო, რომელიც ზეციური ნექტარის მიწიერი სახეა და ხატება**.

5.3. მხატვრობა და დამწერლობა

ხელოვნების ერთ-ერთი სახე, რომელიც უცხო იყო კლასიკური ეპოსისათვის და აღწერილია ნონოსთან, არის მხატვრობა. დ. გიგლი-პიკარდი აღნიშნავდა, რომ მხატვრობა და პანტომიმა, როგორც ხელოვნების დარგები, გვერდიგვერდ იდგა პლოტინთან ხელოვნების კლასიფიკაციისას (გიგლი პიკარდი 1984: 58). ნონოსის ცნობიერებაშიც ისინი გვერდიგვერდ დგანან. იგი „დიონისიაკაში“ ხშირად აღწერს პანტომიმას მხატვრობის ტერმინებით: *grafein, carassein*.

მხატვრობა ნონოსთან ყოველთვის უკავშირდება წინასწარმეტყველებასა და სამყაროს ბედისწერის წინასწარ განსაზღვრულობას. პოემაში მოხსენებული თრივე

* XLVI, 184-215; IX, 312-321; XLVII, 579-589; XLVIII, 916-921.

** „nektaro~ oujranio~ cponion tupon“ (XII, 159).

მხატვრის სახელი პირველშობილი ფანესი* და გველი ოფიონი**, დაკავშირებულია უძველეს ორფიკულ მითოლოგიასთან. ნონოსთან სამყაროს ბედისწერის წინასწარმეტყველება არ შეიძლება არ უკავშირდებოდეს ასტროლოგიას, ამიტომაც ფანეტის ნახატები მზე-ჰელიოსის სახლშია მოთავსებული, მათი აღწერა კი გაჯერებულია მნელადასახსნელი ასტროლოგიური დეტალებით (XII, 34). ფანეტმა დასატა ან დაწერა (epigram) სამყაროს ბედი და „ოსტატურად გამოხატა“ (poikile) ყოველი ნახატისათვის შესაფერისი „სახლი“ (oikou). ამასთანავე ფანეტის ნახატთა რაოდენობა ემთხვევა ზოდიაქოს თორმეტ ნიშანს, ოფიონის ნახატი კი შვიდია, პლანეტათა რაოდენობის შესაბამისად. მათზე სამყაროს ბედი მეტამული ფერითაა გამოსახული. თავად ბედისწერა კი „ჭრელია“ (poikila – XII, 351).

მოვიტანთ მაგალითს ტექსტიდან, სადაც აღწერილია ფანეტის ნახატის ერთ-ერთი გამოსახულება:

„kai; i stopono~ Filomilh
daidal a fwnhenta sof w/grayasa ci twni
e ssetai aipl o deiro~ upotruzousa cel idwn,
marturihn boowsa l ipogl wssoi siwph~“ (XII, 75-78).

(ზეცაში ჭიკჭიკებს ოდესდაც მქსოველი ფილომელა, რომელიც გადაიქცა ჭრელკისერა მერცხლად და ჟღურტულებს უენო ქალწული, რომელმაც ქიტონზე საიდუმლო ნიშნები გამოხატა).

ფანეტის ხელოვნება ფილომელას ხელოვნებასთან არის შედარებული. ფილომელა თავის უბედურებას ასახავს ქიტონზე, რაც თავისთავად მუნჯი გოგონას მეტყველების „გამოხატულებად“ იქცევა. არაქნეც მეტყველების ნაცვლად თავისი სათქმელის გადმოცემას ქსოვისას გამოსახულებების მოქარგვით ახერხებს, როდესაც ის პალასს ხელსაქმეში ეჯიბრება და ღმერთთა სხვადასხვა ბრალდების ამსახველი სურათებით ქარგავს ქსოვილს (Ovid. Met. VI, 1-145).

დამწერლობის ნიშნები, „მეტყველი მდუმარების“ პარადოქსად გვევლინებიან. პოემაში ისინი თავისთავად გაჩნდნენ სუმბულის ფურცლებზე, ხოლო ხალხს კადმოსმა მოუტანა. „დიონისიაკაში“ ამის შესახებ ვკითხულობთ: „მოამზადა წერილობითი სახე დაუდუმებელი მდუმარებისა“ (IV, 263). დაუდუმებელ მდუმარებას

* ნონოსთან ის ღმერთია, რომელიც კრონოსზე უფრო ძველ ღვთაებადაა მიჩნეული. ერთ-ერთი მოსაზრებით, ის კენტავრია.

** ტიტანი, წინასწარმეტყველი და წინასწარმჭვრებია. იგი ოდესდაც ბატონობდა ზეცაში.

(sigh: ajsighto-) ნონოსი უწოდებს დამწერლობას. საფიქრებელია, ამ გამოთქმაში იგი თავის საჟვარელ ანტიოქიას ხედავს.

5.4. მეტყველი მდუმარება

მეტყველება და დუმილი ნონოსის ერთ-ერთი საყვარელი ანტიოქიაა. პოეტი ჟესტების ენას რამდენჯერმე აღწერს პოემაში¹⁵. ელექტრა თავის ქალიშვილს ჰარმონიას უხმობს ჟესტით, რომელიც გავრცელებული იყო ხელთაშუა ზღვის ქვეყნებში: ხელი წინაა გაწვდილი, ხელისგული ძირს დაშვებულია და თითები მოძრაობები (IV, 6-7). ჟესტი მეტყველების გამომხატველია დუმილით. მეორე „ფრაზა“ ჟესტების ენისა ესაა წინ გაწვდილი თითი, რომელიც რაიმეზე მიუთითებს: პეიონმ „უსიტყვოდ ამცნო“ (sigalew/ khruki – III, 128) კადმოსს, თუ სად იმყოფებოდა ჰარმონიას სასახლე, კითხულობთ პოემაში.

სხვადასხვა ხალხის მითოსში ხელს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. ინდოელთა წარმოდგენით, მრავალხელიანი დმერთები და ქალღმერთები განსაკუთრებულ ძლიერებას გამოხატავდნენ. ინდუისტურ და ბუდისტურ სამყაროში შეიქმნა სიმბოლოების სპეციფიკური ენა, რომელიც ხსნის ხელისა და თითების ორი ათასზე მეტ სიმბოლურ ჟესტს. სწორედ ხელებისა და თითების ჟესტების – „მუდრების“ – ენა დაედო საფუძვლად აზიურ რიტუალურ ცეკვებს. ასე რომ, ხელი არის ყველაზე „ჭკვიანი“ ორგანო, რომელიც სიმბოლოების ენით „საუბრობს“. თუ ამ თვალსაზრისს გავაღრმავებთ, ცხადია, რომ ხელებით მეტყველება ყველაზე უნივერსალურია, მას განმარტება არ სჭირდება (ცანავა 2005: 156).

„დიონისიაკაში“ თვალთა მოძრაობაც ხშირად აღწერილია, როგორც „მეტყველი მდუმარება“. „მდუმარე უწყებით“ (khruki siwph/ – XXX, 39) თვალები გამოხატავენ რისხევასა და წუხილს. „მკაფიო მდუმარებით“ (nohmoni siwph/ – XLII, 231) თვალები ინადირებენ ქალწულის გულს. „მდუმარე უწყებას“ (khruki siwph/ – XXXIII, 27) თვალთა და ხელთა დახმარების გარეშე შესწევს უნარი, გამოხატოს მწუხარება სახის გამომეტყველების, ან ნამტირალევი ლოკების „მდუმარე მოწმეების“ (sigaleai khruke~ – IV, 11) საშუალებით და თავად ცრემლებიც „მდუმარენი“ (sigalevi – V, 383) არიან, თუმცა, ყოველთვის რაღაცას გვაუწყებენ.

საბოლოოდ, „დიონისიაკაში“ თითქმის ყველა პერსონაჟი და საგანი დუმს. სარკე ნონისთან კითხვებზე პასუხობს „მდუმარე უწყებით“ (*sigalew/ khruki* – V, 596). დაქ, ამფიონის ლირის ჰდერადობას დაემორჩილონ ქვებიც კი, მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ გამოსახულებაა დიონისეს ფარზე და ნონისს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ იგი „მდუმარეა“ (*sigaleh* – XXV, 424). „ხელოვნურად მდუმარენი“ (*tecnēmoni sighl* – III, 172) არიან პეფესტოს ძაღლები, თუმცა, მალე ირკვევა, რომ შეუჩერებლად ყეფენ.

„დიონისიაკაში“ დუმილისა და მეტყველების კიდევ ერთი სახეა პანტომიმა. პომეროსთან მუზები მხოლოდ მდეროდნენ: „*Mousai d i ejneia pasai ajmeibomenai ojri; kal h/ qrhneon*“ (Hom. Od. XXIV, 60). არაფერია იმაზე ნათქვამი, რომ ცეკვავდნენ კიდეც. ასევეა პესიოდეს „ოუგონიაში“, სადაც ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ შეასწავლეს მას სიმღერა მუზებმა, როდესაც ის ცხვარს მწყემსავდა პელიკონის მწვერვალზე (Hes. Theog. 22-23; 31-32). სამაგიეროდ, „დიონისიაკას“ პირველივე თავში ნონისის მუზები ცეკვავენ პროტევსის გარშემო კიმბალებით, საჩხრიალოებით და არაფერია ნათქვამი მათ სიმღერაზე. მუზები მდერიან და ცეკვავენ პარმონიასა და კადმოსის ქორწილშიც, სადაც ისინი აპოლონთან ერთად მივიდნენ. პოემაში გკიოთხულობთ:

„eij- gamon Armoniħ~ jisminio- h̄i qen Apollwn
eptatonw/kiqarh/filothision uñnon ajaisswn.
Kai; mel o- ekroutsanto biossoon ejneia Mousai,
kai; palama- ej el ize Pol umnia maia coreih~,
mimhl hn d jeçaraxen ajaudeo- eikona fwnh~,
fqeggomenh pal amħsi sof on tupon eħħfroni sigh/
ofħħmata dinevusua“ (V, 101-107).

(პარმონიას ქორწილში მოვიდა ისმენიელი აპოლონი
და შვიდსიმიან კითარაზე სასიყვარულო ჰიმნს ასრულებდა.
ათივე მუზამ ერთად დაიწყო გამაცოცხლებელი სიმღერის მდერა,
პოლიმნია* კი, ცეკვის სულისხამდგმელი (ბებიაქალი), არ აძლევდა ხელებს მოსვენებას,
თითქოსდა, ქალღმერთი ცეკვით, მჭევრმეტყველური ქესტებითა და
თვალთა მოძრაობით უხმო სიტყვებს გადმოსცემდა
და ყველაფერს ბრძნელად აღწერდა).

* ერთ-ერთი მუზა.

უქმებელია, რომ პარმონიას ქორწილში პანოპოლისელის მუზა პანტომიმას ცეკვას და „მეტყველი მდუმარებით“ აჩვენებს უამრავ ჟესტს.

პანტომიმა – სრულიად უცხო ტრადიციული ბერძნული ეპოსისათვის, ელინისტურ პერიოდში წარმოიშვა, ხოლო რომის იმპერიის დროს კი თეატრალური წარმოდგენების ერთ-ერთ გავრცელებულ სახეობად იქცა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეპიკური უანრის ნაწარმოებში აუცილებელია აღწერილი იყოს შეჯიბრების სცენა, რომელიც გაიმართება რომელიმე გმირის დაკრძალვისას: „დიონისიაკას“ ერთ-ერთი გმირის სტაფილოსის დაკრძალვაზე შეჯიბრი იმართება არა ეტლთა სრბოლაში, არამედ პანტომიმის ცეკვაში, სადაც ერთმანეთს ეპაექრებიან დიონისეს თანმხლები მარონი* და სილენოსი**. ეს უკანასკნელი დამარცხდება, რადგან ცეკვის დროს წაიქცევა (წესების მიხედვით კი წაქცევა არ შეიძლება) და გადაიქცევა მდინარედ (ფაუთი 1981: 150-152; დ'იპოლიტო 1962: 1-14). სწორედ მარონის ცეკვას ადარებს ნონოსი „მრავალამბიან მდუმარებას“ (sigh: poikilomusqo~ – XIX, 197). ეს ფრაზა ზუსტად ესადაგება ნონოსის უჩვეულო სტილს.

Poikilomusqo~ sigh – არ არის ფორმულა. იგი პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება. თუმცა, ნონოსი ხშირად მიმართავს ამ ფრაზის ანტითეზებს. მაგალითად, XIX სიმღერაში ნონოსი პანტომიმას დიონისეს პირით „მეტყველ მდუმარებას“ უწოდებს (aujdhessa siwphı – XIX, 154). შემდეგ კი იმავე სიმღერაში „გონივრულ“ (ejcerfrwn – XIX, 216), ან „ბრძნულ“ (sofhı – XIX, 208) მდუმარებას. სიტყვა Poikilomusqo~, რომელიც სიტყვასიტყვით „მრავალამბიანს“ ნიშნავს, ნონოსამდე მხოლოდ ორფიკულ ჰიმნებში გვხვდება, როგორც ცბიერი ლმერთების – ჰერმესისა და კრონოსის ეპითეტი.

პოემაში ვხვდებით ასევე sigh: poikilomusqo~ ანტიტიპს, ეს არის fwnı: poikilomusqo~, რომლითაც დიონისე მიმართავს სატრფოს – ბეროეს. ის ითარგმნება, როგორც „ბრძნული მეტყველება, შემკული ხელოვნების უამრავი საშუალებით“. აქედან გამომდინარე, sigh: poikilomusqo~ არის მდუმარება, გამოთქმული ბრძნულად და ოსტატურად.

„დიონისიაკაში“ აღწერილი ყველა საგანი, იქნება ეს ნებრისი, ვენახი თუ გარსპელავებით მოჭედილი ზეცა, დუმს. მხოლოდ პროტეგსი დრიალებს ლომად

* სილენოსის ვაჟი და დიონისეს მეებლე.

** მოხუცი, მიწის პირმშო, დიონისეს მეგობარი და მასწავლებელი, მისი მუდმივად მოვრალი თანმხლები.

გარდასახული ან სისინებს, როგორც გველი. იდებს უამრავ სახეს და მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხი არ გასცეს მენელაოსის კითხვებს და შეინარჩუნოს დუმილი.

სწორედ ამ დუმილს ბაძავს ნონოსი. თავად „*poikil o~*-ი, როგორც ზედსართავი სახელი, არ არის ხმის, ბგერის ან სიტყვის აღმნიშვნელი და თუ „დიონისიაკა“ მხოლოდ „*poikil o~*-ი, ანუ „ჭრელი“, „მრავალფეროვანი“ სიმღერაა, მაშინ ის „მდუმარე სიმღერაც“ ყოფილა, თუმცა, ყველაზე ვრცელ ბერძნულ ეპოსს წარმოადგენს.

ნონოსის საყვარელი ექო იმეორებს ნებისმიერ სიტყვას და ალბათ, წარმოადგენს ყვლაზე უფრო მრავალსიტყვიან არსებას დედამიწაზე. თუმცა, იგი იმავე დროს ყველაზე მდუმარე არსებაცაა, რადგან მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა მხოლოდ განმეორებას, ანტიტიპურ გამოძახილს წარმოადგენს. ზუსტად ასევე იქცევიან ნონოსის პერსონაჟები, რომლებიც წარმოთქვამენ რიტორიკული ხელოვნებით გაწყობილ ვრცელ სიტყვებს, თუმცა, არაფერს ახალს არ გვამცნობენ. პოემაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ნონოსი არაფრის მთქმელ სცენებს აგვიწერს, რომლებიც მხოლოდ სხვა სცენების განმეორებას წარმოადგენენ. ასევე ხშირად ვხვდებით სიმღერებს, რომლებიც პოემაში მხოლოდ იმიტომაა მოცემული, რომ შექმნან პარალელიზმი ან ანტითეზისი სხვა სიმღერებთან მიმართებით. ეს ნონოსის სტილის ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა, რომელიც გამოარჩევს მას ყველა დანარჩენი პოეტისაგან. ამაზე ავტორი თავადვე მიგვანიშნებს მის მიერვე გამოთქმული ფრაზით – „*Sigh poikil omuqo~*“, რაც ითარგმნება, როგორც „მრავალამბიანი მდუმარება“.

ნაწილი III

კოსმოგონია „დიონისიაკაში“, როგორც განახლების მითოპოეტური მოდელი

ყოველი ხალხის მითოლოგიაში კოსმოგონია ქაოსის წესრიგად გადაქცევასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ ეს დვთაებრივი აქტი წარმოადგენს ყოველი მითოლოგიისათვის ძირითად ღერძს. ქაოსი ხშირად გაიგივებულია სიბნელესთან, სიცარიელესთან, უფსკრულთან, წყლისა და

ცეცხლის ნაზავთან, დემონურ (ხთონურ) არსებებთან (დრაკონებთან, გოლიათებთან და ა. შ.). შესაბამისად, ქაოსის კოსმოსად გარდაქმნა უცავშირდება წყვდიადიდან სინათლეში გადასვლას, წყლიდან ხმელეთის წარმოშობას, ნგრევის შენებით შეცვლას (მელეტინსკი 2000: 205-206). კოსმოგონია მისაბაძი მოდელია, რადგან იგი იდეალური არქეტიპია ყოველი შემოქმედებითი სიტუაციისათვის და დგომური ქმნადობაა. კოსმოსი თავის სტრუქტურაშივეა გაბრწყინებული. ის ყველაზე უფრო პარმონიული ორგანიზმია და დმერთის შედევრი, – წერს მ. ელიადე თავის წიგნში „მითის ასპექტები“ (ელიადე 2000: 33-38).

განვითარებულ მითოლოგიურ სისტემებში სამყაროს შექმნაში იგულისხმება ქაოსის კოსმოსად გადაქცევა, რაც წარმოადგენს კიდეც ყოველი მითოლოგიის ძირითად არსეს. მითებში ქაოსი სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ხშირად ის გაიგივებულია წყალთან ან წარღვნასთან, რაც განპირობებულია წყლის პირველქმნადობაზე არსებული წარმოდგენებით. შესაბამისად, წყლის ზედაპირიდან მიწის წარმოქმნა ქაოსიდან კოსმოსის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ ქაოსი და წყლის სტიქია ქალურ საწყისთან ასოცირდება (მელეტინსკი 2000: 208).

გარდა ამისა, ქაოტური ძალები სხვადასხვა მითებში წარმოდგენილი არიან დემონური არსებების, ხთონური ურჩხულებისა და დრაკონების სახით, რომელთა დამარცხება გაიგივებულია კოსმოსის ქაოსზე გამარჯვებასთან. საინტერესოა ისიც, რომ ადდგენილ კოსმოსს დაცვა სჭირდება, რადგან ქაოტური ძალების საბოლოო განადგურება მითებში არ ხერხდება. მაგალითად, ბერძნულ მითებში ხთონური არსებანი მიწის წიაღში იმაღლებიან და დროდადრო განადგურებით ემუქრებიან კოსმოსს.

„დიონისიაკაში“ ნონოსი პოემის დასაწყისშივე აგვიწერს კოსმოსის აღდგენისათვის ბრძოლას: ქაოტური ძალების პერსონიფიკაციას წარმოადგენს ტიტანი ტიფონი. იგი გეას რჩევით მოიტაცებს გამოქვაბულიდან ზევსის ელვებს (იბრა მიო- . . . ekle eye Tu fwēut, იბრა მიო- – I, 155-156) და სამყაროს მართვის სადავებს დაეპატრონება, რის გამოც სამყაროში ქაოსი დაისადგურებს: ურჩხული ხელით სწვდება ეთერს (eititainen ei aihera I hia ceirwn – 164), ზეცაზე ეოსს აღარ უშვებს. ქაოსია თანავარსკვლავედებსა და ციურ მნათობთა შორის. ზღვა ზეცამდე აღწევს: „purgwqh de; qalassa kai; whil hsen þlumpw/ h̄l ibaitoi- pel agessin*“ (284-285). „ცის თაღი გრუხუნებს, მას ეხმიანება ცის შვიდი სარტყელი“ (kai; pol o-

* „ზღვა კოშკად გადაიქცა და აზვირთებული მიუახლოვდა ოლიმპოსს მწვერვალებს“.

ejsmaraghsen. Ajneibomenh de; kai; aujth; oujranon eftatwnon – 240-241). ჩიტებად გარდასახული ღმერთები კი მდინარე ნილოსთან იმალებიან. ტიფონი ზევსის ელვებით შეიარაღდება, თუმცა, არ იცის მათი გამოყენება და გამოუცდელ მოჯირითეს ემსგავსება, რომელიც ურჩი კვიცის მოთვინიერებას ამაოდ ცდილობს (wl d j oſte ti~ pl h̄kippo~ aþoptusthra cal inou xeino~ aþhr aþidakto~ aþeiquea pw̄l on iþmaeswn – 310-311). ამგვარად ებრძვის ურჩხული ოლიმპოს (aijcmatwn eſ̄ ðl umpon – 211).

კოსმოსის აღდგენაში ზევსს ფინიკიელი კადმოსი დაეხმარება: არიმის გამოქვაბულში მისულ კადმოსის ზევსი მწყემსივით შემოსავს. პანი მას თავის ჯოგს ათხოვებს, ზევსი კი – სალამურს და ასე მიმართავს:

„kerdaleh~ suriggo~ aþexikakw/seb mol ph/
qel ge noon Tufwño~. eþgw; deþsoi aþkia moþqwn
dw̄sw dipl oa dwra. Se; gar r̄luthra tel eßsw
aþmonih~ koismoio kai; Ærmonih~ parakoiþhn” (I, 394-397).

(შენი სალამურის ხმით, რომელიც ბოროტებას დევნის, ტიფონს აურიე გონება. მე კი დირსეული ორმაგი საჩუქრით დაგაჯილდოვებ. შენ სამყაროს ჰარმონიულობის მცველი და მშვენიერი ჰარმონიას მეუღლე გახდები).

მართლაც ფინიკიელი გმირი იწყებს სალამურზე დაკვრას. მისი მელოდიით მოხიბლული ტიფონი ზევსის ელვებს გამოქვაბულში მალავს და მოემართება მის მოსახმენად. საშინელი ურჩხული ჰპირდება უბრალო მწყემსის, რომ მას თან წაიყვანს ოლიმპოსზე (shmeron eñi cqoni; mel pe, kai; auþion eþto~ ðl umpon* – 464), თანავარსპლავედად აქცევს, მის ჯოგს კი ზეცაზე განათავსებს ამალთეას მახლობლად. კადმოსი ზევსის მყესებს (neura Diœt – 511) სთხოვს ტიფონს (კრონიონმა ის ერთ-ერთი ბრძოლისას დაკარგა)**, რათა კითარის სიმებად გამოიყენოს და შემდგომ ლირსეულად შეასხას ხოტბა ახალი ბრძანებლის სამყაროში გაბატონებას. ტიფონი უსრულებს თხოვნას, რადგან ისეა მწყემსის სალამურის ხმით მოხიბლული, როგორც უმაწვილი ქალწულის მიერ (wl neð~ hðlei kentrw/ abron eþwmanewn eþiqel getai h̄l iki kourhi – 525-526). ამასობაში ზევსი გამოქვაბულიდან აიღებს ელვებს და მწყემსის თეთრ ნისლში მალავს. მალე ტიფონი ხვდება, რომ მოატყუეს. მისი მრისხანება მთებს შეძრავს: ის ყველა გარეულ თუ შინაურ ცხოველს გაანადგურებს. ყველა მდინარესა თუ წყაროს დააშრობს, ზღვაც

* „შენ დღეს მიწაზე უკრავ (სალამურს), ხვალ კი ოლიმპოსზე დაუკრავ”.

** ზევსის მყესები სიმბოლურად ძალაუფლების სადაცემითან არის გაიგივებული.

კი მიწად გადაიქცევა. ხმებიან ხეები. აპოლონი, პანი, ათენა, აფროდიტე და დემეტრე დასტირიან განადგურებულ მცენარეებს. ზევსი ტიფონთან ბრძოლისთვის ემზადება, რათა ტიტანებმა აღარ იბატონონ სამყაროზე. გამთენისას სხვადასხვა ცხოველის თავებიანი ტიფონი ემუქრება ზევსს, რომ იგი დაიმორჩილებს ქარებს და ყველა სტიქიას ერთმანეთში აურევს, ზევსი ატლასთან ერთად დაიჭერს ცის თაღს, ჰერა მას მეუღლეობას გაუწევს, ხოლო აფროდიტე და სელენე მის მოახლეებად იქცევიან. იგი მიწის შვილია და ზეცაზე დააბრუნებს კრონოსსა და ურანოსს, გიგანტებსა და კიკლოპებს, ახალ მერვე ცას შექმნის და სამყაროს მოუვლენს მრავალთავიან უკვდავ არსებათა ახალ თაობას. ზევსი ქრონოსის ეტლზე ამხედრებული იბრძვის, მას თოხივე ქარი ეხმარება. როგორც იქნა, დაამარცხებს იგი ტიფონს თავისი ელვებით და სამყაროში ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება: მიწასა და წყალში იდგიძებს ბუნება, ზეცას კი თანავარსკვლავედები უბრუნდებიან. ღმერთები ოლიმპოსს მიაშურებენ. ზევსი ხელმეორედ უბრუნდება ზეცას – „*kai; qeo~ eiſt poiōn h̄i qe to; deuteron*“ (II, 703). (ეს ამბავი აღწერილია „დიონისიაკას“ I და II სიმღერებში).

ამ პასაჟში ნონოსი კოსმოგონიური მითისთვის დამახასიათებელ შემდეგ მოდელს ემყარება: ღმერთი გმირის უშუალო მონაწილეობით ებრძვის დრაკონს, რომელიც ქაოსის და არაბუნებრივი ძალების სიმბოლოა. ქაოსი გამოხატულია წარდვნითა და გვალვით, რაც ნორმიდან გადასვლაზე მიგვანიშნებს. ხშირია, როცა კოსმოგონიურ ბრძოლაში, რომლის მიზანია ქაოსის დაძლევა, კოსმოსის დამცველი გმირი ან ღმერთი ებრძვის გველს (დრაკონი). მითოლოგიაში გველი (დრაკონი) დაკავშირებულია წყალთან. ხშირად კი მისი გამტაცებლის როლს ასრულებს. შესაბამისად, ის ან წყალდიდობის, ან ხანძრის გამომწვევია (მელეტინსკი 2000: 209). ურჩხულის დამარცხება კი კოსმოსის აღდგენის სიმბოლოა.

გარდა ამისა, თავად ტიფონი თავისი გარეგნობით ანომალიურია. ნონოსი აღწერს, რომ ის უზარმაზარი არსებაა, რომელიც შუა ზღვაში დგას და წყალი თეძომდე სწვდება (*mesaitw/ barudoupon uþwr eþebombee mhrwl* – I, 265), ხელებით ოლიმპოსის მაღალ მწვერვალს ეხება და მზეს აბნელებს (*h̄iell ion skionte- eþwrhicqhsan þlumprw/ h̄i ibaitou prhwno- akontisthre- aþgostoir* – 292-293). მას მრავალრიცხოვანი ხელები (*polusperer- aþgostoir* – 185) და გამომშრალი ხელის გულები (*xhroi aþgostoir* – 299) აქვს, ხოლო ფეხების ნაცვლად – გველები (*eþidnaiw/ podo- ol kw/* – 415). შესაბამისად ტიფონი ქაოსის პერსონიფიკაციაა. ბერძნულ

მითოლოგიაში ქაოსის დასაძლევად დიდ ორლს ასრულებს ესთეტიური კრიტერიუმი, რომლის მიხედვით სხეულის ჰარმონიულობა პირდაპირ კავშირშია სამყაროს ჰარმონიულობასთან. სწორედ ქაოსისგან კოსმოსის დაცვა უდევს საფუძვლად ზღაპრებსა თუ არქაულ ეპოსებში ასე გავრცელებულ მითორიტუალურ მოდელს – ბრძოლას ურჩხულებთან.

თუკი პოემის დასაწყისში ზევსი კადმოსის დახმარებით ამარცხებს ტიფონს, როგორც ქაოსისა და სიკვდილის სიმბოლოს, „დიონისიაკაში” აღწერილი ბაკქოსის შერპინება მდინარე ჰიდასპთან* ასევე შეიძლება ავხსნათ, როგორც სიკვდილთან და ქაოსურ ძალებთან ბრძოლა. ინდოთა წინააღმდეგ გამართული ერთ-ერთი ბრძოლის დროს დიონისეს თანამებრძოლი აიაკოსი ინდოელების გვამებით აავსებს მდინარე ჰიდასპს. მას დიონისეც დაეხმარება თავისი თირსოსით. „საშინელ სამარედ იქცა მდინარე ჰიდასპი დაცემულ მეომართათვის” (*kteinomenou~ ekaile uye kai; epi leto tumbo-Mdastrh~* – XXIII, 77), ვკითხულობთ ტექსტში. განრისხებული მდინარე „დიონისეს იწვევს ბრძოლაში” (217). ჰერას გაქეზებით ჰიდასპი დიონისეს აუმხედრდება, ის თავის ზვირთებში ახრჩობს ბაკქ ქალებსა და სატირებს. მაშინ დიონისე ჰელიოსის ძალით ალმოდებული ხით** ცეცხლს უკიდებს ყველაფერს მდინარის გარშემო (*apj i aigciporoio de; Iocmh~ pursotokon narqhka labwn ahtwption h̄ju~ h̄el iw/ qermhnen* – 255-257). იწვის თავად ჰიდასპიც, რაზეც სასტიკად განრისხებულია ოკეანოსი, ის ზეცისა და თანავარსკვლავედების ჩაძირვით იმუქრება. საბოლოოდ ზევსი დააცხრობს ოკეანოსის რისხეას, ჰიდასპი კი დიონისეს პატიებას სთხოვს.

ეს ეპიზოდი ეხმიანება „ილიადაში” აღწერილ აქილევსსა და მდინარე სკამანდროსს შორის გამართული ბრძოლის სცენას, სადაც ერთადერთხელ ჩანს შეშინებული და გაქცეული აქილევსი (II. XXI, 1-384). „ოდისეასა” და „რამაიანაში” გმირის მიერ წყლების გადაცურვა ასოცირებულია მის ორთაბრძოლასთან ზღვის ურჩხულებთან. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ხალხების მითოლოგიაში ღმერთის ბრძოლას ურჩხულთან – უპირველეს ყოვლისა, დრაკონთან ან გველთან – ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ მოტივის ბერძნული, სემიტური, ეგვიპტური, ხეთური და სხვა მითების მიხედვით კვლევამ დ. ფონტენროზი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მითების შესაბამისი ციკლის თავდაპირველი ფუნქცია

* მდინარე ინდის შენაკადი აღმოსავლეთიდან, ასევე მდინარის დვთაება, ელექტრასა და თავმასის გაჟი, დერიადესის მამა, ნონოსის წარმოდგენით, ინდოთა უმაღლესი დვთაება.

** ზოგიერთი ვერსიით დიონისე კამის ღეროთი უკიდებს ცეცხლს ჰიდასპს (ნიუბოლდი 2006: 5).

კოსმოგონიურია (ფონტენროზი 1959: 164). ამ კონტექსტში ახლებურ ელფერს იძენს პოსეიდონის დაპირისპირება ოდისევსთან (დაწყებული პოლიფემიდან, სირქნებამდე და სკილა-ქარიბდამდე). გასაგები ხდება ასევე გველის ფუნქცია „გილგამეშში”, რომელიც გმირს ართმევს ახალგაზრდობის ყვავილს.

როგორც ზევსისა და ტიფონის, ისე დიონისესა და ჰიდასპის ბრძოლას ნონოსისთვის კოსმოგონიური ფუნქცია აქვს. გარდა ამისა, ნონოსი იზიარებს ძველ ხალხებს შორის საყოველთაოდ გავრცელებულ წარმოდგენას, რომლის მიხედვით ყოველივე ჭეშმარიტად ახალი შეუძლებელია დაიწყოს ძველის საბოლოო განადგურების გარეშე¹⁶. ნონოსი კოსმოსის წყლითა და ცეცხლით განადგურების შემდეგ ყოველთვის სამყაროს განახლებასთან დაკავშირებულ მითებს მოგვითხოვთ. „დიონისიაკაში“ სამჯერად აღწერილი სამყაროს გამანადგურებელი ხანძარი და წარდგნა. სამივე სიუჟეტის აღწერის შემდეგ ნონოსი მოგვითხოვთ ყველაზე მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, „დიონისიაკას“ საკვანძო ეპიზოდებს: ჯერ დიონისე-ძაგრევსის, შემდეგ კი მეორე დიონისეს დაბადებას, დიონისეს გამარჯვებას ინდოელების წინააღმდეგ ომში და მესამე დიონისეს, ანუ იაკქოსის შობას.

ვნახოთ, თუ რა ხდება მას მერე პოემაში, რაც ზევსი კადმოსის დახმარებით დაამარცხებს ტიფონს, ქაოსისა და სიკვდილის პერსონიფიკაციას: „დიონისიაკას“ V-VI სიმღერებში ნონოსი მოგვითხოვთ, თუ როგორ მოევლინება ქვეყანას გველად ქცეული ზევსისა და პერსეფონეს ტრფობის შედეგად დიონისე-ძაგრევსი, რომელიც ზევსის მემკვიდრეა და განახლებული სამყაროს მომავალ მმართველად მოიაზრება*. ჯერ კიდევ ჩვილ ძაგრევსს ზევსი ნებას რთავს, იჯდეს მის ტახტზე და ითამაშოს მისი ელვებით, რაც იმის მომასწავებელია, რომ კრონიონი მას თავის მემკვიდრედ ცნობს. თუმცა, პატარა დიონისეს მალე ჰერას მიერ გაქეზებული ტიტანები ნაწილ-ნაწილ დაჭრიან დანით. დიონისე-ძაგრევსის სიკვდილი პოემაში სამყაროს მეორედ განადგურების მიზეზი გახდება. განრისხებული ზევსი ტიტანებს ტარტაროსში ჩაყრის, სამყაროს კი საშინელ ხანძარს გაუჩენს. ნონოსი სამყაროს კვლავგანადგურებას ამგვარად აღწერს:

„ . . . aiþomenwn aþo; dendrwn
qerma; barunomenh~ eþmaraineto bostruca gaih~.

* დიონისე-ძაგრევსის შობის ამბავი დაწერილებით გვაქვს მოთხოვბილი ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში სათაურით სარკე, რის გამოც ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით.

ajtol ihn d þefl exe, . . .
 kai; dusin . . .
 . . . oþofleger~ de; kai; auþth~
 phgnumenh~ paflaze Borhia nwta qal aþsh~.
 kai; Notiou flogoessan . . .
 qermoterw/spinqhri meshmbrino~ eþeen aþkwn.
 Kai; dieroi~ blefaroi~ potamhia dakrua leibwn
 Jþkeano~ litaneue cewn ikethsion uþwr.
 Zeu~ de; col on prhune, marainomenhn de; keraunwl
 gaiæn iþdwr eþeare, kai; hþel en uþati niyai
 lumata tefrhenta kai; eþpuron eþ ko~ aþourh~” (VI, 210-228).

(oþvzomða ðaþþurþllo ðýggðo, gjaæs mðmþj տմյðo. Եցելս մոյցա ազմուսազլյոտ დա
դասազլյոտո. ոქ, სաճաշ ծոծոյրոծ ծորյասո, ծնօðաս ոþýggðs յինþllo ზլզու նեճաპորþg.
նոթոսու ցըցելս մոյցաց. ոþgօն սամերյոտ մֆյլոյðo. ոյյանոսո նեցս մյնկալյðաս
ետեղք, եռլո մու տալուացան ցրյմլյðo մֆնարյեսազոտ մոյցոնյðօն. նեցս յðրալյðա
ցըցելուսացան դաբանչþllo գեա դա մրուսեանյðաս ոոյցðs. ցգոլոծ հրացորմյ წյլուտ
մյնմենþllo յալումյերու եանդրուսացան գամովþeþllo Ծկոյոլյðo).

Ամու Մյմդյց սամյարուն սամոնյլո წարլցնա ոþýggða:
 „ulywqh de; qal assa, kai; ejþ oþo~ ulyoqj locmh~
 Nhreiðe~ gegaæsin Þreiade~. aj mega dei hþ
 cersin aþeirhitoisin aþhæceto parqeno~ Hcw
 aþcaih~ fobon all on aþmeibomenh peri; miþrh~,
 mhþote Pana fugousa Poseidawni migeih” (VI, 258-262).

(նլզա մոյðs առնեց. նյրյուց որյագյðա գաֆաոյցնեն. Ե՞նքն յյո տազոսո շնօնոյðօն
գամո, անոս ալյերս ցագարիենուո, մոմոծ, րոմ առեցուն ցըլար ցագանիյðօն).

Նլզոսա դա եմյլյոտ ցեռցյլյðo յրտմանյուն որյցօն:
 „. . . caradraiw/d jeþi; kol pw/
 ejhal iw/deli fini sunhnteto kapro~ all hith~.
 . . . eiþ ikoei~ de;
 poul upo~ oujresiþoito~ ejþeskirthse lagwwi” (VI, 265-269).

(ցարյյլո Ցախ նլզոս լորսա դա դյլցօնյðա ցագայյրյðա. Իցացյեյðo յլլոյյեյðտան
ցյրացյð դա յլլոյյեյðտան յրտա եթօն).

Տօնյօն մյմդյց մոյլո յայցանա յառսմա մուցա (kai; nur ke koismo~ akosmo-
ejþineto* – VI, 371). մրացալո ազամունո և ունուցելյս ցամուսալմա. ոտեօց յարո

* „Քյերոց յնիւսրուցան ցագայյուն”.

ერთმანეთს შეერია. წყალი თანავარსკვლავედებამდე აღწევს. მთვარის შუქი დაიფარა და სელენემ სრბოლა შეწყვიტა ცაზე*. ოუმცა, მხოლოდ ალთეას** გულში ვერ ჩააქრო წარდგნამ აფროდიტეს მიერ გაჩადებული სიყვარულის ცეცხლი (ap' JAI feioio de; mounou oujtidanon pafih- οὐκ εἴσεσεν αἴτομενον πῦρ – VI, 361-362).

ზევსის ნებით, წყლის ზედაპირზე მალე გამოჩნდა მიწა (gaia fanh – VI, 378) და მთის მწვერვალები (εἵριψαι – VI, 379). მზემ გამოანათა და სველი მიწა გამოაშრო თავისი ცხუნვარებით (cqono- ugra; metwpa cewn pol udiyion aiwlhn ḥel ioxhraine – VI, 380-381). აშენდა ახალი ქალაქები, სადაც ადამიანები კვლავ შეუდგნენ საცხოვრებელი სახლების შენებას. განახლებულ ქვეყანაში ადამიანთა ახალმა მოდგმამ დაიწყო ცხოვრება. ბუნებამ კვლავ გამოიდგინა და ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა.

ამ პასაჟიდან ჩანს, რომ ნონოსი, წყლიდან მიწის გაჩენას აგვიწერს, როგორც კოსმოგონიურ აქტს. გარდა ამისა, ოუკი წინა შემთხვევაში სამყაროს განადგურება და მისი ხელახლა შობა წინ უძღვის დიონისე-ძაგრევსის დაბადებას, ამ ეპიზოდში მას მეორე დიონისეს შობა მოჰყვება. ვიდრე დიონისე ქვეყნიერებას მოევლინებოდეს, ნონოსი მოგვითხრობს, რომ განახლებულ ქვეყანაში ადამიანებს აკლდათ მხიარულება, სიცილი და ბედნიერება. აიონი, სიცოცხლის მწყემსი, ემუდარება ზევსს, მიანიჭოს მათ სიხარული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უარს ამბობს სამყაროს მართვაზე. სიხარული ხომ ქორწილებზეც აღარ არის. ზევსი კი აუწევს, რომ სამყაროში მწუხარება იბატონებს მანამ, სანამ არ დაიბადება მისი ვაჟი (ajrcegono- de; afnutaī eīseti kōsmo-, eīw- eīha paīda Iocēnsw – VII, 78-79), რომლისთვისაც იგი მამაც იქნება და დედაც. დიონისე ადამიანთა მოდგმის ქომაგი იქნება, ტკივილების გამქარვებულ ყურძნის ნაყოფს წარმოშობს და დემეტრეს გაუწევს მეტოქეობას (n̄hpenqh- Dionuso- aphenqea boītrun aīekwn aītipalo- Dhmhtri – 87-88).

როგორც ვნახეთ, „დიონისიაკაში“ როგორც დიონისე-ძაგრევსის, ისე მეორე დიონისეს დაბადებას წინ უძღვის სამყაროს განადგურება. რადგანაც დიონისე პოემის მთავარი პერსონაჟია, ნონოსი მის შობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, იმდენად, რომ მის ყოველ დაბადებას წინ უმდგვარებს კოსმოგონიურ მითს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ღვინის ღმერთის შობა განახლებულ სამყაროში

* სწორედ ამგვარადაა აღწერილი წარდგნა ოფიდიუსის „მეტამორფოზებში“ (Ovid. Met.48-50).

** დიონისეს სატრფო. ერთ-ერთი ვერსიით მელეაგროსის დედა.

ქვეყნიურებაზე ახალი, ძველისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის დაწყებას გულისხმობს. სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ „დიონისიაკაში” კოსმოგონიური მითი სამყაროს განახლების მითოპოეტური მოდელია.

რაც შეეხბა დიონისეს შებრძოლებას მდინარე ჰიდასპთან, მიგვაჩნია, რომ ეს პასაუი „დიონისიაკას” თავისებურ კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს, რადგან ამ ეპიზოდში დიონისე თავად არის კოსმოგონიური აქტის მონაწილე. სწორედ ამ ბრძოლაში დიონისე იკავებს კოსმიურ სივრცეს, რაც ააშკარავებს მოქმედების უკან არსებულ დაფარულ ძალებს. რადგანაც დიონისეს გამარჯვება ბედისწერის მიერ წინასწარ განსაზღვრულია, თუნდაც შვიდი წლის შემდეგ, იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას კოსმიურ წესრიგს, ჰერა იძულებულია კომპრომისზე წავიდეს და საკუთარი რძით გზა გაუხსნას დიონისეს ოლიმპოსაკენ. სწორედ ჰიდასპთან გამარჯვების შემდეგ დვინის დმერთი წარმატებით დაამარცხებს ინდოელებს და ოლიმპოსზე დაიმკვიდრებს ადგილს. მისი ახალი სახე სიმბოლურად მესამე დიონისეს, ანუ იაპქოსის შობაშია გამოხატული.

აუცილებელია ადგნიშნოთ, რომ ნონოსი კოსმოსის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტ ფუნქციას ეროსს, ანუ სიყვარულს ანიჭებს. როდესაც ტიფონი და მისი არმია (ასპიდები, გველები, ურჩხულები) ემუქრებიან კოსმიური წესრიგს, ზევსი დახმარებისათვის „ნაყოფიერი ქორწინების თავდაპირველ მარცვალს” (*tel e s i g o n o i o g a m o u p r w t o s p o r o ~ a j ch~* – I, 398) და „ცხოვრებაზე შეყვარებულ მწყემსს” (*b i s u f i l o t h i s i e p o i m h i n* – I, 400) ეროსს მიმართავს თხოვნით, რომ დაჭიმოს მშვიდდი, რათა კოსმოსი ადარ დადგეს ყირაზე – “teinon, Ειρ~, sev toka, kai; ouketi koumo~ aij hith~” (I, 399), მის ერთ გასროლიდ ისარს შეუძლია იხსნას სამყარო (*e h̄ beil o~ all̄ lo tanusson, iha xumpanta sawish~* – I, 401).

ნაწილი IV

დიონისე – ანტიკური და პოსტანტიკური

1. პროტოდიონისე ანუ ძაგრევსი

„დიონისიაკაში” ნონოსი ყველაზე გრცელ ინფორმაციას ორგზის შობილ ღმერთზე, ანუ მეორე დიონისეზე გვაწვდის, რადგან სწორედ მის ინდოეთში მოგზაურობას ეძღვნება პოემა. თუმცა, ნონოსთან მოთხოვნილი მითი დიონისე-

ძაგრევსზე ინფორმატიულობით აღემატება სხვა აგტორებთან შემონახულ ინფორმაციას. ნაწარმოების ყველაზე მცირე ნაწილი მესამე დიონისეს, ანუ იაკქლს ეთმობა.

მითი ძაგრევსზე იწყება იმით, რომ ქალღმერთი პერსეფონე ხიბლავდა ოლიმპოსის თითქმის ყველა ღმერთს. მისი გულის დასაპყრობად ერთმანეთს ეპაექრებოდნენ პერმესი, აპოლონი, არესი, პეფესტო და ზევსი (V, 571-621). ქალიშვილის ბედის გამო ადელვებული დემეტრე ასტრეოსთან* მიემართება. იგი ციურ მნათობებზე დაკვირვებით უწინასწარმეტყველებს ქალღმერთს, რომ ცხოველისსახიანი ღმერთი ქურდულად დაიმორჩილებს მის ქალიშვილს. ამ წინასწარმეტყველების შემდეგ ქალღმერთმა ასული ჯერ ღრუბლებში გადამალა, შემდეგ კი სიკელის ნაპირებთან მდებარე კლდეში, სადაც თავისი ეტლიდან გამოშვებული ფრთიანი დრაკონები დაუყენა მცველად. ერთ დღეს, როცა პერსეფონე საქსოვ ჯარასთან იჯდა და თან ათენას უმდეროდა ქებას, მის ოთახში სიყვარულით გატანჯული გველისსახიანი ზევსი შეიპარა და ქალს დაუწყო ხვევნა. ასე ჩაისახა პერსეფონეს სხეულში დიონისე-ძაგრევსი, ზევსის „რქოსანი ნაშიერი“ (*keroen brefo-* – VI, 165), რომელიც ზევსის ტახტზე დასკუპდა ზეცაში. კრონიონის ელვები უგუნურს სათამაშოები ეგონა. ზევსის ტახტი მას მცირე ხნით ერგო. პერას გაქეზებით ტიტანებმა „ბოროტი სახე თეორი ცარცით დაიფერეს“ (*guyw/ kerdal eħ/ crisqente- epiċċi opa kuċċa proswrou* – VI, 170) და პატარა დიონისე „ტარტაროსის დანით დაანაკურეს“ (*Tartariħ/ Tithne- eħħihsanto macairħi* – VI, 172). ძაგრევსმა სიკვდილის წინ უამრავი სახე მიიღო: ჯერ გადაიქცა „გონებამახვილ კრონიდად“ (*Kronidħ- dol īo-* – VI, 177), შემდეგ „მუხლმაგარ კრონოსად“ (*barugouno- Krono-* – 178), ხან ბავშვის სახით წარმოჩნდა (*brefo-* – 179), ხანაც – „ემაწვილის, რომელსაც სახეს ახლადამოსული მუქი წვერი უმშვერებს“ (*neħn de oħi aħqo- iż-piċċi wa-akrokela inioント kategorafe kuċċa proswrou* – 180-181). „მრისხანე ლომად“ (*daspli hti lejn* – 182), კვიცად (*iħħo-* – 189), გველად (*drakwən* – 192) და „ჭრელტყავიან გეფხვად“ (*tigri- eħn stika- dema- aijx- l-oħra* – 197) გარდასახვის შემდეგ, მან ხარის სახე მიიღო (*tauro-* – 197-198). ტიტანებმა სწორედ „ხარის სახიანი დიონისე დაანაკურეს დანით“ (*taurofuh Dionuson eġi mistullonti macairħi* – 205). ნონოსის სიტყვებით, ძაგრევსმა თავისი სიკვდილით „ახალ სიცოცხლეს დაუდო დასაბამი“ (*terma biex Dionuso- eħġi pal inagreton ajiġi - VI, 175).*

* ასტრეოსი ტიტანია (Hes. Theog. IX, 371-380), რომელიც ნონოსმა ასტროლოგად აქცია.

გარდა ნონისისა, დიონისე-ძაგრევსის განწილვის შესახებ ცნობებს მირითადად ქრისტიანი ავტორები გვაწვდიან. იმის გამო, რომ მათ არ ეკრძალებოდათ საიდუმლო და საკრალურ ამბებზე საუბარი, ჩვენამდე მეტად საინტერესო დეტალები მოიტანება. ერთ-ერთი ცნობით, პერა პატარა ძაგრევსთან ტიტანებს აგზავნის, რომლებიც თავდაპირველად ცდილობენ მის გართობას სხვადასხვა სათამაშოთი, შემდეგ კი კლავენ, განწილავენ და ხარჭავენ ქვაბში. ზოგიერთი ვერსიით, ჭამენ კიდეც დიონისეს გულის შენახვას ლარნაკში ახერხებს ქალღმერთი ათენა, რეა ან დემეტრე. როდესაც ამ ამბავს შეიტყობს ზევსი, იგი ტიტანებს თავისი ელვით ანადგურებს (ელიადე 2002: 336). მითის ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ზევსის ელვისგან დამწვარი ტიტანების ფერფლისგან წარმოიშვნენ პირველი ადამიანები (დეტიენი 1977: 69).

ქრისტიანი ავტორები არაფერს ამბობენ დიონისეს მკვდრეთით აღდგომაზე, სამაგიეროდ ამის შესახებ არსებობს ცნობები ანტიკურ ავტორებთან. ეპიკურელი ფილოდემოსი, რომელიც ციცერონის თანამედროვე იყო, წერს დიონისეს სამგზის შობაზე: პირველად – დედის წიაღიდან, მეორედ – ზევსის თემოდან, ხოლო მესამედ – როდესაც რეამ ტიტანების მიერ დაგლეჯილი ძაგრევსის სხეულის ნაწილები შეაგროვა და დმერთი კვლავ სიცოცხლეს დაუბრუნდა (ჟანმერი 1951: 382).

ძაგრევსის სიკვდილის შესახებ არსებობს სხვადასხვა ცნობა, მაგალითად, დიოდოროს სიკელიკტისის მიხედვით, დიონისე სასიკვდილოდ არა ტიტანებმა, არამედ მიწიდან ამოსულმა კურეტებმა გაიმეტებს. ასევე, მითის ერთ-ერთი ვერსიით, ძაგრევსი შვიდ ნაწილად განწილებს, ჯერ მოხარულეს, შემდეგ კი შეწვეს ცეცხლზე. მისი სხეულის ნაწილები ათენამ ან რეამ კი არა, არამედ აპოლონმა შეინახა და დელფოსში ჩამარხა თავის სამფეხთან ახლოს.

დიონისეს მკვდრეთით აღდგენასთან დაკავშირებულ გადმოცემათა შორის ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია მითის ერთ-ერთი შედარებით გვიანდელი ვერსია, რომლის მიხედვით, პროტოდიონისეს მოხარული სხეულის ნაწილები მისმა დედამ დემეტრემ შეაერთა, რის შემდეგაც დიონისე ყურძნის სახით კვლავ დაიბადა. სხვა ვერსიით, დამწვარი დიონისეს ფერფლისგან წარმოიქმნა ამპელოსი, ანუ ყურძენი (კერენი 1959: 264-265).

ამ მითთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პავსანიასიც. იგი მოგვითხრობს ვინმე ონომაკრიტოსზე, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით წვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში ათენში პისისტრატოსის დროს. მას

დაუწერია პოემა ტიტანების ბოროტმოქმედებაზე, რომლის მიხედვით ტიტანებმა სახე ალებასტრით დაიფარეს, მანამ მიუახლოვდებოდნენ მსხვერპლს. მსგავსად ამისა, ათენში გამართულ საბაზიოსის მისტერიებში ინიციანტები სახეს ცარცითა და ალებასტრით იფარავდნენ (Dem. De corona, 259-260)*. საინტერესოა, რომ ნონოსი, როდესაც აღწერს ძაგრევსის მკვლელობის ამბავს, აღნიშნავს, რომ ჰერას გაქმნებით „ტიტანებმა ბოროტი სახე თეთრი ცარცით დაიფარეს“ (VI, 170). ცარცი კი იგივეა, რაც ალებასტრი ან კირი. მ. ელიადეს მოსაზრებით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება გადასვლის რიტუალის ერთ-ერთ არქაულ ფორმას, რომელიც კარგად იყო ცნობილი პირველყოფილი საზოგადოებისთვის: ინიციაციის მსურველები სახეს იფარავდნენ ნაცრით ან ცარცით, რათა დამსგავსებოდნენ მოჩვენებებს, რადგან მათ რიტუალური სიკვდილი უნდა განეცადათ. ასევე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოდიოთგანვე იყო ცნობილი „მისტიკური სათამაშოებიც“. ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნის პაპირუსზე, რომელიც აღმოჩენილია ფაიუმში, საუბარია ბზრიალაზე, ჭრიალაზე, ქვლებსა და სარკეზე.

რაც შეეხება მითის ყველაზე უფრო დრამატულ ეპიზოდს – ძაგრევსის განწილვას, მისი სხეულის ნაწილების მოხარშვას ქვაბში და შემდგომ შეწვას – ცნობილი იყო ჯერ კიდევ IV საუკუნიდან. ყველა ეს დეტალი მეორდებოდა რიტუალურ დღესასწაულებზე. უკვე III საუკუნეში მსგავსი ტრადიციის არსებობაზე იცოდა ევფორიონმაც (ელიადე 2002: 337).

ჰ. ჟანმერმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ქვაბში სარშვა ან კიდევ ცეცხლში გამოწრთობა – ინიციაციის ფორმებია, რომელსაც შედეგად უკვდავება მოაქვს (მაგალითად, დემეტრესა და დემოფონის ისტორია) (ჟანმერი 1951: 387).

ზოგი მკვლევარი დანაწევრებას, როგორც რიტუალურ მოდელს, უკავშირებს ლუნარულ ღმერთს. მსხვერპლის მოკვდინებისა და დანაწევრების რიტუალი სრულდებოდა წელიწადის პირველი თვის მე-14 დღეს, სავსემთვარობისას. სწორედ ამ დღეს დაგლიჯეს ნაწილებად ეგვიპტელთა ოსირისი, შუმერთა და ბაბილონელთა თამუზი, ბერძენთა დიონისე. ყველა მათგანი 14 ნაწილად (ე.ი. 14 პირველნივთად) დაგლიჯეს (კიფიშინი 2000: 150).

* როდესაც არგიველები მონაწილეობას იღებდნენ დიონისურ რიტუალებში, სახეს ცარცითა და ალებასტრით იფარავდნენ. ცარცი (titanos) უკავშირდება ეპიზოდს ტიტანებზე (Titanes). ერთ-ერთი მოსაზრებით, მოცემული მთო-რიტუალური კომპლექსი ამ ორი ტერმინის ერთმანეთთან მსგავსების გამო წარმოიქმნა (ფარნელი 1909: 172).

ტიტანების მიერ ძაგრევსის მოქვლის ამბავს მსხვერპლშეწირვის რიტუალად მიიჩნევს მ. დეტიენიც. იგი აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივი მსხვერპლშეწირვისას აუცილებელია მსხვერპლი თავისი ნებით მიიყვანო სამსხვერპლოსთან და მსხვერპლის წინააღმდეგობის გარეშე შეასრულო რიტუალი. ამის მისაღწევად ხშირად სამსხვერპლო ცხოველს ღვინოს ასხურებენ, ან უყრიან ქერსა და ხორბალს. როდესაც ცხოველი იწყებს თავის რხევას, ეს აღიქმება, როგორც მისი თანხმობა. ამ მიზანსვე ემსახურება ის, რომ ტიტანები დიონისეს სხვადასხვა სათამაშოს სთავაზობენ: ოქროს ვაშლებს, რომბებს, სარკესა და ა.შ. უნდა ვიფიქროთ, რომ ნონოსი აგვიწერს ომოფაგიის სცენას. ხოლო უკვე მითის ორფიკულ ვერსიაში, მსხვერპლს ხარშავენ და წვავენ (დეტიენი 1977: 73-74).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეულ მითის ვერსიებს შორის მხოლოდ ნონოსი მოგვითხობს, თუ რომელი იარაღით სრულდება მსხვერპლშეწირვა: როდესაც პატარა ძაგრევსი სარკეში იცქირება, მას ტიტანები კლავენ დანით (*Tartarih/macairh* – VI, 172), ვკითხულობთ „დიონისიაკაში“. მაშინ, როცა „diasparagmos“-ის დროს მსხვერპლი იგლიჯება შიშველი ხელებით, ნონოსთან ტიტანები იყენებენ დანას, როგორც ყელის გამოჭრის, ასევე მისი დანაწევრების მიზნით.

დანა რიტუალური ნივთია, რასაც რამდენიმე მითი ადასტურებს. ქაოსის (ანდროგინული მთლიანობის) გაყოფა დანით განხორციელდა. შემდეგ რიტუალური ქვის დანა შეიცვალა რკინით. მითის მიხედვით, რეამ თავად გამოიღო საკუთარი საშოდან რკინის (ადამატის) ნამგალი (ან დანა) და მისცა ზევსს კრონოსის კასტრაციისათვის. მითოსურ სიმბოლიკაში დანას შეიძლება შეენაცვლოს გველი ან ისარი, რომლებიც მითის ენაზე მთლიანობის დარღვევის საშუალებებადაა მიჩნეული (ცანავა 2005: 73).

როგორც დავინახეთ, „დიონისიაკაში“ საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი მითი დიონისე-ძაგრევსზე. ა. ლოსევი მიიჩნევს, რომ ამ მითის რამდენიმე ეპიზოდს მხოლოდ „დიონისიაკაში“ ვხვდებით. მაგალითად, ოლიმპოსის ღმერთების პერსეფონესადმი სიყვარულის ისტორიას, ან კიდევ ქალიშვილის ბედით შეწუხებული დემეტრეს მიერ ასტრეოსის მონახულებასა და მის წინასწარმეტყველებას, ასევე ძაგრევსის სიკვდილის შემდეგ დედამიწაზე ზევსის მიერ მოვლენილ ხანძარსა და წარდგნას. თუმცა, ნონოსი მისდევს არქაულ

ტრადიციებს, მაშინ, როდესაც დიონისე-ძაგრევსს რქიანს უწოდებს, ან, როდესაც აღწერს პატარა ღმერთის მეტამორფოზებს (ლოსევი 1957: 160).

ვფიქრობთ, „დიონისიაკაში” აღწერილი მითი დიონისე-ძაგრევსზე უძველესი რიტუალის აღწერაა: ტიტანები ასრულებენ გადასვლის რიტუალს, რომლის მიზანია განდობილის სიკვდილი და ხელახლა დაბადება. ამ შემთხვევაში, ტიტანები პატარა დიონისეს ღვთაებრიობასა და უკვდავებას ანიჭებენ. ნონოსი მოგვითხრობს რა ძაგრევსის სიკვდილის სცენას, გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად მისი ინიციაციის რიტუალს აგვიწერს, რომელიც ღმერთის რიტუალურ სიკვდილსა და შემდეგ მის კვლავ შობას გულისხმობს უკვე თებეში სემელესა და ზევსის პირმშოს სახით.

2. ორგზის შობილი ღმერთი

2.1. მითი დიონისეს ორგზის შობაზე

მეორე დიონისეს ნონოსის პოემის უდიდესი ნაწილი აქვს დათმობილი (VII-XLVIII სიმღერები). მისი სახით ტანჯულ ხალხს მხსნელი უნდა მოევლინოს და ადამიანთა მოდგმა, რომელიც პოემაში მთვარესთანაა შედარებული, „სელენეს სახის მსგავსად კვლავ უნდა გაიგხოს” (broteh gar ajwrio~ ouphote lhgei pl hqomenh minusqousa fusi~, mimhma sel hnh~ – VII, 74-75). „ტკივილების გამქარვებელი დიონისე მწუხარების გამდევნელ ყურძნის მტევანს წარმოშობს და დემეტრეს მეტოქე იქნება” (nhpenqhr Dionuso~ aipenqe~ boitrun ajeikwn ajtipalo~ Dhmhtri – VII, 87-88). პოემაში ზევსი დიონისეს ადამიანთა მოდგმის ქომაგს უწოდებს და უწინასწარმეტყველებს მას:

„ghgenewn meta; dhrin, omou meta; ful opin jndwn
Zhni; sunastraptonta dedeketai aipl o~ aiqhr.
Kai; qeo~ hmeridwn ejikeimenon oihopi kisswl
wl stefo~ elphsthra peri; pl okamoisin el ika-
shma neh~ qeothto~ efcwn ofiawdea miitrhn” (VII, 98-102).

(გიგანტებთან ომისა და ინდოებზე გამარჯვების შემდეგ, დვინის ღმერთი მუქი ალისფერი სუროს გვირგვინით, კულულებზე დახვეული გველითა და გველისავე არტახებით, რაც ღვთაებრივი ძალის ნიშანია, ცაში ზევსის მახლობლად აინთება).

ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ შეიპარა ზევსი სემელეს ოთახში დამით და ქალთან სიყვარულს მიუცა, იღებდა რა ხარის (319), ლომის (322), პანტერის (323) და გველის (325) სახეს*. კრონიდის ვნება უკვე მოასწავებდა დიონისეს დაბადებას, – წერს ნონოსი. თუმცა, მალე ორსული სემელე ჰერას გერაგობის მსხვერპლი აღმოჩნდება: ეჭვიანი ქალღმერთი სემელეს აღმზრდელის სახეს მიიღებს და ზევსის მოკვდავ სატრფოს დაარწმუნებს, რომ კრონიდს მის წინაშე ღვთაებრივი სახით წარდგომა მოსთხოვოს. მართლაც სემელეს დაჟინებული თხოვნით, ზევსი იძულებულია მის წინაშე ელვითა და ჭექა-ჭუხილით წარდგეს, რაც საზარელ ხანძარს გააჩენს კადმოსის სასახლეში და სემელესაც იმსხვერპლებს. ჰერმესი მოახერხებს სემელეს უდღეური ვაჟის ცეცხლიდან გამოყვანას და ზევსს მიჰვრის, რომელიც პატარა დიონისეს თავის თეძოში მოათავსებს და მოგვიანებით ქვეყნიერებას მოავლენს. ამიტომაცაა მეორე დიონისე ორგზის შობილი ღმერთი.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სემელე ფრიგიული მიწის ღვთაების სახელია, რასაც არ ეთანხმება ვ. ოტო (ოტო 1965: 60). ამ მოსაზრებას ჰქაქვეშ აყენებს ის ფაქტიც, რომ ყველაზე ძველ წერილობით წყაროებში, მხედველობაში გვაქვს ჰომეროსის „ილიადა” და ჰესიოდეს „თეოგონია”, აღნიშნულია, რომ მოკვდავმა ქალმა სემელემ ქვეყნიერებას მოუვლინა ღმერთი (Hom. Il. XIV, 323-325; Hes. Theog. 940).

„დიონისიაკაში” სემელე მოკვდავია, რომელსაც ზევსი თავიდანვე აღუთქამს ზეცაში დამკვიდრებას ვარსკვლავებს შორის (Semel h d' eft Πιλυρόν ikanεi. Τι πλεω h̄fel e~ all iο met' aiqera kai; polon afstrwn – VII, 358-359). სემელე უკვდავი ხდება ჰესიოდესთანაც. გვაქვს ისეთი ცნობაც, თითქოს დიონისემ სემელეს „Diwnh” უწოდა და თავისთან ერთად ოლიმპოსზე დაამკვიდრა (კაკრიდისი 1986: 202-204). ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, მას შემდეგ, რაც დიონისემ თავისი კულტი ინდოეთის ოკეანემდე გაავრცელა, სემელე ტარტაროსიდან ამოიყვანა და მასთან ერთად დაიწყო ოლიმპოსზე ცხოვრება (ბაუერი 1998: 145). თუმცა, სწორედ ის, რომ დიონისე მოკვდავი ქალისა და ღმერთის პირმშოა, განაპირობებს მის პარადოქსულ დუალობას, რაც ხსნის კიდეც ღმერთის უჩვეულო ბედისწერას და მასთან

* აღსანიშნავია, რომ ზევსი თავის სატრფოებთან ყოველთვის სხვადასხვა ხახით წარდგება. მაგ., ევროპეს გაუმიჯნურდება ხარის სახით (I, 48-146; 323-324), პერსეფონეს – გველის (V, 568-569; VI, 155-156), დანაეს – ოქროს წვიმის (VIII, 136-138; 258-260; XVI, 66-68), ეგინასა (XIII, 200) და განიზედებს – არწივის (XXV, 435-450). სელენესთან ტრფობისას კი იგი ერთდროულად რამდენიმე სახეს იღებს.

დაკავშირებულ უამრავ მითიურ ისტორიებს.

2.2. დიონისეს სახელის ეტიმოლოგია

ზევსი თავისი თეძოდან შობილ ჩვილს დიონისეს უწოდებს. ღმერთის სახელთან დაკავშირებით, ნონოსი მეტად საინტერესო ვერსიას გვთავაზობს. პოემაში გვითხულობთ:

„ . . . I oceuomenw/de; Luaiw/

patrwhn epeuhken ejpnnumihn toketoio
kikl hskwn Dionuson, ejpei; podi; forton aejirwn
hje cwlainwn Kronidh~ bebriqot i mhrw/
nuiso~ oft i glwsash/ Surakossidi cwl o~ aksouei” (IX, 18-22).

(ზევსმა თავის ვაჟს დიონისე უწოდა, რადგან მისი შობის გამო თეძოში ნაიარევი ჰქონდა და კოჭლობდა. „იუსი~” ხომ სირაკუზელთა ენაზე კოჭლს ნიშნავს. ასე აედერდა ღმერთის სახელში მამის სახელი).

დიონისეს სახელთან დაკავშირებით, როგორც მეცნიერებაში, ისე ანტიკურ ავტორებთან, უამრავი ვერსია მოიპოვება. პინდაროსი დიონისეს სახელს დიოსესა (Dios-) და ნისის (nisah-) მთას* უკავშირებს. თანამედროვე ენათმეცნიერები კი ფიქრობენ, რომ „დიონისე” კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი „დიო” ზევსის სახელია, ხოლო „ნისე” ნაწარმოებია „იუსი~”-იდან, რაც ვაჟს ნიშნავს (კაკრიდისი 1986: 204). როუზი მიიჩნევს, რომ დიონისე ფრიგიული წარმოშობის სახელია. სიტყვის პირველი ნაწილი Dios-ი ცის დვთაების აღმნიშვნელია, ხოლო, მეორე ნაწილზე ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, თუმცა, ერთი თეორიის მიხედვით, მასში გამოიკვეთება სიტყვა nysa, ბერძნული ისის, რაც ნიშნავს „ბავშვებს” ან „ვაჟიშვილს” (როუზი 1933: 149). მსგავსი მოსაზრება გამოთქვა კრებმერმა, რომელიც სახელის პირველ კომპოზიტს Dio-ს ზევსს უკავშირებს, ხოლო მეორეს – იუსი~ სიტყვა „ვაჟებს”.

დიონისეს სახელთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ვერსიებია წარმოდგენილი ვ. ოტოს ზემოთ მითითებულ წიგნში. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, „Nysa” უნდა იყოს ფანტასტიური წმინდა მთიანი მხარე, მსგავსი პიპერბორეების მიწისა, სადაც, საგარაუდოდ, დაიბადა და გაიზარდა ახალგაზრდა

* ადგილი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიონისემ.

დმერთი. ასევე საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ვერსიით, „Nysa” დიონისეს ძიძის სახელია, რომლის პატივსაცემად ინდოეთში არსებულ ქალაქს „Nysa” ეწოდა. ამ სახელწოდების ქალაქის არსებობას ევბეაში სოფოკლე ადასტურებს, ასევე ევრიპიდე „ბაკქ ქალებში”. თუმცა, ზოგიერთ აგტორს ქალაქ ნისას ადგილმდებარეობა შორეულ აღმოსავლეთში გადააქვს. პეროდოტოსის მიხედვით, არსებობდა გადმოცემა, თითქოს, ზევსმა ახალშობილი დიონისე ეთიოპიაში არსებულ ნისაში წაიყვანა აღსაზრდელად. დიოდოროსი მიიჩნევს, რომ პომეროსის ჰიმნში ნახსენები ნისა, როგორც დიონისეს შობის ადგილი, არაბეთში მდებარეობდა. ამის შესახებ ინფორმაცია პქონდათ ნონოსსა და პესიქიოსსაც. აპოლონიოს როდოსელი ახსენებს ეგვიპტის ნისას, ხოლო ქსენოფონის მიხედვით, ნისა სირიაში მდებარეობს (ოტო 1965: 60-63).

აღსანიშნავია ისიც, რომ „ილიადაში” ლიკურგოსი დიონისესა და მის თანმხელებთ ნისეში სდევნის. ტექსტში ვკითხულობთ: „(ლიკურგოსი) ოდესდაც შმაგი დიონისეს მხლებელთ დაესხა თავს, წმინდა ნისემდე მიჰყვა” (Hom. Il. VI, 132-133). ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კი პატარა დიონისე ნიმფებმა აღზარდეს ზღაპრული ნისას მთაზე. სწორედ ამ ისტორიამ დაკავშირა დიონისე მუზებთან, ანუ წყაროების ნიმფებთან (ოვერბექი 2005: 47). ფაქტია, რომ ეს ქალაქი, წმინდა ადგილი, მთა ან კლდე, გარკვეულწილად, ფიგურირებს დიონისესთან დაკავშირებულ მითში. ნონოსის მოსაზრებით ნისე არაბეთში მდებარეობს. თუმცა, როგორც ვნახეთ, პოეტი დიონისეს სახელს არ უკავშირებს ამ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას და სრულიად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც სხვა ავტორებთან, ჩვენი ინფორმაციით, არ დასტურდება.

2.3. დიონისეს ბავშვობა და სიჭაბუბე

ახალშობილ დიონისეს პერმესი აღსაზრდელად ლამოსის შთამომავალ მდინარის ნიმფებს მიაბარებს*. პატარა ღმერთს დამდამობით არ სძინავს, ზურგზე წევს და ღიმილით შეჰყურებს ვარსკვლავიან ზეცას (kai; paι- αρτικειeuqon εή ουγανον οήμα titainwn μέτιο- hjen aμρno- – IX, 32-33). მალე პერას რისხვის გამო

* „...quagateressi Lamou, potamhiisi Numfai~” (IX, 28).

დიონისეს აღმზრდელ ნიმფებს სიგიურ შეიპყრობს, ისინი თავიანთ მსახურებს დაერევიან და სასიკვდილოდ გაიმეტებენ. ჰერმესი იძულებულია დიონისე ახლა სემელეს დას – ინოს მიაბაროს აღსაზრდელად.

ინო სემელეს ვაჟს თავის ახალშობილ პირმშოსთან – მელიკერტესთან ერთად ზრდის. მას მსახური ქალი სიდონელი მისტიდა ებმარება. ნონოსის მიხედვით, მისტიდას პატივსაცემად დაერქვა სახელი ნიკტოსელი (ნიკტესიელი) ბაკქოსის შუალამის მისტერიებს. რადგანაც სწორედ ის იყო პირველი, ვინც კიმბალებითა და საჩხრიალოებით ეთამაშებოდა პატარა დიონისეს (*prwth r̄bptron ēseisen, ēpepl ataghse de; Bakcw/ kumbal a dneususa perīkrota dīzugi cal kw/* – IX, 116-117), ანთებდა ცეცხლს შუალამის ცვევებისათვის და „ვეოქ“ უმდეროდა მარადუძინარ ბაკქოსს (*prwth nukticoreuton ānayamenh fl̄oga peukh~ eul̄ion ējsmaraghsen ākoimhitw/ Dionisw/* – 118-119), ვინც ვაზის გვირგვინით ამკობდა დიონისეს თმებს და სუროთი – თირსოსს (*prwth kampullon āhqo- ānadreyasa korumbwn āp̄l okon āmpel ōenti komhn mitrwsato desmw/ prwth d̄ jebl̄ eke qurson ōmoizugon ōīhopi kissw/* – 120-122).

მალე ჰერა შეიტყობს დიონისეს ადგილსამყოფელს. ჰერმესი კვლავ მოახერხებს მმის გადარჩენას და ახლა რეას მიუყვანს. ამასობაში ინოს სიგიურ შეიპყრობს: იგი მთა-მთა დაეხეტება და ყველას აშინებს, მანამ სანამ აპოლონი დაფნის ფოთლებით არ შეამკობს მას, ხოლო მის სხეულს ამბროზიით არ დაზელს. დიონისე რეასთან უსაფრთხოდა. ჰერ კიდევ ყმაწვილი ლომებით შებმულ ეტლს მართავს (*ējseit̄i koūon ēp̄nta āf̄mato- w̄m̄oborw̄n ēpibhitora q̄hke leontw̄n* – IX, 160-161). ათი წლის ასაგში ნადირობას იწყებს, ცოცხალ ლომებს იჭერს და თავის ეტლში აბამს. უკვე ჭაბუკი ღმერთი ჯიქებსა და დათვებს იმორჩილებს. ვეფხვს ისე მოიგდებს ზურგზე, რომ ცხოველის გათოვგაც არ სჭირდება (*tigrin āhw koufize metarsion ektoqi desmou* – 174). ფრიგიის მთებში ნადირობისას ფოცხვერები გამოჰყავს ბუნაგიდან და თავის ეტლში ჯიქებთან ერთად აბამს (kai; *Frugih~ ūbo; pezan ēj aūl ia lugka~ ēj ānsa~ stiktoi~ pordal iessin ehn ēzeuxen āphn̄hn* – 188-189).

ჰომეროსს, ჩანს, ინფორმაცია ჰქონდა დიონისეზე. თუმცა, არც ჰოგებსა და არც მის აუდიტორიას „უცხოტომელი“ ღმერთი არ ხიბლავდა. მიუხედავად ამისა, სწორედ ჰომეროსი გვაწვდის პირველ ცნობებს დვინის ღმერთის შესახებ. უკვე ჰომეროსთან დიონისე „დევნილი ღმერთია“. თუმცა, ამავე დროს, იგი ინარჩუნებს თავის ღვთაებრიობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ღმერთები სასტიკად სჯიან

ლიკურგოსს მისი შეურაცხყოფისათვის. „ილიადაში” შემდეგი ისტორიაა მოთხოვბილი: თრაკიელი გმირი ლიკურგოსი დევნის დიონისეს აღმზრდელებს, თავად შეშინებული ლმერთი ზღვაში ხტება, სადაც თეტისი მიიღებს მას. ლიკურგოსმა ლმერთების რისხვა დაიმსახურა, ზევსმა დააბრმავა იგი, რის შემდეგაც დიდხანს ადარ უცოცხლია (Hom. Il. VI, 130-140).

როგორც ვნახეთ, „დიონისიაკაშიც” დიონისე თავისი ბავშვობისა და სიჭაბუკის პერიოდში დევნილი ლმერთია. მას დევნის პერა, ოლიმპოს უზენაესი დვთაების კანონიერი მეუღლე. მოკვდავი ქალის მიერ შობილ დიონისეს არ აქვს უფლება ადგილი დაიმკვიდროს ოლიმპოს ლმერთთა პანთეონში. მეცნიერები დიონისეს დევნას მტრულად განწყობილი პირების მიერ ხსნიან იმით, რომ იგი უცხოტომელი, ანუ გარედან მოსული ლმერთია. ერვინ როდედან მოყოლებული მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ დიონისე თრაკიული დვთაებაა, რომელიც ან პირდაპირ თრაკიიდან შემოვიდა ელადაში, ან კი – ფრიგიის გავლით. ამ მოსაზრებას შეეწინააღმდეგა ვ. ოტო, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დიონისეს პროელინური დვთაებებისთვის დამახასიათებელ ხასიათზე (ოტო 1965: 52-64). მისი პიპოთება მოგვიანებით დაადასტურა დიონისეს სახელის – di-wo-nu-so-jo – მიკენურ ძეგლებზე აღმოჩენამ (ელიადე 2002: 326). თუმცა, ისე როგორც პეროდოტესთან, ასევე ეგრიპიდეს „ბაკქ ქალებში” დვინის ლმერთი „უცხოდ” და „გვიან მოსულად” მიიჩნევა (Eur. Bacch. 211-212). მ. ელიადეს მოსაზრებით, დიონისეს დევნა არა იმდენად მისი უცხოობით, რამდენადაც იმით აისხება, რომ მასთან დაკავშირებული რელიგიური გამოცდილება ემუქრებოდა როგორც იმდროინდელი ცხოვრების წესს, ასევე საზოგადოების ძირითად ლირებულებებს, რასაც შედეგად, შესაძლოა, მოჰყოლოდა ოლიმპიური რელიგიის და მისი ინსტიტუტების უზენაესობის რდვევა (ელიადე 2002: 327).

აშკარაა, რომ ნონოსი ცდილობს დიონისეს უცხო ლმერთის სახე შეუნარჩუნოს. ამიტომაც ხშირად „დიონისიაკაში” ბაკქოსი ლმერთი მოგზაურია, რომელიც ქალაქიდან ქალაქს და ქვეყნიდან ქვეყნას სტუმრობს. შესაბამისად, სადაც არ უნდა მივიდეს იგი უცხოა, რომელიც ცდილობს თანდათანობით დაიმკვიდროს თავისი კუთვნილი ადგილი. როგორც მ. დეტიენი აღნიშნავს, დიონისეს ყველგან კხვდებით, თავის ადგილად კი იგი არც ერთს არ თვლის. იგი ყოველთვის უცხოელის ნიღბით წარმოგვიდგება, რომელიც ყოველთვის სხვა ადგილიდან მოდის (დეტიენი 1977: 62).

2.4. დიონისე – მითისა და მისტერიული რელიგიის პერსონაჟი

დიონისესადმი მიძღვნილ რიტუალს აგვიწერს დემოსთენე თავის ერთ-ერთ სიტყვაში. იგი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგე ესქინეს ამგვარად მიმართავს: კაცად რომ იქეცი (*ajh̄r de; genomeno~*) დედას ეხმარებოდი (დედა მისტერიული კულტის მსახური იყო). მისტერიების გამართვისას დედას წიგნებს უკითხავდი (*th/ mhtri; telouish/ ta;~ bibl ou~ ajnegigwnske~*) და საერთოდაც ეხმარებოდი მას. დამდამობით ირმის ტყავით შემოსილი (*thn men nukta*) კრატერიდან სამსხვერპლო სასმელს უსხამდი (*krathrizw̄n*) და განწმენდის სემდგომ წამომდგართ (*ajista~ apo; tou kaqarmou*) აყვირებდი „გავექეც ბოროტს, ვპოვე შვება“ (*eFugon kakon, euj̄on aheimon*). დილით კამითა (*maraqw̄*) და თეთრი ალვის ტოტებით (*Ieukh̄*) ხელდამშვენებულ ამ მშვენიერ რიტუალურ ნაკრებს ქუჩებს გაუყენებდი. (აქ თხრობა მე-3 პირში გადადის) ხელში ჩაბლუჭულ წმინდა გველებს (*offei~ tou~ pareia~*) თავს ზევით იქნევდა და ყვიროდა: „ევოე საბე“. ცეკვა-ცეკვით (*eiporcoumeno~*) იძახდა „პუეს ატეს“ (*ūh~ aft th~*) (Dem. Orat. 287).

მეცნიერთა აზრით, ამ ეპიზოდში აღწერილია რიტუალი, რომელიც აღმოსავლური წარმოშობის მისტიკურ დვთაებებს – საბაზიოსს, დიონისეს ეძღვნებოდა. ეს კულტები ძალიან პოპულარულნი იყვნენ ძვ.წ.-ის IV საუკუნის ათენში. ამ საკითხს ეხება პლატონიც „სახელმწიფოსა“ და „კანონებში“.

პისისტრატეს დროიდან დიონისეს პატივსაცემად ათენში ოთხი დღესასწაული იმართებოდა. სოფლის დიონისიები, რომელსაც დეკემბერში ზეიმობდნენ, უბრალო ხალხის დღესასწაულს წარმოადგენდა. პროცესიას წინ მიუძღვდა უზარმაზარი ფალოსის გამოსახულება, ხოლო ხალხის ჯგუფი სიმღერებით მიაცილებდა მას. მსოფლიოს ყველა პუთხეში გავრცელებული, თავისი არსით არქაული, ე. წ. „ფალოფორია“ ეჭვგარეშეა, რომ დიონისეს კულტზე უფრო ადრე არსებობდა (ჟანმერი 1951: 25). თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავად დიონისე არასოდეს გამოისახებოდა ფალოსით ხელში, ან როგორც იტიფალიკური დვთაება მისი თანმხლები სილენებისა და სატირებისაგან განსხვავებით (ნილსონი 1978: 109-110). გარდა ამისა, პროცესის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ნიღბებით ან ცხოველთა ფორმებით მორთულთა აღლუმი.

ჩვენ გაცილებით ცოტა რამ ვიცით ლენეებზე (Lēnaia), რომელიც ზამთარში იმართებოდა. პერაკლიტესთან აღნიშნულია, რომ სიტყვა „ლენეი” და ზმნა „ლენეის შესრულება” გამოიყენებოდა სიტყვა „ბაკქი ქალებისა” და ზმნა „ბაკქი ქალის განსახიერების” მნიშვნელობით. არისტოფანეს მიხედვით, ელევსინელი ქურუმი, რომელსაც ხელში ანთებული ჩირალდანი ეჭირა, დღესასწაულის დროს ასე მიმართავდა იქვე შეკრებილ ხალხს: „უხმეთ დმერთს!”, ხოლო ისინი ასე მოუწოდებდნენ დიონისეს: „სემელეს ვაჟიშვილო, იაკქოსს, სიმდიდრის მომნიჭებელო!” (ნილსონი 1906: 275).

ანთესტერიები* იმართებოდა დაახლოებით ოქბერვალ-მარტში, ხოლო დიდი დიონისიები – მარტ-აპრილში. თუკიდიდე მიიჩნევს, რომ დიონისეს პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებს შორის, ანთესტერიები ყველაზე უფრო ძველია და მნიშვნელოვანი (Thuc. Ho polemos..., II,15,4). ცერემონიის დაწყების პირველ დღეს, რომელსაც პითოიგია** ეწოდებოდა, ხსნიდნენ თიხის ქვევრებს, სადაც წინა წელს დაწურული დვინო ინახებოდა. სასმელი დიონისეს ტაძარში გადაჰქონდათ, დმერთს ზედაშეს სწირავდნენ და ახალ დვინოს სინჯავდნენ. მეორე დღეს, რომელსაც ეწოდებოდა ხოესი***, იმართებოდა შეჯიბრი დვინის სმაში. ყოველივე ეს ცხოვრების განახლებას ემსახურებოდა, თუმცა, სავარაუდოდ, რიტუალში მონაწილეები ბედნიერი საიქიო ცხოვრების იმედით იღებდნენ მასში მონაწილეობას (ჟანმერი 1951: 48-56, 486). ხოესის დღეს ასევე ეწყობოდა რიტუალური მსვლელობა, რომელიც სიმბოლურად დმერთის ქალაქისკენ სვლას ასახავდა. ითვლებოდა, რომ დიონისე ზღვიდან უნდა მოსულიყო, ამიტომაც ათენში დიონისეს გამოსახულება ბორბლებიანი გემით მიჰქონდათ დმერთის ტაძრამდე.

ყველაზე უფრო შთამბეჭდავი იყო ათენში დმერთის ტრიუმფალური ქორწინება არქონტ ბასილევსის ცოლთან. დედოფალი დიონისესთან ერთად იჯდა ეტლში, რომელსაც ხალხი ქორწილის ტიპის ცერემონიით მიაცილებდა ტაძრამდე. არისტოტელეს ცნობით, სწორედ იქ სრულდებოდა დიონისესა და დედოფლის დვთაებრივი ქორწინება. ამ კავშირის მიზანი, ვ. ოტოს მოსაზრებით, დედამიწაზე ნაყოფიერების უზრუნველყოფა იყო. საფიქრებელია ისიც, რომ ეს კავშირი სიმბოლურად დმერთისა და ქალაქის ქორწინების მაჩვენებელი იყო. ეს ქორწინება

* Ḵanesthria – ყვავილების ზეიმი.

** Pisoigia – დვინის ჭურჭლის გახსნა.

*** Coe – დოქების ზეიმი.

ასევე ადასტურებდა იმას, რომ დიონისე ყოველთვის გარედან მოდიოდა ან უცაბედად ჩნდებოდა.

მართლაც, ცერემონიების დროს დიონისეს ყოველთვის უხმობდნენ. ის უცაბედად ჩნდება და ქრება. არგიველების ოწმენით, დიონისე ლერნეს ტბაში გაუჩინარდა, რაც ასევე სიმბოლურად ასახავს ღმერთის საიქიოზი ჩასვლას. ორფიკული ჰიმნი მოგვითხრობს, რომ დიონისე ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა პერსეფონესთან ჰადესში. ზამთრის დღესასწაულების დროს დელფოსისა და ატიკის თიადები^{*} აღვიძებდნენ დიონისე ლიკნიტეს, როგორც ჩვილს, აკვანში, რის შემდეგაც ღმერთი ქალთა გუნდებთან ერთად ცეკვავდა და დაეხეტებოდა მთებში. ზოგჯერ იგივე ქალები, რომელთა შორის მოიაზრებიან დიონისეს ძიძები, ცეკვებითა და ხმამაღალი შემახილებით აღვიძებდნენ მძინარე ბაკქოსს, ანუ უხმობდნენ მას საიქიოდან (ოტო 1965: 79-85).

ნაყოფიერებისა და ვეგეტატიური ბუნების ღმერთად თვლის დიონისეს მ. ნილსონიც. იგი ღმერთს წარმოგვიდგენს, როგორც ღვთაებრივ ბაგშვს. მივყვებით რა ნილსონის მიერ რეკონსტრუირებულ ბერძნულ მითოლოგებას, შემდეგ სურათს ვიღებთ: ღვთაებრივი ბაგშვი შობა ღედამ, ანუ, ღედამიწამ, თუმცა, მალე აღსაზრდელად ის სხვებს გადააბარა. სიჭაბუკის შემდეგ ის კვდება ან მას კლავენ. დიონისეს დაბადება, ზრდა და სიკვდილი სიცოცხლის ციკლური ცვალებადობის სიმბოლოა. ღმერთის არსებობის ეს სამი ფაზა ნაყოფიერი სეზონის გარანტია, რის გამოც იმართებოდა მის პატივსაცემად დღესასწაულები საბერძნეთში (ნილსონი 1978: 117-120). მირჩა ელიადეს მოსაზრებით, დიონისეს სწორედ ეს თავისებურება – პერიოდული გამოჩენა და გაუჩინარება – გვაძლევს საშუალებას მოვათავსოთ ის მცენარეული ღვთაებების რიგში^{**}. მის უეცარ მოსვლასა და წასვლაში შეგვიძლია დავინახოთ სიცოცხლის დაბადებისა და მისი უეცარი სიკვდილის ანალოგი, ასევე სიკვდილ-სიცოცხლის მონაცემებია და საბოლოო ჯამში, მათი განუყოფლობა. დიონისე თავისი გამოჩენითა და გაუჩინარებით თავის მიმდევრებს უმხელს უდიდეს საიდუმლოს, რაც სიცოცხლისა და სიკვდილის ერთიანობაში მდგომარეობს. ღმერთის გაუჩინარება მისი საიქიოზი ყოფნის მითოლოგიური გამოხატულებაა. ხოლო როდესაც მას რიტუალისას უხმობენ ზღვის

* Qiaſo – საზეიმო მსვლელობა ღვთაების (ძირითადად ბაკქოსის) პატივსაცემად.

** ხშირად დიონისე ხის, ვაზის ან მარცვლის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, ხოლო მითი მიხი დანაწერების შესახებ განიხილებოდა, როგორც დეინის მომზადების იღვესტრაცია (Diod. Sic. Bibliotheca historica, III, 62).

სიღრმიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საიქიოდან ბრუნდება.

კველა ცერემონიაში დიონისე ერთდროულად ნაყოფიერებისა და სიკვდილის დმერთად გვევლინება. უკვე პერაკლიტე ამბობდა, რომ დიონისე და ჰადესი ეს ერთი და იგივეა. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ დიონისეს მიმდევართა წარმოდგენით, ნაყოფიერება და სიმდიდრე მკვდრებზე და მიწისქვეშა სამყაროზეა დამოკიდებული (ელიადე 2002: 327-328, 330).

ჟანმერის მოსაზრებით, პომეროსის მიერ „ილიადაში“ აღწერილ სცენაში, სადაც ლიკურგოსის მიერ დევნილი დიონისე ზღვაში ხტება (II. VI, 133-138), ინიციაციის ძველი სცენარის კვალი შეიმჩნევა (ჟანმერი 1951: 76). შესაძლოა, დიონისეს ზღვის ტალღებში გაუჩინარება ნონოსთანაც რიტუალური სიკვდილის მანიშნებელი იყოს. აღსანიშნავია, რომ „დიონისიაკაში“ ნონოსი კვლავ მოგვითხრობს ლიკურგოსის მიერ დიონისეს დევნაზე და დმერთის ზღვაში გაუჩინარებაზე: პოემაში აღწერილია დიონისეს გამგზავრება არაბეთში, ქალაქ ნისაში, სადაც ბრძანებლობს არესის სასტიკი ვაჟი ლიკურგოსი. ირისი პერას ნებით მიიღებს პერმესის სახეს და დიონისეს დაარწმუნებს, უიარაღოდ შევიდეს სტუმართმოყვარე ლიკურგოსის სასახლეში. მართლაც, ღვინის დმერთი დატოვებს იარაღს, ბაკქ ქალებსა და თავის ეტლს კარმელის მთასთან და ფეხით მიემართება მტერთან. ამასობაში ლიკურგოსი იწყებს მოცეკვავე და მომდერალი ბაკქი ქალების დევნას. პერა კი გრუხუნებს ზეცაზე და მისი რისხვის გამო დიონისეს მუხლები უკანკალებს. ბაკქოსი მირბის და ერეთრეის ზღვას აფარებს თავს (*tarbalevi - de podessi fugwət akiichto - olliith - glaukon Eruqraiħ - upedusato kuma qalaassħ - XX, 353*), სადაც მას ხვდება ქალღმერთი ოეტისი და „მოსიყვარულე ხელს გაუწვდის (ton de Qeit i- buqih fili w/ phicunen aġostaw - 354). ზევსი ამის გამო ლიკურგოსს სასტიკად დასჯის: მას დააბრმავებს და მაწანწალად გადააქცევს. შესაძლოა, ამ პასაჟით ნონოსი დმერთის საიქიოში ყოფნაზე მიგვანიშნებს ან ის უბრალოდ მიჰყება პომეროსის გზას და ცდილობს დიონისეს ანტიკურობაში არსებული სახე შეუნარჩუნოს, სახე დევნილი და გაუჩინარებული დმერთისა.

ნონოსი ასევე ცდილობს დიონისეს არ დაუკარგოს მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი, რასაც ღვთაებრივი სიგიუ ეწოდება. ჯერ კიდევ პომეროსთან იკვეთება დიონისეს, როგორც მანით შეპყრობილი დმერთის სახე: მას „ილიადაში“ პომეროსი *mainomeno--*ს უწოდებს (Hom. II. VI, 132). ამასვე ადასტურებს პეროდოტე (Herod. Hist. IV, 79). პომეროსიდან მოყოლებული დიონისე მანის გამომწვევი

დმერთია. სიგიუის გამოწვევა დიონისეს გარდა სხვა დმერთებსაც შეეძლოთ – არესს, აფროდიტეს, აპოლონს. ადამიანის ჭკუდან გადაყვანა შეეძლო მიცვალებულის სულსაც (ცანავა 2005: 174-175). დიონისეს კულტისთვის დამახასიათებელ მანიაზე მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ევრიპიდე „ბაკქ ქალებში”. ტრაგედიაში პენთევსს მსახური, რომელმაც თავისი თვალით ნახა გამთენისას კითერონის მთაზე ბაკქი ქალები, უამბობს, რომ ისინი თხის ტყავებით არიან შემოსილები, თავზე ხავსი აქვთ შემოხვეული, ტანზე გველები ეხვევიან, ხელში კი ირმის ნუკრები და მგლის ლეპვები უპირავთ, რომელნიც მათ ძუძუს სწოვენ (Eur. Bacch. 684-689). ყოველივე ეს იწვევს მათში ექსტაზს და არა ღვინო. ბაკქი ქალები დაეხეტებოდნენ ლამით ტყებსა და მთებში. ამ მსვლელობის კულმინაცია იყო ცოცხალი ცხოველის განწილვა (sparagmos) და უმად ჭამა (omophagia), რაც მონაწილეების დმერთთან დროებით გაერთიანებას ნიშნავდა. ბაკქი ქალები არაბუნებრივად ძლიერები იყვნენ, არ პქონდათ შიში გველებისა და გარეული ცხოველების მიმართ. ყოველივე ეს მიანიშნებდა მათ ეგზალტაციაზე, ანუ მათ გაიგივებაზე ღმერთთან. დიონისური ექსტაზი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ადამიანური საზღვრებიდან გასვლასა და სრული თავისუფლების შეგრძნებას. უმი ხორცის ჭამა ცხოვრებისეული და კოსმიური ძალების შერწყმაზე მიუთითებდა, რაც იგივე ღმერთით შეპყრობა, ანუ მანის განცდა იყო (ელიადე 2002: 332-333).

ნონოსის პოემაში დიონისე მანის გამომწვევი ღმერთია. ოუმცა ეს მანია, შესაძლოა, ორგვარი იყოს: ერთს, რომელიც ფსიქოპათიური კრიზებითაა გამოვლენილი, ბოროტების მოტანა შეუძლია, ხოლო, მეორეს, რომელიც ბაკქურ ექსტაზს ემსახურება – სიკეთის. უკვე ინდოეთიდან დაბრუნებული გამარჯვებული ღმერთი თავის მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებს თავს სიგიუეს დაატეხს. XLVI სიმღერაში აღწერილია, თუ როგორ დასჯის დიონისე პენთევსს, რომელიც არ სცნობს მის ღვთაებრიობას, ასევე მის დედას აგავეს. პენთევსიცა და აგავეც დიონისური სიგიუის მსხვერპლი გახდებიან. მანიით შეპყრობილი გლეხები კლავენ იკაროსს, რომელიც ათენში საოცარი სტუმართმოყვარეობით გაუმასპინძლდება დიონისეს. სამაგიეროდ ბაკქოსი მას ღვინოს გაასინჯებს, ასწავლის გაზის გახარებასა და მის მოვლას (kai; min aħax eħidaxen ajeixifutw/ tini; teċnh/ klausai boqriaisai te balein t jeph; kli hmxata guroi – XLVII, 68-69), რაც ჯერ კიდევ უცნობია ატიკაში. იკაროსი ღვინოს დაალევინებს გლეხებს, რომლებიც დათვრებიან და

სიგიჟით შეპყრობილები სამუშაო იარაღებითა და ქვებით მოკლავენ საბრალო მოხუცს. ტექსტში ვკითხულობთ:

„ . . . o)de; stacuhtomon afphn
koufizwn, eftero~ de; I iqon perimetron ajeirwn,
all lo~ ajeptoihto kal europa ceiri; titainwn,
ghral eon pl hessonte~. el wn derti~ eiggur~ ihaisql hn
jlkariou teitrhne dema~ tamesic croikentrw” (XLVII, 120-124).

(ერთმა ნამგალი მოიმარჯვა, რომლითაც თავთავს მკიდა, მეორემ – ქვა, მესამემ მწყემსის კომბალს წამოავლო ხელი, სხვამ კი მათრახით დააწყლულა მოხუცის კანი).

„დიონისიაკაში” აღწერილი იკაროსის სიკვდილის სცენა ბაკქოსის რიტუალებში შესრულებულ მსხვერპლშეწირვას პგავს. მისი დაგლეჯა განწილვის რიტუალს მოგვაგონებს. სიგიჟის მსხვერპლად იქცევა იკაროსის ქალიშვილიც ერიგონე: როდესაც მეორე დღეს გლეხები გონს მოეგებიან, სასწრაფოდ მიწას მიაბარებენ იკაროსის ცხედარს. ერიგონემ არაფერი იცის მამის სიკვდილზე. მალე მას სიზმარში იკაროსი გამოეცხადება და დაწვრილებით მოუთხრობს, თუ როგორ გასწირეს ის სასიკვდილოდ გლეხებმა. სასოწარკვეთილი გოგონა ტყეში გარბის და სიგიჟით შეპყრობილი თავს ჩამოიხრჩობს ხეზე (XLVII, 140-223).

ნონოსი მოგვითხრობს ასევე დიონისეს მოგზაურობას არგოსში, სადაც ხალხი პერას მიაგებს პატივს, ბაკქოსის ღმერთად აღიარება კი არ სურს და მის თანმხლებთაც სასტიკად ექცევა. დიონისე ჯავრს არგოსელ ქალებზე იყრის, რომელნიც მანით შეპყრობილი საკუთარ ბავშვებს სასიკვდილოდ გაიმეტებენ (XLVII, 571-589).

პოემაში გონებააშლილობის გამოწვევა შეუძლია ასევე პერას. „დიონისიაკაში” აღწერილია ინოს თავგადასავალი, რომელსაც ქალღმერთი დიონისეს გამო მოუვლენს მანიას: საბრალო ქალი ფეხშიშველა გარბის მთებში და დიონისეს ეძებს. მკერდგაშიშვლებულს ხშირად ხელში გველები აჲყავს. ამ მდგომარეობაში მყოფი აღწევს დელფოსს, სადაც ყველას აშინებს. პითია გამოქვაბულში იმალება. აპოლონი მოკვდავის სახეს მიიღებს და დაფნის გვირგვინით ამკობს მას. შემდეგ აძინებს და მის სხეულს ამბროზიით დაზელს. სამი წლის განმავლობაში ცხოვრობს იგი პარნასის ტყეში და აპოლონის ნებით ბაკქურ ცეკვებს სწავლობს. საბოლოოდ, მას კორიკიელი ბაკქი ქალები განკურნავენ წმინდა ბალახების მეშვეობით. ტექსტში ვკითხულობთ:

„ . . . sun agrupnoisi de peukai~

Kwrukide~ quoenta metesticon ořgia Bakcai,
kai; zaqeai~ pal amhšin aj lekhthria lussh~
farmaka sul lekanto kai; ihsanto gunaika” (IX, 286-289).

(კორიკიელი ბაკქი ქალები მისტერიებს მართავენ, ფიჭვის კეთილსურნელებას აფრქვევენ, ხელში კი წმინდა ბალახი უჭირავთ, რომელიც ქალების გონებას იცავს).

ამ ეპიზოდიდან ჩანს, რომ ნონოსთან ბაკქ ქალებსაც შესწევთ სიგიჟის განკურნების უნარი.

პოემაში თავად დიონისეეც აღმოჩნდება გონებააშლილობის მსხვერპლი. „დიონისიაკას” XXXII სიმღერაში ჰერა აფროდიტეს ტრფობის ქამრით მოხიბლავს ზეგსს და დააძინებს, თავად კი ინდოთა ლაშქარს ეხმარება. ერინია ჰერას გაქეზებით დიონისეს სიგიჟეს მოუვლენს. შეშლილი ბაკქოსი ცხოველებს დასდევს და ხოცავს. ამასობაში კი ინდოელები ავიწროებენ დიონისეს ლაშქარს (XXXII, 1-150). საბოლოოდ, ღვინის ღმერთს, ზეგსის ბრძანებით, ჰერა განკურნავს სიგიჟისაგან. ქალღმერთი ძუძუს მოაწოვებს ბაკქოსს, თავისი წმინდა რძით ტანს დაუზელს და დაბინდულ გონებას გაუხსნის (*uheterw/ de galakti dema- crisia* Luaišu sbeisson ajmersinovio duseidea lumata nouisou – XXXV, 306-307). აშკარაა, რომ, როგორც ინოს, ისე ბაკქოსის სიგიჟისგან განკურნების სცენა გადასვლის რიტუალს აგვიწერს. თუმცა, უკვდავად ქცევა, ანუ ღმერთთა შორის დამკვიდრება მხოლოდ დიონისეს ძალუბს, რადგანაც იგი ქვეყნიერებას მეორედ სწორედ ზეგსმა მოუვლინა*. რაც შეეხება დიონისეს მიმდევრებს, რომლებიც მის პატივსაცემად გამართულ რიტუალებში იღებდნენ მონაწილეობას, ბაკქოსი მხოლოდ მცირე ხნით სთავაზობს ღმერთთან გაიგივებასა და ადამიანური საზღვრებიდან თავის დაღწევას. მ. ელიადე აღნიშნავს, რომ არც ეპრიპიდეს „ბაკქ ქალებში” და არც ნონოსის „დიონისიაკაში” საუბარი არაა უკვდავებაზე. დიონისური რიტუალის ცენტრალური ნაწილი ე. წ. mania მიანიშნებდა, რომ რიტუალის მონაწილე იყო entheos – „ღმერთით შეპყრობილი”, რაც მას საშუალებას აძლევდა შეეგრძნო თავისუფლება და კი არ დაეძლია, არამედ დროებით გაერღვია ადამიანური ჩარჩოები (ელიადე 2002: 334).

საინტერესოა, რომ „დიონისიაკაში” ყურძენი, ნაყოფიერების სიმბოლო, სტუმართმოყვარეობის სიმბოლოდაც შეგვიძლია მოვიაზროთ. დიონისე ხალხს ვენახის მოყვანასა და ღვინის დაწურვას ასწავლის, ამდენად იგი

* აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით „დიონისიაკაში” ინოც ეზიარება უკვდავებას, როდესაც გაგიჟებული ქმრის – ათამასის რისხვისგან თავის გადასარჩენად ზღვაში გადახტება და ქალღმერთ ლეგპოტეად გადაიქვევა.

სტუმართმოყვარეობის მქადაგებელ ღმერთად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ამიტომაც ბაკქოსს გამუდმებით სურს სტუმრად გადაქცევა, სტუმრის მაგიდა, რომელსაც მისთვის შლიან ერთგული ქალაქები. ხან ალიბების* დაბლობზე მცხოვრები მწყემსი ბრონგოსი ეპატიუება მას თავის ქოხში, ღარიბულ სადილსა და რძეს სთავაზობს ღმერთს. ხანაც ასირიის** მეფე სტაფილოსი და მისი ვაჟი უმართავენ მდიდრულ ნადიმს და თაყვანს სცემენ. ორივე შემთხვევაში ღმერთი არ ივიწყებს პატივისცემას. მწყემს ბრონგოსს დვინით სავსე კრატერს უბოძებს, სტაფილოსის სახელს კი ყურძნის მტევანს დაარქმევს და ასე აქცევს უკვდავად. ქალაქ ტიროსში დიონისე ასტროქიტონის ტაძარს მოინახულებს, სადაც მის წინ თავად ასტროქიტონი წარდგება მრავალვარსკვლავიანი ცის სახით და ღმერთს ნადიმზე მიიწვევს.

ნადიმი, ან მასპინძლის უბრალო სუფრა დიონისეს ღმერთად აღიარების ერთ-ერთი ფორმაა. ყველა, ვინც კი თაყვანს სცემს ბაკქოსს, მას სუფრას უშლის, რის შემდეგაც დიონისე მათ ვენახის მოვლასა და დვინის დაწურვას ასწავლის. დვინი კი, როგორც აღნიშნავს პოეტი, დედამიწაზე ენაცვლება ზეციურ ნექტარს. ის ადამიანებს ყოველდღიურ საზრუნავს ავიწყებს და მხიარულებას ასწავლის. ნადიმი ღმერთის მიერ ბოძებულ სიხარულთან ზიარების ერთ-ერთი გზაა.

როგორც ვნახეთ „დიონისიაკაში“ დვინის ღმერთს ყველა ის მახასიათებელი ნიშანი აქვს შენარჩუნებული, რაზეც ყურადღებას ანტიკური ავტორები ამახვილებდნენ: ის დევნილი ღმერთია და ყოველთვის უცხოს სახითაა წარმოდგენილი. მას ყოველთვის უხმობენ და ისიც უეცრად ჩნდება და ქრება. იგი ნაყოფიერების ღვთაებაა და სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის სიმბოლო. მისი უეცარი გაჩენა და გაუჩინარება საიქიოში ჩასვლასა და იქიდან კვლავ დაბრუნებას ნიშნავს. მისი კულტის უმთავრესი მახასიათებელია მანია, რომელსაც ხან უბედურება, ხანაც ბედნიერება მოაქვს. დიონისე იდგწის ოლიმპოსზე ადგილის დასამკვიდრებლად, სწორედ ამიტომ მიემგზავრება ინდოთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ის ღვთაებაა, თუმცა, იმის გამო, რომ დედით მოკვდავია და მისი კულტმსახურება უწვეულოა ხალხისთვის, რთული გზის გავლა უხდება, რის შემდეგაც ოლიმპოსზე დაიმკვიდრებს ადგილს. თუმცა, დიონისეს ბუნებას

* ალიბები, მცირე აზიის ერთ-ერთი ტომი. შესაძლებელია აქ ნონოსი გულისხმობს ხალიბებს, ან პომეროსთან დასახელებულ ჰალიძონებს.

** ასირია ნონოსთან დიდ ტერიტორიას მოიცავს მდინარე ტიგროსსა და ლიბანოსს შორის.

ყოველთვის თან სდევს ის გაორება, რაც მის უკვდავებასა და მოკვდაობას შორის მერყეობს: ის ბედნიერებისა და უბედურების მომტანი დმერთია, ის სასტიკია, თუმცა, ამავე დროს მხიარულებასა და ყოველდღიური საზრუნავის განქარვებას აღუთქამს თავის მიმდევრებს. ის, მებრძოლია, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებულია მისი ბრძოლის მანერა – ცეკვითა და თირსოსით ამარცხებს მტერს. შესაძლოა, სწორედ დიონისეს ამ გაორებულ ბუნებას ბაძავს ნონოსი, როდესაც ქმნის თავის პოეზიას. გაორება ხომ მისი პოეზიის უმთავრესი მახასიათებელია და პოემის თითქმის ყველა შრესა და ასპექტში შეიმჩნევა.

2.5. დიონისე – მებრძოლი დმერთი

დიონისეს ინდოეთში ბრძოლა აღწერილია „დიონისიაკას” XIII-XL სიმღერებში. პოემის ამ ნაწილს, როგორც ერთ მთლიან ტექსტს, აქვს თავისი სტრუქტურა და კომპოზიცია. ომის დაწყებამდე დიონისე ჯერ კიდევ ნახევრად დმერთია, თუმცა, აქვს კოლოსალური ძალა. ინდოეთის ომის შემდეგ ის მკვიდრდება ოლიმპოსზე. ადსანიშნავია, რომ ელინისტური ხანიდან დიონისეს თავგადასავალში ჩნდება მეტად მნიშვნელოვანი მითიური ელემენტი, რომელიც მოგვითხოვს მის წარმატებულ ლაშქრობაზე ინდოეთში. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დმერთის ინდოეთში მოგზაურობა შთაგონებული იყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობით ამ მხარეში ქრისტეს შობამდე 320 წელს. დმერთის მეფესთან გაიგივებას ისიც ადასტურებს, რომ ელინისტური ეპოქიდან ლვინის დმერთი ვაზების მხატვრობაში შედარებით ახალგაზრდაა გამოსახული (ბოუერსოქი 1994: 158). ცნობილია, რომ თავად ალექსანდრე მაკედონელი თავის იდენტიფიკაციას დიონისესთან ახდენდა (ბურკერტი 1993: 262).

„დიონისიაკაში” ბრძოლის დაწყებამდე ზევსი მოუწოდებს ბაკქოსს:

„*oſtra dikh~ apidakton uþerfialwn geno~ jindwñ*

Asido~ ejkel aseien ew/poinhitori qurswl

dusmacon ajmhisa~ potamhion uià keraſthn

Dhriadhn basilha, kai; eþnea panta didakh/

oþgia nukticoreuta kai; oihopa karpon oþpwrh~” (XIII, 3-7).

(რომ მან ინდოთა ველური და ქედმაღალი ტომი თავისი თირსოსით ასიდიდან* ზღვამდე განდევნოს, შეებრძოლოს მდინარის დვთაების ვაჟს – მეფე დერიადესს, სხვადასხვა ხალხს ასწავლოს შუაღამის მისტერიების მოწყობა და უურძნისგან დამათრობელი წვენის დაყენება).

ამ ძნელი გზის გავლის შემდეგ კი გაიღება მისთვის ოლიმპოსის კარი. ზევსის მოწოდებას ეხმიანება რეა, რომელიც შეკრის უკვდავთა და მოკვდავთა ლაშქარს (XIII, 34-46). ნონოსი პომეროსის მსგავსად აგვიწერს იმ მეომართა კატალოგს, რომელიც მონაწილეობას იღებენ ინდოეთის ომში. საერთოდ, ადსანიშნავია, რომ ინდოეთის ბრძოლის აღწერისას ნონოსი ცდილობს პომეროსის „ილიადას” მიბაძოს: დიონისეს თანმხლებთა მრავალრიცხოვანი რაზმი სწორედ ავლისში** მოიყრის თავს (XIII, 103-104). თუმცა, გვიანანტიკურ ეპოსში გმირის ადგილს ღმერთი იკავებს, ადამიანის სისხლიან მსხვერპლშეწირვას კი სამსხვერპლო ცხოველი ცვლის***. გარდა ამისა, „ილიადის” მსგავსად, ინდოელების წინააღმდეგ ომში, მოკვდავებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ღმერთებიც. რეა ასე მოუხმობს პოემაში ფეხუსის ქარებს: „მოკვდავ მეომართა ფეხდაფეხ შეაგროვეთ ცის მკვიდრთა ჯარიც” (αἱ λα; meta; broteῖν προμαχων ἡλιῳδα φυτίῃ και; στρατιῇ ταρεῖν τε διδακτε – XIV, 15-16). ამის შემდეგ, თითქმის მთელი ომის განმავლობაში ღმერთები აქტიურად არიან ჩაბმულნი ბრძოლაში. ზოგი დიონისეს მხარეზე იბრძვის (ზევსი, ნერევსი, ეროსი და სხვა), ზოგიც ინდოელებს ეხმარება (პერა, არესი, ერისი და ა.შ.).

ამას ისიც ემატება, რომ ინდოეთის ომის მსვლელობისას ნონოსის ღმერთები ხშირად იტყუებიან, მიზნის მისაღწევად ათას ხრიკს იგონებენ. ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაშიც იგდებენ თავს. ამ მხრივ ისინი საოცრად პგვანან პომეროსის ღმერთებს. ხშირ შემთხვევაში კი ავტორი მათ ზუსტად იმავე სიტუაციებში წარმოგვიდგენს****.

გარდა ამისა, ნონოსი პომეროსის დარად პოემაში ომის მხოლოდ უკანასკნელ

* იგივეა, რაც აზია.

** ქალაქი ბეოტიაში, სადაც შეიკრიბა აქაველთა ლაშქარი ტროაზე გალაშქრების წინ (Hom. II. II, 303).

*** იფიგენიას ნაცვლად დიონისეს ლაშქარი ფურირებს სწირავს ქალდმერთს მსხვერპლად (XIII, 105-107).

**** მაგალითად, „დიონისიაკას” XXXI-XXXII სიმღერებში აღწერილია, თუ როგორ ხიბლავს პერა ზეგესს აფროდიტეს სარტყელის მეშვეობით და როგორ აძინებს მას პიმხოსის დახმარებით, თავად კი ინდოელებს ეხმარება ბრძოლაში (შდრ. Hom II. XIV. 153-360).

წელს აღწერს:

„ . . . οὐκ μέν αἰεῖσι
πρωτου~ εἴκ τυκτάντα~, . . .
. . . τελεῖσα~ δε τύπον μιμήλον Δομήρου
սτατον υἱνησίω πολεμών εἴτο~, εβδομαΐθν” (XXV, 6-9).

(არ ვუმდერებ ომის პირველ ექსტრემულს. მიგბაძავ ჰომეროსის ლექსებს, ვიმდერებ ბრძოლის მხოლოდ უკანასკნელ წელზე, მეშვიდეზე).

ადსანიშნავია, აგრეთვე, რომ დიონისეს ფარი ინდოელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც ტროას ომში აქილევსისა, მნიშვნელოვანი სიმბოლოა. თუმცა, აქილევსის ფარისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია პრაქტიკული ფუნქცია. ის დიონისეს თილისმაა, რომელიც უზრუნველყოფს ღმერთის გამარჯვებას (ვიანი 1994: 91). ბაკქოსის ფარი პეფესტოს ნახელავია. აქ საქმე ეხება არა მხოლოდ შექმნას, არამედ მასში „მაგიის” ჩადებას. სწორედ მჭედლის საიდუმლო ხელობა აქცევს საბრძოლო იარაღებს მაგიურ საგნებად (ელიადე 1998: 187). ამგვარი მაგიური ფუნქცია აქვს დიონისეს ფარს, რომელიც გმირს ბრძოლაში გამარჯვებას უქადის*.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ინდიადაში” გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრება მდინარე ჰიდასპთან ბრძოლას, რადგან სწორედ მის დროს ხდება აშკარა – თუკი დიონისე არ გაიმარჯვებს და არ დაიკავებს საკადრის ღვთაებრივ ადგილს ღმერთთა სამყოფელში, სამყაროში უწესრიგობა და ქაოსი დაისაღვურებს.

ადსანიშნავია ისიც, რომ ნონოსს დიონისეს ამალის ლაშქრობა ინდოეთში აღწერილი აქვს, როგორც მხიარული სვლა. ღვინის ღმერთის თანმხელებნი სიმღერითა და ცეკვით იბრძვიან კბილებამდე შეიარაღებულ ინდოთა წინააღმდეგ. პოემაში ამგვარადაა გადმოცემული დიონისეს არმიის სვლა ინდოეთისაკენ:

„καὶ στρατὸν οἵχσθρα περισκαιρόντα δοκεῦν
Τοῖον εἴρο· λεκεία~, οὐτὶ προμο~ ἡγεμονευεῖ
εἰς̄ coron, οὐκ εἴρι; δηρίν εἵοπλιον αἱδρα κομιζων” (XIII, 501-503).

(მხილველი ამგვარი ლაშქრის, რომელიც ცეკვა-ცეკვით მიემართება საბრძოლველად, იტყვის, რომ მხედართმთავარს მოლაშქრეთა მწყობრი მიჰყავს სასიმღეროდ და საცეკვაოდ და არა საბრძოლველად).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დიონისეს ჯარის აღწერისას აშკარად ნონოსის ირონიული დამოკიდებულება მის მიმართ. პოეტი შეგნებულად ცდილობს

* დიონისეს ფარის სიმბოლურ მნიშვნელობაზე იხილეთ ქვეთავი – დიონისეს ფარი.

დგინის ღმერთი და მისი თანამებრძოლები სასაცილო სიტუაციებში აგვიწეროს, რათა მკითხველის თვალში დაამციროს დიონისე და მისი ღვთაებრიობა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ნონოსი ქრისტიანი ავტორია (მიგუელებ-კავერო 2009: 565-567). თუმცა, ფ. ვიანის მოსაზრებით, დიონისეს პრძოლის მანერა განსაკუთრებულია, რაც მის ღვთაებრიობას ამჟღავნებს. ბაკქოსი მტრებზე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს, უცაბედად წნდება და ქრება, ის ყველგანაა, რაც ინდოელებში პანიკას იწვევს. იგი მისტიკური სიგიჟით აღატკინებს საკუთარ ლაშქარს და „პალუცინოგენური თირსოსით” ამარცხებს მტერს (ვიანი 1994: 90-92).

აშკარაა, რომ ნონოსი მებრძოლ დიონისეს ორი სახით წარმოგვიდგენს. ერთი მხრივ, იგი „გიგანტთა მკლელი” (*Gigantofono-* – XLV, 171), „ინდოთა მმუსვრელია” (*Indofono-* – XVI, 400), მეორე მხრივ, კი „ზარმაცი” (*akimhto-* – XLVIII, 140), „გამოუცდელი თავხედი” (*apeirōmōqo-* – XVII, 276) და „სუსტია” (*aptolemo-* – XX, 228). ბაკქოსი ხან გააფორებული ებრძვის ინდოელებს, ხან კი დროსტარებაში გართულს ერისი ახსენებს და არცხვენს, რომ ნადიმებს გადაჰყვა და პრძოლა დაივიწე (XX, 43-95). XXV სიმღერაში ნონოსი დიონისეს, პერსევსა და პერაკლეს ადარებს, მანამდე კი აღწერს, თუ როგორ უკანკალებს პერას რისხვისგან შეშინებულ ბაკქოსს მუხლები (XX, 342-343). იგივე ერისი ამგვარი სიტყვებით მიმართავს დგინის ღმერთს: – „შენ, უიარადო, უსახელო, მხოლოდ და მხოლოდ სიმთვრალეს უმღერი” (*akleih- ajsidhro- ephoinion uñnon ajeidw-* – XX, 87).

როგორც ვიცით, პომეროსთან დიონისე მშიშარა ღმერთია (*Hom. II. VI. 133-137*). საფიქრებელია, რომ ნონოსთან ერთმანეთს დაუპირისპირდა ღმერთის ტრადიციული სახე და გვიანანტიკურ ეპოქაში მასზე არსებული წარმოდგენები. ელინისტურ და გვიანანტიკურ ხელოვნებაში (მოზაიკა, ფერწერა) დიონისე წარმოდგენილია, როგორც უდიდესი გმირი (ბოუერსოქი 1994: 161). ასევე კოსში აღმოჩენილ დიონისეს საკურთხეველზე, რომელიც ქრისტეს შობამდე 150 წლით თარიღდება, დიონისე გამოსახულია, როგორც მებრძოლი და ტრიუმფატორი ღმერთი. ჩანს, ღმერთის იკონოგრაფიულ გამოსახულებაზე გავლენა ალექსანდრეს გმირულმა ცხოვრებამ მოახდინა (ბურკერტი 1993: 270-271).

მებრძოლი გმირის მოდელს ქმნის ნონოსიც თავის პოემაში, რაც ბაკქოსზე მისი ეპოქის წარმოდგენებს ემთხვევა. თუმცა, ამავდროულად ცდილობს ღმერთის სახეს შეუნარჩუნოს ანტიკურობაში, კერძოდ კი პომეროსთან, ჩამოყალიბებული წარმოდგენები. სწორედ ამიტომაა მებრძოლი ღმერთის ბუნება გაორებული

„დიონისიაკაში”, რაც ეხმიანება როგორც პოემის სტილს, ასევე ბაკქოსის, როგორც მრავალნიღბიანი ღმერთის სახეს.

2.6. დიონისეს საბრძოლო იარაღები

ისეთივე უჩვეულოა დიონისეს საბრძოლო იარაღები, როგორც მისი ბრძოლის მანერა. ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლისას მისი უმთავრესი ატრიბუტია ვაზი. ერთ-ერთ შეტაკებაში იგი ინდოელების ბელადს ორონგს სწორედ „ვაზის ლერწით” (ajmpel oenti korumbw! – XVII, 263) გაუპობს გულს და დაამარცხებს. სხვაგან ვაზის მზარდ ლერწს ღმერთი ჯერ მეომარ დერიადესის ეტლს შემოახვევს ბორბლებზე, შემდეგ – სახესა და ტანზე:

„ . . . ařtiqal h̄ de;

sumfuton aijquisswn epi; boitruisboitrun aij hithn
mainomenou basil h̄o~ epiiskiownta proswpw/
seieto mitrwsa~ ol on ajihera. Dhriadhn de;
aujtofuh~ ejmerussen el ix eujuwei>karpw!” (XXXVI, 360-364).

(ყურძნის ნორჩი მტევანი მტევანზე თავისთავად გაიზარდა და გაშმაგებულ მეფეს სახესა და ახოვან ტანზე შემოეხვია, ყურძნის კეთილსურნელებამ დერიადესი თრობის ბურუსში გაახვია).

ვაზის ნაზი ფოთლები ძლევს ინდოელთა საბრძოლო აღჭურვილობას: ხელშუბებს, ფარებს, მახვილებს. ვაზის გვირგვინებით შემჯული ბაკქი ქალები ამარცხებენ მებრძოლ ინდოელებს.

მეორე მტებად მნიშვნელოვანი საბრძოლო იარაღია თირსოსი. დიონისესაგან დამარცხებული ორონგი ასე მოთქვამს: „სუსტმა თირსოსებმა ჩვენ გაგვანადგურეს” (qurson~ oj igou~ rhxhnora~ – XVII, 275). სხვაგან ავტორი დიონისეს საბრძოლო იარაღს – თირსოსს – უპირისპირებს ინდოელი ორონგის შუბს:

„ařifw d jeij~ moqon h̄l qon ohhl ude~, wh ojmen aujtwn
eřco~ eřcw, ojde: qurson” (XVII, 231-232).

(ორივე მტებაც მიიწევს საბრძოლველად. ერთი ხელშუბით, ხოლო მეორე მხოლოდ თირსოსით).

თირსოსს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ასევე ეპიპიდეს „ბაკქ ქალებში”. პენთევსი, პირველ რიგში, თმების შექრით და თირსოსის წართმევით ემუქრება

უცნობს, ანუ დიონისეს (Eur. Bacch. 479; 481). მისი ძალა ევრიპიდეს რამდენჯერმე აქვს ხაზგასმული.

ადსანიშნავია ისიც, რომ ნონოსთან დიონისე ბრძოლაში უძლურია გველების გარეშე. შუბლზე ან ხელზე შემოხვეული გველი მისი ძირითადი ატრიბუტია ბრძოლისას. საომრად მიმავალი ღმერთი „შუბლს დახვეული გველის გვირგვინით იმკობს” (kai; skol iw/mitrwse komhn oſiwiwdei>desmw/ – XVIII, 199). გარდა ამისა, გველი დიონისეს ძლიერების ნიშანია. მაგალითად, ნონოსი მოგვითხრობს, რომ პერას დავალებით ირისი გააბრიყვებს დიონისეს, რომელიც „გველის კულულების” გარეშე გაეშურება ლიკურგოსის სახლში, რაც გახდება მისი უდიდესი მარცხის მიზეზი (XX, 267-364). შუბლზე შემოხვეული გველი დიონისეს კულტში ჩანს „ბაკქ ქალებშიც”. ევრიპიდეს მიხედვით, როდესაც დაიბადა დიონისე ზევსმა გველის გვირგვინი გაუკეთა მას (Eur. Bacch. 100-104).

დიონისეს მსგავსად გველი ბაკქი ქალების ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო იარაღია. „აი, ერთ-ერთმა ქალწულმა შეამიანი უზარმაზარი გველების ჯაჭვი შემოხვია კისერზე” (h} de; dafoinhento~ ejfimeirousa kudoimou` wjmoborwn efxeuxen ejp j aujensi desma; drakontwn – XIV, 355-356), წერს პოეტი. მათ ქალწულობას გველები იცავენ: ერთ-ერთი ბრძოლისას ინდოელი ცდილობს დაიმორჩილოს ბაკქი ქალი, მაგრამ „ . . . უცაბედად, ქალწულის წელიდან გველი დაესხა მას თავს, და ყელში ეცა” (ofqio~ eiſpe drakwn uþokol pio~ iþui geitwn, dusmenew~ d' hix – XV, 81-82). პლუტარქეც მოგვითხობს, რომ გველი ბაკქი ქალების ერთ-ერთი ატრიბუტი იყო, (Plut. Alexand. 384). ხოლო დემოსთენე ამის შესახებ წერს: „მას (დიონისეს) დღისით ქუჩებში გამოჰყავდა ხალხი, რომლებიც კამისა და თეთრი ალვის ფოთლებით იყვნენ მორთულნი, ხელებზე კი მოსისინე გველები პყავდათ შემოხვეული” (Dem. Orat. 287).

საყურადღებოა, რომ ყველა ის ატრიბუტი, რაც ახასიათებს დიონისეს ბრძოლისას მის თანმხლებთა აუცილებელი ატრიბუტიკაცაა. დიონისეს თანმხლებნი კი ინდოეთში არიან სატირები, მენადები, ბაკქი ქალები. ნონოსი ამგვარად აღწერს ომში შეიარაღებულ ბასარიდებს*:

,h}men ejcidnaiw/kefal hn ejzwato desmw/

h}de diesfhwse komhn eujwdei>kissw/

* ბასარიდა იგივე ბაკქი ქალია.

all h cal koforw/pal amhn ekorusseto qurswi (XIV, 341-343).

(ერთს შეამიანი გველის გვირგვინი უმშვენებს თავს, მეორე სუროს კულულების სურნელში გახვეულა, მესამემ თირსოსს წამოავლო ხელი).

ხელზე შემოხვეული გველი, თირსოსი და სუროს გვირგვინები კი დიონისეს საბრძოლო იარაღებია. სუროს, როგორც დიონისეს ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტს, ვიცნობთ, არა მხოლოდ „ბაკქი ქალებიდან”, დიონისეს ატრიბუტია ის სოფოკლესთან (Ant. 1132, OC 674) და ევრიპიდესთან (Ion 216, Hel. 1360).

საინტერესოა ასევე ის, რომ ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს დიონისე ხშირად ყვირის. ერთ-ერთი შეტაკებისას ლვინის ღმერთი ასე აფრთხობს მტერს:

„dh; toite Bakco- aμse barusmaragwn aþo; l aimwn,
οφροισον εἵνεαι i l o- επεβρεμεν εἰσμος- εἵνους~
frikton ohogl wesswn stomaitwn qroon” (XXIX, 293-295).

(ბაკქოსმა ყელიდან ისეთი ძლიერი ხმა ამოუშვა, თითქოსდა, ცხრა ათასმა მეომარმა ერთდროულად დაიწყო საზარელი დრიალი).

უნდა ითქვას, რომ ყვირილი პოემაში ბაკქოსის ერთ-ერთი საბრძოლო იარაღია. უცნაურია, მაგრამ ბერძნულ პოეზიაში სწორედ გველები ყვირიან „boai” (Aesch. Sept. 381). გველის ყვირილს კომენტატორები იმით ხსნიდნენ, რომ ძლიერი სიცხის უამს გველები იმალებიან და ხმამაღლა სისინებენ.

ამრიგად, ნონოსის მიერ წარმოდგენილი დიონისეს საბრძოლო იარაღები ემთხვევა ბაკქოსის ტრადიციულ ატრიბუტიკას, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ დიონისე მას ინდოელებთან საბრძოლველად იყენებს.

ბრძოლისას ბაკქოსის თანმხლებთა რიგებში ნონოსს შემოჰყავს ცხოველებიც. დიონისეს ინდოთა დამარცხებაში ეხმარებიან გველები, პანტერები, ლომები, ხარები, დათვები, ძაღლები.

2.7. დიონისეს გარეგნობა

ლვინის ღმერთს ანტიკურ საბერძნეთში კონცეპტუალურად და იკონოგრაფიულად ჰქონდა როგორც მამაკაცური, ასევე ქალური იერსახე. ამავე დროის ვაზების მხატვრობაში იგი ჰგავს ზევსს, უბავ გვიანანტიკური და ელინისტური ეპოქის ხელოვნებაში კი ემსგავსება ახალგაზრდა მამაკაცს,

რომელშიც ქალური ელემენტები ჭარბობს (პაუსერი 1979: 1). როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიონისეს ახალგაზრდა დმერთად წარმოდგენა მისი სახის ალექსანდრე მაკედონელთან გაიგივებამ გამოიწვია.

„ბაკქ ქალებში” დიონისეს გარეგნობის უპირველესი ნიშანი არის მისი ქალურობა. ბაკქოსი ქალივით ლამაზია (Eur. Bacch. 41-44) და პენთევსიც მაშინ, როცა მასში დიონისე იღვიძებს, ქალად იმოსება. დიონისე ქალურია ასევე არისტოფანეს „თესმოფორიაძუსებშიც” (Thesm. 134-144).

მხატვრობაში ძვ. წ. V ს. დასასრულიდან მოყოლებული დიონისეს გამოსახავენ, როგორც ქალის მსგავს ჭაბუკს. იგი მამრობითი სქესის დმერთია, თუმცა, ახასიათებს ის სინაზე, მგრძნობელობა და ემოციურობა, რასაც ბერძნები უკავშირებდნენ ქალებს. მას გააჩნია ახალგაზრდა მამაკაცისთვის დამახასიათებელი ქალა და ენერგია, თუმცა ამავდროულად ახასიათებს ის მიმზიდველობა, შარმი და სილამაზე, რაც ახალგაზრდა ქალს მოგვაგონებს (სეგალი 1982: 10).

„დიონისიაკაში” ჭაბუკი დიონისეს გარეგნობის უმთავრესი ნიშნებია: „გაშლილი კულულები” (apholka bostruca – X, 174), „ნაზი კანი” (aphal o~ crwf – XVII, 185), „ოქროსფერი თმა” (crusea bostruca – XXXI, 3; XXX, 253), „თოვლივით თეთრი ლაწვები” (cionehisi parhiszi – XXXI, 3) და „თეთრი თითები” (leuka daktula ceirwn – XII, 202). დიონისეს დაბადებისთანავე თავზე სუროთი და გველებით დაწეული გვირგვინი დაადგეს*, ზურგზე კი ნებრისი აქვს მოსხმული (IX, 124). წამოზრდება თუ არა, ბაკქოსი ლომებითა და ჯიქებით შებმულ ეტლს მართავს**. მის განუყრელ ატრიბუტებს ემატება ასევე „ხარის რქა” (boo~ kera~ – XII, 203; XVII, 110-112)***, რომელსაც დიონისე დვინის სასმისად გამოიყენებდა და “მეწამული ფეხსაცმელი” (porfurevi~ koqornoi~**** – XIV, 237; XVIII, 200).

უკვე ოლიმპოსზე ადგილის დამკვიდრებისთვის მებრძოლი დიონისეს გარეგნობას ნონოსი ტექსტში ძირითადად მისი მტრების – ინდოელი დერიადესის, ორონტის, პერსევსის ან ლიკურგოსის პირით აღწერს, სწორედ ამიტომ მას

* IX, 11-15, 27, 120-124, 129-131.

** IX, 160-161, 189.

*** დიონისეს ხარის რქით ხელში ხშირად გამოსახავდნენ IV ს-ის ფარდაგებზე (შრენკი 2004: 26-34; ლორქინი 1992: 88-95). დიონისეს ამგვარი გამოსახულება ჯერ კიდევ გვრიპიდეს “ბაკქ ქალებში” გვხვდება (გერლაუდი 1994: 8; ტისონი 1998: 66-71).

**** მაღალყელიანი და მაღალმირიანი ფეხსაცმელი, რომელიც ეცვათ ტრაგედიის მსახიობებს (დვორეცკი 1958: 959).

ირონიული დამოკიდებულება ახლავს. ამ ეპიზოდებში დიონისეს გარეგნობის უმთავრესი ნიშანი – მისი ქალურობა – დაცულია. მაგალითად, პენტევსი დიონისეს ტანსაცმელს უწენებს, რადგან „ძლივს ფარავს სხეულის ნაწილებს“ (swi melew iji iugon skepa – XLIII, 174) და ქალის შესაფერი უფროა, ვიდრე მამაკაცის. სხვაგან ორონტი დასცინის ბაკქოსს, რომ იგი ქალივით დამაზია და ნაზი (XVII, 183-188). ლიკურგოსი კი, როდესაც წინასწარ ოცნებობს, თუ როგორ გაანაწილებს დიონისეს ჯარის ნადავლს, ფიქრობს, რომ ბაკქოსის ალისფერ კაბას აფროდიტეს მისცემს, რადგან მისი შესაფერისია (XX, 228-231). ერთ-ერთ ეპიზოდში დერიადესი აღნიშნავს, რომ დიონისეს დაატყვევებს და ნადიმებზე ჯამბაზად აქცევს მისი დიდი უერების გამო (XXI, 271-272).

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ „დიონისიაკაში“ ბაკქოსის გარეგნობასა და ჩაცმულობას ძირითადად მისი მოწინააღმდეგები აღწერენ, ამ ეპიზოდებში ჩანს ღვინის ღმერთის მიმართ თავად ავტორის ირონიული დამოკიდებულება. ლ. მიგუელებ-კავერო მიიჩნევს, რომ ნონოსი ქრისტიანი პოეტია და მსგავსად სხვა ქრისტიანი ავტორებისა*, შეგნებულად წარმოგვიდგენს წარმართ ღმერთებს ულირს და არაპატიგსაცემ არსებებად (მიგუელებ-კავერო 2009: 567-568). ფიქრობენ ასევე, რომ ამ თვალსაზრისით ნონოსზე გავლენა მოახდინა ლუკიანემ, რომელიც ხშირად ამახვილებს უერადღებას ღმერთების შეუფერებელ ქცევებზე და გარეგნობაზე (ვიანი 1978: 157-172; 166-167). ლუკიანეს მსგავსად ზოგჯერ კლაუდიანეც წარმოგვიდგენს წარმართ ღმერთებს უძლურ და მოკვდავებზე დამოკიდებულ არსებებად (შინდლერი 2008: 331-345).

შესაძლოა, ნონოსი გადასვლის რიტუალის ერთ-ერთ კომპონენტზე მიგვანიშნებს, როდესაც ყურადღებას ამახვილებს დიონისეს ქალურ ჩაცმულობაზე. ცნობილია, რომ აქილევსმა, მას შემდეგ რაც გაიარა ცეცხლი და წყალი – გამოცდის კლასიკური ფორმა, გარკვეული ხანი გოგონებთანაც იცხოვრა გოგონას ტანსაცმელში გამოწყობილმა. აქ ქალის ტანსაცმლით შემოსვა ხელდასხმის რიტუალისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი დეტალია (ჟანმერი 1939: 301).

ერთ-ერთი მოსაზრებით, დიონისე იღებს ქალურ იერსახეს, იმისათვის, რომ თავი დაიცვას მავნე, დესტრუქციული ძალების მუქარისაგან. ეს გამანადგურებელი

* მაგალითად, კლემტნეს ალექსანდრიული წარმართ ღმერთებს ამორალობასა და არაზომიერებაში ადანაშაულებს (ზიგერს-ვანდერ ვესთი 1972: 73-79).

ძალები პოემაში წარმოდგენილნი არიან ძირითადად ჰერას სახით. თუმცა, მათ რიცხვში ასევე შეიძლება გავაერთიანოთ ბაკქსის სატრფოებიც – ნიკაია, პალენე და ავრე. სამივე მათგანს დიონისე ცბიერებით იმორჩილებს, როგორც საშიშ ძალებს, რომლებზეც აუცილებელია კონტროლი.

გარდა ამისა, პოემაში ქალური დიონისეს წარმოდგენით ნონოსი უკვდავყოფს დმერთის ტრადიციულ სახეს, რომელიც არღვევს სქესობრივი დაპირისპირების ჩარჩოებს და ბერძნული მითოლოგიის სხვა დმერთებისგან (ზევსი, აპოლონი და ა. შ.) განსხვავებული იერსახით წარმოგვიდგება. ის ქალური დმერთია, თუმცა მის შებლზე ან წელზე შემოხვეული გველი ფალიკური სიმბოლიკის მატარებელია¹⁷.

2.8. დვინო და ტრფობა

დვინოსა და ტრფობას „დიონისიაკაში” დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მათი ერთმანეთთან დაკავშირების იდეა ისეთივე ძველია, როგორც დვინის დაყენების წესი. დვინო და სიყვარული ალექსანდრიული ეპოქის ბუკოლიკური პოეზიის ძირითად თემებს წარმოადგენდნენ. სახვით ხელოვნებაში ხშირად კხვდებით ეროსს, რომელსაც ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს, ანდა პაწაწინა ეროტიდებს, რომელნიც რთველში ფუსფუსებენ.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ კუნძულ კრეტასა და მთელი ეგეიდის მეურნეობაში უკვე ქრისტეს შობამდე 2100 წელს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მევენახეობას. ანტიკურ საბერძნეთში ცხოვრება დვინის გარეშე წარმოუდგენლად ითვლებოდა. ეს გახლდათ ყოველდღიური მატონიზირებელი სასმელი, ყველა დაავადებისა და ტკივილის წამალი, მწუხარების განმქარვებელი, დმერთა შესაწირი და ყველა რიტუალისა თუ ინიციაციის აუცილებელი ატრიბუტი.

ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ დვინო დვთის საჩუქარი იყო და შესაბამისად, მის წარმოშობასთან დაკავშირებით ჩვენამდე მრავალი მითია მოღწეული. ერთ-ერთის მიხედვით (ეს ამბავი ნონოსთანაცაა მოთხრობილი) დიონისემ იკარიოსს გადასცა ვაზის ლერწი და ასწავლა დვინის დაყენება. სხვა იმაზე მოგვითხოვთ, რომ ვაზი ხის ნაჭერში თავისთავად აღმოცენდა. იგი გაზარდა ახალგაზრდამ, სახელად ფიტიოსმა (Futio-), რომელიც მოგვიანებით ასოცირდებოდა ოინეასის (Oineus-), დვინის დვთაების მშობლად. სხვა ვერსიით, ოინეასსაც, ისევე, როგორც იკარიოსს, დიონისემ გადასცა ვაზის ყლორტი დირსეულად გამასპინძლების

ჯილდოდ. არსებობს ასევე გადმოცემა, თითქოსდა, ილისში დიონისეს ტაძარში სამი დოქტორი თავისთავად აიგსო დვინით. მსგავსი სასწაული ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდა (ოვერბექი 2005: 44, 52, 55).

როგორც ვნახეთ, დვინის წარმოშობის ყოველი ამბავი დიონისესთანაა დაკავშირებული, თუმცა, მეცნიერებაში გაჩნდა მოსაზრება, რომლის მიხედვით დიონისე თავდაპირველად არ იყო დვინის ღმერთი და ეს ფუნქცია მას შედარებით გვიან მიენიჭა. კ. ო. მიულერი ცდილობდა დაესაბუთებინა ეს აზრი იმით, რომ პომეროსი დვინოს არასოდეს უკავშირებს ბაკქოსის სახელს. ამ თვალსაზრისს შეეწინააღმდეგა ვ. ოტო. მისი მოსაზრებით, როდესაც პომეროსი სემელესა და ზევსის ვაჟს უწოდებს „კაცთა სიამეს“ – „*carma bprotois in*“ (Hom. Il. XIV, 325), ეს იმის მანიშნებელია, რომ ავტორი ბაკქოსის სახელს უკავშირებს დვინოს და მას დვინის ღმერთად მოიაზრებს (ოტო 1965: 55). არქაულ ხანაში პესიოდეც ლაპარაკობს დვინოზე, როგორც დიონისეს ძღვენზე (Hes. Op. 611-614). ატიკურ ლარნაკებზე დიონისეს პირველ გამოსახულებებზე ღმერთს ხელთ უკურია ვაზის მტევნებიანი რტო (კარპენთერი 1986: 124).

ადსანიშნავია ასევე, რომ ერთ-ერთი მოსაზრებით, დიონისეს მიმდევართა ექსტაზური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი წინასწარმეტყველური უნარი მჭიდრო კავშირშია დვინოსთან. პლუტარქოსის ცნობით, დიონისე ძველ ბერძენთა წარმოდგენებში ყოველთვის უკავშირდებოდა წინასწარმეტყველებას. ევრიპიდეს „ბაკქ ქალებში“ ღმერთს *manti~o*, ანუ მისანი ეწოდება. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, დიონისეს თრაკიელ ქურუმებს მომავლის წინასწარჭვრება მხოლოდ დიდი რაოდენობით დვინის დალევის შემდეგ შესწევდათ. მაშასადამე, დიონისური ღვთაებრივი სიგიურ, რომელიც წინასწარმეტყველების უნარს ანიჭებს ექსტაზში მყოფს, შესაძლებელია გამოიწვიოს ღვთაებრივმა მცენარემ, რომელიც მიწიდან ამოდის, ხოლო მისი ნაყოფი დვინოდ გარდაიქმნება.

„დიონისიაკაში“ ბაკქოსი ტრადიციულად დვინის ღმერთად მოიაზრება. ხოლო დვინო მჭიდრო კავშირშია ადამიანების მხიარულებასა და ბედნიერებასთან. აიონი, სიცოცხლის მწყემსი, ემუდარება ზევსს, მიანიჭოს მათ სიხარული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უარს ამბობს სამყაროს მართვაზე. სიხარული ხომ ქორწილებზეც აღარ არის. მისი სიტყვებით, სჯობდა პრომეთეს ცეცხლის ნაცვლად გამახალისებელი სასმელი მოეტანა კაცთათვის. ზევსი კი მიუგებს აიონს, რომ სამყაროში მწუხარება იბატონებს მანამ, სანამ არ დაიბადება დიონისე (VII, 1-106).

ხშირად დვინო თავად დიონისეს მეტაფორად მოიაზრება. ბაკქოსი არა მარტო დვინის ლმერთია, არამედ გაიგივებულია დვინოსთან. მაგალითად, ევრიპიდეს „ბაკქ ქალებში” აღნიშნულია, რომ დიონისე ამ სამყაროში დვინოდ იდვრება (*spendetai*, Eur. Bacch. 279). დვინისა და ლმერთის იდენტურობა ჩანს ასევე ევრიპიდეს სატირულ დრამაში „კიკლოასი” (Eur. Cyc. 101; 139). ბაკქოსისა და დვინის გაიგივებას ჯერ კიდევ უადრეს ანტიკურ წყაროებში ვხვდებით, კერძოდ: რამდენიმე ვ ხაზოვანი ფირფიტა საფუძველს გვაძლევს დიონისესა და დვინის დაკავშირებისათვის (სიფორდი 2006: 15; შამუგია 2009: 7). დვინის მსგავსად ბაკქოსმაც ხომ საბოლოო სახე მეორე საოცარი შობისას მიიღო, როდესაც ჰერმესმა დამწვარი სელენეს სხეულიდან შობილი უდღეური ჩვილი ზევსს მიჰვარა. „დიონისიაკაში” ნონოსი ხშირად ლმერთს „ცეცხლით შობილს” (*purigenής*), „ცეცხლოვანს” (*purοει-*) უწოდებს. დვინოსაც ხომ ასევე ცეცხლოვანი ბუნება აქვს. ზოგიერთი სწორედ ამ ფაქტით ხსნის ცეცხლით შობილი დიონისეს მითს. ამასთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავენ, რომ ვულკანურ ადგილებში დამწიფებული ყურძნისგან საუკეთესო დვინო დგება.

მართლაც, დვინის დაყენება მისტერიულ პროცესს ჰგავს. ის ნაბიჯ-ნაბიჯ კითარდება, როგორც ცოცხალი არსება და ქაოტური მდგომარეობიდან კამკამა და დამათრობელ სითხედ იქცევა. დაღვინებამდე ყურძნის ნაყოფმაც ხომ სიმწიფის უმაღლეს დონეს უნდა მიაღწიოს, რათა არსებობა დვინის სახით გააგრძელოს, მსგავსად იმ ადამიანისა, რომელიც შეაბიჯებს თუ არა სიჭაბუქეში და სექსუალურ სიმწიფეს მიაღწიებს, ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს. ძველი ფოლკლორული წარმოდგენის მიხედვით, ყურძენი დვინოდ ტრანსფორმირების შემდეგ იმ მზის სხივებით გვათბობს, რომელიც ჯერ კიდევ მისმა მარცვლებმა შეისრუტეს მზისგან. ამის გამო ის მუდმივად ბუნების სასიცოცხლო ენერგიის მატარებელია. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ დვინო მოიცავს თავის თავში საოცრებელითა და საიდუმლოებებით აღსავსე ველური ლმერთის ბუნებას (ოტო 1965: 146-147).

„დიონისიაკაში” ნონოსი ძალიან ლამაზ ისტორიას მოგვითხრობს ყურძნისა და დვინის წარმოშობაზე. ადსანიშნავია, რომ ამ მითშიც დვინო და სიყვარული ერთმანეთს უკავშირდება, მით უმეტეს, რომ საქმე თავად დიონისეს ტრფობას ეხება. პოეტი ისტორიას ყურძნის დაბადებასა და მისი ნაყოფიდან დვინის

აღმოცენებაზე ამპელოსის* უკავშირებს. ამპელოსი ჭაბუკია. ერთხელ ნადირობისას ბაკქოსი დაატყვევა მისმა სილამაზემ:

„ek mel ewn d' ol on ejar ejfaineto. Neissomenou de;
ek podo~ ajrgufedio rbdwn ejfugaineto leimwn.
Eij de; boogl hnwn faewn ejfeggei kuki w/
ojfqal mou~ ej el izen, ol h sel agize Sel hn̄h” (X, 189-192).

(როგორც გაზაფხული, ისე ყვაოდა მისი ტანი. თეთრ ტერფებს შეახებდა თუ არა მდინარის პირას მინდორზე, იქ მაშინვე წითელი ვარდები იშლებოდა, ხოლო როდესაც იგი დიდი, მრგვალი თვალებით იმზირებოდა – გეჩვენებოდა, თითქოს სელენეს შუქი აინთო, სავსე ელვარებით).

დიონისებ შეიყვარა ამპელოსი და მუდმივ თანამგზავრად გაიხადა იგი. „როდესაც მიდიოდა ყმაწვილი, ქრებოდა დმერთის სახიდან დიმილი” (X, 221). თუ ამპელოსი არ ჩანდა ნადიმზე, დმერთი ყველას უკრძალავდა ცეკვას. თუკი ყმაწვილი ცეკვავდა სატირებთან, დიონისე ეჭვიანობით იტანჯებოდა. მარტოს არც სანადიორდ უშვებდა. ჭაბუკი და ღმერთი დაეხეტებოდნენ ტყე-ტყე, ისროდნენ თირსოსს, ლომებზე ნადირობდნენ. ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, ცურვაში. ღმერთი გამარჯვებას ყოველთვის ამპელოსს უთმობდა, რადგან მათ შორის მსაჯი სიყვარული იყო.

მეტად შთამბეჭდავად გადმოგვცემს ნონოსი დიონისეს სიყვარულს ამპელოსის მიმართ. შეყვარებული ღმერთი ამგვარად მიმართავს ზევსს:

„seio d jēgw prhsthra~ āhainomai aīperion pur,
ouj nēfo~, ouj bronth~ ejel w ktupon. h̄h d jēgel h̄sh~,
Hfaistw/puroenti didou spinh̄ra keraunou,
Arh~ sw̄n nefewn ejcetw qwrhka kal uptrhn,
do~ carin Ermawni Diipete~ cusiñ ōmbrou,
kai; sterophn genethro~ āpertasseien jApollwn.
mouñon ejmoiñ fil e, dw̄ma filoskarqmw/Dionuswi” (X, 298-304).

(მე სულაც არ მსურს გავითავისო ეთერის ცეცხლი, არც ღრუბლები და არც ქუხილი არ მჭირდება, და თუკი მოწყალე ხარ, მამავ, ცეცხლოვან ჰეფესტოს მიეცი ნაპერწკალი, დაე, არესმა შეიმოსოს მკერდი ღრუბლის ჯავშნით, გინდა ჰერმაონს აჩუქე ზეციდან ჩამომავალი წვიმა. დაე, აპოლონმა ითამაშოს ელვებით მშობლის ნებით. ჩემთვის, დიონისესთვის კი მხოლოდ ერთადეგრთი მეგობარიც ქმარა).

* āmpel o~-o ნიშნავს ვაზს ან ცურმენს.

„დიონისიაკაში” ამპელოსი სამსხვერპლოზე დაქცეული ღვინის პირველსახეა. ჭაბუქ ამპელოსს გააფთრებული ხარი ჯერ ზურგიდან გადმოაგდებს, შემდეგ კი რქებით გლეჯს. მისი სისხლი წყაროსაგით მოედინება (XI, 215-223). ბაკქოსის გრძნობები კი მეგობრის სიკვდილთან დაკავშირებით გაორებულია: იგი ტირის და თან იცინის. ამპელოსის სიკვდილით ხომ მოკვდავები უდიდეს ჯილდოს მიიღებენ (XI, 83-98). მალე ატროპოსი* ამცნობს სასოწარკვეთილ დიონისეს, რომ ამპელოსი გადაიქცევა ტკბილ წვენად, რომელიც ზეციური ნექტარის მიწიერი სახეა (XII, 143-171). სასწაული ბაკქოსის ოვალწინ ხდება – ამპელოსი მსხმოიარე ვაზად გარდაიქმნება. მოკვდავთა სიხარული კი მხოლოდ ღმერთის ცრემლების ფასად მიიღწევა, აკი აღნიშნავს ნონოსი, რომ ამპელოსის სიკვდილის გამო „ტიროდა დიონისე, რათა აღარ ეტირათ დედამიწაზე ადამიანებს” (Bakco- aħax daħru, brotwa iħha daħrua l-ustħi/- XII, 171).

ამპელოსის სიკვდილი ამ პასაჟში ბაკქური სიგიჟით შეპყრობილ დიონისეს მიმდევართა მიერ შესრულებულ განწილვის სცენას ემსგავსება. ეს ადგილი ასევე მოგვაგონებს ღვინის დაყენების მიზნით დაჭყლებილ უურძნის მარცვლებს. რადგან, როგორც დაჭყლებილი უურძნი არსებობის ახალ ფორმაში, ანუ ღვინოში გადადის, ასევე კლდეებსა და ქვებზე დაგლეჩილი ამპელოსი თავისი სიკვდილით ახალ სიცოცხლეს უდებს დასაბამს: ის უკვდავებას ეზიარება და გადაიქცევა დიონისეს მარადიულ თანამგზავრად. ამპელოსი, გაადამიანებული გასულიერებული ვაზი, ღმერთისთვისაც სიხარულის საწყისია. შესაბამისად, დიონისეს მისადმი ტრფობა სიყვარულია ბედნიერების, სიხარულის, სიჭაბუკისა. სიხარულს კი, პოეტის სიტყვებით, იწვევს ღვინო, უურძნის წვენი, იგივე დაჭყლებილი ამპელოსი, რომელმაც უნდა დაიპყროს „ქვეუნიერების ოთხივე მხარე მხიარულებით” (terpwli hix ojra seia- ol w/ tetrażugi konsw/ – XII, 169). ვფიქრობთ, პოემაში ნონოსი მეტაფორულად დიონისეს მიერ შესრულებულ რიტუალს, ანუ ღვინის დაწურვის სცენასაც აგვიწერს, როდესაც წერს:

„eħqa men ħbhthi ro- ejp’ iżżei ceiħra- el issaw

Bakco- eż- wman eħġi dema- pal amħsi pieżaw” (X, 351-352).

(შემოხვია მკლავები ჭაბუქს წელზე, სიყვარულით მალაგამოლეული ხელები მოუჭირა ტან्त्र).

* Atropo--o ერთ-ერთია სამ მოირათა შორის, ასევე atropo--o ბერძნულად შექცेवालს, მტკიცეს ნोშნავს (დომრეკი 1958: 261).

ბაკქოსისა და ამპელოსის სიყვარულში ნონოსი დიონისეს პულტის უმთავრეს იდეას აცოცხლებს, რაც სიცოცხლის გადამეტებული სიყვარულით სიკვდილის დამარცხების შესაძლებლობას იძლევა. დაჭყლეტილი ამპელოსი ხომ სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის მანიშნებელია, რომელიც მუდმივად ენაცვლებიან ერთმანეთს. ღმერთის სიყვარულმა დამარცხება თავად სიკვდილიც, მისმა „საცოდავმა ტირილმა აიძულა შეუბრალებელი მოირები, რომ ბედისწერის ძაფი სხვაგვარად დაწნულიყო“ (*akampen d j eufato Iusai so- gov- ajtreptou pal inagreta nhmata Moirh-* – XII, 143-144).

2.9. დიონისეს მეტამორფოზები

„დიონისიაკას“ პირველივე სტრიქონებიდან გასდევს გარდასახვების, ანუ მეტამორფოზების მოტივი. მისი ტრადიციული შესავალი წარმოადგენს მიმართვას არა მხოლოდ მუზისადმი, არამედ მრავალსახიანი (*polimorpho-*) პროტევსისადმი. პოემაში ვკითხულობთ: „მომეცით ნება შევეხო მრავალსახიან პროტევსს, დაე, მან გამოამჟღავნოს თავისი მრავალფეროვანი სახე, მე კი ჭრელ სიმღერას ავაწყობ“ (I, 14-15).

კლასიკური ბერძნული მითოლოგია და ლიტერატურა პროტევსისეული გარდასახვების უნარს მიაწერდა მხოლოდ ზღვის სამ ღვთაებას: პროტევსს, თეტისსა და ნერეგსს, ასევე მოკვდავებს – მესტრასა* და პერიკლიმენეს**. დროთა განმავლობაში პომეროსის ავტორიტეტი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მითებმა ზღვის სხვა ღმერთების შესახებ უკანა პლანზე გადაინაცვლა და მოთხოვნები გარდასახვებზე მხოლოდ პროტევსის სახელს დაუკავშირდა. პომეროს „ოდისეაში“ ორჯერ მოჰყავს პროტევსის მეტამორფოზების ჩამონათვალი: პირველად, როცა ეგვიპტეში დარჩენილ მენელაოსს პროტევსის ქალიშვილი ეიდოთეა გაანდობს

* მესტრა ერისიხოთონის ქალიშვილია. მის გარდასახვებზე ოვიდიუსი მოგვითხოვთ (Ovid. Met. VIII, 738-874).

** ბერძნულ მითოლოგიაში პილოსის მეფე ნელევსის ვაჟია. პოსეიდონის შთამომავალმა ზღვის ღმერთისგან მემკვიდრეობით მიიღო გარდასახვების უნარი. როდესაც ჰერაკლემ მიწასთან გაასწორა პილოსი, პერიკლიმენესი თავის მოდებით იბრძოდა და იღებდა ლომის, ფუტკრის, გველის სახეს (Ovid. Met. XII, 556-572).

მოხუცი მამის საიდუმლოს (Hom. Od. IV, 414-417) და მეორედ, როდესაც მენელაოსი მოგვითხრობს პროტევსის მეტამორფოზებზე (Hom. Od. IV, 456-458).

მითი პროტევსის გარდასახვებზე დასაბამს არა საბერძნეთში, არამედ აღმოსავლეთში იდებს (ზახაროვა 2003: 69-70). პროტევსს ეგვიპტელ დმერთად მოიხსენებს პომეროსიც. „ოდისეაში” ვკითხულობთ: „ეგვიპტელია პროტევს, მცოდნე ზღვათა სიღრმისა” (Od. IV, 385). ერთ-ერთი მითის მიხედვით პროტევსი, როგორც ეგვიპტოსის ვაჟი და ფსამათეს მეუღლე, მემფისში ბრძანებლობდა. პეროდოტოსი კი მის სახელს ფარაონის ტიტულად მიიჩნევს (მელეტინსკი 1990: 444). არსებობს ცნობაც იმის შესახებ, თითქოს, პროტევსი ევროპეს საძებნელად მოხეტიალე კადმოსს გამოჰყვა აღმოსავლეთიდან (კაპრიდისი 1986: 245). თუმცა, ერთ-ერთი მითი პროტევსს პოსეიდონის ვაჟიშვილად მიიჩნევს. იგი სელაპეს მწყემსავს და აღჭურვილია ყელა იმ თვისებით, რაც ზღვის დვოთაებებს ახასიათებს (მელეტინსკი 1990: 444). ერთ-ერთი სხვა მოსაზრებით, პროტევსი რვაფეხას მონათესავეა. ამის შესახებ იგი თავად მიანიშნებს ლუკიანესთან: პროტევსი მენელაოსს ესაუბრება და აღწერს თევზის ისეთ სახეობას, რომელიც სხვადასხვა კლდესთან მიახლოებისას იცვლის კანის ფერს და ამგვარად ემალება მეთევზებს (Lucian. Enhalioi dialogoi: 4.3). ძველთაგანვე კარგად იყო ცნობილი, რომ თავფეხიანებს შესწევდათ ფერის სწრაფი ცვალებადობის უნარი, რათა შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ გარშემომყოფთათვის. რა თქმა უნდა, ამ თვისებამ გარკვეული როლი ითამაშა მითის შექმნაში, რაც წყალქვეშა არსებათა თავდაცვით გარდასახვებს გულისხმობდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენები იმის შესახებ, რომ წყალს უნარი შესწევდა მიეღო ნებისმიერი ჭურჭლის ფორმა, აერეკლა ნებისმიერი საგანი. ბერძნული ფილოსოფიის განვითარებასთან ერთად პროტევსი თანდათანობით მოიაზრებოდა, როგორც ნივთიერება, ან არსი, რომელსაც ეიდოთეა აიძულებს მიიღოს ყველანაირი ფორმა და სახე. პროკლეს მიხედვით კი პროტევსი არის არა მატერია, არამედ გონება, რომელიც თავის თავში იტევს ყველა ფორმასა და სახეს.

ალეგორიული განმარტებების გარდა, არსებობდა ეპემერისტული განმარტებები, რომლის მიხედვით, პროტევსი ჯადოსანი, ან უბრალო მეფოკუსე იყო. თუმცა, უფრო საინტერესოა ცნობა, რომელიც ევსტათიოსს მოჰყავს: თითქოს პროტევსი ეგვიპტელი მოცეკვავე გახლდათ (ზახაროვა 2003: 70-73). ლუკიანესთან ერთი ნაწყვეტი მიგვანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე პანტომიმას ეხება (Lucian. Enhalioi dialogoi: 4.1).

ნონოსს „დიონისიაკაში” ორჯერ მოჰყავს პროტევსის მეტამორფოზათა ჩამონათვალი (I, 19-32; XLIII, 227-241). პოეტი პირველი არ არის იმ ავტორთა შორის, რომელთაც ამ დმერთს „ροικιλο~”-ი უწოდეს. და, შესაძლოა, არც მათ შორის, ვინც უწყვეტი გარდასახვების უნარით დააჯილდოვა დიონისე. საფიქრებელია, რომ სწორედ ორფიკული პიმნები ამკობენ დიონისეს მრავალსახიანის (αἱριομορφο~) ეპითეტით. ნონოსი ნაწილობრივ იცავს იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით პროტევსისეული გარდასახვანი გარკვეულ თავდაცვით იარაღს წარმოადგენენ თავდასხმის, ან ორთაბრძოლის დროს. ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლაში დმერთის ერთ-ერთ უმთავრეს საბრძოლო იარაღს სწორედ პროტევსისეული გარდასახვების უნარი წარმოადგენს: როდესაც დიონისე ებრძვის ინდოთა ბეჭდადს დერიადესს, იგი გარდაისახება წყლად, ლომად, ხედ, ჯიქად, ცეცხლად და ტახად (XXXVI, 297-331). ნაწარმოების მეორმოცე სიმღერაში იგივე ორთაბრძოლა ახლა თავად დერიადესის პირითაა მოთხოვობილი. ინდოთა ბეჭდადი სულ სხვა თანმიმდევრობით აგვიწერს ბაქტოსის გარდასახვებს. იგი აღნიშნავს, რომ ბრძოლისას ვერც კი მიხვდა, თუ ვინ იყო მისი მოწინააღმდეგე, რადგან დიონისე იღებდა ჯიქის, ლომის, გველის, დათვის, ცეცლის, ტახის, ხარის, ხისა და წყლის ეპიფანიებს (XL, 42-57). თავდაცვას უკავშირდება „დიონისიაკას” მეექსე სიმღერაში აღწერილი ძაგრევსის გარდასახვანიც. როდესაც პატარა ძაგრევსს თავს ტიტანები დაესხმებიან, იგი იღებს კრონიონის, კრონოსის, ბავშვის, ყმაწვილის, ლომის, ცხენის, გველის, გეფხვის და ხარის ეპიფანიებს (VI, 176-198).

ვფიქრობთ, გარდა იმისა, რომ დიონისეს მეტამორფოზები პოემაში დმერთის საბრძოლო იარაღი და თავდაცვის საშუალებაა, მათ ნონოსი დიონისეს ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემადაც იყენებს, რის გამოც, შესაძლებელია, ბაქტოსის თითოეული გარდასახვა მეტაფორად მივიჩნიოთ*.

როგორც ვიცით, კლასიკური ბერძნული მითოლოგია მდიდარია ამბებით, რომელიც სხვადასხვა გმირის ცხოველად, ფრინველად თუ მცენარედ გარდასახვაზე მოგვითხოვთ. თუ რა მოტივაცია შეიძლება გააჩნდეს ადამიანთა მეტამორფოზებს, ამასთან დაკავშირებით მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ერთ-ერთის მიხედვით, ადამიანთა სახეცვლილებებს საფუძვლად უდევს ინიციაციური რიტუალები, რომელში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა

* მეტამორფოზასთან მეტაფორის მიმართების თაობაზე საინტერესო თვალსაზრისი წარმოადგინა რ. ცანავამ (ცანავა 2009: 3-29).

სოციალურ საფეხურზე გადასვლას ემსახურებოდა (ელიადე 1969: 112). შესაბამისად, ამგვარ მითებში წარმოდგენილი გმირები ინიციაციებში მონაწილე მითიურ პროტოპებად გვევლინებიან. გარდა ამისა, სხვადასხვა მითიური გმირის მეტამორფოზებში დიდ ოოლს თამაშობს ადამიანისა და ცხოველის ნათესაობის შესახებ არსებული ტრადიციული წარმოდგენები, ასევე ცხოველისა და ადამიანის მსგავსი მეტაფორები. ხშირად ცხოველად მეტამორფოზირება აღიქმება წესრიგის ნგრევად და უწესრიგობისაკენ ლტოლვად. ამ შემთხვევაში უწესრიგობაში იგულისხმება ინცესტი და კანიბალიზმი, რაც, როგორც შინაური, ასევე გარეული ცხოველების მახასიათებელია და რასაც მითებში კატასტროფული შედეგები მოაქვს (ირვინგი 1990: 51-65).

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რას უკავშირდება „დიონისიაკაში” დიონისეს ტრანსფორმირება ცხოველად, მცენარედ ან სხვადასხვა ელემენტად? რა აზრი და რა ფუნქციაა მასში ჩადებული? იქნება, დმერთის ცხოველად გარდასახვა ემსახურება ადამიანის ცხოველური მხარეების წარმოჩენას? ან კიდევ, იმის დამადასტურებელია, რომ დიონისე ყველაფერია, ანუ ყოვლისმომცველი ძალაა, რაზეც ნონოსი სწორედ მისი მრავალრიცხვანი გარდასახვების უნარით მიგვანიშნებს? იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად პასუხი გავცეთ ამ კითხვებს, დიონისეს თითოეულ მეტამორფოზას ცალ-ცალკე განვიხილავთ, რადგან მიგვაჩნია თითოეული მათგანი ნონოსთან ამა თუ იმ სიმბოლურ მინიშნებას წარმოადგენს.

წყალი. დერიადესთან მებრძოლი დიონისე, უპირველეს ყოვლისა, წყლად გარდაისახება (XXXVI, 299). ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ წყალი ყოველივეს დასაწყისის, უფრო ზუსტად კი, ცხოვრების საწყისის სიმბოლოა. ის საუკეთესოა, ამიტომაც ცხოვრების სუბსტანციად მოიაზრებენ (ონიანსი 1999: 231). გარდა ამისა, წყალი უნივერსალური უბიწოებისა და ნაყოფიერების სიმბოლოა. წყალი ასევე გაიგივებულია სიბრძნესთან (ტრესიდერი 1999: 43). დიონისე გარდაისახება წყლად და ამით, თითქოს, დასაბამს აძლევს თავის მომდევნო ეპიფანიებს.

აღსანიშნავია, რომ პომეროსი პროტეგსის გარდასახვების ჩამოთვლას იწყებს წყლით, რასაც მოხდევს ცეცხლი. რაც შეეხება ოთხი ელემენტიდან დანარჩენ ორს – ჰაერსა და მიწას, პოეტი მათზე მხოლოდ მიგვანიშნებს, როდესაც მოგვითხრობს პროტეგსის გველად და ხედ გარდასახვაზე. ასევეა ნონოსთან, სადაც დიონისე გარდაისახება, როგორც წყლად და ცეცხლად, ასევე – ხედ და გველად. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დიონისე ნონოსთან ოთხივე ელემენტის სახეს იღებს და

შესაბამისად, ყოველივეს საწყისად მოიაზრება. მისგან დასაბამს იღებს ყველა სხვა დანარჩენი ფორმა და სახეობა. სწორედ ამიტომ ნონოსთან ბაკქოსის ოთხ ძირითად მეტამორფოზას, რაც ოთხი ელემენტის სიმბოლოა, მოჰყვება დიონისეს სხვადასხვა ცხოველად გარდასახვა.

ლომი. მებრძოლი დიონისეს ერთ-ერთი ეპიფანიაა ლომი (XL, 44; VI, 182). მას ლომისებური სახე აქვს – „ισοφυες μιμητα λεοντεινο προσωπου“ (XXXVI, 301). ლომად ქცეული ღმერთი თავისი შინაგანი ძალებისა და შეუპოვრობის დემონსტრაციას ახდენს. დიონისეს მრისხანება და ძალა სწორედ ამ გარდასახვაში ხდება აშკარა.

ლომი მეფური ძლიერების სიმბოლოა. ყოველი ტრადიციული კულტურა ამ სიმბოლოს თავისებურად აღიქვამს, თუმცა, იგი ყოველთვის იყო დაკავშირებული ღმერთებთან (ეგვიპტე, სირია, ინდოეთი) (ტრესიდერი 1999: 188-191).

ჩანს, დიონისეს ეს გარდასახვა უცხო არც ნონოსის წინადროინდელი მწერლობისა და მითოლოგიური აზროვნებისთვის იყო. ეკრიპიდეს „ბაკქ ქალებში“ ლომი დიონისეს ერთ-ერთი სახეა (Eur. Bacch. 1019). ბაკქოსის ეს ეპიფანია, შესაძლოა, მამით ღმერთი და დედით მოკვდავი დიონისეს მიწიერი წარმომავლობის სიმბოლოდ მოიაზრებოდეს. ბუნების ბრძანებელი ლომი ზეციური არწივის მიწიერი მეტოქა.

ლომის სახეს იღებს ტიტანებთან მებრძოლი დიონისე-ძაგრევსიც. საფიქრებელია, რომ ეს მეტამორფოზა ძაგრევსის კვლავ აღდგენის სიმბოლოდაც მოიაზრებოდეს. ქრისტიანულ ბესტიარიუმში ლომი გაიგივებული იყო კვლავ აღდგენის იდეასთან (ტრესიდერი 1999: 188-191).

ხე. ინდოთა ბელადთან მებრძოლი დიონისე ლომის შემდეგ ხედ გარდაისახება, რომელიც „თავისთავად იზრდება სიმაღლეში და სწვდება ზეცას, როგორც ფიჭვი ან ჭადარი“ (aujtotel h- akictho- aphetramen, aijsera tuptwn, w- pitu-, w- platanisto- – XXXVI, 306-307). ხის ფოთოლთა შრიალი, რომელიც დიონისეს ეპიფანიების ყველაზე წყნარი ხმაა, თითქოს, განგებ გაისმის ყველაზე ხმაურიანი ცხოველის – ლომის ღრიალის შემდეგ.

მითოლოგიაში ყველა ღმერთს თავისი მცენარე შეესაბამება. ორგიასტული ატისის წმინდა ხედ ითვლებოდა ფიჭვი, ოსირისი კი კედართან ასოცირდებოდა (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 145). პლუტარქეს მიხედვით,

ყველა ბერძენი მსხვერპლს სწირავდა დიონისეს, ოოგორც ხის ღმერთს (Dendritis-, Endendro-, ხეში განხორციელებული ძალა) (Plut. Mor. 675-676). იმის გამო, ოოგ ბაკქოსს კავშირი ჰქონდა ბუნებისაგან მონიჭებულ იმპულსთან, მას ხე-ღმერთად მოიაზრებდნენ. უპირველეს ყოვლისა, იგი ასოცირდებოდა ვაზთან, ოადგან მისი არსი სწორედ თრობას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, დიონისე ლეღვის ხის ღვთაებად ითვლებოდა, რის გამოც, სიკიტოსი ეწოდა (სუკი ლეღვის ხე, *sukino-* ლეღვის ხისგან დამზადებული). ხოლო, ოოგორც სუროს ღმერთს მას კისოსადაც უხმობდნენ (kissot სურო). (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 145). ღმერთის საკულტო სახელები ასევე მოიცავს შემდეგს: *Anqio-* ყვავილის გამომდები, *Karpiο-* ხილის, ნაყოფის გამომდები, *Fleut* ან *Flew-* ბუნების ძალთა ნაყოფიერება (დოდსი 1953: XVI).

როგორც ვნახეთ, ნონოსი დაზუსტებით მიუთითებს პოემაში, თუ რომელ ხედ იქცევა დიონისე. ფიჭვი და ღვინო ერთმანეთს უხსოვარი დროიდან უკავშირდება. აღიარებულია, რომ ფიჭვით მდიდარ მხარეში ტკბილი ყურძენი მოდის. პლუტარქეს მიხედვით, ფიჭვს ღვინის დასატებობად იყენებდნენ (Plut. Mor. 676). გარდა ამისა, დიონისეს ხშირად გამოხატავდნენ უბრალო ვერტიკალური, ფოთლებით შემკული ხის სახით, რომელსაც ხელები არ ჰქონდა, ხოლო, სახის ნაცვლად წვერიანი ნიღაბი ეკეთა. ერთ-ერთ ვაზაზე დიონისეს ქანდაკება ხის, თუ ბუჩქის სახითაა გამოსახული. მაგნესიაში ნაპოვნი ბაკქოსის ქანდაკება კი, როგორც ამბობენ, ჭადრის ხეშია გამოსახული (ფრეიზერი 1986: 363). ჩანს, ჭადრის ხეც გარკვეულ როლს ასრულებდა დიონისეს კულტში. სწორედ ამის გამო, ნონოსი ფიჭვთან ერთად ჭადარსაც ახსენებს, ოოგორც დიონისეს ერთ-ერთ ეპიფანიას.

„დიონისიაკაში“ ხე დიონისეს მეტამორფოზაა და შესაბამისად, მისი სიმბოლოა. ნონოსი საოცარი ოსტატობით აგვიწერს, თუ ოოგორ გადაიქცნენ დიონისეს „თავი და კულულები ხის ფოთლებად“ (*ajmeibomenou de karhnou mimhi oipetaloiisi noqhn dendriwsato caithn* – XXXVI, 307-308), მისი სხეული – ხის ტანად (gastera qamnon efcwn perimhketon – 309), ხელები – ტოტებად (*akremona- de ceiraebar- poihsse* – 309-310), მისი ქიბონი – ხის ქერქად, ხოლო ფეხები – ფესვებად (*kai ejfli oiwse citwna-*, *kai; poda- ejfrizwsen* – 310-311). ოოგორც ვიცით, ხე სიმბოლურად უკავშირდება სამყაროს ტრიხოტომიურ მოდელს. ხის ფესვები სიმბოლურად ასახავენ ქვესკნელს, ხის ტანი – მიწას, ხოლო ფოთლები – ზესკნელს

(მელეტინსკი 2000: 214; ელიადე 2002: 123-126). შესაბამისად, დიონისეს ეს სიმბოლო გვაუწყებს ღმერთის კავშირზე სამყაროს სამივე სკელთან.

გარდა ამისა, ხე, უძველესი დროიდან, ნაყოფიერების ერთ-ერთი სიმბოლოთაგანი იყო. იგი ასოცირდებოდა ცხოვრების უწყვეტ რიტმთან, მის უწყვეტ ენერგიასთან, რადგან ყვავის, ნაყოფს გამოიღებს, ჭკნება და კვდება (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 146). ცხოვრების სწორედ ამ უწყვეტ ენერგიასთან პქონდა კავშირი დიონისეს, რომელსაც ბერძნულ ხელოვნებაში ამქვეყნად ყველა მცენარისა და ნაყოფის აღმოჩენა მიეწერებოდა (ფრეიზერი 1986: 363).

ჯიქი. ზეაჭრილი (*ajne dramen*) ხის ფოთლების შრიალი, როგორც ჩანს, დერიადესის ყურადღების გადასატანი მანევრია ზეაჭრილი ჯიქის (*ajne dramen pordal in* – XXXVI, 315) ნახტომის წინ. დიონისეს ჯიქის ეპიფანია ღმერთის სიშმაგეზე, სიეშმაკეზე, სისწრაფესა და დაუნდობლობაზე მიგვანიშნებს.

ძველ ეგვიპტეში ლეოპარდი ასოცირდება ბოროტებასთან. ანტიკურ სამყაროში ეს ცხოველი დიონისეს თანმხლებად მოიაზრება, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ხელოვნებაში ხშირია დიონისეს გამოსახულება, რომელსაც ეტლში ლეოპარდები ჰყავს შებმული (ტრესიდერი 1999: 192-193).

ეს ცხოველი მჭიდროდაა დაკავშირებული დიონისესა და მისი აღმზრდელი რეას კულტთან. ოპიანეს მიხედვით, პენთევსის დაგლეჯის შემდეგ, დიონისეს აღმზრდელები, სემელეს დები ჯიქებად გადაიქცნენ. ამის გამო, ის ერთადერთი ცხოველია, რომელიც სვამს დვინოს (Oppianus Cyn. III, 320).

პოემაში დიონისე ხშირად მართავს ჯიქებს (XI, 64). ბავშვობაში, რეასთან ყოფნის დროს, მან თვითონ ჩააბა ისინი თავის ეტლში (IX, 189). ჯიქად ქცეული დიონისე მიეჭრება დერიადესის საომარ სპილოს და ინდოთა ხელმწიფეს მიწას დასცემს. ვფიქრობთ, მისი შებრძოლება სპილოსთან ინდოეთის ომის თავისებურ ემბლემას წარმოადგენს, ხოლო ამ ცხოველის მიზანდასახული ნახტომი – დიონისეს დაუმარცხებლობის სიმბოლო (ზახაროვა 2003: 111).

ალი. როდესაც ჯიქად გარდასახული დიონისე თავის მოწინააღმდეგეს სპილოდან გადმოაგდებს, დერიადესი დაკოდავს ცხოველს (XXXVI, 314; XL, 43). დაჭრილი დიონისეს რისხვა გამოსახულია „მოხეტიალე ცეცხლში” და სწორედ ამიტომაც ჯიქის შემდგომ ცეცხლის სახეს იღებს მებრძოლი დიონისე.

„დიონისიაკაში” მეორმოცე სიმღერაში კი ინდოელთა ლაშქრის მეთაური ჩივის, რომ ბრძოლის დროს ბაქტისი მუდმივად გარდაისახება, რის გამოც მისი დამარცხება შეუძლებელია. მებრძოლი დიონისეს ეპიფანიების ჩამოთვლისას დერიადესი ასახელებს ცეცხლის ალს – „fainetai h̄erofoito- āhouitato- iptamenh̄ filok” (XL, 49).

გარდა დიონისეს ცეცხლად ეპიფანიისა, „დიონისიაკაში” ცეცხლი გვხვდება წყალში, დვინოში, მიწის ქვეშ და ზღვის სიღრმეში. ის ასევე შეიძლება შეგვხვდეს ძალლის ხახაში, დერიადესის მუზარადზე, ლალისა და აქაცის თვლებზე, სემელესა და ქალკომედეს სახეზე, არტემისისა და ბეროეს ლოყებზე და რა თქმა უნდა, ზევსის, პერაკლესა და მმები კაბირების თვალებში.

მიმზიდველი, ამავდროულად მაცდური და საშიში ცეცხლი თითქმის ყველა ხალხის კულტურაში სიცოცხლისა და სიძლიერის სიმბოლოა. მისი პოლივალენტური სიმბოლიკა იმაში მდგომარეობს, რომ სიობოსა და სინათლის გამოყოფის გარდა, მას გამანადგურებელი ძალა აქვს. ცეცხლი ასევე ხშირად გამოიყენება ისეთი ემოციური მდგომარეობის მეტაფორად, როგორიცაა სიბრაზე, სირცხვილი, სიყვარული, ვნება და ა. შ. (ბაჩელარდი 1964: 7; კერლოტი 1967: 106-107; მორგანი 1962: 49-52). ხშირად ელვის სახით წარმოდგენილი ცეცხლი ასოცირდება უმაღლეს ხელისუფლებასთან, სუვერენიტეტთან, ღვთაებრიობასთან, უკვდავებასთან, ნაყოფიერებასთან, ასევე ცის ღმერთების სპერმასთან და სექსუალურ პრეროგატივებთან (კალდველი 1989: 87). ცეცხლოვანი ისრები ეროსის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია და მისი სიძლიერის სიმბოლო. ელვა, ანუ იგივე ცეცხლი, ასევე ზევსის ფალიკური სიმბოლოა და – მისი ღვთაებრივი პოტენციის მაჩვენებელი. სწორედ მის ხელში ჩაგდებას ცდილობს ტიფონი და ოცნებობს, თუ როგორ მოევლინება ზეცას ელვით შემკულ ახალ ბრძანებლად (I, 480-481).

ხშირად ცეცხლი ასოცირდება სექსუალურ ძალასთან. ჯ. ბაჩელარდი მიიჩნევს, რომ ცეცხლის სწორედ ეს სიმბოლიკა გვაძლევს საშუალებას ნაწილობრივ ავხსნათ, თუ რამ გამოიწვია ქრისტიანობაში ცეცხლის ეშმაკთან ასოცირება, ასევე – წარმოდგენები ცეცხლოვან ჯოჯოხეთზე (ბაჩელარდი 1964: 13, 102). რ. კალდველის მოსაზრებით, პრომეთეს მიერ ციური ცეცხლის მოპარვაში იგულისხმება ზევსის სექსუალური უპირატესობის მითვისება. პრომეთეს მითში სექსუალური ელემენტის არსებობაზე მიანიშნებს ასევე ისიც, რომ პრომეთე კამის ღეროს იყენებს ცეცხლის გადასატანად (კალდველი 1989: 89). კამის ღერო კი

გამოიყენებოდა დიონისეს ფალიკურ პულტში. ერთ-ერთი ვერსიით, ბაკქოსი კამის დეროს საშუალებით ცეცხლს უკიდებს მდინარე ჰიდასპს (XXIII, 255-57; XXIV, 62. ნიუბოლდი 2006: 5). ზევსიც ხომ ცეცხლში გაახვევს კადმოსის სასახლეს, რათა სემელეს აჩვენოს „საქორწილო ელვა”, „საქორწილო ცეცხლი” (puribl hitou-sphenaiois – XXVII, 57). „დიონისიაკას” ამ პასაჟიდანაც ჩანს ცეცხლის, როგორც სექსუალური პოტენციის სიმბოლიკა (დარენდი 1999: 321-322).

აღსანიშნავია, რომ ხშირად დგინო აღიქმება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტის – ცეცხლისა და წყლის ერთიანობად. ცეცხლი და წყალი ასევე მოიაზრება ქალისა და მამაკაცის სიმბოლოდ (სტეიფლი 1998: 16, 24-26). ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „დიონისიაკაში” ისინი, ვინც იყენებენ ცეცხლს, ან ასოცირდებიან ცეცხლთან, ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან.

საეჭვოა, რომ ნონოსს ბოლომდე პქონოდა გაცნობიერებული ცეცხლისა და სითბოს მოტივების უნივერსალობა, თუმცა ის ინტუიტიურად აცნობიერებს ამ თემების ანთროპოლოგიურ მნიშვნელობას. მისი პოემიდან ცეცხლის სიმბოლიკასთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ: „დიონისიაკაში” რიტმი, ცეკვა და სიმღერა ასოცირდება ცეცხლთან. კავშირი კაბირებს, კურეტებს, კორიბანტებს, ტელქინებსა და დაქტილებს შორის შორეული ანტიკურობიდან არსებობდა. ცეცხლს, ისევე როგორც მუსიკასა და რიტმს, გააჩნდა ჰიანოსური ძალა. გვაროვნულ წყობილებაში ცეცხლის ოსტატი, ხშირად ასევე სიმღერათა ოსტატიც იყო (დარენდი 1999: 323; ვიკლანდი 1978: 129). ძველთაგანვე სითბოს მაგიურ-რელიგიური ფუნქცია პქონდა. ითვლებოდა, რომ ის, ვინც ფლობდა სითბოს, ფლობდა საკრალურს. სითბო საკრალურ ძალასთან მჭიდრო სიახლოვით ხასიათდებოდა, რომლის მიმართ განსაკუთრებული რიდი გააჩნდათ (ელიადე 1958: 85-86).

გარდა იმისა, რომ პოემაში დიონისე ცეცხლის სახეს იდებს, მას შეუძლია ხელით შეეხოს ცეცხლს, მას ცეცხლი არ ვნებს*. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ დიონისე ცეცხლში შობილია. როდესაც განრისხებული პერა ცეცხლს ესვრის ბაკქოსს, იგი სრულიად უვნებელი გადარჩება (XLVII, 706-714). ზევსის ელვებით თამაშობს პატარა ძაგრევსი, რასაც მისთვის არანაირი ზიანი

* IX, 63-64; IX, 73; XXI, 222-23, 260; XXIV, 13; XXVII, 57; XXXI, 45; XXXIV, 219; XXXV, 281; XXXIX, 167; XLIII, 148, 176; XLVII, 622-23, 677; XLVIII, 843;

არ მოაქვს: „nehgenew~ de; forhō~ nhriacoi~ palamhsin e|afri|onto keraunoi” (ბაგშური ხელებით ეხებოდა ელგას – VI, 167-168). დიონისეს სწორედ ეს უნარი ამჟღავნებს მის დვთაებრიობას. რიტუალებში ცეცხლში გამოწრობის შედეგად მიიღწეოდა უკვდავება*. სემელეც ხომ მას მერე, რაც ზეციურ ცეცხლში დაიფერფლა, იქცა უკვდავად და ოლიმპოსზე დამკვიდრდა.

დიონისესა და დერიადესის ორთაბრძოლას ზოგიერთი მეცნიერი ცეცხლისა და წყლის სტიქიების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის სიმბოლიკის მატარებელად მიიჩნევს. დერიადესი პოემაში თავის მამად მდინარე ჰიდასპს მიიჩნევს, შესაბამისად, იგი წყალს ეთაყვანება (XXI, 223-26). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ დიონისე დერიადესის წინაშე ცეცხლთან ერთად წყლის ეპიფანიითაც წარდგება (ნიუბოლდი 2006: 1-21).

ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პოემაში დიონისეს შეუძლია შეეხოს ცეცხლს და იქცეს ცეცხლად, რაც მისი უკვდავების მანიშნებელია. როგორც ღმერთი ის ასოცირდება ცეკვასთან, გველთან, ღვინოსთან, წყალთან, ნაყოფიერებასა და ცეცხლთან. პოემაში ის დვთაებრივი ცეცხლის ოსტატია. შესაბამისად, განახლების, შეუქცევადი ცვლილებების და პულტურული პროგრესის გამომწვევი ძალის მატარებელი ღმერთია.

ტახი. დერიადესთან ბრძოლისას დიონისე ყველაზე ბოლოს ტახად გარდაისახება (*e|faineto kapro~ aj hith~* – XXXVI, 329). ეს ცხოველი თავისი აგრესიულობით აღემატება ყველა დანარჩენს, რომლის სახითაც ღმერთი ებრძოდა მტერს. ნონსი აღწერს, თუ როგორ ფლეთს პირდაფჩენილი ტახი მოწინააღმდეგებს ჩლიქებით და მიგვანიშნებს, რომ გარეულ ღორად მეტამორფოზირებულ ღმერთს მტრის საბოლოო განადგურება გადაუწყვეტია.

სავარაუდოდ, დიონისეს ტახთან გაიგივება პოეტის მიერ შექმნილი მეტაფორაა და არა სიმბოლო.

დათვი. დერიადესის მიერ პოემაში მოთხრობილი დიონისეს ეპიფანიების სიას დათვიც ემატება (*ajti; drakonto~ o|ipireuw r̄ac̄in a|ktou* – XL, 47). დათვი ველური ძალის სიმბოლოა, განსაკუთრებით, ბრძოლის დროს. ამიტომაც, დიონისეს

* ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიხსენოთ დემეტრესა და დემოფონის ამბავი: დემეტრე ცდილობს უკვდავება და მუდმივი ახალგაზრდობა მიანიჭოს დედოფალ მეტანირას ვაჟს დემოფონს, რის გამოც მას ყოველ დამე ცეცხლში „აბანავებს“. თუმცა, ერთ დამეს მეტანირა შემთხვევით შეესწრება ამ სცენას, რაც დემეტრეს მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლის (ელიადე 2002: 266).

დათვად გარდასახვა ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლისას ხდება. დათვი ბერძნულ და რომაულ სამყაროში ასევე დადებითი მატერიალური თვისებების სიმბოლოა (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 322-323).

დათვის ეპიფანია დიონისეს, როგორც მებრძოლის ძლიერებას წარმოაჩენს. შეიძლება გავითვალისწინოთ ისიც, რომ დათვი მთვარის ცხოველადაა მიჩნეული. მთვარისა და დიონისეს კავშირი კი უდავოა: ნახვარმთვარე ხარის რქას მოგვაგონებს, რომელიც დიონისეს ერთ-ერთი ატრიბუტია: იგი გამოიყენებოდა, როგორც სასმისი. ი. კაკრიდისი აღნიშნავს, რომ „ვაზების მხატვრობაში ხშირად ვხვდებით დიონისეს გამოსახულებას ხარის რქით ხელში“ (კაკრიდისი 1986: 202). გარდა ამისა, დიონისური მისტერიები დამით იმართებოდა, ამიტომ მთვარე მათ ერთ-ერთ თანმხლებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ცნობილია ასევე, რომ მთვარის სამ ფაზას სამი ქალღმერთი შეესაბამება: სელენე, არტემისი და ჰეკატე. დათვი სწორედ არტემისის ცხოველია. არტემისის რიტუალებში ცვალების არქტეონის – დათვის ცვალების და იმოსებიან ზაფრანისფერი (დათვისფერი) სამოსით. ცნობილია ასევე, რომ კირენეში არტემისის ქურუმი ქალები ხშირად დათვებთან ასოცირდებოდნენ. გარდა ამისა, ზოგიერთი მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას თითქოსდა ერთ-ერთი მითის მიხედვით სწორედ ზევსისა და არტემისი-დათვის პირმშობა არკადიელების პირველი წინაპარი* (მაგიული 1970: 179-185). თუმცა, ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ მითსა თუ იკონოგრაფიულ გამოსახულებაში არტემისი არ ასოცირდება დათვთან. ჩანს, მის ქურუმთა ამ ცხოველთან გაიგივება გამოწვეულია იმით, რომ არტემისი ყველა გარეული ცხოველის პატრონად მიიჩნეოდა (ირვინგი 1990: 46-47).

ცნობილია ასევე, რომ დათვი სექსუალურად აქტიური ცხოველია. ასევე სიდიდისა და აგრესიულობის გამო ადამიანს არ შეუძლია თავისუფლად მიუახლოვდეს მას. ვფიქრობთ, ნონოსი დიონისეს დათვად გარდასახვას სწორედ ღმერთის სექსუალობისა და სიძლიერის ხაზგასასმელად აღწერს.

ხარი. ხარი დიონისეს ერთ-ერთი უმთავრესი ეპიფანიაა პოემაში (*taurw/ iſofuhī* – VI, 197; XL, 51). ხარად გარდასახვის მთელი რიგი სერიების გარდა, ნაწარმოებში ავტორი ხშირად მოიხსენებს დიონისეს, როგორც „ხარისსახიანს“ (*taurofuhī* Dioniso – XI, 151; XXI, 201; XV, 31; VI, 205). ნონოსი პირდაპირ

* *aſko-* იგივე *aſkto-* ნიშნავს დათვს.

ადნიშნავს ტექსტი, რომ „რქოსანი ხარი ასახვაა ღმერთი ლისეოსის“ (tauron omokrairioi fuh~ ihdalma Luaius – VII, 164).

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მეფეებსა და ღმერთებს აიგივებდნენ ხართან, რაც დვთაებრივი და მეფური ძალის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად. ასე იყო ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. ხარი ასევე ნაყოფიერების სიმბოლოა და ხშირ შემთხვევაში ნაყოფიერების მეტაფორაა. თუმცა, ამავდროულად მას დესტრუქციული ძალის მატარებლადაც მოიაზრებენ, რის გამოც ხშირად აიგივებენ ღმერთთან (ირვინგი 1990: 41-42).

დიონისე ბერძნების წარმოდგენებში ყოველთვის ასოცირდებოდა ხართან. პლუტარქე წერდა, რომ მრავალ ბერძნს დიონისე ხარის სახით ჰყავდა წარმოდგენილი, ხოლო არგიველები მას „ხარისრქებიანს“ უწოდებენ. ხარი დიონისეს ერთ-ერთი სახეა ევრიპიდეს „ბაკქ ქალებში“ ლომთან და გველთან ერთად (Eur. Bacch. 1017). ჯერ კიდევ მინოსურ ცივილიზაციაში ხარი მჭიდროდ უკავშირდებოდა დიონისეს ფუნქციების მატარებელ დვთაებას. ამაზე მეტყველებს ის, რომ კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი დვინის შესანახი ჭურჭელი შემკულია ხარის თავის გამოსახულებებით. ზოგჯერ კი სასმისი თავად არის ხარის თავის ფორმის. უეჭველია, რომ ასეთი ფორმის სასმისები რიტუალის დროს გამოიყენებოდა. სასმისის ვიწრო პირიდან ისე იღვრებოდა დვინო, როგორც – ხარის ხახიდან. რიტუალის ეს პროცესი მინოსური კრეტის მაცხოვრებელთა ცნობიერებაში არსებულ ხარისა და დვინის კავშირზე მიანიშნებს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მინოსელები ხარს უწოდებდნენ „Oinops“, wo-no-qo-so, რაც „დვინისფერს“ უნდა ნიშნავდეს. ხარის ეს ეპითეტი პომეროსთანაც გვხვდება. დიონისეს ხშირად მსხვერპლად სწირავდნენ ხარს. გარდა ამისა, ის ხართანაც იყო გაიგივებული. ამაზე მიანიშნებს საბერძნეთში ფართოდ გავრცელებული ღმერთის ეპითეტი – Bougenht, რაც ხარის მიერ შობილს ნიშნავს (კერენი 1976: 52-55). ხარი ასევე ზევსის ცხოველია. საინტერესოა, რომ ხარი ზევსისა და დიონისეს ზიარი ცხოველია.

ბერძნული ტრადიციული წარმოდგენებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანდათანობით ხარი დიონისეს სიმბოლოდ იქცა. ნონოსი მოგვითხრობს რა დვინის ღმერთის ხარად გარდასახვაზე, თავის პოეზიაში დიონისეს სწორედ ამ სიმბოლოს დამკვიდრებას ცდილობს. გარდა ამისა, ხარად გარდასახვა ხომ ღმერთის ძალის, მამაკაცური პოტენციისა და დვთიური ძალაუფლების სიმბოლოა.

ხარი ყოველ ეპოქაში იცვლიდა თავის სიმბოლურ მნიშვნელობას, თუმცა, ყოველთვის მოიაზრებოდა, როგორც ბუნების სტიქიური ძალების, მამაკაცური სიძლიერის სიმბოლო. იგი ჩრდილოეთ ევროპიდან ინდოეთამდე ლკოური ძალაუფლების ემბლემა იყო. ბერძნულ მითოლოგიაში კარგად ჩანს ხარი, როგორც სექსუალობის სიმბოლო, რაც დასტურდება ორგიებში მათი მონაწილეობით. თუმცა, გვიანანტიკურობაში ფართოდ გავრცელდა ხარის, როგორც სიკვდილისა და კვლავ აღდგენის სიმბოლიკა, რაც ჯერ კიდევ მითრას კულტში ჩაისახა (ტრესიდერი 1999: 31-33). შესაძლოა, ხარის სწორედ ეს სიმბოლიკა ჩანს „დიონისიაკას“ მემკვე სიმღერაში: ტიტანებთან მებრძოლი დიონისე-ძაგრევსი სხვადასხვაგვარად გარდაისახება, მაგრამ მას ტიტანები სწორედ ხარის ეპიფანიაში კლავენ, „და მამაცი ხარი დაეცა“ (*kai; qrasu~ wkl ase taūto~* – VI, 204), წერს ნონოსი. სიკვდილის პირას მყოფი ძაგრევსის ეს გარდასახვა მისი კვლავ აღდგენის სიმბოლოდ შეიძლება მოიაზრებოდეს.

„დიონისიაკაში“ ძაგრევსიც და ბაკქოსიც ხშირად მოიხსენიებიან, როგორც „რქიანი ღმერთები“ (*Zagreia geinamenh keroen brefo~* – VI, 165; *kerasfore Bakce* – XX, 314; *bookrairou Dionusou* – XVIII, 95; XXV, 232). ხარის რქები სიწმინდის ნიშანი იყო, ამიტომ ნებისმიერი ღმერთის თავზე გამოისახებოდა. ასე იყო ბაბილონელებთან და ხეთებთან, მცირე აზიაში, სადაც ღმერთები და მეფეები რქებით გამოიხატებოდნენ (სიმბოლოთა, ნიშანთა და ემბლემათა ლექსიკონი 1999: 82-86). პომეროსის ეპოქაში რქებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. სამსხვერპლო ცხოველთა რქებს კი ოქროთი ამკობდნენ (*Hom. Il. X, 294; Od. III, 437*). რქები წმინდა ნაწილებად ითვლებოდა ასევე კრეტა-მიკენის ეპოქაში. მათ „წმინდა ადგილებში“ ათავსებდნენ. მსგავსი წარმოდგენები არსებობდა რქებზე ძველ ებრაელებთანაც. საინტერესოა, თუ რა იყო ამის მიზეზი. რ. ონიანსი მიიჩნევს, რომ წარმოდგენები რქებში ლკოური ძალების არსებობაზე უკავშირდება ძველ ხალხთა რწმენას, რომლის მიხედვით რქა ცხოვრებისეული ძალების კონცენტრაციის მატარებელია. ძველ ბერძენთა წარმოდგენით, თავი შეიცავდა ცხოვრებისეულ ძალას, იგივე *yuchis*, ხოლო რქა, როგორც თავის ნაწილი, ამ ძალის მატარებელი იყო. ამ წარმოდგენას ამყარებდა ისიც, რომ რქები ცხოველებს მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ სიმწიფის მიღწევის შემდეგ ეზრდებათ (ონიანსი 1999: 235-236).

ხარი, შესაძლოა თავდაპირველად დიონისეს მეტაფორა იყო, თუმცა დროთა განმავლობაში ის დმურთის განუყრელ სიმბოლოდ იქცა. ხარი დიონისეს სიმბოლოდა ნონოსის პოეზიაშიც.

პვიცი. ტიტანებთან მებრძოლი დიონისე-ძაგრევსის ერთ-ერთი ეპიფანიაა პვიცი. საერთოდ, ცხენი სისწრაფისა და სილამაზის სიმბოლოა. სხვა ცხოველებთან შედარებით, მისი სიმბოლიკა შეუზღუდვავია და მუდმივად მოძრავი. ცხენი ასევე მარადიული ცხოვრების რიტმის სტიქიური და მტრული ძალის სიმბოლოა (ტრესიდერი 1999: 201-203). შესაძლოა, სწორედ ეს სიმბოლიკა აკაგშირებს მას დიონისე-ძაგრევსთან.

გარდა ამისა, ცხენი სიმდიდრის სიმბოლოა იმის გამო, რომ მისი ყოლი ფუფუნებასთან იყო დაკავშირებული, ან კი იმიტომ, რომ ბრძოლისას ცხენს კარგად კვებავდნენ. მაგალითად, კერგილიუსი მოგვითხრობს, რომ კართაგენის დაარსებისას ახალმა მოსახლეებმა გათხარეს იუნონას მიერ მომზადებული ნიშანი – ცხენის თავი, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ეს ტომი გამოირჩეოდა კარგი მეომრებითა და სიმდიდრით (Verg. Aen. 36, 444). ცხენი ასევე ნაყოფიერების სიმბოლიკას უნდა უკავშირდებოდეს, რაც კარგად ჩანს ძველი რომაული რიტუალებიდან: მაგალითად ცნობილია კ. წ. „ოქტომბრის ცხენის“ რიტუალი, რომლის დროს ცხენის თავს პურის თავთავს მიამაგრებდნენ და შემდგომ ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები მამაკაცები მისი მოპოვებისთვის იბრძოდნენ. ითვლებოდა, რომ ქალაქის იმ ნაწილს, რომლის მცხოვრებიც ხელში ჩაიგდებოდნენ ცხენის თავს, უხვი და ბარაქიანი წელიწადი ელოდებოდა (ონიანსი 1999: 141). ცხენის თავს უკავშირებს პალადიუსიც ნაყოფიერებასა და სიუხვეს. იგი ურჩევს მიწათმოქმედთ, ჩამარხონ მინდორში ცხენის ან ვირის თავის ქალა, რათა მან „გაანაყოფიეროს“ მიწა (Palladius: Opus agriculture I, 35, 16; X 344).

ის, რომ ძაგრევსი იღებს კვიცის და არა ცხენის ეპიფანიას, მისი მცირეწლოვნობით უნდა იყოს გამოწვეული.

გეფხვი. ტიტანებთან მებრძოლი დიონისე-ძაგრევსი იღებს გეფხვის სახეს (tigri- ehn – VI, 197), რაც მეტად საყურადღებოა. დასავლურ სახვით ხელოვნებაში გეფხვი იშვიათი მოვლენაა. იგი არც პომეროსთან გვხვდება, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ დიონისეს ეს ეპიფანია შედარებით გვიანი პერიოდის პუთვნილებაა.

ვეფხვი მძგინვარების, სისწრაფის, სიმკაცრის, სილამაზის სიმბოლოა. ხოლო, აზიასა და ინდოეთში სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლური დატვირთვაც აქვს (ტრესიდერი 1999: 368-369).

ყველაზე პოპულარული ქართული პოემის პერსონაჟი ვეფხისტყაოსანი რაინდია. ზ. გამსახურდიას აზრით, ამ შემთხვევაში ვეფხვის ტყავი სამეფო ინიციაციის სიმბოლოა, ვინაიდან დაკავშირებულია შობასთან, ხელახლა დაბადებასთან (გამსახურდია 1985: 448).

„დიონისიაკაში” ვეფხვი, როგორც აგრესიის, ასევე თავდაცვის სიმბოლოსაც წარმოადგენს. პატარა ძაგრევსი ებრძვის ტიტანებს და მისი ვეფხვად გარდასახვა ღმერთის აგრესიისა და თავდაცვის გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ პოემაში სხვაგან არსად არ დასტურდება დიონისეს ეს ეპიფანია.

შეყვარებული დიონისეს ეპიფანიები. ცალკე გამოვყოფთ შეყვარებული დიონისეს ეპიფანიებს, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან მებრძოლი ღმერთის გარდასახვებისაგან. ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმას, რომ დიონისეს გარდასახვები ღმერთის ემოციური განცდების გამოხატულებაა. თუ ბრძოლისას გაშმაგებული ღმერთი ლომად, ხარად, ჯიქად, დათვად და სხვა მრისხანე ცხოველებად გარდაისახება, შეყვარებული დიონისე სრულიად განსხვავებულ ეპიფანიებზე ოცნებობს: ღმერთი მოხიბლა მონადირე ქალწულმა ნიკაიამ. ტრფობით ანთებული დიონისე უმზერს ქალწულს და სურს „ძლიერფრთიანი ჩიტის” (οἰκι-εἵπτερο - XVI, 63), ხარის (սეγρოπορο- bou- - XVI, 51) და „ოქროს წვიმის” (κρυστείο- οἷμβρο - XVI, 66) სახე მიიღოს. ჩიტი, ხარი და წვიმა შეყვარებული ზევსის გარდასახვებია: ოლიმპოსის მბრძანებელი გედად გარდაისახება ლეგოსთან შეუდლებისას, ხარად – ევროპესთან, ხოლო წვიმად – დანაესთან. მაშასადამე, შეყვარებულ დიონისეს სურს ზევსის მეტამორფოზები მიიღოს. ამ პასაუში, ვფიქრობთ, ნონოსი ზევსის სიმბოლოებს დიონისეს მეტაფორებად იყენებს.

ჩიტი. ჩიტი კოსმიური და ადამიანური სულის სიმბოლოა, რაც გადაადგილების სისწრაფითა და სიმსუბუქითაა განსაზღვრული. ჩიტების შესახებ ამგვარი წარმოდგენა, თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ისევე, როგორც მათი გაიგივება უკვდავებისა და სიხარულის ღვთაებებთან (ტრესიდერი 1999: 293-295). ჩიტი ხშირად ასოცირდება ბერძნულ ხელოვნებაში გარდაცვლილთა

სულებთან*. პომეროსი კი თავის პოემებში აღწერს, თუ როგორ მიფრინავენ გარდაცვლილთა სულები ჰადესში და მათ ჩიტებს ადარებს (II. XXII, 362; Od. XI, 605). სავარაუდოდ, პატაწინა ფრთიანი არსებანიც, რაც დამახასიათებელია შედარებით გვიანი ხანის ხელოვნებისთვის, გარდაცვლილთა სულებს უნდა ასახავდნენ (ვერმეული 1979: 8-11). ოდითგანვე ჩიტი ასრულებდა მედიატორის როლს ადამიანებსა და ლმერთებს შორის, რის გამოც მისი ეპიფანია ყოველთვის მისტიკურ და განსაკუთრებული ნიშნის მატარებელ ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

ხშირად ჩიტს სიყვარულსაც უკავშირებენ, ალბათ სწორედ იმ მდგომარეობის გამო, რასაც ეს გრძნობა იწვევს ადამიანში. ამას ემატება ისიც, რომ მტრედი აფროდიტეს წმინდა ფრინველია. ჩიტი ხშირად მოიაზრება აპოთეოზის სიმბოლოდ (ირვინგი 1990: 115). მისი ეს სიმბოლიკა კარგად ჩანს აფროდიტე ქტესილას კულტის წარმოშობასთან დაკავშირებულ მითში: ქტესილა შეყვარებული გოგონაა, რომელიც თავის სატრფოსთან განშორების გამო კვდება. დაკრძალვის დროს მისი სხეული გაქრება, სამაგიეროდ კი მტრედი აფრთხიალდება ზეცაში. ქტესილა მოგვიანებით აფროდიტეს სახელს შეერწყა და ამგვარად დაუკავშირდა აფროდიტე ქტესილას კულტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დიონისიაკაში” ხშირად ვხვდებით ეპიზოდებს, სადაც პოემის ესა თუ ის პერსონაჟი ფრენის სურვილითაა შეპყრობილი ან დაფრინავს, როგორც ჩიტი¹⁸. მაგალითად, ზოგჯერ დიონისე და მისი თანმხლებნი ცეკვისას ხტიან, რაც ცაში აფრენის სურვილითაა შთაგონებული (XIX, 265). ჩიტებად გარდასახული ლმერთები ნილოსის ნაპირებისკენ გაფრინდებიან, როდესაც ტიფონი ოლიმპოსს ემუქრება (I, 142-144). შეშინებული ნიმფა ჰამადრიასი ჩიტად გარდასახვას ნატრობს, რათა თავი დააღწიოს ტიფონის რისხვას (II, 126-134). ასტრეოსთან სტუმრობის შემდექ ქალდმერთი დემეტრე ფრთიანი გველებით შებმული ეტლით პირდაპირ ლრუბლებისკენ გაფრინდება (VI, 118-119). როდესაც სემელე მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესრულების შემდეგ მდინარე ასოპოსის წყლებში ბანაობს, ცაში ერინია დაფრინავს და მას დასცინის (VII, 181). თავად ზევსი კი არწივის სახეს მიიღებს, ასოპოსის თავზე ტრიალებს და მობანავე სემელეს უთვალთვალებს (VII, 210-212). ხშირად „დიონისიაკაში” ცაში ფრენა

* ცნობილია, რომ ანტიკურ საბერძნეთში ხშირად გარდაცვლილთა სულები გველის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი (ბრემერი 1983: 80-82).

რომელიმე სუბიექტის აღმატებულობასა და უპირატესობას ამტკიცებს. მაგალითად, პოემის 47-ე სიმღერაში ნონოსი მოგვითხრობს დიონისესა და პერსევსის პაექრობაზე: პერსევსს ფეხზე ფრთიანი სანდლები აცვია, ხელში კი გორგონა მედუზას თავი უჭირავს (XLVII, 681-682). დიონისეს თავის დასაცავად ხელში თირსოსი უპყრია, შუბლს კი ადამანტის ქვა უმშვენებს (687-688). პერსევსი პაერში აფრინდება, ბაქტოსი კი უეცრად თავით ცას მისწვდება, ხელით კი – ოლიმპის, ერთდროულად ეხება მზესა და მთვარეს (754-760). ამის შემხედვარე პერსევსი შიშისგან კანკალებს (758).

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ოცნება ცაში ფრენაზე შეიძლება უკვდავების სურვილს დაგუკავშიროთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ცაში გაფრენის მცდელობა თითქმის სამუდამოდ რჩება ადამიანთა მეხსიერებაში (მაგალითად, როგორც მოხდა მითიური იკაროსის შემთხვევაში), არამედ იმიტომაც, რომ ცაში ფრენის ფანტაზიებმა შეიძლება შეამსუბუქონ სიკვდილის შიში.

„დიონისიაკაში” შეყვარებულ ბაქტოსს სურს ჩიტად გარდაისახოს, შესაბამისად, მოიპოვოს ის სულიერი სიმსუბუქე და ნეტარება, რაც სიმბოლურად ამ ფრინველს უკავშირდება. სიყვარული ღმერთის ბუნებაში სიხარულს იწვევს. ღმერთის სულიერი განწყობის გადმოსაცემად კი ნონოსი დიონისეს ჩიტის ეპიფანიით წარმოგვიდგენს.

წვიმა. შეყვარებული დიონისე ზევსის ოქროს წვიმად გარდასახვას იხსენებს და თავადაც სურს „სიყვარულის ოქროსფერ წვიმად დაიღვაროს” (*εἰς στυπεῖο~ εἴγω; ρειον οἵμβρο~ ακοιτή~* – XVI, 66). როგორც ჯ. ტრესიდერი აღნიშნავს „სასიცოცხლოდ აუცილებელი, ნაყოფიერების სიმბოლო – წვიმა ხშირად დვთიურ თესლად მოიაზრებოდა” (ტრესიდერი 1999: 81). დიონისე იხსენებს ზევსს, რომელიც ოქროს წვიმის სახით შეიპარა დანაესთან, რის შემდეგაც მათ პერსევსი გაუჩნდათ. შესაბამისად, ღმერთის ოცნება იქცეს წვიმად, მისი სატრფოსთან სიახლოვის გამომხატველია.

ამგვარად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნონოსი ნაწილობრივ მიჰყვება ტრადიციას, რომლის მიხედვით პროტევსისეული გარდასახვანი გარკვეულ თავდაცვით იარაღს წარმოადგენენ ორთაბრძოლის ან თავდასხმის დროს. ამასთან, თითოეული ეპიფანია ღმერთის შინაგანი ემოციების, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში მისი განწყობის ან მისი რეაქციის გამომხატველია. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ნონოსთან ღმერთის ზოგიერთი მეტამორფოზა,

გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობების მიუხედავად, მეტაფორას წარმოადგენს და პოეტის მხატვრული სამყაროს დემონსტრირებას ახდენს. თუმცა, ნონოსი აგვიწერს დიონისეს ისეთ გარდასახვებსაც, რომლებიც უკვე სიმბოლოებად გარდაქმნილ მეტაფორებს წარმოადგენენ. ასეთებია, მაგალითად წყალი, ხარი, გველი, ლომი, ცეცხლი და ხე. აქედან ხარი, გველი, ლომი და ხე ანტიკურ ბერძნულ მითებსა და ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ დიონისეს სახე-სიმბოლოებს წარმოადგენენ.

ქნელია გადაჭრით ითქვას, ნონოსის პოეზიაში სიმბოლო დომინირებს, თუ მეტაფორა. ვფიქრობთ, რომ „დიონისიაკაში“ თანაბრად ერწყმის ერთმანეთს ეს ორი ელემენტი, რაც ნონოსის განსაკუთრებული მანერის მაჩვენებელი უნდა იყოს. ქრისტიანულ ლიტერატურას სიმბოლიზმი ახასიათებს (სირაძე 1992), ანტიკურ ლიტერატურაში კი უკვე დრამაში შეინიშნება მეტაფორული მეტყველება. ჩვენი აზრით, სიმბოლური და მეტაფორული გამომსახველობითი ხერხების თანაარსებობა ნონოსის პოეტიკის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა.

3. დიონისე-იაკესი

„დიონისიაკაში“ აღწერილი მესამე დიონისე, ანუ იაკესი ავრესა და ბაკესის პირმშოა. ავრე, ტიტან ლელანტოსისა და ოკეანიდ პერიბეას შვილი, ლომებზე უშიშარი მონადირეა. ერთხელ იგი მობანავე არტემისს გადააწყდება ტყეში და ქალღმერთს შეურაცხყოფს, რადგან ირონიულად შეაქებს მის ქალურობას. განაწყენებული არტემისი ნემესისს* შესჩივლებს თავის გულისტკივილს, ეს უკანასკნელი კი მას აღუთქვამს, რომ დასჯის ავრეს და ქალწულობას დააკარგვინებს. მართლაც ნემესისი დიონისეს გულში ავრესადმი ტრფობის ცეცხლს დაანთებს. შეუვარებული დიონისე ქალწულის მოსახიბლად კლდეში დვინის წყაროს გააჩენს, პეითო მისკენ უბიძგებს ავრეს, რომელიც მოწყურებული დაეწაფება დვინოს, დათვრება და იქვე დაიძინებს. ეროსი სასწრაფოდ აუწყებს დიონისეს ამ ამბავს. მალე დვინის ღმერთი მძინარე

* შეურისძიების ქალღმერთი. მას ხშირად „ადრასტეიას“ უწოდებენ.

ქალწულის ტრფობაში გაეხვევა. ავრე გონს მოეგება და განრისხებული ახლო-მახლო მყოფ ყველა მწყემსს სიცოცხლეს გამოასალმებს. მან არ იცის, რომ მისი მეტრფე დიონისე იყო. ქალი მალე შეიტყობს თავისი ორსულობის ამბავს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ცდილობს ლომების საჯიჯგნი გახდეს, თუმცა, ცხოველები დიონისეს ხათრით მას ერიდებიან. ავრე ტყუპს გააჩენს. დიონისე ევედრება თავის ყოფილ მიჯნურ ნიკაიას, რომ ტყუპისცალი ვაჟის გადარჩენა მაინც მოახერხოს, რათა იგი ნიკაიასა და დიონისეს ქალიშვილის – ტელეტეს მეგზური გახდეს ბაქურ მისტერიებში. ავრე თავისას მაინც არ იშლის და ახალშობილებს ლომებს მიუყრის. თუმცა, ცხოველები არაფერს ავნებენ ბავშვებს: ჯიქები მხოლოდ ლოკავენ, გველები კი გარს ეხვევიან. ავრე ტყუპისცალს კლდეებზე გადაჩეხავს, მეორეს კი არტემისი გადაარჩენს და დიონისეს მიჰვრის. საბრალო ავრე მდინარე სანგარიოსში იხრჩობს თავს და ზევსის ნებით, წყაროდ გადაიქცევა. დიონისეს კი თავისი პირმშო, სახელად იაკონი, ათენში მიჰყავს, სადაც ის ელევსინის მისტერიების ღმერთად იქცევა (XLVIII, 239-965).

პოემის დასასრულს ავტორი აერთიანებს ძაგრევსს, დიონისესა და იაკქოსს. აღნიშნავს, რომ „ათენში ამ სამმაგ ზეიმში ყველა იღებს მონაწილეობას, მოქალაქეები ცეკვასა და სიმღერებში ადიდებენ ძაგრევსს, დიონისესა და იაკქოსს“ (kai; teletai~ trissh̄sin ephakceut̄hsan jAqhnai. kai; coron oj̄i tel eston ajeckrounsanto pol itai Zagreua kudainonte~ afha Bromiw/kai; jlaikcw/ – XLVIII, 966-968).

საინტერესოა, თუ რატომ იწვევს ქალწულობის დაკარგვა ზღვარსგადაცილებულ რისხვას „დიონისიაკაში“. ამ კითხვაზე პასუხი შესაძლოა უკავშირდებოდეს იმას, რომ „ქალწულობა“ არის უდიდესი კოსმიური ქალღმერთის მყოფობის ერთ-ერთი ფორმა. ქალწულობა ქალღმერთი დედის ანდროგინულ მდგომარეობას უნდა გულისხმობდეს. ქალწული ღმერთების რისხვის მიზეზი შეიძლება გახდეს მათი „მთლიანობის“ დარღვევის მცდელობა. საკრალურ დონეზე ეს უკავშირდება პირველი მთლიანობის – ქაოსის გაყოფას ორ პოლარულ ოპოზიციად, რომელთაგან ერთი მამრია, მეორე – მდედრი (კიფიშინი 2000: 162). ანდროგინები კოსმიური ძალაუფლების მფლობელები, ყოვლისშემძლენი არიან; თავის თავში „ატარებენ“ ქმარსაც და შვილსაც. ამიტომ „გაყოფა“ მათთვის ამ უფლების ნაწილის დაკარგვას ნიშნავს. ანდროგინებს არ სურთ თავიანთი „პარმონიის“ დათმობა. ანდროგინული მთლიანობის დარღვევის შემდეგ

გამოყოფილი მდედრი დვთაებებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება „დაკარგული” მამრი ნაწილის დაპატრონება, მასზე ერთპიროვნული უფლების დაკანონება. ასე რომ, მდედრი ქალღმერთის რისხვის მთავარი მიზეზი მამრი პარტნიორის არასასურველი საქციელია. „დიონისიაკაში” ავრე მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ეზიარება უკვდავებას, როცა ის, ზევსის ნებით, წყაროდ გარდაიქმნება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ნონისთან ავრე ქალღმერთი დედის ერთ-ერთ იპოსტასს წარმოადგენს.

ნაწილი V

სამოთრაკეს მისტერიები „დიონისიაკაში“

კუნძული სამოთრაკე, როგორც მისტერიული რელიგიის ცენტრი, ცნობილი იყო მთელ საბერძნეთში და ქრისტეს შობამდე V საუკუნეში ათენშიც. ბერძენი პოეტები და ისტორიკოსები თავიანთ გენეალოგიებს სწორედ სამოთრაკულ ტრადიციებს უკავშირებდნენ. თავის ბრწყინვალებას კულტმა მიაღწია ფილიპე მაკედონელის მეფობის დროს. სამოთრაკეს ღმერთები პოპულარულნი იყვნენ მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში; კულტი არსებობას განაგრძობდა კონსტანტინე დიდის ეპოქაშიც კი (ბურკერტი 1985: 282). სხვა მისტერიების მსგავსად, სამოთრაკეს მისტერიების შესახებ ინფორმაცია დიდი საიდუმლოებით იყო მოცული, რის გამოც თითქმის არაფერი ვიცით მის შესახებ (ელიადე 2002: 274).

კუნძულის სახელწოდებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს: სტრაბონი აღნიშნავს, რომ მას „სამოსი“ სიმაღლის გამო დაერქვა. „ეს თრაკიული კუნძული, ჰეროდოტოსის მიხედვით, მისი სიმაღლის გამო სამოსად იწოდება... მართლაც, სამო, მისი სიტყვებით „სიმაღლეს“ ნიშნავს...“ (Str. Geogr. 7,50a). სხვა მოსაზრების თანახმად, სამოთრაკეზე ჰერმესისა და რენეს* თეოგამიის შედეგად დაიბადა საონი (Sawn), კუნძულის ეპონიმი და კანონმდებელი (შენგელია 1963: 303). რაც შეეხება სამოთრაკეს მცხოვრებთ, მათ ბერძნები პელასგებს უწოდებდნენ. ისინი ასევე ასოცირდებოდნენ ტროელებთან. ეს, შესაძლოა, მათი არაბერძნული წარმომავლობის ხაზგასასმელად ხდებოდა. ბერძნული ენა არ გამოიყენებოდა კულტმსახურებისას ელინისტურ ხანაშიც კი (ბურკერტი 1985: 282). იმ დვთაებათა

* Rhnh - ცხვრის ფარის მფარველი ქალღმერთი.

სახელები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ სამოთრაკეს მისტერიებში, სტრაბონის მიხედვით, საიდუმლოებით იყო მოცული (Str. Geogr. 7, 50). მორწმუნები მსხვერპლს სწირავდნენ უბრალოდ „ღმერთებს“. მათ ხშირად „სამოთრაკელ ღმერთებადაც“ მოიხსენიებდნენ, ხოლო უკვე ელინური ხანიდან „უდიდეს ღმერთებს“ უწოდებდნენ.

პეროდოტოსი, რომელსაც როგორც ჩანს, სამოთრაკეს რიტუალებში მონაწილეობა პქონდა მიღებული, საუბრობს კაბირთა მისტერიებზე. მისი გადმოცემით, ის სრულდებოდა სამოთრაკეში და გადმოღებული იყო პელასგებისაგან (Herod. Hist. II, 51). სწორედ ამ წყაროზე დაყრდნობით, მოგვიანებით, სამოთრაკეს ღმერთებს აიგივებენ კაბირებთან, ასევე კურეტებთან, კორიბანტებთან, იდას დაქტილებთან და დიოსკურებთან (Str. Geogr. 10. 3.7).

სხვა წყარო, რომელიც სამოთრაკეს ღმერთებს აიგივებს კაბირებთან, გადმოგვცემს კუნძულის ოთხი ღვთაების სახელს: აქსიეროსი, აქსიოკერსა, აქსიოკერსოსი. ისინი გაიგივებულნი არიან ღემეტრესთან, პერსეფონესა და პადესთან. ამ სამ ღვთაებას ემატება კასმილოსი*, რომელიც იდენტიფიცირებულია პერმესთან. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, კასმილოსად იწოდებოდა ღმერთის მსახური, რომელიც ეთაყვანებოდა დიდ ღმერთებს. აშკარაა სახელების „კადმილოსისა“ და „კადმოსის“ ნათესაობა (კაკრიდისი 1986: 304-307). ნონოსის გადმოცემით, ფინიკიელი კადმოსი სამოთრაკეზე მოგზაურობის შემდეგ მიდის და აარსებს ქალაქ თებეს. კადმოსის მოგზაურობა, თითქოსდა მიანიშნებს უდიდეს ღმერთა კულტის აზიურ წარმომავლობაზე.

ბ. პემბერგის მიხედვით, კაბირები და მისი მონათესავე ღვთაებანი პროელინურ პერიოდში უსახელო ღმერთებს წარმოადგენდნენ. მოგვიანებით კი სხვადასხვა ბერძნული ტომი ერთსა და იმავე ადგილობრივ ღვთაებას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდა. ამგვარად სახელი „კაბირო“ – „კაბიროი“ ჩნდება ქრისტეს შობამდე XIV-XIII სს. სირიის ჩრდილო რაიონების ბერძენ მოსახლეობაში ფინიკიური kabir - kabirim-ის გავლენით¹⁹. აქედან კი კაბირთა სახელები შეიძლება გადასულიყო მცირე აზიაში, საიდანაც შეაღწევდა კიდეც ეგვიპაში (პემბერგი 1950: 136-137).

„დიონისიაკაში“ არსადაა ნახსენები „დიდი ღმერთები“ ან კაბირები, როგორც სამოთრაკეს ღვთაებანი. აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ „კაბირთა სკიპტრას“

* სახელი ასევე გამოითქმის, როგორც კამილოსი და კადმილოსი.

(skh̄ptr̄a Kabeirwn – III, 194) სამოთრაკეს უფლისწულები ფლობენ, რაც შესაძლოა, იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი სწორედ კაბირებს მიიჩნევს კუნძულის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებებად.

ბალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რისი ღვთაებები იყვნენ კაბირები. ამის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს: ერთის მიხედვით, სამოთრაკელი კაბირები ზღვის ღვთაებანი არიან. მართლაც, მითში კაბირთა დღა კაბეირო ზღვის დემონის – პროტევსის – ქალიშვილია. ი. კაკრიდისის მოსაზრებით, კაბირებს, როგორც მეტალურგიის ღვთაებებს თაყვანს სცემდნენ ლემნოსა და თებეში, ხოლო როგორც მეზღვაურთა მფარველებს – სამოთრაკეზე (კაკრიდისი 1986: 306).

ბ. ჰემბერგი მიიჩნევს, რომ უფროსი კაბირი (მამა) უკავშირდება ხეთურ ელჭექის ღმერთს. უმცროსი კაბირი კი (ვაჟიშვილი) უფროსი კაბირის მერიქიფეა (ჰემბერგი 1950: 264). აპოლონიოს როდოსელის ცნობით, არსებობს ორი კაბირი: უფროსი ზევსი და უმცროსი – დიონისე, თუმცა, თებეს გათხრების შედეგად აღმოჩენილი თასის ნამტვრევზე უფროსი კაბირი დიონისეს მსგავსია. ლეგენდის მიხედვით, დიონისე იდენტიფიცირებულია კაბიროსთან, ხოლო უმცროსი კი – მის მერიქიფე პაისთან (შენგელია 1963: 309).

ბალიან საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვით, კაბირები პირველი შამანები იყვნენ და მოგვიანებით იქცნენ მოხეტიალე მჭედლებად, თანდათანობით კი საშიშ ჯადოქრებად. როგორც ძველი და ძლიერი შამანები, კაბირები შემდგომ უკვე გაიგივდნენ ლეგენდარულ პირებთან ან ღმერთებთან (ჩირუმბოლო 1995). ძველ ხალხთა წარმოდგენით, მეტალს სწორედ დედამიწა, ანუ დიდი დედის ღვთაება, უძღვნის ხალხს²⁰. მეტალი, რომელიც ადამიანს ეძლეოდა ციდან (მეტეორიტები) ან დედამიწის წიაღიდან მაგიური ძალით იყო აღჭურვილი. უძველესი დროიდან მოყოლებული მხოლოდ მისანთა, ჯადოქართა ან ქურუმთა გარკვეულ კასტას ევალებოდა მეტალურგიის საიდუმლოებათა შენახვა. ყველა, ვისაც მეტალზე მუშაობის საშუალება ეძლეოდა, ძალაუნებურად უკავშირდებოდა საიდუმლო და მაგიურ ძალებს. მეტეორიტებს ენიჭებოდათ ზეციური თვისებები, ხოლო მიწის წიაღიდან მოპოვებულ მეტალს კი დედამიწის საშოდან დაბადებულად მიიჩნევდნენ. პირველი ლეგენდები მეტალურგიის შესახებ ელადაში მცირე აზიიდან, კერძოდ კი ფრიგიიდან შევიდა. დაქტილები, კაბირები, ტელქინები, კორიბანტები და კურეტები – წარმოშობით მეტალურგიასთან დაკავშირებული ღვთაებანი არიან. კაბირებსა და

დაქტილებს „დნობის ოსტატებსა” და „ცეცხლით ძლიერთ” უწოდებდნენ. მათმა კულტმა თანდათანობით მთელი სმელთაშუაზღვისპირეთი მოიცვა. დაქტილები, რომელთაც პირველებმა მიიტანეს მეტალურგიის საიდუმლოებანი კრეტასა და ტროადაში, ქალღმერთ კიბელეს ქურუმები იყვნენ. კიბელე თავდაპირველად მაღაროებისა და მეტალების ღვთაებად იყო მიჩნეული, რომელიც თავს მთათა წიაღს აფარებდა. სწორედ ქალღმერთი კიბელე შთააგონებდა ადამიანებს და უმხელდა მათ მეტალურგიის საიდუმლოებებს (ელიადე 1998: 81, 105, 108-109).

„დიონისიაკაში” კაბირები ნაწარმოების პერსონაჟებად გვევლინებიან. თუმცადა, მათ ღვთაებრივი წარმომავლობა აქვთ: ქალღმერთი კაბეირო „ზეციური მჭედლისგან” – პეფესტოსაგან შობს ორ ძმა კაბირს – ალკონსა და ეპრიმედონს. ისინი მჭედლები არიან და ამავდროულად მეზღვაურთა მფარველები (XIV, 17-22). ალკონი და ეპრიმედონი მონაწილეობას იღებენ დიონისესთან ერთად ინდოთა წინააღმდეგ გამართულ ომში. სშირად ნონოსი ორ ძმა კაბირს კორიბანტებსაც უწოდებს და ამით მათ იდენტიფიკაციას ახდენს. „დიონისიაკას” ტექსტში გკიოთხულობთ:

„gnwtw/gnwto~ āmune. Kai; oujtamenw/peribainwn,
oilperi; skumnoisi lewn, bruchsato laimw/
ceil ei lusswonti cewn Korubantida fwnhn” (XXX, 54-56).

(ძმა იცავს ძმას! იგი (ალკონი) დაჭრილ ჭაბუკს (ეპრიმედონს) ისე გადაეფარა, როგორც ლომი თავის ბოკვერებს, ფართოდ აღებს პირს და თავისი ხახიდან გამოსცემს კორიბანტულ კიფილს).

მმათა სახელების ეტიმოლოგია მიუთითებს მათ სიახლოვეზე ცეცხლის კულტთან. Άλ kwn-ი ნიშნავს „დამცველს”, ხოლო, Ευγρομεδwn-ი „გრცელ ტერიტორიაზე გაბატონებულს”. მათი სახელები ხაზს უსვამენ ცეცხლის ღვთაების ფუნქციათა ფართო შესაძლებლობებს, რომელთაც შეუძლიათ იტვირთონ მხსნელის ფუნქცია განსაცდელის უამს. პოემის ტექსტიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ნონოსი კაბირებს მჭედლობისა და მეტალურგიის ღვთაებებად მიიჩნევს. თუმცა, პოეტი იმასაც მიუთითებს, რომ ორი ძმა კაბირი ლემნოსის მკვიდრია და არა კუნძული სამოთრაკესი. ტექსტში გკიოთხულობთ:

„prwta men ēk Lhmnoio puriglwcino- ejipnhi-
fhmh ājel I hessa Samou” (XIV, 17-18).

(სწრაფად დაეშვნენ (კაბირები) ცეცხლოვანი ლემნოსის კლდოვანი მწვერვალებიდან, რომელიც ახლოსაა საიდუმლო ლამპრით ანთებულ სამოსთან).

ახლა, შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რა ადგილი ეთმობა სამოთრაკეს „დიონისიაკაში“ და რას გვამცნობს მასზე ნონისი. კადმოსი პარმონიას გამო მიემგზავრება კუნძულ სამოთრაკეზე. იქ, ელექტრას სახლში, იზრდება მისი მომავალი მეუღლე. იგი აფროდიტესა და არესის ქალიშვილია, თუმცა სირცევილის თავიდან აცილების მიზნით, აფროდიტემ საიდუმლო კავშირის შედეგად შობილი ასული ელექტრას მიაბარა აღსაზრდელად. ელექტრამ დედობრივი მზრუნველობით მიიღო გოგონა და თავის ახლადშობილ ვაჟთან, ემათიოსთან ერთად აღზარდა. ფინიკიელი უფლისწული ცხრა დღის მოგზაურობის შემდეგ აღწევს კუნძულ სამოთრაკემდე. „მხიარულმა მეზღვაურებმა, როგორც კი დაინახეს სამოსის ფიჭვების ჩაუმქრალი ცეცხლი, დაუშვეს აფრები“ (kai; Samiħ- orħawni- akoimħton fl-oġa peukħ- aġċiġuoi steiħlanto għeqqo te- ixtia nautai – III, 43-44). სისხამ დიღით „მოგზაური კადმოსი იწყებს ქალაქის ძებნას“ (pol in iċċneuw n-ejpl ażet Karmo- oħieth – 82). პერიოდ, აფროდიტეს დავალებით, მას უხილავად აქცევს და გმირი ყველასგან შეუმჩნევლად მიუახლოვდება „მოელვარე შუქით გაბრწყინებულ“ (poikil on ajs-traptona – III, 129) სამეფო სასახლეს, სადაც „ყველას იღებენ“ (pandoko- aujì hiv – 125) და რომელიც ოდესდაც „ლემნოსეყლ თხტატს“ (eřgopono- Lhmnio – 133) აუგია ელექტრასათვის. „მას სპილენძის ზღურბლი აქვს“ (cal keo- oujdo- aħni – 135), „შესახვლელის ორივე მხარეს მოჩျქურობებული კარიბჭეებია აღმართული“ (ajmfiquroi de; staqmoui; ejhikkunonto pol u glixfewi ru lewewi – 135-136), „მაღალი სახურავის შუაში კი მორგვალებული გუმბათი აქვს“ (Iorfo- oħmfal omenti diesfairwto karħnaw/ messofanh- ojrofio – 137-138). კედლები სწორი და გლუვია, თითქოს თეთრი ქვით არის ნაგები. სასახლის გარშემო გადაჭიმულია ბალი, ცვრიანი ნაყოფით დახუნდლული. „სასახლის ქვის კვარცხლბეკებზე მრავალი ოქროს ქანდაკება აღუმართავთ: ყმაწვილებს ხელში ჩირაღდნები უჭირავთ, რათა დამით მონადიმეებს სინათლე ჰქონდეთ“ (pol u- eupoihito- eřeisameno- poda petrw/ cruiseo- iſtato kouro-, eħantia daitumonħwani lampardo- eksperiħ- tanuwn eřidorpion aigħi hn – 169-171). ოქროს ძაღლები ვერცლის ძაღლებთან ერთად უყევენ ყოველ ახლადმოსულ ადამიანს. როდესაც კადმოსი გამოჩნდა, დაიწყმუტუნეს ხელოვნური ხახებით და კუდები აათამაშეს ნიშნად იმისა, რომ მასში შინაური შეიცნეს. კადმოსი ტკბება კედელთა მოხატულობით, რელიეფთა და ქანდაკებათა სილამაზით. გაოცებულია თეთრი მარმარილოს სავარძელთა ელვარებით. ამასობაში დატოვა მოედანი და სამსჯავროს ველი ცხენზე ამხედრებულმა სამოთრაკეს მეფე

ემათიოსმა და ელექტრას სახლთან შეჩერდა. მან კადმოსი სუფრასთან მიიპატიუა. თუმცა, სტუმარი თვალს არიდებს მსახურებს და „სტუმართმოყვარე ქალბატონისგან“ (ელექტრასაგან) სახეს მალავს, ის არც საჭმლისკენ და სასმელისკენ იწვდის ხარბად ხელს“ (*filoxeinōio de; numfī- eikomenī- aītēwpo- uþokleptonti prosawpw/ aiðomenīn eītītaine saorfrona ceīra trapezīl* – 231-233). მონადიმების წინ მოცემვავები და მოთამაშები გამოდიან, რომელიც თან იდელი კორიბანტების სალამურებზე უკრავენ. ისმის ავლოსების ხმები, სპილენძის დისკები ბანს აძლევენ კიმვალთა რაკარუების ხმას. ფლეიტის უღერადობას ეხმიანება ლირა. ნადიმის შემდეგ „კადმოსი ახლოს მიუჯდა ცნობისმოყვარე დიასახლისს“ (*eījromenī/ pel aīta- fil opeuqeī qwkon aīhaeñsh/ Kadmo-* – 244-245) და გაუმნილა თავისი მეფური წარმომავლობა. თავის წინაპართა შესახებ თხრობა იოს ისტორიით დაიწყო. შემდეგ კი დიასახლისს შესწივლა, რომ ხარმა გაიტაცა სამშობლოდან მისი და ევროპე და სწორედ ეს არის მისი უშედეგო მოგზაურობის მიზეზი. მოუსმინა მას ელექტრამ და წარმოთქვა დამამშვიდებელი სიტყვა: თავის მხრივ, არც სამოთრაკეს დიასახლისს აკლია საზრუნავი. იგი წუხს დარდანოსის გამო. დარდობს მამაზე და ენატრება საკუთარი დები. თუმცა, ზევსის დანაპირების იმედით ცოცხლობს, რომელმაც მალე თავის დებთან ერთად ყოფნა აღუთქვა ატლანტისის თანავარსკვლავებზე მეშვიდე ვარსკვლავად. შემდეგ კი ურჩია კადმოსს მომავლის იმედი არ დაეკარგა:

„*tī h̄qi ferein i lipopatri- akampea desmon aīhagkh-*,

...

*mimne par j oīneiñi~, aīte Dardano~, oīkia naiwn,
naietawn xenon aīstu, pathr teo~ w̄sper āghnwr,
w̄t Danao~ genethro~ aīdel feor...*

... .Diipete~ oujoma Buza~“ (III, 358-366).

(მოითმინე და არ შეეწინააღმდეგო ბედს, რომელიც სამშობლოს დავიწყებას გაიძულებს. მიბაძე დარდანოსს, მან ხომ უცხო მხარეში დაიდო ბინა, მშობელ აგენორს, რომელიც უცხო ქალაქს მართავს, მამის მმა დანაოსსა და ზევსის შთამომავალ ბიზანტიოსს).

მისმა სიტყვებმა კადმოსს შვება მოჰგვარეს (III, 35-377). ნადიმის შემდეგ, სასახლეში უხილავი ჰერმესი გაჩნდა და ელექტრას ზევსის ნება აუწყა: ჰარმონია ცოლად უნდა გაჟყოლოდა უცხოტომელ კადმოსს. ეს ამბავი პოემის V სიმღერაში სრულდება კადმოსის მიერ ქალაქ თებეს დაარსებით, რასაც მოსდევს კიდევ

კადმოსისა და პარმონიას მშვენიერი ქორწილი, რომელსაც ღმერთებიც კი ესწრებიან.

ჩვენი მოსაზრებით, კადმოსის სამოთრაკეზე მოგზაურობა გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს სამოთრაკეს მისტერიებზე. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ „დიონისიაკაში“ მოთხოვთ ამ ამბავში ძალიან საინტერესო მითოპოეტური მოდელები და სახე-სიმბოლოებია გამოკვეთილი.

ახლა თავი მოვუყაროთ ნონოსის მიერ გადმოცემულ რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან ამბავს და გავიხსენოთ, რომ ელექტრას ვაჟი დარდანოსი ზევსის ნებით ტოვებს მშობლიურ კუნძულ სამოთრაკეს და მიემგზავრება უცხო მხარეში. იგი გადაურჩება საშინელ წარდგნას და ტროას მიმდებარე ტერიტორიაზე აარსებს ქალაქს, რომელსაც თავის სახელს – დარდანიას უწოდებს. ფინიკიელი კადმოსი კი ზევსის ნებით აღწევს კუნძულ სამოთრაკეს, სადაც ელექტრა ურჩევს მას, მომავლის იმედი არ დაკარგოს, მიბაძოს დარდანოსს, რომელმაც უცხო მხარეში დაიდო ბინა და ააგო ქალაქი. კადმოსი სამოთრაკეზე ყოფნის შემდეგ თითქმის ყველა დაბრკოლებას წარმატებით ართმევს თავს: მიჰყვება დეპულს და მისი წამოწოლის ადგილზე აგებს ქალაქს, რომელსაც ჯერ კადმეა, შემდეგ კი თებე დაერქვა. მისი წარმატება პარმონიასთან ქორწილით გვირგვინდება. მაინც რა არის დარდანოსისა და კადმოსის წარმატებით მოგზაურობისა და ზევსის ნების აღსრულების – ქალაქის დაარსების – გარანტი? ვფიქრობთ, ნონოსის მინიშნებით, ეს სამოთრაკეს მისტერიებზი მონაწილეობაა. ისევე, როგორც არგონავტები და ოდისევსი, რომელნიც აღწევენ დასახულ მიზანს და ზღვაზე მოგზაურობისას საფრთხეს, საბოლოო ჯამში, თავიდან იცილებენ, დარდანოსი და კადმოსიც ზიარებულნი არიან სამოთრაკეს მისტერიებს, რაც ხდება კიდეც მათი წარმატების საფუძველი. ჩვენი ვარაუდით, ნონოსის მიერ აღწერილი კადმოსის სამოთრაკეზე მოგზაურობის ეპიზოდი წარმოადგენს საუკეთესო წყაროს სამოთრაკეს მისტერიების აღსაღენად.

სამოთრაკე და მასთან დაკავშირებული მისტერიები ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და შეუსწავლელი უბანია ბერძნულ კულტურაში. კუნძულზე გამართული რიტუალების სურათის აღდგენის საშუალებას გვაძლევენ კუნძულზე განხორციელებული გათხრები. თუმცა, ზოგიერთი დეტალი კვლავაც საკამაოა. ათენისგან განსხვავებით, სადაც ელევსინის მისტერიები იმართებოდა ქალაქის ცენტრიდან დახლოებით ოცდაერთი კილომეტრის მოშორებით, სამოთრაკეში

ქალაქის ცენტრში სრულდებოდა რიტუალები. ვ. ბურკერტის მოსაზრებით, კუნძულზე რელიგიური აქტიურობა იწყება წვ. წ. აღ-მდე VII საუკუნიდან. თუმცა, მონუმენტურ შენობათა შენება მხოლოდ ქრისტეს შობამდე IV საუკუნიდანაა მოსალოდნელი. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ორი მართკუთხა შენობა უწვეულო ფორმით, რომელიც, სავარაუდოდ, განსაზღვრული იყო ხალხის შეკრებისათვის. ერთი იწოდებოდა ანაქტორონად (*Anaktoron*), ხოლო მეორე – ჰიერონად (*Ierion*) (ბურკერტი 1985: 282-283).

აღსანიშნავია, რომ მისტერიებში მონაწილეებს ბილიკი, ანუ წმინდა გზა მიუძღვდა მარმარილოს შენობისაკენ. ეს შენობა სიდიდით აღემატებოდა ყველა სხვა დანარჩენს. მისი ცენტრალური მდებარეობის, სიდიდის და ფასადის გამო, ეჭვგარეშეა, რომ სწორედ აქ სრულდებოდა მისტესების ინიციაცია. ამ შენობას რომ ანაქტორონი ეწოდებოდა, მიუთითებს მის შესახვლელთან აღმოჩენილი წარწერა: „მათთვის, ვისაც ინიციაციაში მონაწილეობა არ მიუდიათ, შესვლა აკრძალულია“. მსგავსი წარწერა აღმოჩენილია ასევე მარმარილოს ნამტვრევებს შორის შენობასთან, რომელსაც იგპმანმა „ჰიერონი“ უწოდა (კლინტონი 2003: 61).

მთავარი ოთახის შუაში შემორჩენილია ნახშირის კვალი, რაც ვ. ბურკერტის მოსაზრებით, მიანიშნებს, რომ აქ იყო ხის ფართე პლატფორმა. სკამები განლაგებული იყო აღმოსავლეთის მხრიდან. აქ არის კედლებით შემოსაზღვრული საკურთხეველი კერიით, რომლის ფუნქცია, შესაძლოა, შეცვალა „ახალმა ტაძარმა“, ელინისტურმა ჰიერონმა. ამ შენობას ჩრდილოეთის მხრიდან ჩვეულებრივი ტაძრის მსგავსად, ჰქონდა კარიბჭე სვეტებით. გარეთ მდებარეობს კიდევ ერთი საკურთხეველი შემოსაზღვრული კედლებით, ხოლო თეატრი აგებულია მოგვიანებით და საეჭვოა, რომ მას ჰქონოდა საკულტო ფუნქცია (ბურკერტი 1985: 282-283).

სამოთრაკეზე „დიდებულ ღმერთთა“ პატივსაცემად გამართული ფესტივალი, სავარაუდოდ, იმართებოდა შუა ზაფხულში და გრძელდებოდა სამ დღეს. ელევსინის მისტერიებისაგან განსხვავებით, რიტუალში მონაწილეობის მიღება ყველა ეროვნების ადამიანს, მონასა თუ თავისუფალს შეეძლო. კუნძულ სამოთრაკეზე ეგეოსის ზღვის მრავალი ქალაქი აგზავნიდა თავის წარმომადგენელს.

ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, ელევსინის მისტერიების მსგავსად, სამოთრაკეში ყველას, ვინც მისტერიაში იღებდა მონაწილეობას, უწოდებდნენ მისტესებს, ხოლო უკვე ინიციაციაში განდობილებს – ეპოპტევსებს. ტერმინი

მისტერი, რაც წარმოდგება ზმნისაგან თუ, თვალების დახუჭვას ან პირის დაკატვას აღნიშნავს და იმ ადამიანს ეწოდება, რომელიც თვალებს ხუჭვას ან ბრმაა. ამის საპირისპიროდ, ტერმინი ეპოპტევსი წარმოდგება ზმნისაგან ეფორტეუ (ვხედავ) და ეწოდება ადამიანს, რომელიც ხედავს. სავარაუდოდ, რიტუალში მონაწილეობის პირველი საფეხური, ანუ მიესისი ხასიათდებოდა რიტუალური სიბრმავით, ხოლო ბოლო საფეხური – რიტუალური ხედვით. ისევე როგორც ელევსინში, სამოთრაკეს მისტერიები სამი საფეხურისგან შედგებოდა: 1. მოსამზადებელი ინიციაცია; 2. ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ძირითადად მისტესები; 3. მისტერიის ქულმინაცია. ელევსინში ამ უკანასკნელ საფეხურს ზეიმობდნენ ერთი წლის შემდეგ, როცა წინა წლის მისტესებს უკვე ეპოპტევსები ეწოდებოდათ და მონაწილეობდნენ ახალ მისტესებთან ერთად. სამოთრაკეში მისტესები იმავე დღეს ხდებოდნენ ეპოპტევსები. თანამედროვე მეცნიერებმა ამ სამ საფეხურს უწოდეს შემდეგი ტერმინები: მიესისი, ტელეტე და ეპოპტეია (კლინტონი 2003: 50-65).

სამოთრაკეზე გამართული რიტუალის შესახებ ცნობილია სამი დეტალი: პირველი – ქურუმი ეკითხებოდა ინიციანტს, თუ რა იყო ყველაზე უარესი დანაშაული, რაც ოდესმე ჩაუდენია. ეს კითხვა, როგორც ჩანს, დანაშაულის შესამსუბუქებლად იყო დასმული. მეორე – ინიციანტები ტანზე იხვევდნენ მეწამულ ლენტებს. ამასთან დაკავშირებით, ვ. ბურკერტი იხსენებს, რომ „ოდისევსმა ქარიშხლის დროს გაიხადა სამოსი და მოიხვია ლევკოთეას ვუალი ტანზე. მხოლოდ ამის შემდეგ გადახტა იგი ზღვაში, რომელიც მისთვის საშიში აღარ იყო“ (ბურკერტი 1985: 283). არსებობს მოსაზრება, რომ თავდაპირველად ამ ლენტებს თვალზე ასახევად იყენებდნენ. პ. კლინტონის მოსაზრებით, ინიციაციის მონაწილეები თვალახვეულნი იდგნენ სცენაზე, ხოლო კულტის ღვთისმსახურნი ცეკვავდნენ მათ გარშემო. ამ სანახაობას თვალს ადევნებდნენ მაყურებლები, მათ შორის ეპოპტევსებიც. შესაძლოა, თვალის ახვევა დაკავშირებულია სიბრმავესთან, რაზეც ტერმინი მისტესიც მეტყველებს. მესამე – ინიციანტები ატარებდნენ რკინის ზარებს. სავარაუდოდ, რიტუალის შემადგენელი ნაწილი იყო ცხვრის მსხვერპლ შეწირვაც.

ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, ცერემონიაში მონაწილეების მიზანი იყო კორეს პოვნა. სანამ დაბრმავებული მისტესები ეძებდნენ კორეს, ეპოპტევსები მას ხედავდნენ. რიტუალი კულმინაციურ წერტილს კი მაშინ აღწევდა, როდესაც მისტესები იბრუნებდნენ მხედველობას და ჩირადდნების თვალისმომჯრელ შუქზე

ხედავდნენ ქალღმერთს. პ. ლეპმანის მოსაზრებით, საბოლოო ცეკვა ტალესტერიონში საქორწინო ცეკვას ნიშნავს. სამოთრაკეს ლეგენდის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს კადმოსისა და ჰარმონიას ქორწილი. ელევსინის რიტუალისაგან განსხვავებით, სამოთრაკეს მისტერიის კულმინაციას არ წარმოადგენს დედისა და ქალიშვილის კვლავ შეხვედრა (დემეტრე და პერსეფონე), არამედ დვთაებრივი ნეფისა და დედოფლის კავშირი. ნეფე და დედოფალი იდენტიფიცირებულია კადმოსთან და ჰარმონიასთან (კლინტონი 2003: 65-68). ამასვე ებმიანება ასევე პ. ბურკერტისა და ფ. კაკრიდისის მოსაზრება, რომლის მიხედვით, სამოთრაკეს ფესტივალზე მორწმუნები ეძებდნენ ჰარმონიას. მითი ჰარმონიას კუნძულიდან წაყვანაზე კი უკავშირდება პერსეფონეს გაუჩინარებას (კაკრიდისი 1986: 307).

ცერემონიები ძირითადად იმართებოდა დამით, ანთებული ჩირადდნებისა და ლამპრების ფონზე. საგარაუდოდ, ანაქტორონის ცენტრალურ თთახში მორწმუნებს მთავარ საიდუმლოს უმედავნებლენენ, რაც შესაძლოა, გამოიხატებოდა წმინდა საგნის ჩვენებით. მიესისის ცერემონიის დროს, განმწმენდი განბანვის შემდეგ, ინიციანტი იხვევდა წითელ ლენტს და ატარებდა წითელ ზარს, რომელიც გამოხატავდა დვთაებრივ ძალასთან პირდაპირი კავშირის არსებობას. შესაძლოა, ინიციაციის მსურველებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეთხოვებოდათ საკვებისგან თავის შეკავება, რის შემდეგაც იმართებოდა ნადიმი ჩირადდნების შუქზე. დვინის სმა ინტოქსიკაციამდე, ჩანს, უძველესი წეს-ჩვეულება იყო სამოთრაკეს რიტუალში. სხვა მოსაზრების თანახმად, ინიციაციის მსურველი შემკული იყვნენ ზეთისხილის რტოებით. ცეკვა იყო რიტუალის დასაწყისი. ერთ-ერთი მოსაზრებით, რიტუალში მონაწილეობის მთავარი აზრი იყო დედამიწიდან ზეციურ სამყაროში აღსვლის იდეა. სწორედ ამის გამო, მისტესები ხტოდნენ ჰაერში ცეკვისას და ცდილობდნენ განეცადათ ტრანსის შამანური მდგომარეობა (ჩირუმბოლო 1995).

საინტერესოა, თუ რა მიზნით იდებდნენ მორწმუნები მონაწილეობას სამოთრაკეს მისტერიებში? პ. ბურკერტი მიიჩნევს, რომ უპირველეს ყოვლისა, მისტერიებიდან ელოდნენ ზღვაზე უსაფრთხო და წარმატებულ მოგზაურობას. მისი მოსაზრებით, „არაფერი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ რიტუალში მონაწილეობის მსურველებს ბედნიერი საიქიო ცხოვრების იმედი ჰქონდათ“ (ბურკერტი 1985: 284).

არგონავტებმაც ხომ, პირველმა შორს მოგზაურმა მეზღვაურებმა, ამ მიზნით მიიღეს მონაწილეობა სამოთრაკეს ინიციაციებში*.

როგორც აღვნიშნეთ, „დიონისიაკაში“ კადმოსის სამოთრაკეზე ყოფნის სცენა, შესაძლოა, წარმოადგენდეს კუნძულზე გამართული მისტიკური რიტუალის აღწერას. ამის გამო, ყურადღებას გავამახვილებთ ამ პასაჟის რამდენიმე მომენტზე, რაც ჩვენი მოსაზრებით, დაგვეხმარება სამოთრაკეს მისტერიების სურათის აღდგენაში:

როგორც ტექსტიდან შევიტყვეთ, კუნძულის მახასიათებელ ნიშნად, რომლის დახმარებით მეზღვაურები აცნობიერებენ მათ ადგილმდებარეობას, ნონოსი ასახელებს ფიჭვების ჩაუმქრალ ცეცხლს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ცეცხლს დიდი როლი ეკისრებოდა სამოთრაკეს რელიგიურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ის, რომ ელექტრას სასახლე პეფესტოს ნახელავია და სპილენძის ორნამენტებითაა შემკული, მიანიშნებს, რომ კუნძულზე განვითარებულია მეტალურგია.

საყურადღებოა, რომ „დიონისიაკაში“ კადმოსის მოგზაურობის მოტივაციაა ძებნა. თავდაპირველად ის ევროპეს ეძებს, ხოლო შემდგომ უკვე ჰარმონიას. როგორც უპა აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, სამოთრაკეზე გამართული რიტუალის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მორწმუნების მიერ ჰარმონიას ძებნა იყო, რაც ელევსინის მისტერიებში პერსეფონეს ძებნის ჰარალელურია. გარდა ამისა, ფინიკიელი უფლისწული მოგზაურობის მეათე დღეს აღწევს სამოთრაკეს. ჰომეროსის პიმნში „დემეტრესადმი“, სადაც პოეტი ელევსინის მისტერიების წარმომავლობაზე მოგვითხობს, აღნიშნულია, რომ დემეტრეც ცხრა დღის განმავლობაში ეძებდა პერსეფონეს (ელიადე 2002: 266). აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიგარაუდოთ, რომ ნონოსის მიხედვით, სამოთრაკეს მისტერიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო ქალწულის ძებნა, რაც ელევსინის მისტერიებში პერსეფონეს ძებნის ანალოგიურია.

სავარაუდოდ, სამოთრაკეზე რიტუალის ძირითადი ნაწილისათვის მზადება ადრიანი დილიდან იწყებოდა, რასაც საზეიმო ხასიათი უნდა ჰქონოდა: კორიბანტები ფარებსა და სასმისებს ატრიალებდნენ ცეკვის დროს, ხართა ტყავებს კი სპილენძის საგნებს ურტყამდნენ, რასაც გამკივანი ხმა ჰქონდა. ნონოსი ასე აღწერს განთიადს სამოთრაკეზე:

* „არგონავტები, ორფეების რჩევით, მივიღნენ სამოთრაკეზე მისტერიებში მონაწილეობის მისაღებად, რათა უსაფრთხოდ ემოგზაურათ ზღვაზე“ (Apoll. Rhod. Arg. 1. 916-921).

„hþh d jekl agen ofni~ elnio~ hjeru temnwn,
 kai; stice~ eujhl hke~ ejrhmonomwn Korubantwn
 Knwssion ekrounsanto sakespal on al ma coreih~
 . . . eþismaragou de; boeih~
 tuptomenh~ el ikhdon ahil lhthri sidhrw/
 diktupo~ hjo~ eþnel pe” (III, 61-66)

(ის-ის იყო გამოენის ჩიტი აიჭრა ხმაურით ზღვიდან, რომ გაშმაგებული კორიბანტების მშვენიერმა მწყობრმა დაიწყო ფართა მოღერება კნოსური ცეკვისას . . . ყრუდ გრგვინავდა ხარის ტყავი, სპილენძს რომ ხვდებოდა, ის გამკივან ჟღერადობას გამოსცემდა).

როგორც ჩანს, ამ ხმაურიანი მუსიკის დანიშნულება ქალღმერთ ჰეკატეს ხოტბის შესხმა იყო*. საკარაუდოდ, ნონოსთან ჰეკატე კაბეიროს მსგავსად ქალღმერთი დედის ერთ-ერთი ძირითადი ჰიპოსტასია. მას აგტორი „მაღლომოყვარებ“ (fil oskul aco~ Hkaith~ – III, 74) უწოდებს. შესაძლოა, იმის გამო, რომ მიწისქვეშა ჰეკატეს მსხვერპლად სწირავდნენ ძაღლებს.

როგორც ტექსტიდან ვიგებთ, ნონოსის წარმოდგენით, სამოთრაპეს ფესტივალზე პროცესია ზღვის სანაპიროდან იწყებოდა. ფესტივალის დასაწყისის მაჩვენებელი იყო ცეკვა და სხვადასხვა საკრავითა და ხარის ტყავზე სპილენძის ცემით ხმაურის გამოწვევა. ეს ყველაფერი დია ცის ქვეშ იმართებოდა, რაზეც მიუთითებს ნონოსის სიტყვები, რომ კორიბანტულ ცეკვასთან ერთად „შრიალებდნენ მუხები, კლდეები საპასუხოდ გუგუნებდნენ, ბაკქური შფოთით გონებადაბინდული ტევრები კი ცახცახებდნენ“ (drue~ eiyiqurizon, eþukhisanato de; peitrai, kai; noerw/ seionto tinagmati quiaðe~ ulai – III, 68-69). ამ ნაწყვეტში ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ ნონოსი კლდეების გუგუნს ახსენებს. როგორც ვიცით, კლდეს, ქვას რიტუალური ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. თრაკიასა და ფრიგიაში დიდი დედის კულტი დაკავშირებულია კლდეებში არსებულ სალოცავებთან. კლდე ან მთა ითვლებოდა ქალღმერთის საცხოვრებელ ადგილად და ასოცირდებოდა თავად დიდ დედასთან. სალოცავები მთებში, ხის ფუღუროებსა და წყაროებთან ახლოს ცნობილია ხეთურ საკულტო პრაქტიკაშიც. ხეთებთან მთის სახელი უკავშირდება ღმერთისა და მეფის სახელს. იმ შემთხვევაში, თუ მთის ან კლდის სახელი მამრობითი სქესისაა, საქმე ეხება დედა დვთაების ვაჟს ან სატრფოს. ამ კონტექსტში, შესაძლებელია, დიონისეც მოვაქციოთ, რომლის ერთ-

* „... ჰმაგი ავლოსები მხურგალედ ხოტბას ასხამდნენ ქალღმერთ ჰეკატეს, ძაღლომოყვარებ“ (III, 79-80).

ერთი სახელი წმინდა მთას უკავშირდება. ცნობილია, რომ თრაკიასა და ფრიგიაში, რომელთა რელიგიურ ცენტრად კუნძული სამოთრაკე ითვლებოდა, ღმერთები იყვნენ ანონიმურნი და ასოცირდებოდნენ ქვებთან. ამას ისიც ადასტურებს, რომ კუნძულის მისტერიებში განდობილები ატარებდნენ მაგნიტური რკინაქვის ბეჭდებს, ნიშნად იმისა, რომ ეკუთვნოდნენ კლდეს, მიწას, რომლის სახეს თავად სამოთრაკე წარმოადგენდა (ვასილიევა 1990: 95-97). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრაბონის მიხედვით, კუნძულს „სამოსი“ მისი სიმაღლის გამო დაერქვა (Str. Geogr. 7,50a), რაც მიგვანიშნებს, რომ კუნძულის ძირითადი ნაწილი მთებითა და კლდეებით არის დაფარული. ამასთან დაკავშირდებით, ვფიქრობთ, საინტერესოა გავიხსენოთ სტესიმვროტისის ცნობაც იმის შესახებ, რომ კაბირებმა თავიანთი სახელი ფრიგის მთიდან – კაბიროდან აიღეს (კაკრიდისი 1986: 305). ამ წყაროს გეოგრაფოსი სტრაბონიც ადასტურებს, რომელიც აღნიშნავს, რომ „თავიანთი სახელწოდება კაბირებმა, მისი მოსაზრებით (იგულისხმება დემეტრიოს სკეპსიელი), მიიღეს კაბირის მთიდან, რომელიც ბერეკინთიაში მდებარეობს“ (Str. Geogr. 10.3.20). კაბირის არსის განსაზღვრა, როგორც მთიდან „გამოსული“ ღვთაებისა, შესაძლოა, უკავშირდება მცირე აზიაში ფართოდ გავრცელებულ წმინდა „კარიბჭეთა“ კულტს, რომლის მიხედვით ღვთაება მთიდან ან კლდიდან წარმოიშვა (შენგელია 1963: 298). სწორედ ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ ის, რომ ნონოსი ახსენებს „კაბირთა გამოქვაბულებს“ სამოთრაკეზე (აჟტრა Kabeirwn – IV, 183-184).

უველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ნონოსთან სამოთრაკეს ღვთაებებს შორის დომინირებს დიდი დედის კულტი. საერთო რელიგიური წარმოდგენები და ღმერთთა პანთეონი, რომელსაც სათავეში დიდი დედის ღვთაება ედგა, ჩანს, მოიცავდა თრაკიასა და ფრიგიას, რომელთა რელიგიური ცენტრი იყო სამოთრაკე და ასევე ეგეოსის კუნძულთა ნაწილს, განსაკუთრებით კი კრეტას. კაგშირს სამოთრაკეს მისტერიებსა და კრეტულ რელიგიას შორის ნონოსიც ადასტურებს, როდესაც აღწერს განთიადს სამოთრაკეზე და ახსენებს, თუ როგორ ატრიალებდნენ ფარებს კორიბანტები „ქნოსურ ცეკვაში“ (III, 63).

თანდათან ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა გუნდი ზღვის სანაპიროდან გადაადგილდებოდა ქალაქის მიმართულებით. კორიბანტების ხმაურის შედეგად გამოფხიზლებული კადმოსიც ხომ საჩქაროდ მიემართება ქალაქის საძებნელად. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქალაქი წარმოადგენს ჰარმონიას პერსონიფიკაციას. კუნძულზე მისული კადმოსი ეძებს ქალაქს,

შესაბამისად, თავის მომავალ საცოლეს – პარმონიას. ვფიქრობთ, ეს პასაუი ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ვიცით, ფინიკიელი უფლისწულის მიერ პარმონიას ცოლად შერთვა ზევსის ნებაა. ეს ქორწინება სიმბოლურად სამყაროში პარმონიას, ანუ წესრიგის დამყარებას გულისხმობს. ზეციური კოსმოსი კი მიწიერ ქალაქთა პარმონიულობაშია არეკლილი. აქედან გამომდინარე, კადმოსის უმთავრესი მისია – დაამყაროს სამყაროში კოსმოსი, რაც მომავალში მის მიერ ქალაქ თებეს აგებით იქნება დაგვირგვინებული, პირდაპირ კავშირშია მის მიერ ქალწულ პარმონიას ძებნასთან.

„დიონისიაკაში“ აღწერილი ელექტრას სასახლე ჰგავს სამოთრაკეზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ სამსხვერპლო ადგილების აღწერილობას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნონოსის მიხედვით, ელექტრას სასახლეში ყველას იღებენ. ეს ეხმიანება მეცნიერთა ვარაუდს იმის შესახებ, რომ სამოთრაკეს მისტერიებში მონაწილეობის მიღება არავის ეკრძალებოდა, ელევსინის მისტერიებისაგან განსხვავებით, სადაც განდობა შეემდო ყველას, ვისაც პქონდა სუფთა ხელები და ლაპარაკობდა ბერძნულად.

ახლა კი შევწერდებით ყმაწვილების იმ ოქროს ქანდაკებებზე, რომელთაც ხელში ჩირადდნები ეპყრაო და მონადიმებებს უნათებდნენ დამით. ვფიქრობთ, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ რიტუალის ძირითადი ნაწილი სამოთრაკეზე დამით იმართებოდა. მისტესები კი ანთებული ჩირადდნებით ხელში სიმბოლურად გამოხატავდნენ კადმოსის მიერ პარმონიას ძებნას, ისევე როგორც ელევსინის მისტერიებში ისინი განასახიერებდნენ ჩირადდნის შუქზე დემეტრეს მიერ პერსეფონეს ძებნას (ელიადე 2002: 270).

გარდა ამისა, ელექტრას სასახლის კედლები მოხატულია. აღსანიშნავია, რომ მოხატულია ასევე ვერგილიუსის „ენეიდაში“ აღწერილი დიდოს სასახლე ტროას ომის ეპიზოდებით (Verg. Aen. I,446-495). ნონოსი თეთრი მარმარილოს საფარძლებსაც ასესენებს, რომელიც, შესაძლოა, რიტუალის მონაწილეებისათვის იყო განკუთვნილი.

რიტუალისას ნონოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნადიმს, რომელსაც ემათიოსი მართავს. ის, რომ კადმოსი სტუმარომყვარე ქალბატონისგან ელექტრასაგან, რომელიც ჩვენი მოსაზრებით ქურუმის ფუნქციას ასრულებს, სახეს ფარავს, შესაძლოა, მიანიშნებდეს სახეზე გუალის ან ლენტის აფარებას. სამოთრაკეს რიტუალის ერთ-ერთი მახასიათებელი ხომ წითელი ლენტის მოხვევაა

ტანზე ან თვალებზე, რაც რიტუალურ სიბრმავესა და თვალის ახელაზე უნდა მიანიშნებდეს.

ნადიმის დროს კადმოსი თავს იკავებს საკვებისგან. საქმე ისაა, რომ მითორიტუალის ენაზე ჭამა სქესობრივი ურთიერთობის აღმნიშვნელია ისევე, როგორც სქესობრივი ურთიერთობა – ჭამისა (ცანავა 2005: 104). შესაძლოა, ნონოსი ამ პასაჟში სიმბოლოების ენით სწორედ სქესობრივ ურთიერთობას გულისხმობს.

ნადიმის კულტინაციაა კადმოსისა და ელექტრას საუბარი, რაც ერთმანეთისთვის საკუთარი დარღისა და გაჭირვების გაზიარებაზეა აგებული. კადმოსი თავის გასაჭირზე შესჩივლებს ელექტრას, ის კი საკუთარ უბედურებაზე მოუყვება და ნუგეშს სცემს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოთრაკეს მისტერიების ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რა იყო ყველაზე უარესი დანაშაული, რაც კი ინიციაციის მსურველს სიცოცხლეში ჩაუდენია. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზანი იყო არა ცოდვების მიტევება, არამედ დანაშაულის გამხელით გამოწვეული შვების განცდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნონოსთან სწორედ ეს პასაჟია განდობის სცენა, რაც საკუთარი გულისნადების სხვისთვის გამხელაზეა აგებული, რასაც შედეგად მოჰყვება სევდის განქარვება და მომავლის იმედი.

საფიქრებელია, ნონოსი მიგვანიშნებს, რომ სამოთრაკეს მისტერიებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავლის წინასწარმეტყველებას. ჯერ კიდევ III სიმდერის დასაწყისში ავტორი ლომთა დრიალს ადარებს კაბირთა წინასწარმეტყველებას:

„bruchqmw/de; leonte~ ohozhil wn ajo; laimwn
mustipol wn aj al agmon ejimhlsanto Kabeirwn
eñfrona luscan e£onta” (III, 72-74).

(ხოლო ლომებს ხახებიდან ძლიერი ბრდლვინვა აღმოხდებოდათ, ისევე როგორც ბნელ მისტერიებში კაბირებს წინასწარმეტყველური ბოდვებისას).

შემდეგ კი თავად ელექტრა უწინასწარმეტყველებს კადმოსს მომავალს, როდესაც ურჩევს მიბაძოს დარდანოსს და გახდეს ახალი ქალაქის ფუძემდებელი. ამ პასაჟში რჩევა აშკარა წინასწარმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ დროისთვის კადმოსმა არაფერი იცის თავის ბედზე. მხოლოდ მოგვიანებით დელფოსში პითიასაგან შეიტყობს, რომ მან ქალაქი თებე უნდა დააარსოს ბეოტიაში.

ნონოსთან სამოთრაკეს მისტერიების კულმინაციად უნდა ჩაითვალოს პარმონიასა და კადმოსის ქორწილი. უძველეს საზოგადოებათა ინიციაციურ რიტუალებში იეროგამიას მინიჭებული პქონდა წმინდა ფუნქცია. ქორწინება სიმბოლურად ასახავდა სრულყოფილების დვთაებრივ მდგომარეობამდე მიახლოებას, რაც გულისხმობდა მამრობითი და მდედობითი საწყისების კვლავ შერწყმას. ქორწინება უპავშირდებოდა ასევე კოსმიური წესრიგის დამყარებას (ტრესიდერი 1999: 27-28). როგორც უპავ აღვნიშნეთ პოემის დასაწყისში, ზევსის ნებით, კადმოსს სამყაროში პარმონიას, ანუ წესრიგის განახლება ეკისრება, რაც სიმბოლურად პარმონიასა და კადმოსის ქორწინებაში აისახება. სამოთრაკეს მისტერიების კულმინაციაც სწორედ დვთაებრივი სასიმოსა და დვთაებრივი სარძლოს შეხვედრაა, ანუ ქორწინება, რაც ადადგენს ქვეყანაზე კოსმოსს და ყოველივე ზევსის განგების თანახმად, ანუ თავისი ბედისწერით წარიმართება: კადმოსი დააარსებს ქალაქს, რომელშიც სამყაროს დვინის დმურთი – დიონისე მოევლინება.

როგორც ვნახეთ, „დიონისიაკაში“ საკმაოდ თანმიმდევრულადაა აღწერილი სამოთრაკეს რიტუალის საფეხურები, რის გამოც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ავტორი მართლაც სამოთრაკეს მისტერიაში კადმოსის მონაწილეობაზე მოგვითხრობს. კადმოსის მომავალი წარმატებული მოგზაურობის მიზეზი იქნება, სწორედ ამ კუნძულის მისტერიებში მონაწილეობის მიღება გახდა. შესაძლოა, ნონოსი ამ ეპიზოდში ასევე მიანიშნებს მეტალურგიის საიდუმლოსთან სამოთრაკეს მისტერიების გარკვეულ კავშირზე. კადმოსიც, რომელიც ჩვენი ვარაუდით, სამოთრაკეს მისტერიებში იღებს მონაწილეობას, იქნება, ეზიარება მჯედლობის საიდუმლოს, რომლის შეცნობის გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იყო კიდეც შვიდკარიბჭიანი ქალაქ თებეს აგება.

სამოთრაკეს მისტერიებში განდობილთა რიცხვში, როგორც ვნახეთ, მეცნიერები ოდისევსს, აგამემნონსა და არგონავტებს ვარაუდობენ, ხოლო ნონოსთან რ. შოროქის მოსაზრებით, კადმოსი გაიგივებულია ოდისევსთან და იასონთან (შოროქი 2001: 39-40). ამგვარად, საფიქრებელია, რომ კადმოსი იმეორებს საკრალურ მითს, იგი ხდება საკრალური მოვლენის თანამონაწილე, ისევე როგორც ოდისევსი და არგონავტები. ის სწორედ სამოთრაკეს მისტერიებში ინიციაციის შემდეგ იწყებს მოგზაურობის სრულიად ახალ ეტაპს, რომელსაც წარმატებით ასრულებს ქალაქის დაარსებით.

ნაწილი VI

ქალაქები და სასახლეები „დიონისიაკაში“

1. ქალაქის დაარსება

ქალაქის დაარსებას თითქმის ყოველ ძველ კულტურაში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ძველი წარმოდგენების მიხედვით, ქალაქი იმეორებდა ზეცაში არსებული კოსმოსის მოდელს. სწორედ ამის გამო, ზეციური ქმნილების მიბაძვა მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ხვედრად იყო მიჩნეული.

წარმოდგენები ცასა და დედამიწას შორის არსებულ ანალოგიებზე გავრცელებული იყო მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის ხალხის აზროვნებაში. მაგალითად, მესოპოტამიაში სწამდათ, რომ ცასა და დედამიწას შორის არსებობს სრული მსგავსება, რაც გულისხმობდა იმას, რომ ყოველ მიწიერ ნივთს შეესაბამება აბსოლუტურად იდენტური ნივთი ზეცაზე, რომლის იდეალური მოდელის მიბაძვითაც არის შექმნილი. ქვეყნები, მდინარეები, ქალაქები თუ სასახლეები წარმოადგენენ თავად კოსმოსის სახეს. მაგალითად, ქალაქ ნინევის გეგმა შექმნილი იყო იმ გრაფიკული ფიგურების მიხედვით, რომელთაც ვარსკვლავები ასახავდნენ ზეცაზე (მეისნერი 1925: 110). ასევე აღსანიშნავია, რომ ზეციური ანალოგი გააჩნია ქალაქ იერუსალიმს, რომელიც ძალიან ჰგავს ქალაქ ბაბილონის ზეციურ პროტოპიპს (გრესმანი 1928: 62).

მსგავსი წარმოდგენები ქალაქის შესახებ, რასაკვირველია, ხმელთაშუაზღვისპირეთშიც ფართოდ იყო გავრცელებული, რის შედეგადაც ქალაქის დაარსება ბერძნულ მითებში მნიშვნელოვან მითოპოეტურ მოდელად იქცა. „დიონისიაკაში“ ქალაქის დაარსება შემოქმედებით აქტს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია ასევე გარკვეულ რელიგიურ კულტებთან. ამ პროცესს გააჩნია ისტორიულ-გეოგრაფიული მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ეგვიპტე და ფინიკია – სამოთრაკე – საბერძნეთი). ეს გზა კადმოსის მოგზაურობის ანალოგიურია და შესაძლოა, სწორედ ამიტომაც იწყებს პოემას ნონოსი კადმოსის ისტორიის გადმოცემით.

„დიონისიაკაში“ ნონოსი რამდენიმე განსაკუთრებულ ქალაქს გამოარჩევს, რომელიც ზეციურის მაგალითზე არიან შექმნილნი. პოეტი ქალაქის დამაარსებელი გმირების სიაში ახსენებს კადმოსს, დარდანოსს, ბიზანტიოსს,

დანაოსსა და აგენტებს. შევეცდებით მათი სახე უფრო თვალსაჩინოდ წარმოვადგინოთ:

დარდანოსი. ნონოსის თხრობით, კუნძულ სამოთრაკეს დიასახლისს ელექტრას ჰყავს ორი დვიძლი შვილი: ზევსისაგან შობილი დარდანოსი და ემათიოსი. ხოლო პარმონია აფროდიტესა და არესის სიყვარულის ნაყოფია. ნონოსთან ელექტრა მხოლოდ მის აღმზდელად გვევლინება. თუმცა, არსებობს წყარო, რომლის მიხედვით ელექტრამ ზევსისაგან შობა სამივე შვილი.

„დიონისიაკაში“ ვკითხულობთ, რომ როდესაც კადმოსი სამოთრაკეს ეწვია, კუნძულის მმართველობის სადავეები ემათიოსს ეპყრა ხელთ. მას ძმამ – დარდანოსმა დაუტოვა მამის სახლი და თავისი კუთვნილი „გაბირთა სკიპტრა“, თვითონ კი გაეშურა უცხო მხარეში, დასახლდა კუნძულ სამოთრაკეს მოპირდაპირე სანაპიროზე და დააარსა ქალაქი დარდანია. მისი გამგზავრება დიდი ხნით ადრე ზევსმა იწინასწარმეტყველა:

„kai; brēfo~ ēpreyanto, kai; ātreptw/Dio~ ōmfh/
koūro~ āhastacūn pal inauxeo~ āhqemon h̄ph~
Hlektrh~ I ipen oīkon, ofte tritatū cusi~ ōmbrou
kumasi purgwqēisi kateklusen ēdrana koismonu” (III, 200-203).

(როცა თავთავის მსგავსად მომწიფდება და სიჭაბუკეში შეაბიჯებს, ელექტრას დატოვებს, სწორედ იმ დროს მესამე წარდგნა ქვეყნიერებას ჩაძირავს).

ნონოსი მოგვითხრობს, რომ დარდანოსი წარდგნას გადაურჩა და „მიაღწია მეზობელ ძველისძველ იდას“ (ārcaih~ ēpebh̄sato geitono~ l̄dh~ – III, 219), სადაც დააარსა „ლამაზეოშეკიანი ქალაქი დარდანია“ (Dardanihn eūburgon āstu – III, 191).

მრავალი მკვლევარის მოსაზრებით, დარდანოსის გადარჩნას წარდგნის დროს პირდაპირი კავშირი აქვს სამოთრაკეს მისტერიებთან. ზღვაზე განსაცდელისაგან გადარჩნა იყო ერთ-ერთი, რასაც სამოთრაკეს მისტერიები პპირდებოდნენ რიტუალში მონაწილეებს. ამბობენ, რომ ეს ხდებოდა ოდისევსის მოსაგონებლად, რომელიც გადაურჩა ქარიშხალს ლეგორთეას ვუალის დახმარებით. ფიქრობენ, რომ დარდანოსის გადარჩნაზე მეტყველებს მისი მეორე სახელი პოლიარქოსი* (კაკრიდისი 1986: 304-307).

* სავარაუდოდ, ეს სახელი მომდინარეობს სიტყვებიდან polis (დიდად ან საკმაოდ) და ājcos (წინამდღოდი, ბელადი), ასევე სიტყვა poluarcia ქართულად „უკიდებანო ძალაუფლებას“ ან „უკიდებანო ძალას“ ნიშნავს.

გადმოცემის თანახმად, დარდანოსი ტივის საშუალებით გაექცა სამოთრაკეზე მომხდარ საშინელ წარღვნას. ამბობენ, ეს ტივი ცხოველთა ტყავებისგან იყო დამზადებული. სხვა მოსაზრებით, ეს ჩვეულებრივი ტივი იყო და მასზე მყოფმა დარდანოსმა გადარჩენისათვის სავსე ტიპი გამოიყენა. საგარაუდოდ, სავსე ტიპი დვინოსა და დიონისეს კულტს უნდა უკავშირდებოდეს. დარდანოსმა ტროაში დააარსა ქალაქი დარდანია, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ტროა და ამგვარად გახდა ტროელების წინაპარი. სხვა ცნობით, დარდანოსი დაქორწინდა ტროას მეფის ტევკროსის ასულზე და ამგვარად მოიპოვა უცხო მხარეში მეფობა.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ორი ძმა დარდანოსი და იასიონი* არიან კაბირები. მათი სახელი მომდინარეობს ფრიგიაში მდებარე მთის სახელწოდებიდან, საიდანაც მოვიდნენ სამოთრაკეზე. ძმის მკვლელობის თემასთან დაკავშირებით მოგვიანებით ამბობდნენ, რომ ორმა ძმა კორიბანტმა მოკლა მესამე ძმა კაბიროსი და დამარხა (ან დაფლა მისი თავი, რომელიც მეწამულ ნაჭერში იყო გახვეული) ოლიმპოსის მთის ძირში (კაკრიდისი 1986: 305). თესალონიკელები კაბიროსს ქალაქის დამაარსებლად თვლიდნენ ან ადგილობრივი მითის გმირად. ძმისმკვლელები ფლობენ მისტიკურ ყუთს²¹, რომელიც დიონისეს კულტს უკავშირდება (შენგელია 1961: 178).

უქველია, რომ დარდანოსი, როგორც კუნძულის უფლისწული, ზიარებული უნდა ყოფილიყო სამოთრაკეს მისტერიებს. მისტერიებში მონაწილეობა კი მას ძალას აძლევს, გადაურჩეს საშინელ წარღვნას. გარდა ამისა, მისტერიებში განდობილი დარდანოსი, ჩვენი მოსაზრებით, შესაძლოა, მეტალის მოპოვებასა და მის დამუშავებასთან დაკავშირებულ გარკვეულ საიდუმლოს ფლობდა, რაც შემდგომ ეხმარება ქალაქის დაარსებაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რჩეულ აცთა ხევდრი იყო და რომელსაც კოსმოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ქადმოსი. მას შემდეგ, რაც ფინიკიელი უფლისწული სამოთრაკედან წამოიყვანს ჰარმონიას, იგი დელფოსში გაემგზავრება, რათა მოისმინოს პითიას წინასწარმეტყველება. იქ შეიტყობს, რომ უმჯობესია „ზეციური ხარის ძებნის ნაცვლად გაჰყვეს მიწიერ ძროხას“ (αἵνεπε δουΐς ορούιν, μή διτέο ταυτόν ίτι υπρου – IV, 297) და „მისი წამოწოლის ადგილას ააგოს ქალაქი, რომელსაც უწოდებს თებეს, ეგვიპტეში არსებული მშობლიური ქალაქის სახელს“ (Αἰγυπτιή- σεω Οχθ-

* იასიონი იგივე ემათიოსია.

patrido- aſtu poliſſon eip̄nūmon, h̄ci pesouſa eujh̄sei barugounon ebn poda daimoniō bou~ – IV, 304-306). კადმოსი ასეც მოიქვევა, გაჲყება ძროხას და მითოთებულ ადგილზე ქალაქის მშენებლობას წამოიწყებს: უპირველესად ის წყლის ძებნას იწყებს, რათა განიბანოს და მსხვერპლი შესწიროს. იპოვის კიდეც დირკეს წყალს, რომელსაც გველი დაპატრონებია. ურჩხული მის თანმხლებთ მოკლავს, კადმოსსაც შემოეხვევა და გაგუდვას დაუპირებს, მაგრამ მას ათენა დაეხმარება. ათენავე ასწავლის, თუ როგორ დათესოს მოკლული დრაკონის კბილები და გაუმკლავდეს მიწიდან აღმოცენებულ მეომრებს. ასევე აუწყებს, რომ ბრძოლის შემდეგ გადარჩება მხოლოდ ხუთი მეომარი, რომელნიც სათავეს დაუდებენ თებელების მოდგმას. ყოველიგვ ამის შემდეგ პადმოსი მსხვერპლად სწირავს ათენას იმ ძროხას, რომელმაც დირკეს წყაროსთან მიიყვანა. რიტუალის შემდეგ იგი ამარცხებს რამდენიმე მეზობელ ტომს და იწყებს თებეს მშენებლობას: ჯერ შემოფარგლავს ქალაქისათვის განკუთვნილ ადგილს, მერე ამ ტერიტორიას თოკით გაზომავს და გუთნის ხნულით ოთხად გაყოფს ქარების მიმართულების მიხედვით. გამოყოფს ქუჩებსა და გზაჯვარედინებს. სახლებისა და ტაძრებისათვის ქვებს შეარჩევს. იგი მკაცრი წესების შესაბამისად, ზეციურ სარტყლებთან მისადაგებით, 7 კარიბჭეს ააგებს:

„ . . . პირველი კარიბჭე დასავლეთის მხარეს აღმართა და
მას, თვალებმოელვარე მენეს გამო, ონკას* კარიბჭე უწოდა,
ხარის ბდავილზე (οἰκεῖμοι) მისანიშნებლად, რადგან თავად
სელენე ხარის რქებიანია და ხარებშებმულ ეტლს მართავს.
სამმაგი სახით იმყოფება ტრიტონისი ათენა.
მეორე კარიბჭე ბრწყინვალე ჰერმაონს, მენეს მეზობელს,
პატივისცემით უბოძა. მეოთხე კარიბჭეს დაარქვა
ელექტრე, ფაეთონის მეტსახელი, ვინაიდან მისი გამოჩენისას
ბრწყინვას ელექტრუ-ქარვისფერი (sugcroo- Ηλεκτρή-)** განთიადის სხივი.
ცეცხლოვან ჰელიოსს გადასცა აღმოსავლეთისაკენ მიმართული
შუა კარიბჭე, რაცი იგი პლანეტათა შუაშია.
მეხუთე არესს უძღვნა, მესამე – აფროდიტეს,
რათა ამ ორს შუა ფაეთონი ყოფილიყო,

* Ήგრა ათენას მეტსახელი იყო თებეში.

** Ηλ ektro ნიშავს ოქროსა და ვერცხლის ნარევ მეტალს, ან ქარვას. „დიონისიაკას“ რუსულ ენაზე მთარგმნელს ელექტრეს სახელი ელექტრონის პირველ მნიშვნელობაზე მიმანიშნებლად აქვს გაგებული (II, 55, 538), რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

და ასე დააშორა აფროდიტეს მეზობელი არესის კარიბჭე.
მეუქვე, განსაკუთრებით გამორჩეული კარიბჭე,
როგორც ზევსის გამოსახულება (*aṭgal ma*) განსაკუთრებით შეამკო.
ბოლო კარიბჭე კი კრონოსის მეშვიდე ვარსკვლავს ერგო.
აი, ასეთი სამყოფელი შექმნა. გააშენა წმინდა ქალაქი და
მას სახელად ეგვიპტის თებე უწოდა,
განამშვენა რა მრავალფერი მიწიერი იზოტიპი ოლიმპოსისა” (V, 69-87).
ამრიგად, თებე-ქალაქი ნონოსის მიერ წარმოდგენილია როგორც ოლიმპოსის
მიწიერი იზოტიპი ანუ მსგავსება.

თებეს მშენებლობას ნონოსი ისევ უბრუნდება, როდესაც დიონისეს ფარს
აღწერს. დიონისეს ფარი, აქილევსის ფარის მსგავსად, ჰეფესტომ გამოჭედა და მის
შუაგულში თებეს მშენებლობა გამოსახა. ნონოსი თებეს ხშირად უწოდებს „ლირით
აღნაგს“ და განმარტავს ამ მუდმივი ეპითეტის წარმომავლობას. საქმე ისაა, რომ
ამფიონი ლირაზე დაკვრით „ათვინიერებდა“ უზარმაზარ ქვებს, რომლებიც ტრიალ-
ტრიალით თავისით ეწყობოდნენ ერთმანეთზე. ეს პროცესი ფარზე ისე გამოესახა
ჰეფესტოს, რომ მნახელი იფიქრებდა, „ქვა მხიარულად როკავსო“ (XXV, 424-430).

ქალაქის დამაარსებლად ითვლება კადმოსი სხვა ბერძნულ წყაროებშიც,
რომელთა მიხედვით მან დააარსა ქალაქი კადმეა, რომელსაც შემდგომ ეწოდა თებე.
კადმეას პირველი მკვიდრნი სასწაულებრივად გაჩნდნენ. ისინი აღმოცენდნენ იმ
დრაკონის კბილებიდან, რომელიც კადმოსმა მოკლა. ამის გამო კადმოსის მოდგმის
სიმბოლოდ იქცა ბგელი. თებელებს გველისნიშნიანი გულსაბნევები ეკეთათ.
კადმოსის შთამომავლებმა განავრცეს კადმეა. მისმა ბადიშმა ამფიონმა ქალაქს
შვიდბჭიანი გალავანი შემოარტყა. გადმოცემით, ეს გალავანი სასწაულებრივად
შენდებოდა: ლოდები ამფიონის კითარის ხმაზე თავისით ეწყობოდნენ ერთმანეთზე.

ნონოსი კადმოსს პოემის დასაწყისიდანვე გამოარჩევს: მას განსაკუთრებული
ფუნქცია ეკისრება – დაეხმაროს ზევსს სამყაროს პარმონიის შენარჩუნებაში.
აღსანიშნავია, რომ კრონიონი თავისი მმართველობის განმავლობაში მხოლოდ
რამდენჯერმე აღმოჩნდება ამგვარი საფრთხის წინაშე და რომ ტიფონთან
ბრძოლაში მას სწორედ მოკვდავი ეხმარება. ზოგადად ლმერთის დრაკონთან
ბრძოლა კარგად ცნობილი მითორიტუალური თემაა. მაგალითად, ხეთებთან ჭექა-
ქუხილის ლმერთი დრაკონთან ბრძოლის დროს მარცხება და ლმერთი
დახმარებისთვის მოკვდავს მიმართავს. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ

დრაკონი დმერთს გულსა და თვალებს ართმევს (ელიადე 2002: 137). სიცოცხლისათვის აუცილებელი ორგანოს მოტაცების მოტივი კარგადაა ცნობილი. ასევეა ზევსი, რომელსაც სანამ კადმოსი არ დაუბრუნებს თავის მყესებს, რაც სიმბოლურად გამოხატავს მის კავშირს სამყაროს სამივე სკელთან და ხაზს უსვამს მის დვთაებრიობას, მანამ ვერ მოიპოვებს ტიფონზე გამარჯვებას.

ის ფაქტი, რომ ნონოსი სწორედ კადმოსს ანიჭებს იმ მოკვდავის ფუნქციას, რომელიც ეხმარება ზევსს დრაკონის დამარცხებაში ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ღმერთის გამარჯვება უზრუნველყოფს სამყაროს სტაბილურობასა და აყვავებას, ხოლო დრაკონის მეფობა „ქაოსური“ პერიოდის შესაბამისია და სიბნელის, ნორმიდან გადასვლისა და სიკვდილის სიმბოლოა.

კადმოსი პოემაში ხელმეორედ ხდება კოსმოგონიური მითის მონაწილე, როდესაც თებეს აგების დაწყებამდე დირკეს წყაროზე გველს შეებრძოლება და განგმირავს. ეს პასაჟი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქალაქის დაარსება ნონოსთან კოსმოგონიურ აქტს წარმოადგენს.

ახლა რამდენიმე სიტყვით შევწერდეთ იმაზე, თუ რით აიხსნება ანტიკურობაში ასე გავრცელებული მოტივი – ძროხის წამოწოლის ადგილზე ქალაქის დაარსება. ქალაქი თებე კადმოსმა ააგო ძროხის წამოწოლის ადგილზე²². ცნობილია ასევე, რომ დარდანოსის შთამომავალი ილოსიც ძროხას მიჰყვება და აარსებს ქალაქ ილიონს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველყოფილი ადამიანები სადგომებს იწყობდნენ, „საჭირო“ ადგილის პოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ სწორედ პროტოშამანიზმის ეპოქაში გამოიკვეთა რამდენიმე უნივერსალური მითორიტუალური მოდელი, რომელთა შორისაა ეწ. „ქალაქის“ დაარსება. შამანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, საჭირო ანუ საკრალურ ანუ „ძალის“ ადგილს პოულობს შამანი. ძალის ადგილი რომ იპოვოს, შამანმა უნდა შეასრულოს ექსტატიკური რიტუალი – კაუმანეკი, რომლის საშუალებითაც მასში გაისხება მაძიებელი ჩაკრა. მაძიებელი ენერგეტიკა აკუმულირებულია ე. წ. ხარის ჩაკრაში. ძველბერძნულ მითებში შამანური ეზოთერული ხედვა „დამიწებულია“. აქ ხარის ჩაკრას ენაცვლება ბიოლოგიური ხარი ან ძროხა – ზოუ~, რომელიც მითოსურ გმირს მიუძღვის საკრალური ადგილისაკენ.

თებე და ილიონი ის პირველქალაქებია, რომელთა დაარსების მითოლოგებაში ჩადებულია მოდელი სხვა ქალაქებისათვის. პაროსის მარმარილოს ცნობილი

წარწერის მიხედვით, კადმოსის მიერ თებეს დაარსება თარიღდება ძვ. წლ.-ის 1518 წლით, წარდგნიდან 10 წლის შემდეგ. ვარონის ცნობით თებე უძველესი ქალაქია დედამიწაზე. იგი ოგიგოსმა დააარსა ჯერ კიდევ პირველ წარდგნამდე.

აღსანიშნავია, რომ „დიონისიაკაში“ ძალიან დეტალურადაა გადმოცემული თებეს დაარსების ამბავი. აქ ბევრი ისეთი ინფორმაციაა დაცული, რომელთაც სხვა წყაროებით არ მოუღწევია. რ. ცანაგას მოსაზრებით, „დიონისიაკაში“ თებეს ციკლის ძალიან საინტერესო ვერსიაა წარმოდგენილი. სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ბერძნული წარმართობის სამი უმთავრესი მითოსური ციკლი ეპოქების თვალსაზრისით ასე განაწილდა: ტროას ციკლს ანტიკურობაში გამოუჩნდა გენიალური სიტყვათგამრიგე პომეროსის სახით; არგონავტების ამბავს ელინისტურ ეპოქაში – აპოლონიოს როდოსელი; თებეს ციკლს კი ქრისტიანობის ხანაში – ნონოს პანოპლისელი (ცანავა 2005: 253-254, 258).

ო. ციბენჯოს აზრით, კადმოსის მიერ დაარსებული თებე მსოფლიო ჰარმონიის ცენტრია. ქალაქის სიმბოლოა ჰარმონიას ყელსაბამი. ქალაქი ნონოსთან კოსმიური და კოსმოგონიურია. იგი კოსმოგონიის დასაბამთან დგას. კადმოსის მიერ თებეს დაარსება კოსმოგონიური დრაკონმეტროლობის გვირგვინია. ჰარმონიას ყელსაბამი კი ნონოსის სამყაროს მითოპოეტური სიმბოლო (ციბენჯო 1983: 166).

პირველყოფილი კულტურების მატარებელი ხალხების წარმოდგენით, ყველა „დიდ“ ქალაქს აქვს თავისი ღვთაებრივი პროტოტიპი. მაგალითად: ბაბილონელთა ყველა ქალაქის არქეტიპები თანავარსკვლავედებია. ეს არქეტიპები არა მარტო უსწრებს მიწიერ კორელატს, არამედ ის მუდმივად არსებობს ზეციურ განზომილებაში. ინდოელთა რწმენით, ინდოეთის ყველა „სამეფო“ ქალაქი ინდოეთისა მითოსური მაგალითის საფუძველზე შეიქმნა იმ „პირველ“ ანუ მითოსურ დროში. პლატონის მიხედვითაც, იდეალურ ქალაქს აქვს თავისი ზეციური არქეტიპი (ცანავა 2005: 259).

ნონოსთან ქალაქი ზეციურის მაგალითზე იქმნება. კადმოსმა ხომ, პოეტის სიტყვებით, თებე ვარსკვლავიანი ოლიმპოსის დარად ააგო*. ნონოსი თებეს პროტოტიპად ვარსკვლავიან ცის გარდა ეგვიპტის თებესაც ასახელებს.

* „Poikilon ajshhsa~ cqonion tupon ijsen JI umprw“ (V, 87).

2. ქალაქები

წინა ქვეთავში, ყურადღება გავამახვილეთ ქალაქ თებეზე, როგორც ერთ-ერთ უძველეს პირველქალაქზე. ამიტომ ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით. ნონოსის ყურადღების ცენტრში ექცევა კიდევ რამდენიმე ქალაქი. ვფიქრობთ, ავტორის მიერ აღწერილი ქალაქი ბეროე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ბეროე. საოცარი სილამაზით გამოირჩევა ქალაქი ბეროე, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა აგებული ლიბანში. ნონოსის აღფრთოვანება იმდენად დიდია ამ ქალაქის მიმართ, რომ არსებობს მოსაზრება, თითქოს პოეტს სიცოცხლის გარკვეული ნაწილი სწორედ ამ ქალაქში აქვს გატარებული.

ნონოსი ბეროეს უძველეს ქალაქად მიიჩნევს. სიძველე იდეალური ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, რაც მის მარადიულობაზე მიანიშნებს. ეს ტენდენცია ბერძნული და აღმოსავლური ლიტერატურის სინკრეტიზმის შედეგად წარმოიშვა (ავერინცევი 1977: 91). თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ „დიონისიაკაში“ ბეროე პირველქალაქია, ანუ ქალაქების არქეტიპია, რომელიც სხვა ქალაქებისთვის მისაბამი მოდელი ხდება. მისი პირველი მკვიდრნიც ხომ მოკვდავნი კი არა, ზებუნებრივი არსებანი არიან. ისინი „თავისთავად“ (*aujtogeneqlō – XLI, 52*) გაჩნდნენ „უდედოდ და უმამოდ“ (*ajaitwr aij oceuto~ ajmhitwr – 53*), „ცეცხლის, ჰაერის, წყლისა და მიწის“ (*uflat i kai; puroenti perfurmenou aiþero~ ajtmwl – 55*) შერწყმით. „ბუნებამ მათ სრულყოფილი სახე უბოძა“ (*oīt Fusi~ eiþo~ oþasse tel esforon – 58*).

ბეროე პირველი ქალაქია სამყაროში, რომელიც ზეგსის დაბადებამდე აშენდა. ნონოსის თქმით, კრონოსმა სწორედ ბეროეში გადმოანთხია მუცლიდან ყველა უწინ გადაყლაპული შვილი, მაშინ ჯერ კიდევ არ ბრწყინავდა ჩვეული ელგარებით „პატარა ზევსის ელვები“ (XLI, 76-77). ბეროე უფრო ძველია, ვიდრე „შვიდკარიბჭიანი თებე და ტარსოსი“* (85), ვიდრე აქაველთა და არკადიელთა მოდგმა (88-89). მხოლოდ აიონს** უნახავს, თუ როგორ შეიქმნა ქალაქი ბეროე „თავისთავად“ (83).

ბეროე „სიცოცხლის ცენტრია და სიყვარულის ნავსაყუდელი“ (*eſti pol i-Beroh, biotou tropi~, oīmo~ Erwtwn – 14*). შემთხვევითი არაა, რომ ქალღმერთი

* ტარსოსი – ქალაქი კილიკიაში.

** აიონი ნონოსთან „მარადისობაა“ ან „დროის მარადიული ცელა“.

აფროდიტე, როდესაც იშვა ზღვის ქაფიდან, პირველად სწორედ ბეროეს ეწვია და არა „პათოსსა და ბიბლოსს“ (106). ბუნებრივია, იქ, საიდანაც იწყება სიცოცხლე, იწყება სიყვარულიც, ამიტომ, ნონოსის მიხედვით, აფროდიტემ სიყვარულის ღმერთი ეროსი ბეროეში შობა. გარდა ამისა, სიყვარული ნონოსთან სამყაროს პარმონიულობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანების გარანტია. „დიონისიაკაში“ ვკითხულობთ:

„kai; tote qouron Erwta, gonh~ prwtosporon aſchhn,
aſmonih~ koſmoio feretbion hhiochā,
aſtifanh~ w̄dinēn eip j ojfrus i geitono~ oſmou“ (XLI, 129-131).

(თვით ყოვლისშემძლე ეროსი, საწყისი სამყაროს შენებისა, სიცოცხლის მომნიჭებელი, მეტყველე, სამყაროს კავშირი და სიმაგრე, აქ შობა ქალღმერთმა).

პოემაში ბეროე ასევე აფროდიტესა და ადონისის ქალიშვილის სახელია. ნონოსი მოგვითხრობს, რომ მშობიარობისას სიყვარულის ქალღმერთს თემისი* ეხმარებოდა. ახალშობილი კი „ატიკურ წიგნზე“ (*Atqido~ bibl ou* – XLI, 167) დაიბადა**, ისევე, როგორც „ლაკონიული ქალები ვაჟიშვილებს ხარის ტყავგადაკრულ ფარებზე აჩენენ“ (*Lakwnide~ oīla gunaike~ uiēa~ w̄dinousin eip j eūkūkl̄oi oī boeiħ~* – 168-169). ოკეანოსი, აიონი და პორები ზრდიან პატარა ბეროეს. მისი სილამაზით გაოცებული აფროდიტე გადაწყვეტს მის სახელზე დააარსოს ქალაქი და მიემგზავრება ქალღმერთ პარმონიას სასახლეში. პარმონიას ოფიონის*** მიერ დახატული შვიდი ნახატი აქვს. სწორედ მეშვიდეზე გამოსახულია ქალაქი ბეროე, რომელშიც „იზეიმებენ რომის მიერ დადგენილი კანონები, ლიბანის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქს ბეირუთი დაერქმევა“ (*aphathia feiggea Rwmh~, Bhruton kaleisousin, eipei; Libanw/pel e geitwn* – 366-367).

ქალწული ბეროე ქალაქ ბეროეს პერსონიფიკაციაა. უძველეს პირველქალაქს განახლება სჭირდება. ნონოსი ამას პოეტური მეტაფორით აღწევს: სიყვარულის ქალღმერთი შობს მშვენიერ ბეროეს „ატიკურ წიგნზე“. ის, რომ სწორედ აფროდიტეა მისი დედა, ქალაქის სიძველეზე მიუთითებს, ხოლო ის კი, რომ ბეროე სწორედ „ატიკურ წიგნზე“ იბადება, ქალაქის ახალი მნიშვნელობის სიმბოლურ დაბადებაზე მიგვანიშნებს. ცნობილია, რომ რომის იმპერიის დროს ბეროეში მოქმედებდა იურისპრუდენციის საკმაოდ კარგი სკოლა. ამასვე უნდა მიგაწეროთ

* სამართლიანობისა და კანონიერების ქალღმერთი, დიქეს დედა.

** სავარაუდოდ, ნონოსი „ატიკურ წიგნში“ კანონმდებლობის წიგნს გულისხმობს.

*** ტიტანი და წინასწარმეტყველი.

ისიც, რომ ქალწულის დაბადებას ეხმარება კანონიერებისა და მართლმსაჯულების ღვთაება – თვისის.

და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ, როგორც კი აფროდიტე გადაწყვეტს ქალიშვილის სახელის უკვდავსაყოფად დააარსოს ქალაქი, ნონოსს მოქმედებაში მაშინვე სამოთრაპეზე აღზრდილი ჰარმონია შემოჰყავს. აქ ჰარმონია წინასწარმეტყველია. ის იმ ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ოდესაც ასრულებდა ელექტრა სამოთრაპეზე კადმოსის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე. ჰარმონია მომავალს წინასწარმეტყველებს და ადასტურებს, რომ ბეროვ, როგორც ქალაქი გაბრწყინდება.

ახალი ბეროეს დაარსებამდე ნონოსი კიდევ ერთხელ იხსენებს ზევსის მიერ ევროპეს მოტაცების ამბავს: აფროდიტე ბეროეს ევროპეს ადარებს და შიშობს მისმა ქალიშვილმა მისი ბედი არ გაიზიაროს. როგორც ვიცით, ბერძნულ მითოლოგიაში ყოველივე ჰიეროგამიით იწყება. ნონოსიც არ არღვევს ამ ტრადიციას: მის პოემაში ზევსისა და ევროპეს შეუდლებით იწყება კადმოსის მოგზაურობა, რაც სრულდება თებეს დაარსებით. იგივე ხდება ბეროეს შემთხვევაშიც: მის სიყვარულში ერთმანეთს დიონისე და პოსეიდონი ეპაექრებიან (XLIII)²³, თუმცა, გამარჯვებას ზღვის ღმერთი მოიპოვებს. პოსეიდონისა და ბეროეს ჰიეროგამია წარმოადგენს ქალაქი ბეროეს დაარსების საწინდარს. ქალაქის დაარსება კი მითოლოგიაში თითქმის ყოველთვის სამყაროს გადარჩენის აქტს უკავშირდება.

ამასთანავე, ნონოსთან დიონისესა და პოსეიდონის პაექრობა ბეროეს გამო ერთდროულად წარმოადგენს ბრძოლას, როგორც ქალის, ისე ქალაქისთვის. ამ პასაუში აშკარადაა გამოკვეთილი ქალისა და ქალაქის გაიგივებისა და მისთვის ბრძოლის მითოეპიკური მოდელი, რომლის ანალოგია ელენეს სახესთან აშკარაა.

ბეროე, როგორც უძველესი ქალაქი, ჰიველქმნილი ქაოსიდან წარმოქმნილი კოსმოსია, რომელიც განუწყვეტლივ მისაბად მაგალითადაა ქცეული. სწორედ ბეროეს დაარსებით იკვრება წრე ნონოსთან. პოეტი „დიონისიაკაში“ კოსმოსის დამყარების ერთგვარ მოდელს წარმოგვიდგენს, რა თქმა უნდა, მიჰყება რა ბერძნული მითების ენას, და ცდილობს მტკიცედ დაიცვას ის ყოველივე შემოქმედებითი პროცესის გამომხატველი მოქმედების აღწერისას. ეს მოდელი მარტივად შეგვიძლია გადმოვცეთ: ყოველივე შემოქმედებითი აქტი ჰიეროგამიით

იწყება და სრულდება ამქაეყნიური კოსმოსის უმაღლესი გამოხატულებით – ქალაქის დაარსებით.

ბეროე ძველთაძველი ქალაქია, რომლის მკვიდრნი არა მოკვდავნი, არამედ უკვდავი არსებები არიან. შესაბამისად, ის საკრალურ დროში არსებობს, ხოლო ახალი ბეროე, რომელიც ქალწულის სახელს უკავშირდება მისი მოდელის განმეორებას წარმოადგენს.

ტიროსი. „დიონისიაკაში“ შექებულ ქალაქებს შორისაა ფინიკიაში არსებული კადმოსის მშობლიური ქალაქი ტიროსი, რომელსაც დიონისე ეწვევა. ბაკქოსი მოინახულებს კადმოსისა და აგენორის სასახლეს, მდინარე აბარბარეას, ქალაქის ქუჩებს. ნონოსი აგვიწერს, თუ როგორი აღფრთოვანებულია დვინის ღმერთი ტიროსის სილამაზით (XL, 308-375).

ქალაქი ტიროსის აღწერილობისას ნონოსი სცილდება ეპიკურ ტრადიციებს. მისი ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ ტიროსის ცენტრი არა სასახლის ზღაპრული კომპლექსია, არამედ – ასტროქიტონის* სამყოფელი, რომელიც არა მარტო „ღმერთის მასპინძელი ტაძარია“ (*qeodhgmnw nhor* – XL, 412), არამედ – სასახლეც (*domo-* – XL, 367). ცნობილია, რომ ანტიკურობაში ჰქონიოსის სასახლე დასახლებული სამყაროდან მოშორებით ლოკალიზდებოდა.

კოემაში ტიროსიც ქალთანაა შედარებული. ის ერთდროულად წარმოდგენილია ქალწულის, ცოლისა და დედის სახით. მისი ღვთაებრივი ქმარი კი ისევე, როგორც ბეროეს შემთხვევაში, პოსეიდონია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქის ამგვარი პოეტური სახე აღმოსავლური და ბერძნული წარმოდგენების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა. მინიშნება ქალაქი-ქალის მითოპოეტურ სახეზე ასევე ჩანს იმ ეპიზოდიდან, როდესაც პოეტი ტიროსს ერთდროულად ზღვისა და მიწის კუთვნილებად მიიჩნევს (XL, 325-326). ქალაქს სამივე მხრიდან აკრავს ზღვა, აღნიშნავს პოეტი და მას „მობანავე ქალწულს“ (*nhscomen h kourh* – 319) უწოდებს. მობანავე ქალწულის სახესთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „დიონისიაკაში“ ღმერთების სასიყვარულო კავშირს ყოველთვის წინ უძლვის მათი სატრფოების ზღვაში ან მდინარეში ბანაობა (ევროპესა და სელენეს ამბავი – I, 46-136; VII, 172-282). გარდა ამისა, ტიროსის, როგორც ქალის, და ზღვის, როგორც

* *Astrociitwn* – ვარსკვლავებიან სამოსს ნიშნავს. ასტროქიტონი ასევე ფინიკიელი მელკარტის ერთ-ერთი სახელია, რომელსაც ბერძნები აიგივებდნენ პერაკლე-მზესთან. გვიანანტიკურობაში გაგრცელებული ჰქონილატრიული წარმოდგენების შესაბამისად, ნონოსის ტიროსელი პერაკლე სამყაროს ჭეშმარიტი ბრძანებელია.

მამაკაცის, კავშირი სიმბოლურად ქალაქში მიწათმოქმედებისა და ზღვაოსნობის განვითარებას უნდა მიანიშნებდეს.

და ბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, თებეს მსგავსად ქალაქი ტიროსიც ზეციურის მოდელზეა შექმნილი (*turon late Plumpion* – XL, 313; *turcopion, aiþero~ eikwn* – XL, 351).

ამრიგად, ზეცის (ოლიმპოსის) მოაზრება, როგორც ნიმუშის, პარადიგმის მიწიერი წმინდა ქალაქისათვის, ასახავს ახლო აღმოსავლეთის ხალხთათვის საზოგადოდ ჩვეულ წარმოდგენებს, რომელთა მიხედვით, ყოველივე მიწიერი – ქვეყნები, ქალაქები, ტაძრები, განსაკუთრებული მნიშვნელობის საგნები – ზეციური მოდელის მიხედვით იქმნება (ელიადე 1998: 85). როგორც ვნახეთ, ნონოსთანაც მიწიერი ქალაქები ზეციურის მაგალითზეა აშენებული: დიონისეს მშობლიური ქალაქი ციურის ანტიტიპია. მისი შვიდი კარიბჭე შვიდ პლანეტარულ ღმერთს ეძღვნება. მასში გამავალი ქუჩები კი სიმბოლურად ოთხ ქართა საპირისპირო მოძრაობათა გამომსახველია.

ზეციურისა და მიწიერის შეპირისპირება ნონოსთან საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც ცალკეულ საგნებთან, ასევე სხვა ქალაქებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ზეცის დარი სიჭრელე ახასიათებს ქალაქებს არგოსსა და ათენს (XLVII, 1-7; 561-563).

3. სასახლეები და ბაღები

გარდა ქალაქებისა, საინტერესოა, რომ „დიონისიაკაში“ ზეციური მოდელის მიხედვით იქმნება შენობა-ნაგებობანიც, ანუ სასახლეები. ისინი სამყაროს ან ზეცის ამსახველნი არიან, მათ ნონოსი „*eikona koumou*“-ს* უწოდებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველეს კულტურებში ტაძარი ხშირად მიიჩნეოდა კოსმოსის მოდელად. მაგალითად, ბაბილონელთა ტაძრები, ე. წ. ზიგურატები სამყაროს მსგავსად იყო აგებული: მისი სართულები სიმბოლურად კოსმოსის სამსკნელზე – მიწისქვეშა სამყაროზე, მიწასა და ზეცაზე – მიგვანიშნებდნენ (ვული 1930: 147-148).

* „*kai domon ejrwmonto peritrocon eikona koumou*“ (XLI, 281).

ტაძარი ასევე ასოცირდებოდა მთასთან, რომელიც ითვლებოდა სამყაროს ცენტრად. სწორედ მსგავსი იდეაბის გამო ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას წინაპერმნული ტომები და ბერძნები მთას, კლდესა და ქვას. მესოპოტამიის ძულტურებში მთის გავლით ადამიანები ხვდებოდნენ საიქოზი, ხოლო ასირიულ ენაში სიკვდილის აღმნიშვნელი ზმნა სიტყვასიტყვით „მთებთან მიჯაჭვას“ აღნიშნავდა. ეს იმიტომ, რომ მთა სამყაროს ცენტრი იყო, ხოლო ადამიანი სიკვდილის შემდეგ ამ „ცენტრს“ უკავშირდებოდა. შესაბამისად ტაძარი და მთა მიეკუთვნებოდნენ სრულიად განსხვავებულ, წმინდა სივრცეს, რომელიც არქაულ ძულტურაში ერთადერთ „რეალურ“ სივრცედ ითვლებოდა (ელიადე 1998: 88-89). გარდა ამისა, არქაულ მითებში მთა ან კლდე ისევე, როგორც ქიბე, მზის სხივი, ხიდი და ხე, მიიჩნეოდა მიწიერი და ზეციური სამყაროების დამაკავშირებლად, მათ შორის არსებულ გზად (მელეტინსკი 2000: 215).

კოსმოსის მოდელის მიხედვითაა შექმნილი „დიონისიაკაში“ აღწერილი ჰარმონიას სასახლე: ის „ოთხუდლიანი სამყაროს დარად არის შექმნილი“ (*ehaie tupw/ tetra zugi koumou – XLI, 278*) და ისევე როგორც დედამიწას – ოთხი მხარე, მასაც ოთხი კარი გააჩნია:

„Antol ih qerapaina pul hn peridedromen Eufou,
kai; Zefurou pul ewna Dusi- qrepteira Sel hmh~,
kai; Noition puroenta Meshmbria;- ejcen ojcha,
kai; pukinhn nefessi, palunomenhn de; cal aizh/
Arkto- upodrhisteira pul hn epeitasse Borho~“ (XLI, 283-287).

(ევროსის აღმოსავლეთის კარს ნიმფა ანტოლია* დარაჯობს, ზეფირის კარიბჭეს – სელენეს ძიძა დიუსისი, ნოტოსის კარს – ქალწული მესემბრიადა, ხოლო ჩრდილოეთის კარს ფართოდ უდებდა ქარსა და ღუბლებს ქალწული არქტოსი).

სასახლის ოთხი კარი სიმბოლურად უკავშირდება სამყაროს ოთხ მხარეს. თითოეული კარიბჭის მცველი ნიმფებიც ხომ სიმბოლურად აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს უკავშირდებიან. მაგალითად, ნიმფა ანტოლიას სახელი ნიშნავს „ამომავალს“, რაც აღმოსავლეთთანაა დაკავშირებული. ნიმფა მესემბრიადასი კი – „მხურვალეს“, რაც მცხუნვარე მზით გამობარ სამხრეთს მოგვაგონებს (სავკინი 1997: 504, 522). არქტოსს, რომელიც დიდი დათვის თანაგარსკვლავედის სახელია, ნონოსი ჩრდილოეთის კართან მოდარაჯე ნიმფას

* ანტოლია, მესემბრიადა და არქტოსი ჰარმონიას მოახლეები არიან.

უწოდებს, და ამგვარად უკავშირებს პარმონიას სასახლის ჩრდილოეთის მხარეს. ზეფირის, დასავლეთის ქარის მოსახლე კარს კი სელენეს მიძას დიუსის უთმობს სადარაჯოდ. არქაულ მითებში ხშირად ვხვდებით სამყაროს ამგვარ მოდელს, როდესაც კოსმოსის მხარეებს სიმბოლურად ასახავს ოთხი ბოძი, კოლონა თუ ხე. ხშირია, როდესაც მითებში სამყაროს ზოომორფული ან ანთროპომორფული მცველები სიმბოლურად ასახავენ კოსმოსის ოთხ მხარეს. მაგალითად, სკანდინავიურ მითში ზეცის თაღი ოთხ ჯუჯას უპყრია, რომელთა სახელები გაიგივებულია სამყაროს ოთხი მხარის აღმნიშვნელ სახელებთან. ბაბილონსა და ეგვიპტეში სამყაროს მხარეები ღმერთებს უკავშირდებიან, თუმცა კოსმოსის ჰორიზონტალური მოდელის კლასიკურ მაგალითებს ვხვდებით ჩინურ და ინდურ მითოლოგიაში, სადაც გავრცელებულია წარმოდგენა ოთხ ღმერთზე, რომელთაც სამყაროს ოთხი მხარის დაცვა აკისრიათ (მელეტინსკი 2000: 215–216). ამგვარად, პარმონიას სასახლე მიკროკოსმოსს წარმოადგენს, რომლის ოთხი კარი სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლოა. ნონისი მას აგვიწერს ოთხკუთხოვან ჰორიზონტალური კოსმოსის მოდელის საფუძველზე. თითოეულ მათგანს კი საკუთარი მფარველი დვთაება გააჩნია.

საინტერესო „დიონისიაკაში“ აღწერილი კიდევ ერთი – სტაფილოსის სასახლე არის თუ არა სამყაროს მოდელის მიხედვით შექმნილი. ვნახოთ, რას მოგვითხობს ნონისი: დიონისე აზიაში მოგზაურობისას ხვდება ასირიის მეფე სტაფილოსსა და მის ვაჟს – ბოტრისს. მამა-შვილი დვინის ღმერთს სტუმრად მიიწვევენ. დიონისეც თანხმობას აძლევს სტუმრობაზე. სანამ ბოტრისი ნადიმის სამზადისშია, სტაფილოსი დიონისეს თავის უმშვენიერეს სასახლეს ათვალიერებინებს: ის „ქვით ნაგებია“ (XVIII, 68) და „სინათლით სავსე, მზის სიკაშაშითა და მოვარის ციალით ავსებული“ (sugcroo- h̄el iθio kai; aŋtituproio sel h̄nh~ – XVIII, 72). მისი კედლები ვერცხლითა და ძვირფასი ქვებითად მოპირკეთებული:

„οιήνρην αյνεკუსτον εγειδομενήν υλκίνqw!

Aughn d jaijal oessan aþeptuen wjcro- aþcaþh~,

kai; fol idwn stiktoisi tupoi- aþmarussen oþiith~

þAssurih de; maragdo- aþhrugen eþcl oon aiþl hn“ (XVIII, 77-80).

(დვინისფერი ამეთვისტო დამაგრებულია ცირკონზე. მკრთალი აქატი ლივლივებს, ბრწყინავს მრავალფერი ოფიტი და გველის ტყავის ორნამენტებს იმეორებს. ელვარებენ ასირიული კაშკაშა ზურმუხტებები).

სასახლე მრგვალია, მისი სვეტები წრიულად არიან განლაგებულნი, მარმარილოს იატაკი მშვენიერი ფერგბითაა მოხატული, ირგვლივ ყოველივე ოქროთი და სპილოს ძვლით არის შემკული (XVIII, 79-84).

სტაფილოსის სასახლე პარმონიას სასახლისაგან თავისი მრავალფეროვნებითა და სიჭრელით გამოირჩევა. პოეტის საყვარელი ეპითეტი „ჭრელი“ არაურთხელ გვხვდება ვარსკვლავიანი ზეცის აღწერილობისას: „ჭრელი ზეცა, რომელიც ბრწყინავს სინათლისმომფენი ვარსკვლავებით“ (*poiκιλον ευγαεσσι κεκασμενον ουτρανον αετροι~* – VIII, 111). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია სტაფილოსის სასახლის მრავალფეროვანი ელვარება ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სიჭრელეს დავუკავშიროთ. გარდა ამისა, ის მრგვალია, წრიული სვეტებითაა შემკული (ადსანიშნავია, რომ ზეაღმართული სვეტები კოსმოგონიურ სიმბოლიკას მიეკუთვნებიან (ელიადე 2002: 126-128) და ციური მნათობებითაა გაბრწყინებული. სასახლის კედლები ძვირფასი ქვებითაა შემკული. მათ შორისაა ზურმუხტი, რომლის ფერი ვარსკვლავიანი ზეცის სიმბოლოდ შეიძლება ჩავთვალოთ. ამასთან დაკავშირებით ადსანიშნავია, რომ ბაბილონელთა მთვარის ღმერთი სინა რელიეფებზე ხშირად გამოსახულია ცისფერი წვერით, რომელიც ნახევრად ძვირფასი ქვით – ლაზურიტითაა შესრულებული. მსგავს კონცეფციას ვხვდებით ეგვიპტელებთანაც: ხშირად მზის ღმერთის – რას თმებიც ლაზურიტითაა გამოსახული. ძვირფასი ქვის ცისფერი ფერი სიმბოლურად ვარსკვლავიანი ცის მაგიის ამსახველია. ასევე ფერების სიუხვით გამოირჩევა ელექტრას „მაღალსვეტებიანი, სამეფო სასახლე“ (III, 130-131) კუნძულ სამოთრაკეზე, რომელიც „მუდამ კაშკაშა ცეცხლით ელვარებს“ (134). სასახლეში შესასვლელის ორივე მხარეს მოჩუქურობებული კარიბჭეებია აღმართული, მაღალი სახურავის შუაში კი მომრგვალებული გუმბათი აქვს. კედლები სწორი და გლუვია, თითქოს თეთრი ქვით არის ნაგები (137-145). აშკარაა, რომ ელექტრას სასახლეც სხვა სასახლეების მსგავსად ზეციურის მოდელზეა შექმნილი: ის მაღალსვეტებიანია, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოსმოგონიური სიმბოლიკა გააჩნია. ხშირად ტაძრის სვეტებს იგივე ფუნქცია აქვს მინიჭებული შენობისთვის, რაც სუნთქვას – ადამიანის, ანუ იგივე მიკროკოსმოსის სხეულისათვის. მას ასევე გააჩნია მაღალი გუმბათი, რაც სამყაროს უმაღლესი ცენტრის სიმბოლოა.

გალავნის მიღმა სასახლის გარშემო გადაჭიმულია ბაღი, ცვრიანი ნაყოფით დახუნძლული ხეებით: პალმის რტოები ერთმანეთს თითქოს და ესიყვარულებიან

(kai; aſſena fulla petassa~ qhluterw/ foiniki poqon pistwſato foinix – III, 142-143), „ნაყოფით დახუნდული თანატოლი მსხლის ხევბი ქარის წამობერვისთანავე შრიალს იწყებენ და ახლოს მდგარ ზეთისხილის ბუჩქებს ეხებიან” (očnh t j aſl aokarpo~ oħħili iki sumfuto~ očnh/ oħqrion ejyiqurizen, el issomenh de korumboi~ geitona pialeħ~ ejpemaſtie qamnon ejjaħi~ – 144-146). იქვე დგას მურტი, დაფნა და კვიპაროსი (ejjarinoi~ aħnejmoisin aħnainomenh/ para; daifnh/ seiħet mursina fulla, kai; eujpetal ou kupariessou oħqrion ejripiżże komħn – 147-149). თაფლივით ტკბილი ნაყოფი ასხია ლეღვის ხევბს, ხოლო ბროჭულები წითლად დვივიან. გვერდიგვერდ მდგომი გაშლის ხევბი აყვავებულან (kai; mhlon ejphinqee geitoni mhli w/ – 152). ყველგან გაშლილა ბალში ფებუსის საყვარელი ჰიაცინტები. ბალთან ახლოს წყაროა ორშესართავიანი: ერთით ბალს რწყავდნენ, ხოლო მეორეთი ხალხს გამოულეველი სასმეलი წყალი ეძლევა.

როგორც ვნახეთ, მრავალფერია ელექტრას სასახლე, თუმცა, მის ირგვლივ გაშენებული ბაღის სიჭრელეს ვერ შეედრება. ვფიქრობთ, ელექტრას ბაღიც ზეციური კოსმოსის ასახვას წარმოადგენს და იდეალური სამყაროს სიმბოლიკა გააჩნია. იგი ყოველნაირი ხეხილით სავსეა და გარს მდინარე აკრაგს. სწორედ ამგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი ზეციური ბაღი, ანუ სამოთხის ტიპის ადგილი შუმერებს. ეს მოდელი ბიბლიურ ტრადიციებშიც გვხვდება (ელიადე 1998: 85, 96-100). ზეციური ბაღი „სამყაროს ჭიპია“ სირიული ტრადიციების მიხედვით და იგი ყველაზე მაღალ მთაზეა მოთავსებული (ვენსინჯი 1916: 14). ამ შემთხვევაში ის იგივე მთაა, ანუ სამყაროს ცენტრია, საიდანაც მოედინებიან მდინარეები და ნაყოფიერებას ანიჭებენ მიწებს. მსგავსი წარმოდგენები გვხვდება ბაბილონელებთან და ეგვიპტელებთან, ასევე ზოგიერთ ინდურ გადმოცემებშიც. გზა ზეციური ბაღისკენ იგივეა, რაც გზა საიქიოსკენ, დმურთის სამყოფელისკენ და მთისკენ, რაც ხშირად სიმბოლურად ტაძრის სართულებზე ზეაღსვლითაა გამოხატული.

ქალაქი და ტაძარი მველი კულტურების ცნობიერებაში ასევე „სამყაროს ჭიპს“ წარმოადგენენ. მათთან მიახლოება ნიშნავს აბსოლუტთან, წმინდასთან და რეალურთან მიახლოებას, რაც განდობის, ანუ წმინდასთან ზიარების ტოლფასია. ამიტომაც „სამყაროს ჭიპიდან“ იწყება ყოველგვარი ქმნა და იდევნება ქაოსი. წარდგნა, რაც ქაოსის რეაქტუალიზაციაა, ვერ ერეგა მთის მწვერვალებს, ქალაქსა და ტაძარს, რომელნიც ყოველივე მეორადი შემოქმედების ცენტრს წარმოადგენენ (ელიადე 1998: 91).

როგორც ბადი, ასევე, მთლიანად ელექტრას სასახლე კოსმოსის მიწიერ მოდელს წარმოადგენს. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ საოცარია მსგავსება ნონოსამდე მოდგაწე დიდ ეპიკოსთა მიერ აღწერილ სასახლეებსა და „დიონისიაკაში“ აღწერილ სასახლეებს შორის. მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ელექტრას სასახლის შემთხვევაში, რომელიც თითქმის ანალოგიურია ჰომეროსის „ოდისეაში“ აღწერილი ალკინოოსისა და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ შექმნული აიეტის სასახლეებისა.

გავეცნოთ „ოდისეას“ ტექსტს, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ არსებულ მსგავსებებზე: ალკინოოსის სასახლე „გაბრწყინებული იყო ერთთავ, მზის და მთვარისებრ“ (Hom. Od. VII, 84). მისი კედლები სპილენძით, ოქროთი და ვერცხლითაა შემკული. მას ჰეფესტოს მიერ ნაკეთი ოქროსა და ვერცხლის ძაღლები ამშვენებენ. კედლების გასწვრივ სავარძლებია ჩამწკრივებული, ხოლო მაღალ კვარცხლბეკებზე ოქროს ჭაბუკთა ქანდაკებებია აღმართული, რომელთაც ხელში ჩირაღდნები უჭირავთ, რათა მოდარბაზეებს სინათლე ჰქონდეთ (Od. VII, 84-102).

სასახლეს გარშემო ბადი აკრაგს (VII, 112-127). იქ ხარობს მსხალი, ვაშლი, ბროწეული, „თაფლივით ლედვი, ზეთის ხილიც ყვავილოვანი“ (VII, 116). „ბაღჩასთან ორი ნაძაღული მოჩუხჩუხებდა“ (VII, 128), ერთი ბადს რწყავდა, ხოლო მეორესგან წყალს იღებდნენ მოქალაქენი (VII, 129-132).

ახლა ვნახოთ აიეტის სასახლის აღწერილობა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“: „სასახლის გალავანს ფართო ჭიშკრები და სვეტები ჰქონდა. ისინი მწკრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო. სასახლის ზემოთ სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვის კოშკი. მოსულებმა მშვიდობიანად გადააბიჯეს ზღურბლს, რომლის ახლოც მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით დაბურული გაზები ფართოდ გადაშლილიყვნენ. მათ ქვეშ მოჩუხჩუხებდა ოთხი დაუშრებელი წყარო, რომლებიც ჰეფესტომ ამოიღო. ერთი რძეს ამოაჩქეფებდა, მეორე – ღვინოს; მესამე სურნელოვან ზეთს მოარაკრაკებდა, მეოთხე კი მოაქუხებდა წყალს, რომელიც პლეიადების ჩასვლის ჟამს თბებოდა, მათი აღმოსვლის დროს კი, პირიქით, ყინულივით ცივი ამოქუხებდა ამოღარული ლოდიდან. აი, ასეთი ღვთაებრივი საქმენი გააკეთა კვიტაიელი აიეტის სასახლეში ხელოვანმა ჰეფესტომ“ (Apoll. Rhod. Arg.III, 215-229).

ქალღმერთის ნებითაა აგებული ვერგილიუსის „ენეიდაში” აღწერილი დიდოს სასახლეც, რომელიც კართაგენში მდებარეობს. ის ტროას ომის ამსახველი ეპიზოდებითაა მოხატული (Verg. Aen. I, 446-495) და შესაბამისად მასაც შეესატყვისება ეპითეტი „მრავალფერი”, რომელსაც ასე ხშირად იყენებს ნონოსი სასახლეების აღწერილობისას.

ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული ყველა სასახლის სტრუქტურული მხგავსება უდაოა. ელექტრას, ალკინოოსისა და აიეტის სასახლეების შედარებისას შეგვიძლია აღვნიშნოთ: სამივე მათგანის შექმნაში წვლილი მიუძღვის ლემნოსელ ლმერთ ჰეფესტოს; ისინი შემცულნი არიან სპილენძით, ოქროთი და ვერცხლით; მათ აქვთ თაღი, ანუ გუმბათი, კედლები და მოპირკეთებული იატაკი. ისინი გაბრწყინებულნი არიან, როგორც მზის და მთვარის ნათებით, ასევე ხელოვნების ნიმუშთა ელვარებით: ალკინოოსისა და ელექტრას სასახლეების შემთხვევაში ეს არის ოქროთი და ვერცხლით ნაკეთი ძაღლები და ჭაბუკთა ოქროს ქანდაკებანი; ასევე მათ გარშემო გაშენებულია ბაღები, სადაც უამრავი ხეხილი ხარობს. ორივე ბაღს ასაზრდოებს წყარო, რომელიც ამავდროულად მოსახლეობის წყლით მასაზრდოებელია.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ძველთაგანვე ჩამოყალიბებული იყო სასახლისა და ბაღის გარკვეული მოდელი, რომელიც იმეორებდა მაკროსამყაროს მოდელს. ყოველი ეპოქის ლიტერატურაში მეტნაკლებად დაცულია მათი აღწერილობის ძირითადი სტრუქტურა, რადგანაც თითოეული მათგანი ემყარებოდა ერთ ძირითად მოდელს: ეს იყო მაკროსამყაროს პარადიგმული ასახვა მიკროკოსმოსში.

აღსანიშნავია, რომ ძველთაგანვე სახლს, იგივე ქოხს ან სასახლეს რიტუალური ფუნქცია გააჩნდა. მის შენებასა და დროდადრო შეკეთებას აქვს კოსმოგონიური მნიშვნელობა. საკრალური ქოხი გაიგივებულია სამყაროსთან. სახურავი სიმბოლოა ცის თაღის, იატაკი – მიწა, ოთხი კედელი – სამყაროს ოთხი მხარე (ელიადე 2000: 49). ვფიქრობთ, სწორედ ქოხის ან სახლის ეს სიმბოლური მნიშვნელობა განაპირობებს იმას, რომ ყველა ჩვენ მიერ ზევით მოხსენიებული სასახლის აღწერილობაში პოეტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სასახლეები, უპირველეს ყოვლისა, დვთაების მიერ არიან შექმნილნი, რომელიც ასევე შეიძლება იყოს კულტურული გმირი; რომ მათ გააჩნიათ გუმბათი – ცის თაღის სიმბოლო, ოთხი კედელი ან ოთხი კარი, რომელშიც სამყაროს ოთხი მხარე

იგულისხმება, სხვადასხვა ფერის მარმარილოთი მოპირკეთებული იატაკი – იგივე მიწა. ისინი განათებული არიან, როგორც მზის, ასევე მთვარის სინათლით. გარდა ამისა, მათ აბრწყინებს სამყაროს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანების მოვლენის – ხელოვნების შუქი.

სამყაროს მოდელზეა შექმნილი ბალიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნონოსთან პროფანული სამყარო საკრალურს ემსგავსება. მასთან აღწერილი ნებისმიერი ქალაქი, სასახლე თუ ბაღი მხოლოდ ზეციური პირველსახის ასახვაა.

ნაწილი VII

ჰეფესტოს მიერ შექმნილი ნივთები

1. დიონისეს ფარი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დიონისიაკაში” ქალაქები, სასახლეები თუ ბაღები ზეციურის მოდელის მიხედვით იქმნება. გარდა ამისა, პოემაში ზეციურის მაგალითზეა შექმნილი საგნებიც. საქმე ეხება ძვირფას ნივთებსა და საბრძოლო იარაღებს, რომელთა ოსტატიც მჭედლობის ღმერთი ჰეფესტოა. იგი, როგორც ღმერთი ჯადოქარი და მრავალი საიდუმლოს მცოდნე, ამ შემთხვევაში მედიატორის ფუნქციას ასრულებს ზეცასა და დედამიწას შორის. ამიტომაც მხოლოდ მას ძალუბს ისეთი ნივთების შექმნა, რომელიც კოსმოსის, ანუ ზეციურის საფუძველზე იქმნება და მისაბაბი ხდება სხვა დანარჩენი ნივთების შესაქმნელად. „დიონისიაკაში” აღწერილი ელექტრას სასახლეც ხომ ჰეფესტოს ნახელავია.

დაწყებული პომეროსიდან ჰეფესტოს ნამუშევრები ხელოვნების ნიმუშებიცაა და ჯადოსნური ნივთებიც. ნონოსიც მიჰყება რა პომეროსის გზას, პოემაში მოგვითხობს ჰეფესტოს მიერ შექმნილ უამრავ გასაოცარ ნივთზე. თუმცა, „დიონისიაკაში” პომეროსის მიერ აღწერილ ოქროსა და ვერცხლის ძაღლებს, რომელიც ამშვენებენ ალკინოოსის სასახლეს, ელექტრას სასახლის ოქროსა და ვერცხლის ძაღლები ცვლიან, ხოლო „ილიადაში” აღწერილ აქილევსის ფარს – დიონისეს ფარი. ორივე პოეტს კი ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს: როგორც

პომეროსის, ასევე ნონოსის მიერ აღწერილი ნივთები, რომელნიც პეფესტოს ნახელავია, ზეციურის მაგალითზეა შექმნილი.

დიონისეს ფარი ინდოელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების სიმბოლო ხდება, ისევე როგორც ტროას ომში – აქილევსის ფარი. „დიონისიაკას” XXV სიმღერაში ლიდიელი ატისი ბაკქოს ტმში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს და პეფესტოს მიერ გამოჭედილ ფარს აძლევს. ნონოსი მას „ოლიმპოსის იარაღს” და „მრავალფერს” (pol uidaidalon, ophi on Jolimpro – XXV, 383) უწოდებს. ის „ზეციურმა მარჯვენამ შექმნა” (taper kamen oujranih ceir – 386). ტექსტში ვკითხულობთ:

„ . . . h̄- ejni; meissw/

ej̄ men gaiān eþl hxe peridromon, aj̄mfī; de; gaih̄/
oujranon ej̄sfairwse corw/kecaraigmenon aþtrwn,
kai; cqoni; ponton eþteuxen ohovzugon. Aijerion de;
crusw/men flogewn ej̄epochmenwn ahtugi diffrwn
Heil ion poikillen, ap̄ jaþgurenu de; metallou
leukainwn trocoessan oþ hn kuþlwse Sel hñhn” (XXV, 387-393).

(ოსტატმა) მის შეაში დედამიწა გამოსახა, რომელსაც გარს ერტყა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა. მიწის ნაპირებთან შრიალებდა ზღვა. ოქროთი ეთერში ცეცხლის შუქით ანთებულ ეტლზე ამხედრებული პელიოსი ამოტვიფრა, ვერცხლით კი – სელენეს სავსე დისკო.

დიონისეს ფარზე გამოჭედილი მეორე სცენა ნონოსმა ქალაქ თებეს აშენებას მიუძღვნა:

„Amfiwn d̄ jeþ i gaine luroktupo~. Aj̄mfī; de; mol ph/
eij̄ dromon aujtokuñ iston eþ ix ej̄coreue kol wnh,
oið; te qel gomenh kai; ej̄ aþspidi” (XXV, 419-421).

(ამფიონი მდეროდა და ლირაზე უკრავდა. მისი სიმღერის ხმაზე თავისთავად გორდებოდნენ კლდის ქვები, თითქოს ცეკვავდნენ და ფარზეც კი მოჯადოებულებივით სწრაფად მოძრაობდნენ).

ფარზე ასევე გამოსახულია ზევსის მიერ განიმედესის მოტაცება. ჭაბუკი თლიომპოსზე დმერთების მერიქიფეა, რაზეც სასტიკადაა განრისხებული პერა (430-450). დაწვრილებითაა გამოჭედილი ბაკქოსის აღმზრდელ მეონიას, ასევე ტილოსისა და მორიას თავგადასავალი²⁴. ფარზე გამოსახული შემდეგი სცენა აღწერს, თუ როგორ ყლაპავს ბავშვების ნაცვლად ქვებს რეასგან მოტყუებული კრონოსი (553-562). დასასრულს ავტორი თავადვე აღნიშნავს, რომ ამგვარი ერთმანეთისგან

სრულიად განსხვავებული სცენებია გამოსახული დიონისეს ფარზე, რომლის სილამაზით ღმერთის ყოველი თანმხლები აღფრთოვანებული იყო (563-565).

როგორც ზემოთ გადმოცემული ტექსტიდან დავინახეთ, დიონისეს ფარი ხელოვნების ნიმუშია. იგი „ზეციურმა ხელებმა” შეასრულებს, რაც მის განსაკუთრებულობაზე მიგვანიშნებს. მის ცენტრში მოქცეულია მიწა და ზღვა, ვარსკვლავიანი ზეცა ოქროს მზითა და ვერცხლის მთვარით, ასევე უამრავი თანავარსკვლავედით. კოსმოსის ძირითად შემადგენელ ნაწილებს კი მოჰყვება ქალაქის გამოსახულება, რომელიც, როგორც უპვე აღვნიშნეთ, იგივე მიკროკოსმოსს, ანუ ზეციური სამყაროს მიწიერ ასახვას წარმოადგენს.

ამის შემდეგ ავტორი სხვადასხვა სცენებით ამკობს პეფესტოს ნამუშევარს, რათა ფარის აღწერილობის დასაწყისშივე ნახსენებ ეპითეტს „მრავალფერს” (pol udaidal o~ – 383) მნიშვნელობა არ დაეკარგოს. დიონისეს ფარი ჭრელია, ანუ მრავალფერია ისევე, როგორც პოემაში მრავალგზის აღწერილი ვარსკვლავიანი ზეცა, დიონისეს ნებრისი, ყურძნის მტევნები, პროტევსის ეპიფანიები თუ თავად ნონოსის პოეზია.

2. პარმონიას ყელსაბამი

პოემაში პეფესტოს მიერ შექმნილი კიდევ ერთი ნივთია პარმონიას ყელსაბამი, რომელსაც ნონოსი „sofon efgon”-ს (ბრძნულ ქმნილებას – V, 137) უწოდებს. პოეტი მას „დიონისიაკას” V სიმღერაში აგვიწერს, როდესაც პარმონიასა და კადმოსის ქორწილზე მოგვითხრობს. ყელსაბამი, ოდესდაც მჭედლობის ღმერთს აფროდიტესთვის მიუძღვნია ეროსის დაბადების აღსანიშნავად*. სიყვარულის ქალღმერთი კი მას პარმონიას უსახსოვრებს ქორწილში.

ყელსაბამი „ოქროთი ნაკეთია და მრავალი ძვირფასი ქვითაა შემკული” (cruceon ofmon eftonta l iawn pol udaidal on aiogl hn – V, 136). იგი პეფესტომ „გველის ფორმით გამოჭედა, რომლის ზურგი ვარსკვლავიანი ცის დარია” (οἱ αἴστεροfeggeι nwtw/wl offi~ hñ ei ikwde~ eftwn dema~ – 144-145). ქვეწარმავალი ორთავიანი (dikarhno~ – 154) და ორპირიანია (distomo~ – 146), ხოლო თავები – ერთმანეთზე აქვს მიღებული (eiſ kefal hn de karhnon eferpuzousa sunaptei – 145-154). გველის თავებს

* „Ηφαιστου sofon efgon, ὁπερ καμε Kuprogeneih/ toxethro- Erwto- οpw- οjpthrion eīh” (XXV, 139).

შორის, იქ, სადაც სამკაულის თავი და ბოლოა, ოქროს არწივის გამოსახულებაა (kai; stomaitwn ekaiteqen, oph/ telo~ eisti; kai; aſchi aieto- h̄i cruiseio~ – 158-159). „არწივი ოთხფრთიანია ოთხჯერ შეკრული სამყაროს მსგავსად” (ulyifanh- pterugwn pisurwn tetrazugi koismw/ – 161). მის ფრთებში სხვადასხვა ძვირფასი ქვა მოთავსებული:

„th/men xango~ iſaspi~ epeitrece, th/de; Sel hnh~
 eiſe I iqon panlukon, oſ eukerario qeainh~
 I eipomenh~ minuqe i kai; aſketai, . . .
 al l h margaron eiſe faesforon, ouſcarin aiglh~
 gl aukon ſeruqraih~ ajanuſsetai oijdma qal aſsh~
 I ampronenh~ elterh~ de; mesomfal o~ aikopoi koismw/
 I leptofah~ sel a~ uſron aſpeptuen jndo~ aſcaith~” (V, 162-170).

(პირველ ფრთაში მოკროსფრო იასპისი, მეორეში – სელენეს თეთრი ქვა, რომელიც რქიანი ქალღმერთის მსგავსად ხან მკრთალად ანათებს, ხან კი თვალისმომჸრელად კაშკაშებს. მესამეში მარგალიტი ციალებს, რომლის ელვარება ერეთრეის ზღვის ტალღებს მსუბუქ ბრწყინვალებას აძლევს. მეოთხე ფრთის ცენტრში კი ინდური ნახშირის მსგავსად წითლად ღვივის აქატი).

ყელსაბამი მრავალფერი ქვების ბრწყინვალებით ზღვას ჰგავს (komown de; I iqwn pol ueidei morfh/ponto~ ehn – 177-178). თითქოსდა ტალღებს შორის მოგზაური მოჩანს, ანცი დელფინი კი როკავს ზღვის ზვირთებში (messofanh~ eſcoreuen eſrixun aſa del fir – 184). იქ ჭრელა-ჭრულა ჩიტებიც დაფრინავენ და თითქოსდა მათი ფრთების ტლაშუნის ხმა გაისმის ჰაერში (kai; coro~ ojniqwn elterocroo~, wh taca faih~ iptamenwn pterugwn aſhemwdea doupon aikouein – 186-187). ამგვარად აგვიწერს ნონოსი ჰარმონიას ყელსაბამს და როგორც ვნახეთ, ის არ უხვევს დაწყებულ გზას: ჰეფესტოს მიერ შექმნილი სამკაული სამყაროს მოდელის მიბაძვითაა შექმნილი. ის ჭრელია. მისი ფერადოვნების გამომსახველია, როგორც სხვადასხვა ძვირფასი ქვების ელვარება, ასევე ის მრავალრიცხოვანი სურათები, რაც მასზეა გამოსახული. გარდა ამისა, მის მრავალფეროვნებაზე, ანუ სიჭრელეზე, ისიც მიუთითებს, რომ ყელსაბამს გველის ფორმა აქვს. გველი გაორებულია: მას ორი თავი და ორი ხახა გააჩნია. გველის ზურგი კი ვარსკვლავიან ზეცასთანაა შედარებული.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, გველის თავებს შორის მოქცეული ოთხფრთიანი ოქროს არწივი ნონოსისთვის სამყაროს ჰარმონიულობის ცენტრს წარმოადგენს. არწივის ოთხი ფრთა სამყაროს ოთხი მხარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. თუკი

ოქროს არწივი სამყაროს ცენტრის სიმბოლოა, მაშინ მის გარშემო მოთავსებული ორთავიანი გველი ქაოსური წყლის სივრცეს, ანუ ოკეანის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ძველთაძველი წარმოდგენებით გარს არტყია დედამიწას და მის შთანთქმას ცდილობს (ვენსინგი ა 1919: 19).

აღსანიშნავია, რომ არწივის თითოეული ფრთის ცენტრში მოთავსებულია ძვირფასი ქვა. როგორც ბაბილონში, ასევე ჩინეთში ძვირფას ქვებს მაგიური ფუნქიები ეკისრებოდათ. ისინი ეხმარებოდნენ ადამიანებს ჰარმონიული ცხოვრებისეული ენერგიის დაბრუნებაში. შესაძლოა, ნონოსი ამ პასაჟში, არწივის ფრთებზე განთავსებულ ძვირფას ქვებს სამყაროს ოთხ ელემენტსაც უკავშირებდეს: ტექსტიდან ჩანს, რომ პირველ ფრთას ამშვენებს იასპისი. იასპისი ფერით შავი ქვაა. მას ასევე ვხვდებით „აპოკალიფსში”, სადაც აღწერილია ზეციური ქალაქი იერუსალიმი. ტექსტიდან ჩანს, რომ ქალაქის კარიბჭეთა საძირკველი ძვირფასი ქვებითაა შემკული, ხოლო პირველ საძირკველს ამშვენებს სწორედ იასპის ქვა (ელიადე 1998: 87, 121). ჩვენი მოსაზრებით, იასპის ქვა ნონოსთან სიმბოლურად მიწას უნდა ასახავდეს. რაც შეეხება მეორე ფრთაზე მოთავსებულ ძვირფას ქვას – იგი თეთრი ფერისაა და ემდგნება სელენეს. შესაბამისად მისი სიმბოლო ჰარეს უნდა უკავშირდებოდეს. მესამე ფრთაზე გამოსახული მარგალიტი წყლის სიმბოლოდ მიგვაჩნია, ხოლო აქატი, რომელიც „წითლად დვივის“ ინდური ნახშირივით, აშკარაა, რომ ცეცხლთან ასოცირდება.

ამგვარად, ჰარმონიას ყელსაბამი ზეციური სამყაროს მოდელის შესაბამისადაა შექმნილი. იგი მიკროსამყაროს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ცენტრი – ოთხფრთიანი ოქროს არწივი. გველების ხახებს, ანუ საშიშ ძალებს, შორის მოქცეული ეს ულამაზესი ნაკეთობა სიმბოლურად უზრუნველყოფს დანარჩენი სამყაროს ჰარმონიულობას, კოსმოსის მიერ ქაოსის დაძლევის მარადიულობას: ამიტომაცაა გველის ზურგი ვარსკვლავებით შემკული, თანაც ზღვასავით დელავს და უამრავ სცენას გვიხატავს.

ყელსაბამი ასევე ნონოსის პოეზიის სიმბოლოცაა, რადგანაც მასში პოეტის საყვარელი ყველა მხატვრული ხერხი თუ სტილის განსაკუთრებული თავისებურებაა გამოაშკარავებული. იქნება ეს სიჭრელე, მრავალფეროვნება, გაორება, თუ სიმბოლოების უკიდეგანო სამყარო.

დასკვნა

„დიონისიაკა“ კრცელი მითოსური ეპოსია. მისი ავტორი კი – განსაკუთრებული ეპოქის განსაკუთრებული პოეტი. მიუხედავად იმისა, რომ ნონოსი პომეროსს ბაძავს, იგი ქმნის სრულიად განსხვავებულ ეპოსს. „დიონისიაკაში“ ჩანს სწორედ გვიანანგიძური ეპოსისათვის დამახასიათებელი კულტურული ტრადიციების სინთეზი, რაც გამოიწვია წარმართული ბერძნული და ეგვიპტური ტრადიციების შერწყმამ ქრისტიანულ მსოფლადქმასთან. „დიონისიაკა“ არის პოემა, რომელშიც თავმოყრილია, როგორც მრავალფეროვანი ანტიკური მითოსი, ისე ალექსანდრე მაკედონელის ისტორია; ეს ორი პლასტი წარმოდგენილია დიონისეს ინდოეთში ლაშქრობის ფონზე. ერთი შეხედვით, „დიონისიაკა“ არის ყოველგვარ კომპოზიციურ სიმეტრიულობას, ყოველგვარ გეგმას მოკლებული პოემა, რომელშიც წარმოდგენილია უამრავი მითი, უსახელო პერსონაჟები, დამუხტულია მძაფრი რიტორიკული თხრობით, მეტაფორები და სხვა ტროპები ართულებენ აზრის გაგებას; სიმბოლოებისა და მეტამორფოზების მთელი სერია კი ბუნდოვანს ხდის ნაწარმოების სიუჟეტს. სინამდვილეში მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სირთულეების დაძლევისა და შესაბამისად, პოეტის თავისებური სტილის გააზრების შემდგომ შესაძლებლი ხდება თხზულების მნიშვნელობაზე საუბარი. მკვეთრი ფერების ხშირი მონაცვლეობა იწვევს პოემის სიჭრელეს, რაც თავისებური ესთეტიკური ხერხია და „დიონისიაკას“ დასაწყისშივე პროტევსისადმი მიმართვითად გამოხატული.

ნონოსთან სამყაროს აღმის გაგებაში დომინირებს ორი სიმბოლო: გველი და სარკე. ეს სიმბოლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მარტო პოეტის მსოფლადქმაში, არამედ მისი პოეზიის სიმბოლური და მეტაფორული სტილის განსაზღვრაში. გველი „დიონისიაკაში“ დროის სიმბოლიკის მატარებელია, იგივე დროა, ანუ ხრონოსი. ის, რომ დიონისე პოემაში ხშირად გველთანაა გაიგივებული სიცოცხლის ციკლურ ცვალებადობასთან მისი კაგშირითაა გამოწვეული. სამგზის შობილი ღმერთი რამდენჯერმე უბრუნდება სიცოცხლეს, მსგავსად ვენახისა, რომელიც ჯერ ვაზის, შემდეგ ყურძნის და ბოლოს დვინის სახით ისევ და ისევ აგრძელებს არსებობას. გარდა ამისა, ნონოსი თავის პოემასაც გველს ადარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „დიონისიაკაში“ აღწერილი ამბები, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ხდება, განსაკუთრებულია. გველის სიმბოლიკა ნაწარმოების აგების პრინციპშიც დომინირებს. ამიტომაც უწოდებს ნონოსი თავის პოემას

„ჭრელსა” და „მრავალფერ” (poikilο-) სიმღერას, რომელშიც უამრავი ისტორია და მითი ერთმანეთს სპირალისებურად ებმიან.

რაც შეეხება სარკეს, ვფიქრობთ, ის „დიონისიაკაში” ბინალური ოპოზიციების სიმბოლოა. იგი ერთმანეთის საპირისპირო ცნებებს ასახავს: რეალურ და ირეალურ სამყაროს, სიცოცხლესა და სიკვდილს, ცხადსა და სიზმარს, სიმართლესა და სიცრუეს, ხელითქმნილსა და ხელთუქმნელს, მიწასა და ზეცას, მეტყველებასა და დუმილს, ომსა და მშვიდობას. პოემაში სიკვდილ-სიცოცხლის ერთმანეთთან დაირისპირების მაგალითია სცენა, როდესაც პატარა მაგრევსი სიცოცხლით ტპბება და იცქირება სარკეში, რომელიც იტევს მისი სიკვდილის საიდუმლოს.

გარდა ამისა, პოემაში სარკეს წინასწარმეტყველის ფუნქციაც ეკისრება, ისევე როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილ ზღაპრებში. სარკე ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავენ მასში მაცქერალი ნონოსის გმირები. პოეტი ამ უმნიშვნელო ნივთს „უსიტყვოდ სიმართლის მდაღადებელს” (*sigal ew/khruki* – V, 596) უწოდებს.

სარკე ნონოსის პოეზიის სიმბოლოცაა: ის მეტად უცნაური საგანია, რომელშიც, ნებით თუ უნებლიერ, აირეპლება ნებისმიერი ფორმა და სახე. ნონოსის პოეზიაც დიდ სარკეს ჰგავს, სადაც მითების სამყაროს თითქმის ყველა პერსონაჟია არეკლილი. გარდა ამისა, ვფიქრობთ, სარკე ნონოსის სტილის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ანტიტიპური პოეზიის – სიმბოლოა. მის პოემაში ყოველ საგანს, სახეს, ფორმასა თუ ეპიზოდს თავისი ორეული აქს. თავად „დიონისიაკაც” ხომ პომეროსის პოემების მიბაძვითაა შექმნილი (*tupon mimhi on Ήμήρου*), შესაბამისად, ნონოსის სურვილია ის „იღიადისა” და „ოდისეის” ორეულად იქცეს. გარდა ამისა პოემაში ყველა მნიშვნელოვან სახეს გააჩნია თავისი ორეული, ანუ სახის სახე: ნებრისის, როგორც დიონისეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტის, ანტიტიპია ჯიქის ტყავი, მსხმოიარე ვენახი და ვარსკვლავიანი ზეცა; ღვინის – თაფლი და რძე; მხატვრობის – დამწერლობა; მეტყველების კი – მდუმარება. პოემაში სარკესაც აქვს თავისი ორეული; ესაა ექო. თუკი სარკე ყველა ფორმას ასახავს, ექო ყველა ბეგრასა და ხმას იმეორებს.

მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთი ანტიტიპური სახის სიმბოლიკაზე. ნონოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღვინის მეტოქესა და ანტიტიპს – რძეს. პოემაში დიონისეს სწორედ პერას რძე გაუხსნის გზას ოლიმპოსკენ. გარდა იმისა, რომ რძეს, ღვინის მსგავსად, პოემაში წამლის ფუნქცია აქვს, ის ასევე

გვაკავშირებს ნონოსის პოეზიის ისეთ მნიშვნელოვან სიმბოლოსთან, როგორიცაა ქალის მკერდი. ნონოსი ხშირად ქალის მკერდს, მისი ამოზნექილი ფორმის გამო, ბორცვთან აიგივებს*. „დიონისიაკაში” ბორცვი ეხმიანება კოსმოსის წარმოსახვას. ის ასევე ითვლება ღვთაება დიდი დედის საცხოვრებელ ადგილად ან ასოცირდება მასთან. სწორედ ქალის მკერდის ბორცვთან ან მიწასთან გაიგივებას უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ „დიონისიაკაში” ხშირად რჩე არა ქალის მკერდიდან, არამედ მიწის წიაღიდან მოედინება, როგორც ჩანჩქერი ან წყარო**. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ქალის მკერდს ნონოსი, როგორც უარყოფითი, ისე დაღებითი ეპითეტებითა და შედარებებით ამჯობს***, რაც პოემაში მის ამბივალენტურობაზე მიანიშნებს. ამასთან, ნაწარმოებში აშკარად გამოიყოფა მშობელი დედის ორი ტიპი: ერთი, რომელსაც შვილისთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია და მეორე, რომელიც საშიშ, დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს (აგავე, თემისტო, არგოსელი ქალები, ავრე. მათ რიცხვში შედის პერაც, როგორც დიონისეს დედინაცვალი). ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ „დიონისიაკაში” ქალის მკერდის და ზოგადად ქალის სიმბოლიკა ღვთაება დიდი დედის არქეტიპულ სახეს უკავშირდება, რომელიც სიცოცხლის მომნიჭებელი, ნაყოფიერი და ბარაქიანია, თუმცა, ამავე დროს – პოტენციურად საშიში და დესტრუქციული ძალის მატარებელი.

გველთან და სარკესთან ერთად ნონოსის პოეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ცეკვა. ცეკვის სახეობებიდან პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პანტომიმას, რაც მჭევრმეტყველებასთან და უსიტყვო მეტყველების ოსტატურ გამოხატულებასთანაა გაიგივებული. პანტომიმა ასევე არის სიმბოლო ნონოსის საყვარელი ანტიტიპური დაპირისპირების – მეტყველებისა და დუმილის.

„დიონისიაკაში“ ღვინის ღმერთს ყოველთვის და ყველგან თან სდევს ცეკვა, დაწყებული დედის საშოდან ინდოეთის ბრძოლებით და გამარჯვების ტრიუმფით დამთავრებული. ცეკვა ამარცხებს ომს, ისევე, როგორც მოცეკვავე ღმერთი – მებრძოლ ინდოელებს. ხალხის ცეკვა ნონოსთან დიონისეს ღმერთად აღიარების მაუწყებელია. ის თითქოს ბაკქოსის მოძრაობის იმიტაციაა. მთელი პოემა დაუსრულებელი ქორეოგრაფიის რთვად და სპირალური მოძრაობა. ნონოსი თავის

* XXXV, 32-33.

** XXII, 15-18; XLI, 123-125.

*** VII, 264; V, 592; IX, 57-58; XV, 260; XXXV, 41; XV, 272; XXXV, 326.

სიმღერას თებეზე ადარებს ცეკვას. პოემა მოცეკვავა ქალწულივით ბზრიალებს და უამრავი სიუჟეტით, ამბით, სახით თუ სახელით თავბრუს ახვევს მკითხველს.

როგორც ვიცით, ნონოსი თავის პოემას უძღვნის დვინის ღმერთს, ამიტომ ჩვენი ნაშრომის IV თავი სწორედ დიონისეს სახის გამოკვეთას და მასთან დაკავშირებული მითების გააზრებას ეძღვნება. პოეტი „დიონისიაკაში“ სამივე დიონისეს ახსენებს: ძაგრევსს, დიონისესა და იაკქოსს. ყველაზე ვრცელ ინფორმაციას ორგზის შობილ ღმერთზე გვაწვდის, რადგან პოემა სწორედ მის ინდოეთში მოგზაურობას ეძღვნება. ნონოსთან შემონახული მითი ძაგრევსზე ინფორმატიულობით აღემატება ყველა სხვა ავტორთან დაცულ ცნობებს. რაც შეეხება მესამე დიონისეს, ანუ იაკქოსს, მასზე ავტორი შედარებით მცირე ინფორმაციას გვაწვდის.

ჩვენი მოსაზრებით, „დიონისიაკაში“ აღწერილი მითი დიონისე-ძაგრევსზე უძველეს რიტუალს წარმოგვიდგენს: ტიტანები ასრულებენ გადასვლის რიტუალს, რომლის მიზანია ხელდასხმულის სიკვდილი და ხელახლა დაბადება. ტიტანები ხარის ეპიფანიაში მყოფ ძაგრევსს დანით ანაწევრებენ და მას ღვთაებრიობასა და უკვდავებას ანიჭებენ. ადსანიშნავია, ისიც, რომ ხარი დიონისეს კულტის სამსხვერპლო ცხოველია. ნონოსი ამ ეპიზოდით გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად ძაგრევსის ინიციაციის რიტუალს აგვიწერს, რომელიც ღმერთის რიტუალურ სიკვდილსა და შემდეგ მის კვლავ შობას გულისხმობს უკვე თებეში სემელესა და ზევსის პირმშოს სახით.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოგვეჩინა მეორე დიონისეს, ანუ ორგზის შობილი ღმერთის ნონოსისეული სახე, ნაშრომში რამდენიმე საკითხი განვიხილეთ: ერთ-ერთია ღმერთის სახელის ეტიმოლოგია, რაზეც ნონოსს საკუთარი ვერსია აქვს და რომლის მიხედვით იგი მომდინარეობს „πιστο~“-გან, რომელიც სირაკუზელთა ენაზე კოჭლს ნიშნავს (IX, 22). საქმე ისაა, რომ ზევსი დიონისეს შობის გამო კოჭლობდა, ამიტომაც დაარქვა მან თავის ვაჟს დიონისე, რომელიც კოჭლ ზევსს ნიშნავს.

რადგან „დიონისიაკა“ მოგვითხობს დვინის ღმერთის ბრძოლას ინდოელების წინააღმდეგ, ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი თავი სწორედ მებრძოლ დიონისეს მივუძღვენით. რის შედეგაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნონოსი მებრძოლ ღმერთს ორი სახით წარმოგვიდგენს. ერთი მხრივ, იგი „გიგანტთა მკვლელი“ (Gigantofono – XLV, 171), „ინდოთა მმუსვრელია“ (jIndofono – XVI, 400), მეორე მხრივ, კი „ზარმაცი“ (akinhto – XLVIII, 140), „გამოუცდელი თავხედი“ (apeiromopho – XVII,

276) და „სუსტია” (*apτοιεμο~* – XX, 228). ბაკქოსი ხან გააფთრებული ებრძვის ინდოელებს, ხან კი დროსტარებაში გართულს ერისი ახსენებს და არცხვენს, რომ ნადიმებს გადაჰყვა და ბრძოლა დაივიწყა (XX, 43-95). საფიქრებელია, რომ ნონოსთან მეტრძოლი ღმერთის სახის გაორება ტრადიციული (იგულისხმება პომეროსის პოემები) და გვიანანტიკური წარმოდგენების შერწყმამ გამოიწვია. პომეროსთან დიონისე მშიშარა ღმერთია (II. VI, 133-137). გვიანანტიკურ ხელოვნებაში (მოზაიკა, ფერწერა) კი წარმოდგენილია, როგორც უდიდესი გმირი, მებრძოლი და ტრიუმფატორი ღმერთი. ჩანს, ღმერთის იკონოგრაფიულ გამოსახულებაზე გავლენა ალექსანდრეს გმირულმა ცხოვრებამ მოახდინა.

აშრომში ცალკე საკითხად გვაქვს გამოყოფილი დიონისეს „საბრძოლო” ატრიბუტიკა. ესენია: ვაზი, თირსოსი, ღვინო, შუბლზე ან ხელზე შემოხვეული გველი და სუროს ფოთლები. მათ რიცხვს ემატება დიონისეს ყვირილი, რომელიც ათი ათასი მეომრის ყვირილს უდრის და მეტამორფოზები, რომელიც ღმერთის მნიშვნელოვანი იარაღია მტერთან ბრძოლაში. ბაკქოსის „საომარი” იარაღები ისევე უჩვეულოა, როგორც მისი ბრძოლის მანერა: ის და მისი ამაღლა ცეკვით ამარცხებენ კბილებამდე შეიარაღებულ ინდოელებს.

ასევე ყურადღება გავამახვილეთ პოემაში წარმოდგენილ დიონისეს გარეგნობაზე, რომლის უმთავრესი ნიშნებია: „გაშლილი კულულები” (*apholka bostruca* – X, 174), „ნაზი კანი” (*aphal o~ crw~* – XVII, 185), „ოქროსფერი ომა” (*crusea bostruca* – XXXI, 3; XXX, 253), „თოვლივით თეთრი დაწვები” (*cioneksi parhiszi* – XXXI, 3) და „თეთრი თითები” (*leuka; daktula ceirwn* – XII, 202). მის განუყრელ ატრიბუტებს – ნებრისს, ხავსითა და გველებით დაწწულ გვირგვინს, ლომებითა და ჯიქებით შებმულ ეტლს, ემატება ასევე „ხარის რქა” (*boo~ kera~* – XII, 203; XVII, 110-112), რომელსაც დიონისე ღვინის სასმისად გამოიყენებდა და „მეწამული ფეხსაცმელი” (*porfurevi~ koqornoi~* – XIV, 237; XVIII, 200).

როგორც ჩანს, „დიონისიაკაში” ბაკქოსის გარეგნობის უმთავრესი ნიშანი – მისი ქალურობა დაცულია. თუმცა, ზოგჯერ ნონოსი მას ახალგაზრდა მამაკაცისთვის დამახასიათებელი ძალითა და ენერგიით წარმოგვიდგენს. ღვინის ღმერთის გარეგნობის გაორებაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ გვიანანტიკურობაში მისი სახე ალექსანდრე მაკედონელთან გაიგივდა, ანტიკურ საბერძნეთში კი დიონისეს ქალის მსგავს ღმერთად მოიაზრებდნენ. გარდა ამისა, „დიონისიაკაში” ქალური ბაკქოსის წარმოდგენით ნონოსი უკვდავყოფს ღმერთის

ტრადიციულ სახეს, რომელიც არღვევს სქესობრივი დაპირისპირების ჩარჩოებს და ბერძნული მითოლოგიის სხვა დმერთებისგან (ზევსი, აპოლონი და ა. შ.) სრულიად განსხვავებული იერსახით წარმოგვიდგება. ის ქალური დმერთია, თუმცა შუბლზე ან წელზე შემოხვეული გველი ფალიკური სიმბოლიკის მატარებელია.

პოემაში დიონისე, უპირველეს ყოვლისა, დვინის დმერთია. ნონოსი ძალიან ლამაზ ისტორიას გვიყვება, სადაც ბაქტოსა და ლვინოს ერთმანეთთან სიყვარულის ძალით აკავშირებს. ამპელოსი, იგივე ვაზი ხომ დიონისეს მიჯნური ჭაბუკია, რომელიც სიკვდილის შემდეგ, ბაქტოსის ვედრებით, მსხმოიარე ვენახად გადაიქცევა. გარდა იმისა, რომ მოგვიანებით ამპელოსის სიკვდილი დიონისეს პატივსაცემად გამართულ მისტერიებში დაჭყლებილი ყურძნის მარცვლების პირველსახედ გადაიქცა, ბაქტოსისა და ამპელოსის სიყვარულში ნონოსი დიონისეს კულტის უმთავრეს იდეას აცოცხლებს, რაც შესაძლებლობას იძლევა, სიცოცხლის გადამეტებული სიყვარულის წყალობით, დამარცხდეს სიკვდილი. დაჭყლებილი ამპელოსი გამოხატავს სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის, მათი მონაცვლეობის იდეას.

დიონისე, როგორც მითისა და მისტერიული რელიგიის პერსონაჟი „დიონისიაკას“ ყველა სახის, სიუჟეტის თუ ამბის მსგავსად, გაორებულია. ბაქტოსი მოკვდავი ქალისა და ლმერთის პირმშოა, რაც განაპირობებს მის პარადოქსულ დუალობას, ხსნის ლმერთის უწვეულო ბედისწერას და მასთან დაკავშირებულ უამრავ მითიურ ისტორიას. ამავდროულად ნონოსი დიონისეს უნარჩუნებს ყველა იმ თვისებას, რაც დამახასიათებელია ნაყოფიერებისა და ვეგეტატიური ბუნების ლმერთისთვის ანტიკურ მითებში. პოეტი მიჰყვება შემდეგ მითოლოგებას: ლვთაებრივი ბავშვი შობა დედამ, ანუ, დედამიწამ, თუმცა, მალე აღსაზრდელად ის სხვებს გადააბარა. სიჭაბუკეში ის კვდება ან კლავენ. დიონისეს დაბადება, ზრდა და სიკვდილი (ძაგრევსის შემოხვევაში) სიცოცხლის ციკლური ცვალებადობის სიმბოლოა. გარდა ამისა, ის დევნილი ლმერთია და ყოველთვის უცხოს სახითაა წარმოდგენილი. მას ყოველთვის უხმობენ, ისიც უეცრად ჩნდება და ქრება. იგი ნაყოფიერების ლვთაებაა და სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის სიმბოლო. მისი უეცარი გაჩენა და გაუჩინარება საიქიოში ჩასვლასა და იქიდან კვლავ დაბრუნებას ნიშნავს. მისი კულტის უმთავრესი მახასიათებელია მანია, რომელსაც ხან უბედურება, ხანაც ბედნიერება მოაქვს. დიონისე იღვწის ოლიმპოსზე ადგილის დასამკვიდრებლად, სწორედ ამიტომ მიემგზავრება ინდოთა წინააღმდეგ

საბრძოლველად. ის დვთაებაა, თუმცა, იმის გამო, რომ დედით მოკვდავია, ანდა იმის გამო, რომ მისი კულტმსახურება უწვევლოა ხალხისთვის, ისევე როგორც დამათრობელი დვინო, თავისი დვთაებრიობის დასაბუთება უწევს. მძიმე გზის გავლის შემდეგ დიონისე თლიმპოსზე მკიდრდება, თუმცა, ყოველთვის თან სდგვს ის გაორება, რაც მის უკვდავებასა და მოკვდაობას შორის მერყეობს: ის ბედნიერებისა და უბედურების მომტანი დმერთია; სასტიკია, თუმცა, ამავე დროს მხიარულებასა და ყოველდღიური საზრუნავის განქარვებას აღუთქვამს თავის მიმდევრებს. ის, მამაცი მებრძოლია, მაგრამ ამავე დროს – მშიშარა. შესაძლოა, სწორედ დიონისეს ამ გაორებულ ბუნებას ბაძავს ნონოსი, როდესაც ქმნის თავის პოეზიას. გაორება ხომ მისი პოეზიის უმთავრესი მახასიათებელია და პოემის თითქმის ყველა ასპექტში შეიმჩნევა.

ნაშრომის ერთ-ერთი თავი მიგუმდვენით დიონისეს მეტამორფოზებს. საერთოდ, გარდასახვების მოტივი მთელ პოემას გასდევს და ნონოსის სტილის თავისებურების ერთ-ერთი გამოხატულებაა. „დიონისიაკას” პირველივე სტრიქონებიდან პოეტი დახმარებისათვის მიმართავს არა მარტო მუზებს, არამედ მრავალსახიან პროტევსსაც. განვიხილეთ რა დიონისეს თითოეული ეპიფანია, მათი სიმბოლური და მეტაფორული მნიშვნელობები, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნონოსი ნაწილობრივ მიჰყვება იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით პროტევსისეული გარდასახვანი გარკვეულ თავდაცვით იარაღს წარმოადგენენ თრთაბრძოლის ან თავდასხმის დროს. ამასთან, თითოეული ეპიფანია დმერთის შინაგანი ემოციების, რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში მისი განწყობის გამომხატველია. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი დმერთის მეტამორფოზა, გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობების მიუხედავად, მეტაფორებს წარმოადგენენ და პოეტის მხატვრული სამყაროს დემონსტრირებას ახდენენ (მაგ., ტანი, კვიცი, დათვი, ჯიქი, ვეფხვი). თუმცა, ნონოსი აგვიწერს დიონისეს ისეთ გარდასახვებსაც, რომლებიც უკვე სიმბოლოებად გარდაქმნილ მეტაფორებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთებია: ხარი, გველი, ლომი, ხე, ცეცხლი და წყალი. მათ შორის ხარი, გველი, ლომი და ხე ანტიკურ ბერძნულ მითებსა და ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ დიონისეს სახე-სიმბოლოებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება დიონისეს მეტამორფოზების სიმბოლიკას, აღსანიშნავია, რომ ნონოსი დვინის დმერთის გარდასახვების ჩამოთვლას იწყებს წყლით, რასაც მოსდევს ცეცხლი. რაც შეეხება ოთხი ელემენტიდან დანარჩენ თრს – ჰაერსა და

მიწას, პოეტი მათზე მხოლოდ მიგვანიშნებს, როდესაც მოგვითხრობს დიონისეს გველად და ხედ გარდასახვაზე. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დიონისე ნონოსთან ოთხივე ელემენტის სახეს იღებს და შესაბამისად, ყოველივეს საწყისად მოიაზრება. მისგან დასაბამს იღებს ყველა სხვა დანარჩენი ფორმა და სახეობა. გარდა ამისა, ხე სიმბოლურად უკავშირდება სამყაროს ტრიქოტომურ მოდელს. შესაბამისად, დიონისეს ხედ გარდასახვა გვაუწყებს დმერთის კავშირზე სამყაროს სამივე სკნელთან. ხე ასევე უძველესი დროიდან ნაყოფიერების ერთ-ერთი სიმბოლოთაგანი იყო. იგი ასოცირდებოდა ცხოვრების უწყვეტ რიტმთან, მის უწყვეტ ენერგიასთან, რადგან ყვავის, ნაყოფს გამოიდებს, ჭკნება და ქვდება. ცხოვრების სწორედ ამ უწყვეტ ენერგიასთან პქონდა კავშირი დიონისეს, რომელსაც ბერძნულ ხელოვნებაში ამქვეყნად ყველა მცენარისა და ნაყოფის აღმოჩენა მიეწერებოდა.

ჩვენი მოსაზრებით, ძალიან საინტერესო სიმბოლიკა გააჩნია ცეცხლს, როგორც დიონისეს ეპიფანიას. გარდა იმისა, რომ პოემაში დიონისე ცეცხლის სახეს იღებს, მას შეუძლია ხელით შეეხოს ცეცხლს, მას ცეცხლი არ ვნებს*. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ დიონისე ცეცხლში შობილია. დიონისეს სწორედ ეს უნარი ამჟღავნებს მის ღვთაებრიობას. ცნობილია, რომ რიტუალებში ცეცხლში გამოწროობის შედეგად მიიღწეოდა უკვდავება. სემელეც ხომ მას მერე, რაც ზეციურ ცეცხლში დაიფერფლა, იქცა უკვდავად და ოლიმპოსზე დამკვიდრდა. პოემაში დიონისე ცეცხლის ოსტატია, შესაბამისად, ის განახლების, შეუქცევადი ცვლილებების და კულტურული პროგრესის გამომწვევი ძალის მატარებელი ღმერთია.

დიონისეს სიმბოლო-მეტამორფოზაა ასევე ხარი. პოემაში ხშირად ბაკქოს „ხარის სახიანია”** და „რქიანი ღმერთი”***. დიონისეს ხარად გარდასახვა ღმერთის ძალის, მამაკაცური პოტენციისა და ღვთიური ძალაუფლების სიმბოლოა. დიონისეს რქები კი ღმერთის სასიცოცხლოდ აუცილებელ ძალებთან კავშირზე მიანიშნებენ. რაც შეეხება ლომის სიმბოლიკას, ის მებრძოლი ღმერთის მრისხანებას, შინაგან ძალებისა და შეუპოვრობის დემონსტრაციას უკავშირდება.

* IX, 63-64; IX, 73; XXI, 222-23, 260; XXIV. 13; XXVII, 57; XXXI, 45; XXXIV, 219; XXXV, 281; XXXIX, 167; XLIII, 148, 176; XLVII, 622-23, 677; XLVIII, 843;

** XI, 151; XXI, 201; XV, 31; VI, 205.

*** XX, 314; XVIII, 95; XXV, 232.

დიონისეს დანარჩენ ცხოველებად გარდასახვა ღმერთის სხვადასხვა თვისების გამოხატულებაა. (მაგ., შეუპოვრობის (ჯიქი), აგრესიულობის (ტახი), სექსუალობის (დათვი), სისწრაფისა და სილამაზის (ვეფხვი), ახალგაზრდობის (კვიცი).

ნაშრომში ცალკე გამოვყავით შეყვარებული დიონისეს მეტამორფოზები. თუ ბრძოლისას გაშმაგებული ბაქტოსი მრისხანე ცხოველებად გარდაისახება, შეყვარებული დიონისე ჩიტად, ხარად და ოქროსფერ წვიმად გარდასახვაზე ოცნებობს. ცნობილია, რომ ჩიტი, ხარი და წვიმა შეყვარებული ზევსის მეტამორფოზებს წარმოადგენენ. პოემის ამ პასაჟში კი, უპირველეს ყოვლისა, დიონისეს სულიერ განწყობასა და ემოციებს გამოხატავენ, შესაბამისად, ღმერთის მეტაფორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ნედია იმის თქმა, ნონოსის პოეზიაში სიმბოლო დომინირებს, თუ მეტაფორა. ვფიქრობთ, რომ „დიონისიაკაში“ თანაბრად ერწყმის ერთმანეთს ეს ორი ელემენტი, რაც ნონოსის განსაკუთრებული მანერის მაჩვენებელი უნდა იყოს. ქრისტიანულ ლიტერატურას სიმბოლიზმი ახასიათებს, ანტიკურ ლიტერატურაში კი უკვე დრამაში შეინიშნება მეტაფორული მეტყველება. ჩვენი აზრით, სიმბოლური და მეტაფორული გამომსახველობითი ხერხების თანაარსებობა ნონოსის პოეტიკის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა.

რაც შეეხება დიონისე-იაკქოსს, პოემაში მასზე არსებული ინფორმაციის სიმრიის გამო, მოთხოვთ გვაქვს მხოლოდ მისი დაბადების მოკლე ისტორია.

ნაშრომის ერთ-ერთი თავი ეძღვნება სამოთრაკეს მისტერიებს. ნონოსი „დიონისიაკაში“ ამ იდუმალებით მოცულ კუნძულთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, რაც ძალიან საყურადღებოა. მით უმეტეს, რომ სამოთრაკე და მასთან დაკავშირებული მისტერიები ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და შეუსწავლელი უბანია ანტიკურ კულტურაში. ვფიქრობთ, „დიონისიაკაში“ აღწერილი ფინიკიელი კადმოსის მოგზაურობა სამოთრაკეზე მოგვითხობს და მიგვანიშნებს მის მონაწილეობაზე კუნძულის მისტერიებში. ამას გარდა, პოემაში აღწერილი ელექტრას სასახლე, რომელიც სამოთრაკეზე მდებარეობს, ძალიან ჰგავს კუნძულზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხოვების შედეგად აღდგენილ საკულტო შენობათა აღწერილობას.

პოემის ამ პასაჟის დეტალურად განხილვის საფუძველზე გამოვყავით სამოთრაკეს რიტუალის სავარაუდო საფეხურები: კორეს ძებნა (ამ შემთხვევაში

ჰარმონიასი), ნადიმი (რომელიც იმართება ელექტრას სასახლეში), ქურუმთან გულახდილი საუბარი, ანუ განდობა (ელექტრასა და კადმოსის დიალოგი), წინასწარმეტყველება (როდესაც ელექტრა ურჩევს კადმოსს მიბაძოს დარდანოსს და უცხო მხარეში ააგოს ქალაქი), ღვთავბრივი ნეფისა და დედოფლის შეუღლება (კადმოსისა და ჰარმონიას ქორწილი). როგორც ვიცით, ზევსის ნებით, კადმოსს სამყაროში ჰარმონიას, ანუ წესრიგის განახლება ეკისრება. ფინიკიელი გმირი ქალწული ჰარმონიას საძებნელად მიემართება უცხო მხარეში. ამ ძიების მიზანია ჰარმონიას ცოლად შერთვა და სამყაროში ჰარმონიულობის აღდგენა. „დიონისიაკაში” კადმოსი ორივე მიზანს აღწევს: ქორწინდება მშვენიერ ჰარმონიაზე, ხოლო სამყაროს ჰარმონიულობის აღდგენასა და დაცვაში კადმოსის მონაწილეობა გამოხატულია მის მიერ ქალაქის დაარსებით, რაც ნონოსის მოსაზრებით ჰარმონიულობისა და კოსმოსის გამოხატულების უმაღლესი ფორმაა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, კადმოსის მომავალი წარმატებული მოგზაურობის მიზეზი სწორედ ამ კუნძულის მისტერიებში მონაწილეობის მიღებაა, მით უმეტეს, რომ კუნძულის დიასახლისი ელექტრა კადმოსს თავიდანვე ურჩევს მიბაძოს დარდანოსს, რომელიც ამავე კუნძულიდან გამგზავრების შემდეგ გადაურჩა წარდვნას და დაარსა ქალაქი დარდანია.

გარდა ამისა, ნონოსის მიხედვით, აშკარაა, რომ მისტერიებში მონაწილეები პატივს დიდ დედას მიაგებენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, სამოთრაკეს მისტერიებში განდობილები ეზიარებოდნენ ისეთ დიდ საიდუმლოს, როგორიცაა მჭედლობის ხელოვნება. ძველ ხალხთა წარმოდგენით, მეტალს სწორედ დედამიწა, ანუ ღვთაება დიდი დედა, ანიჭებს ხალხს. საფიქრებელია, რომ ნონოსის მინიშნებით, კუნძულზე გამართულ მისტერიებში მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მეტალურგიის საიდუმლოს შეცნობა იყო. კადმოსიც, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, სამოთრაკეს მისტერიებში იღებს მონაწილეობას, ეზიარება მეტალურგიის საიდუმლოს, რომელთან ზიარების გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა შვიდკარიბჭიანი ქალაქ თებეს აგება. გარდა ამისა, მისტერიებში მონაწილეობა მორწმუნებს ზღვაზე უსაფრთხო მოგზაურობასაც აღუთქვამდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნონოსი თავისი პოემის ფაბულად იყენებს მითოსურ სიუჟეტებს. მითოსური მოდელები, სახეები და სიმბოლოები კი ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში პირდაპირ თუ ფარულად იჩენს თავს. „დიონისიაკაში”, ვფიქრობთ, ავტორი მითოპოეტურ მოდელებსა და სახე-სიმბოლოებს იყენებს

როგორც ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად. პოემაში აშკარად გამოკვეთილი მითოპოეტური მოდელია – კოსმოგონიური მითი. მისი არსი ქაოსის კოსმოსად გადაქცევის პარადიგმატულ ქმედებაში აისახება. ეს მოდელი დომინირებს „დიონისიაკაში“ აღწერილ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ისტორიის, მითიური სიუჟეტის თუ სხადასხვა საგნის სტრუქტურაში.

განვითარებულ მითოლოგიურ სისტემებში სამყაროს შექმნაში იგულისხმება ქაოსის კოსმოსად გადაქცევა. „დიონისიაკაში“ ქაოსი სხვადასხვა ფორმითად წარმოდგენილი. ხშირად ის გაიგივებულია წყალთან ან წარდგნასთან, რაც განპირობებულია წყლის პირველქმნადობაზე არსებული წარმოდგენებით. შესაბამისად, წყლის ზედაპირიდან მიწის წარმოქმნა ქაოსიდან კოსმოსის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ნონოსი წარდგნასთან ერთად ქაოსს ასევე აიგივებს ხანძართან. ქაოტური ძალები „დიონისიაკაში“ წარმოდგენილნი არიან დემონური არსებებისა და ხორცური ურჩხულების სახით, რომელთა დამარცხება გაიგივებულია კოსმოსის ქაოსზე გამარჯვებასთან.

„დიონისიაკას“ დასაწყისში ქაოტური ძალების პერსონიფიკაციას წარმოადგენს ტიტანი ტიფონი, რომელიც სამყაროში გაბატონებისათვის ებრძვის ზევსს. იგი „თავდაყირა“ დაყენებს სამყაროს: ქაოსია ზღვაში, ხმელეთსა და ზეცაში. ტიფონი თავისი გარეგნობითაც ანომალიურია: საშინელი, მრავალთავიანი არსებაა, რომელსაც ფეხების ნაცვლად გველები აქვს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ქაოსის დასაძლევად დიდ როლს ასრულებს ესთეტიური კრიტერიუმი, რომლის მიხედვით სხეულის პარმონიულობა პირდაპირ კავშირშია სამყაროს პარმონიულობასთან. ზევსს საშინელი ურჩხულის დამარცხებაში და სამყაროს პარმონიულობის შენარჩუნებაში ფინიკიელი გმირი – კადმოსი ეხმარება. ამ ეპიზოდში ნონოსი კოსმოგონიური მითისთვის დამახასიათებელ შემდეგ მოდელს ეყარება: ღმერთი გმირის უშუალო მონაწილეობით ებრძვის დრაკონს, რომელიც ქაოსისა და დესტრუქციული ძალების სიმბოლოა.

თუკი პოემის დასაწყისში ზევსი კადმოსის დახმარებით ამარცხებს ტიფონს, „დიონისიაკაში“ აღწერილი ბაკქოსის შერკინება მდინარე პიდასპთან ასევე შეიძლება ავხსნათ, როგორც სიკვდილთან და ქაოსურ ძალებთან ბრძოლა. ეს პასაჟი ეხმიანება „ილიადაში“ აღწერილ აქილევსსა და მდინარე სკამანდროსს შორის გამართულ ბრძოლას (II. XXI, 1-384). ჩვენი მოსაზრებით, პოემის ეს

მონაკვეთი „დიონისიაკას” თავისებურ კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. ამ ეპიზოდში დიონისე თავად არის კოსმოგონიური აქტის მონაწილე: სწორედ ამ ბრძოლაში იგი იკავებს კოსმიურ სივრცეს. რადგანაც დიონისეს ინდოელებზე გამარჯვება ბედისწერის მიერ წინასწარ განსაზღვრულია, თუნდაც შვიდი წლის შემდეგ, იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას კოსმიურ წესრიგს, პერა იძულებულია კომპრომისზე წავიდეს და საკუთარი რძით გზა გაუხსნას დიონისეს თლიმპოსაკენ. სწორედ პიდასპონ გამარჯვების შემდეგ დვინის ღმერთი წარმატებით დაამარცხებს ინდოელებს და თლიმპოსზე დაიმკვიდრებს ადგილს. მისი ახალი სახე სიმბოლურად მესამე დიონისეს, ანუ იაკქოსის შობაშია გამოხატული.

ადსანიშნავია ასევე, რომ „დიონისიაკაში” კოსმოგონიურ მითებს სამყაროს განახლების ფუნქცია აქვს. ნონოსი პოემაში სამჯერ აგვიწერს სამყაროს გამანადგურებელ ხანძარსა და წარდვნას: 1. როდესაც ტიფონი დაეპატრონება ქვეყანას; 2. როდესაც დიონისე-ძაგრევსის სიკვდილის გამო განრისხებული ზევსი სამყაროს ჯერ ხანძარს მოუვლენს, შემდეგ კი წყლით დაფარავს და 3. როდესაც დიონისე ებრძვის ჰიდასას, მდინარის გარშემო არსებული ტერიტორია ჯერ წყლით დაიფარება, შემდეგ კი – დიონისეს გაჩენილი ცეცხლით. სამივე სიუჟეტის აღწერის შემდეგ ნონოსი მოგვითხრობს ყველაზე მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, „დიონისიაკას” საკვანძო ეპიზოდებს: 1. დიონისე-ძაგრევსის შობას; 2. მეორე დიონისეს დაბადებას; 3. დიონისეს გამარჯვებას ინდოელების წინააღმდეგ ომში და მესამე დიონისეს, ანუ იაკქოსის შობას.

რადგანაც დიონისე პოემის მთავარი პერსონაჟია, ნონოსი მის შობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, იმდენად, რომ პოემაში მის ყოველ დაბადებას სამყაროს კოსმოგონიური განახლება უძღვის. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დვინის ღმერთის შობა ახალი, ძველისგან სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის დაწყებას გულისხმობს. სწორედ ამის გამო ვფიქრობთ, რომ „დიონისიაკაში” კოსმოგონიური მითი სამყაროს განახლების მითოპოეტური მოდელია. ადსანიშნავია, რომ ნონოსი კოსმოსის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში გადამწყვებ ფუნქციას ეროსს, ანუ სიყვარულს ანიჭებს.

გარდა ამისა, პოემაში ნებისმიერ შემოქმედებით აქტს საფუძვლად კოსმოგონიური მითი უდევს. უპირველეს ყოვლისა, „დიონისიაკაში” ასეთ კოსმოგონიურ აქტად გვევლინება ქალაქის დაარსება. ქალაქის დაარსება, როგორც

შემოქმედებითი აქტი, დაკავშირებულია ასევე გარკვეულ რელიგიურ კულტებთან. ამ პროცესს გააჩნია ისტორიულ-გეოგრაფიული მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ეგვიპტე და ფინიკია – სამოთრაკე – საბერძნეთი). ეს გზა კადმოსის მოგზაურობის ანალოგიურია.

ქალაქი „დიონისიაკაში“ ზეციური კოსმოსის საფუძველზე იქმნება და შესაბამისად, იგი იმეორებს სამყაროს შექმნის პარადიგმას. პოემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია თებე, რომელიც ფინიკიელმა კადმოსმა დააარსა. თებე პირველქალაქია, რომლის დაარსების მითოლოგებაში ჩადებულია მოდელი სხვა ქალაქებისათვის. მისი შვიდი კარიბჭე შვიდ პლანეტარულ ღმერთს ეძღვნება. მისი ქუჩები კი სიმბოლურად ოთხი ქარის ურთიერთსაპირისპირო ქროლვის გამომსახველია. თებეს პროტოტიპად ნონოსი ვარსკვლავიანი ცის გარდა ეგვიპტის თებესაც ასახელებს.

თებეს მსგავსად „დიონისიაკაში“ ერთ-ერთი პირველქალაქია ბეროე. ის ძველთაძველი ქალაქია, რომლის მკვიდრნი უკვდავი არსებები არიან. შესაბამისად, ის საკრალურ დროში არსებობს. პოემაში ბეროე ასევე აფროდიტესა და ადონისის ქალიშვილია, რომლის პატივსაცემად აფროდიტე ქალაქს დაარსებს. ქალწული ბეროე ქალაქ ბეროეს პერსონიფიკაციაა. უძველეს პირველქალაქს განახლება სჭირდება. ნონოსი ამას პოეტური მეტაფორით აღწევს: სიყვარულის ქალღმერთი შობს მშვენიერ ბეროეს „ატიკურ წიგნზე“. ის, რომ სწორედ აფროდიტეა მისი დედა, ქალაქის სიძველეზე მიუთითებს, ხოლო ის კი, რომ ბეროე სწორედ „ატიკურ წიგნზე“ იბადება, ქალაქის ახალი მნიშვნელობის სიმბოლურ დაბადებაზე მიგვანიშნებს.

აღსანიშნავია, რომ პოემაში ქალაქის დაარსების კოსმოგონიური აქტი ყოველთვის პიეროგამით იწყება: ზევსისა და ევროპეს, ასევე კადმოსისა და პარმონიას შეუდლება წინ უძღვის თებეს დაარსებას. იგივე ხდება ბეროეს შემთხვევაშიც: მის სიყვარულში ერთმანეთს დიონისე და პოსეიდონი ეპაექრებიან, თუმცა, გამარჯვებას ზღვის ღმერთი მოიპოვებს. პოსეიდონისა და ბეროეს პიეროგამია წარმოადგენს ქალაქი ბეროეს დაარსების საწინდარს. ქალაქის დაარსება კი მითოლოგიაში თითქმის ყოველთვის სამყაროს გადარჩენის აქტს უკავშირდება.

ამასთან, „დიონისიაკაში” ბაკერისისა და პოსეიდონის პაექრობის მიზეზი, როგორც ქალწული ბეროვ, ისე ქალაქი ბეროვა. ამ პასაუში აშკარად გამოიკვეთება ქალისა და ქალაქის გაიგივებისა და მისთვის ბრძოლის მითოეპიკური მოდელი.

„დიონისიაკაში” შექებულ ქალაქებს შორისაა კადმოსის მშობლიური ქალაქი ტიროსი (ფინიკიაში), რომლის აღწერისას ნონოსი სცილდება ეპიკურ ტრადიციებს. მისი ნოვატორობა იმაში მდგომარეობს, რომ ტიროსის ცენტრი არა სასახლის ზღაპრული კომპლექსია, არამედ – ასტროქიტონის სამყოფელი, რომელიც არა მარტო „ტაძარია” (იჩიფ – XL, 412), არამედ – სასახლეც (domo – XL, 367).

ტიროსი პოემაში მეტაფორულად ქალთანაა შედარებული. ის ერთდროულად წარმოდგენილია ქალწულის, ცოლისა და დედის სახით. მისი ღვთაებრივი ქმარი კი ისევე, როგორც ბეროეს შემთხვევაში, პოსეიდონია. ქალაქი-ქალის ამგვარი მითოპოეტური სახე აღმოსავლური და ბერძნული წარმოდგენების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, ტიროსის, როგორც ქალის, და ზღვის, როგორც მამაკაცის, კავშირი სიმბოლურად ქალაქში მიწათმოქმედებისა და ზღვაოსნობის თანაბრად განვითარებაზე უნდა მიანიშნებდეს. და ბოლოს, თებეს მსგავსად ქალაქი ტიროსიც ზეციურის მოდელზეა შექმნილი (XL, 313; XL, 351).

გარდა ქალაქებისა, „დიონისიაკაში” აღწერილი თითქმის ყველა სასახლე კოსმოსის პარადიგმატულ ასახვას წარმოადგენს. მაგალითად, ჰარმონიას სასახლე მიკროკოსმოსია, რომლის ოთხი კარი სამყაროს თოხი მხარის სიმბოლოა. ნაშრომში დეტალურად გვაქს განხილული თითოეული კარის აღმნიშვნელი სახელის სიმბოლური მნიშვნელობანი. სამყაროს მოდელის მიხედვითაა შექმნილი სტაფილოსის სასახლეც, რომელიც „ჭრელია”, ისევე როგორც ვარსკვლავიანი ზეცა ნონოსის პოეზიაში.

ქალიან საინტერესოა „დიონისიაკაში” აღწერილი ელექტრას სასახლე. მას, ისევე როგორც ყოველივეს ნონოსის პოეზიაში, ჰყავს თავისი ორეულები, ანუ ანტიტიპები. ესენია ალკინოოსის სასახლე („ოდისეა”) და აიეტის სასახლე (აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა”). ამ სამი სასახლის საოცარი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ძველთაგანვე ჩამოყალიბებული იყო სასახლის გარკვეული მოდელი, რომელიც იმეორებდა მაკროსამყაროს მოდელს. ზემოთ მოხსენიებული სამივე სასახლის აღწერილობაში პოეტები უურადღებას ამახვილებენ შემდეგზე: უპირველეს ყოვლისა, ისინი ღვთაების მიერ არიან შექმნილნი; მათ აქვთ გუმბათი – ცის თაღის სიმბოლო, ოთხი კედელი ან ოთხი კარი, რაც სიმბოლურად სამყაროს

ოთხ მხარეს გულისხმობს, მარმარილოთი და სხვადასხვა ფერებით მოპირკეთებული იატაქი – იგივე მიწა. განათებულნი არიან როგორც მზის, ასევე მთვარის სინათლით. გარდა ამისა, მათ აბრწყინებს ხელოვნების შუქი.

ელექტრას სასახლეს ირგვლივ ბაღი აკრაგს, რომელიც ასევე კოსმოსის მოდელის მიბაძვითაა შექმნილი. ბაღი, როგორც ქალაქი, ტაძარი, თუ მთა ძველი ჯულტურების ცნობიერებაში „სამყაროს ჭიას“ წარმოადგენს. მასთან მიახლოება ნიშნავს აბსოლუტთან და წმინდასთან მიახლოებას, რაც განდობის, ანუ წმინდასთან ზიარების ტოლფასია. ამიტომაც „სამყაროს ჭიაძიდან“ იწყება ყოველგვარი ქმნა და იდევნება ქაოსი. წარდგნა, რაც ქაოსის რეაქტუალიზაციაა, ვერ ერევა მთის მწვერვალებს, იგივე ქალაქს, ტაძარსა და ზეციურ ბაღს, რომელიც ყოველივე მეორეული შემოქმედების ცენტრს წარმოადგენენ.

შეიძლება ითქვას, რომ ზეცის მოაზრება, როგორც ნიმუშის, პარადიგმის მიწიერი წმინდა ქალაქისათვის, ასახავს ახლო აღმოსავლეთის ხალხთათვის საზოგადოდ ჩვეულ წარმოდგენებს, რომელთა მიხედვით, ყოველივე მიწიერი – ქვეყნები, ქალაქები, ტაძრები, განსაკუთრებული მნიშვნელობის საგნები – ზეციური მოდელის მიხედვით იქმნება. ზეციურის მოდელზე შექმნილ საგანთა რიცხვს „დიონისიაკაში“ მიეკუთვნება პეფესტოს მიერ შექმნილი საოცარი ნივთები – დიონისეს ფარი და პარმონიას ყელსაბამი.

დიონისეს ფარი „ზეციურმა ხელებმა“ შეასრულებს. მის ცენტრში მოქცეულია მიწა და ზღვა, ვარსკვლავიანი ზეცა ოქროს მზითა და ვერცხლის მთვარით, ასევე უამრავი თანავარსკვლავედით. კოსმოსის ძირითად შემადგენელ ნაწილებს კი მოჰყვება ქალაქის გამოსახულება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე მიკროკოსმოსს, ანუ ზეციური სამყაროს მიწიერ ასახვას წარმოადგენს. გარდა ამისა, ავტორი სხვადასხვა სცენებით ამკობს პეფესტოს ნამუშევარს, რათა ფარის აღწერილობის დასაწყისშივე ნახსენებ ეპითეტს „მრავალფერს“ (388) მნიშვნელობა არ დაეკარგოს. დიონისეს ფარი ჭრელია, ანუ მრავალფერია ისევე, როგორც პოემაში მრავალგზის აღწერილი ვარსკვლავიანი ზეცა.

ჭრელია პარმონიას ყელსაბამიც, რადგან მას გველის ფორმა აქვს. გველი გაორებულია: მას ორი თავი აქვს. გველის ზურგი ვარსკვლავიან ზეცასთანაა შედარებული. გველის თავებს შორის მოქცეული ოთხფრთიანი ოქროს არწივი ნონოსისთვის სამყაროს პარმონიულობის ცენტრს წარმოადგენს. არწივის ოთხი ფრთა სამყაროს ოთხი მხარის სიმბოლოა. მის გარშემო მოთავსებული ორთავიანი

გველი კი ქაოსური წყლის სივრცეს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად ემუქრება სამყაროს პარმონიულობას. სავარაუდოდ, არწივის თითოეული ფრთის ცენტრში მოთავსებული ძვირფასი ქვების სიმბოლიკა სამყაროს ოთხ ელემენტს უკავშირდება: ფერით შავი იასპისის ქვა გაიგივებულია მიწასთან, თეთრი ქვა, რომელიც სელენეს ეძღვნება – ჰაერთან, მარგალიტი – წყალთან, ხოლო აქატი (რომელიც „წითლად დვივის” ინდური ნახშირივით) – ცეცხლთან.

ამგვარად, პარმონიას ყელსაბამი ზეციური სამყაროს მოდელის მისადაგებითაა შექმნილი. იგი მიკროსამყაროს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ცენტრი – ოთხფრთიანი ოქროს არწივი. გველების ხახებს, ანუ საშიშ ძალებს, შორის მოქცეული ეს ულამაზესი ნაკეთობა სიმბოლურად უზრუნველყოფს დანარჩენი სამყაროს პარმონიულობას, კოსმოსის მიერ ქაოსის დაძლევის მარადიულობას. ყელსაბამი ასევე ნონოსის პოეზიის სიმბოლოცაა, რადგანაც მასში პოეტის საყვარელი ყველა მხატვრული ხერხი თუ სტილის განსაკუთრებული თავისებურებაა გამოაშკარავებული. იქნება ეს სიჭრელე, მრავალფეროვნება, გაორება, თუ სიმბოლოების უკიდეგანო სამყარო.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პოეტი ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშად მხელოდ იმას მიიჩნევს, რაც იმეორებს კოსმოლოგიური მითის ძირითად მოდელს და ემსახურება ქაოსის კოსმოსად გადაქცევის პროცესს, ანუ – ისეთ საგანს, რომელიც ზეციურის მოდელზე იქმნება და მის პარადიგმატულ ასახვას წარმოადგენს.

და ბოლოს, ყურადღებას გავამახვილებოთ იმაზე, რომ თავად ნონოსის პოეზიაშიც დომინირებს კოსმოსის აღქმის პოეტური კონცეფცია. პოეტი ცდილობს ქაოტურობას სძლიოს და თავისი პოეზია გარკვეულ წესრიგს დაუმორჩილოს. პოეტს სურს მიაღწიოს სრულყოფილებას მსგავსად პომეროსისა, რომლის პოემები ნონოსის რწმენით, პოეზიის სრულყოფილების პარადიგმაა. ამიტომაცაა კოსმოსის მოდელის მისადაგებით შექმნილი პოეზია „ჭრელი” და „მრავალფერი”. ის, თითქოსდა, ქაოტურია და ყოველგვარ კომპოზიციურ სიმეტრიულობას მოკლებული, თუმცა, პოემის ყურადღებით შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება მკითხველისთვის მასში არსებული თავისებური წესრიგი, თანმიმდევრულობა და კომპოზიციური სიმეტრიულობაც კი. ნონოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პოემა მოცეკვავე ქალწულივით ბზრიალებს და გველივით იგორგლება. ის ლვინოსავით ნელ-ნელა იწმინდება და ქაოტური მდგომარეობიდან კრიალა სითხედ გადაიქცევა, ხანაც

პროტევსის მსგავსად უამრავ სახეს იღებს. ნაწარმოებში გამოკვეთილი თითქმის ყველა სიმბოლო იმავდროულად ნონოსის პოეზიის სიმბოლოც არის. ამიტომაც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნონოსის სიმღერა იგივე დვინოა, იგივე გველია და სარპე, იგივე ცეკვაა, ანდა ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა.

შენიშვნები

¹ „გილგამეშში” 7 სიზმარია. ცნობილია „ილიადაში” აგამემნონის სიზმარი (ცრუ). „დიონისიაკაში” ხშირად რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ჯერ ამა თუ იმ გმირის სიზმარშია აღწერილი, შემდეგ კი – ცხადში (ვრცლად იხილეთ ქვეთავი – „დიონისიაკას” კომპოზიციური თავისებურებანი).

² „ილიადა” მთავრდება ტროვლი ქალების მიერ პექტორის დატირებით, „მაკაბკარატა” – ცოლების მიერ დაღუპული ქმრების დატირებით. თავის მხრივ, დატირება ეპიკური პოეზიის აუცილებელი ატრიბუტია და ის, შესაძლოა, მჭიდროდ უკავშირდება ეპოსის გენეზისის ფოლკლორულ სათავეებს. „დიონისიაკაში” ინდოთა წინააღმდეგ ბრძოლის დამთავრებას მოსდევს ცოლისა და ქალიშვილების მიერ ინდოთა ბელადის დერიდესის დატირება (XL, 113-157).

³ კატალოგები განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ინდური ეპოსისთვის. „ილიადაში” აღწერილია „ხომალდთა კატალოგი”. შემერულ „გილგამეშში” ჩამოთვლილია გილგამეშის ცოლები, შეილები და ა. შ. „დიონისიაკაში” ხონისი გვაძლევს, როგორც დიონისეს მოკვდავ თანამებრძოლთა (XIII, 53-96), ისე – მის უკვდავ თანხმელებთა კატალოგებს (XIV, 17-227). პოემაში მოცემულია ასევე ინდოელ მებრძოლთა კატალოგიც (XXVI, 37-348). მსგავსი კატალოგები, როგორც ჩანს, ყოველთვის იყო ეპიკური პოემის მესიერებაში, რაც მას უადგილებდა სახელებისა და სიუკეტების დამახსოვრებას.

⁴ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბერძნულმა ლიტერატურის ამ ჟანრმა დიდი გზა განვლო. პომეროსის შემდეგ, არქაულ პერიოდშივე, შეიქმნა პერიოდული ეპოსის ნიმუშები. მაგალითად, კიკლიკური პოემები, რომლებიც არა მხოლოდ შინაარსობლივად ავსებდნენ ტროას ომამდელ ამბებს, არამედ ხშირად მის გაგრძელებასაც წარმოადგენდნენ („კიპრიები“, „ეთოპაია“, „ილიონის დაცემა“). შეიქმნა ასევე ეპიკური ციკლები თებესთან დაკავშირებულ მთვებზე: „თებაიდა“, „ოიდიპოდია“, „ეპიგონები“. არქაულ ეპოქაში საგმირო ეპოსის თემებიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო პერაკლეს გმირობანი. იმ ავტორთა შორის, რომელიც პერაკლეზე წერდნენ, უკეთად დიდ უურადღებას „პერაკლეას“ ავტორი, პეისანდროსი იპყრობს. იწერებოდა პოემები არგონავტების მოგზაურობის თემაზე, თეზევსზე და სხვა.

ქვ. წ. VII-VI სს. ლიტერატურაში ვითარდება დიდაქტიკური ეპოსი. მისი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ქსეიოდე, რომელიც სათავეს უდებს, როგორც ცხოვრებისეულ-დიდაქტიკურ, (მაგალითად, „სამუშაონი და დღენი“, ასევე, მჭვრეტელობითი ხასიათის ეპოსებიც (მაგალითად, „თეოგრონია“) (მეოცენერი 1998: 15-18). იქმნება გენეალოგიური ხასიათის პოემებიც, როგორიცაა ქსეიოდეს „ქალთა კატალოგი“, „ფორონისი“. ევმელოს კორინთელის „კორინთიაკა“, რომელშიც ამ ქალაქის პრეისტორია და კორინთის მეფეთა გენეალოგია მოცემული (ლესკი 1990: 132-139, 148-1576).

ბერძნული მწერლობის არქაულ პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე ფილოსოფიური პოემები: მათი ავტორებიდან ცნობილია ქსენოფანე კოლოფონები, პარმენიდე ელევდი და ემპედოკლე (პარმენი 1970: 1141, 782, 382). გარდა ამისა, არქაულ ეპოქაში იწერებოდა რელიგიურ-საკულტო (მაგალითად, პომეროსის ჰიმნები და ორაკულურ-დელფიური პოეზია) და პაროდიული ეპოსი.

კლასიკური პერიოდის დასაწყისში დრამატული ნაწარმოებები ჩრდილაგს ეპიკურს. მიუხედავად ამისა, ტრაგედიისა და კომედიის პარალელურად განაგრძობას არსებობას ბერძნული ეპიკური პოეზია. ამ პერიოდში მითოლოგიურ თემატიკასთან ერთად პოემებში შემოდის ისტორიული თემა და იქმნება ისტორიული ეპოსი. მისი წარმომადგენელია ქოირილოს სამოსელი, რომელსაც ეკუთვნის „სპარსელები“, დაწერილი პეროდოტოსის ნაშრომის მიხედვით. კვლავ განაგრძობს არსებობას სასწავლო-დიდაქტიკური ხასიათის პოემები (ლესკი 1990: 576-582).

ელინისტურ ხანაში წარმოშვა ორი მიმართულება: ერთი დაუინებით იცავს ძველი ეპოსის საჭიროებას, ხოლო მეორე მოითხოვს მცირე პოემების, ეპილიონების წერას. სწორედ ამ პერიოდში იწერება პაოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, რომელიც ეპოსთა შორის პომეროსიდან ხონისამდე სიღიღით გამოირჩევა (ყაუხჩიშვილი 1971: 285-338). მცირე ფორმის ეპოსის – ეპილიონის მომხრე და ამ ჟანრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია კალიმაქოსი, რომელსაც დაუწერია შემდეგი ნაწარმოებები – „ფირფიტები“, „მიზეზები“, „პერაკლე“, „ბერენიკეს ნაწავი“, ასევე ჰიმნები (გორდეზიანი 2005: 201-207).

როგორც ვნახეთ, დაახლოებით ქვ. წ. 700 წლიდან 400 წლამდე ეპოსის ჟანრი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბერძნულ პოეზიაში. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პომეროსის შემდეგ შექმნილი ნაწარმოებების უმეტესობა მოკლებულია ბერძნული ეპოსის ბუნებრიობას, ხოლო მათი ავტორები პომეროსისა და ჰესიოდეს მიერ შექმნილ უდიდეს მოდელთა იმიტატორებად გვევლინებიან. მაგალითად, რ. კ. ჯებბის მიხედვით, ჰემარიტი ბერძნული ეპიკური პოეზია ცოცხლობს ბერძნული ლირიკის აღმოცენებამდე. ხოლო ეპიკური პოეზია, რომელიც მოგვიანებით იქმნება, ეპოსის ფორმას ატარებს და არა – მის სულს (ჯებბი 2006: 39).

⁵ ოომაული ეპოსი თავდაპირველად წარმოადგენდა ბერძნული ეპოსის ადაპტირებულ ვარიანტს. მაგალითად, ლიკიუს ანდრონიკუსმა პომეროსის „ოდისეაზე“ დაყრდნობით შექმნა პოემა. ოომაული ეპოსი თანდათანობით გახდა ორიგინალური, რაც კარგად გამოჩნდა ნევიუსის „პუნიკურ მოქმედი“, ენიუსის „ანალებში“. ეს უკანასკნელი დაწერილია გამართული დაქტილური ჰეგზამეტრით. განვითარების უმაღლეს წერტილს კი, რა თქმა უნდა, მიაღწია ვერგილიუსის „ენეიდაში“ (პამონდი 1970: 795).

⁶ უკელა ხალხების წარმოდგენით მოხეტიალე პოეტი ბრძა უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ ბერძნებს მოუვიდათ აზრად, სიბრძმავე აქესნათ, როგორც შინაგანი განდგომილობის კიდევ ერთი სიმბოლო. ბერძნების იდეალით, პოეტი და ფილოსოფოსი უნდა იყვნენ ბრძები. ბრძა ცხოვრების უკელა უმწეოა, იგი „ამორიცხულია“ ცხოვრებიდან, მაგრამ თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, აღწევს შემოქმედებით თავისუფლებას და ხედავს იმას, რაც არ ხანს. აღმოსავლური ლიტერატურული აზროვნებისთვის ეს იდეალი უცხოა.

⁷ თეოფრასტემ (IV-IIIს.) არისტოტელეს მოწაფემ და ავტორმა ტრაქტატისა „ზნეობრივი ხასიათები“ თანმიმდევრობით დაალაგა ადამიანის ხასიათები. მან აღწერა „მატყუარა“, „ყბედი“, „უსინდისო“, „მეწვრილმანი“ და ა.შ.

⁸ მართალია, „ილიადა“ ცნობილია თავისი სიმწყობით, მის IX სიმღერაში არის ჩართული ეპიზოდი, როდესაც მოხუცი ფენიქსი აქილევს უყვება მელეგრეზე. ამ თხრობის შესავალი საოცრად მოგვაგონებს „მაჟაპარატას“ ჩართული ეპიზოდების შესავლებს. მეორე ჩართული მოთხრობა „ილიადაში“ არის ბელეროფონტექსზე (VI, 155-221), რომელიც კომპოზიციურად ავსებს დროს – ჰექტორის ბრძოლის ველიდან გასვლიდან პრიამოსის სასახლეში გამოჩენამდე (გრინცერი 1971: 154).

⁹ ასევე არაბერძნულ წყაროებს შეიძლება დაუკავშირდეს ეპოსის გმირების მიერ მშვილდის გამოყენება. ფ. დირლემეიერი აღნიშნავს, რომ „ოდისეაში“ ოდისევსი მხოლოდ სამჯერ გამოჩნდება მშვილდით, „ილიადაში“ კი არც ერთხელ (დირლემეიერი 1966: 8-9). ჯერ კიდევ დირლემეიერამდე ზოგმა მეცნიერმა გამოიტქვა მოსაზრება, რომ მშვილდის გამოყენებას პომეროსი ჭეშმარიტი გმირისთვის შეუფერებლად მიიჩნევდა (ბოურა 1955: 19-20), ან მშვილდი არამიწიერი ცივილიზაციის ნიშანი იყო (ბეიქ 1966: 61). „ილიადაში“ პარისს – „მშვილდისრით მსროლელს“ სხვა გმირებისგან განსხვავებით, ცხოველების ტყავი აცვია და მშვილდისრის გამოყენების გამო მას საყვედურობს დიომედესი (XI, 387). ეს დაგვირვებები აისხება იმით, რომ მშვილდი, კერძოდ კი, ოდისევსის მშვილდი – აზიური იარაღია. ის არ იყო პოპულარული ბერძნებს შორის და მათვის მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, რაც დაიწყებს აღმოსავლეთ ეგეიდაში დასახლება (ლორიმერი 1950: 276-278). „დიონისიაკაში“ მშვილდს, როგორც საბრძოლო იარაღს გამოიყენებენ ძირითადად ინდოელები (მაგალითად, დიონისეს ლაშქარსა და ინდოელებს შორის მომხდარი ერთ-ერთი შეტაკების დროს ინდოელი მელანეა დიონისეს თავის მშვილდიდან ესვრის ისარს. ზევსის ჩარევით, ისარი დიონისეს ასცდება და მოხვდება გიმენევს (XXIX, 50-80). თუმცა, როდესაც დიონისეს ერთ-ერთი თანმხლების ოფელტესის დაპრადლვის შემდეგ გაიმართება შეჯიბრი ეტლთა სრბოლაში, გამარჯვებულს ჯილდოდ სწორედ მშვილდი ერგება (XXXVII, 116).

¹⁰ მაგალითად, ნონოსს სურს თქვას, რომ თავლი ისე მოედინება ფიჭიდან, როგორც ფაეთონი ამოღის თეგანის წყლებიდან – ეს შედარებაა, რომელიც ჩვეულებრივი იქნებოდა ყოველი ხალხის ეპოსში, მაგრამ ვნახოთ როგორ აღწერს მას ნონოსი:

„თავლი იღვრება მიწაზე, თოთქოსდა მოედინება ფიჭიდან,
მშრომელ ფუტკართა გონივრული გარჯის შედეგად შექმნილი,
ფოთლებში თავისთავად შობილი დია ფერის სასმელი,
როგორც ფაეთონი, რომელიც ამოღის ოკეანის წრიული წყლებიდან,
დედამიწას დრუბლებით დანესტილ თმებს უშრობს და
ნაყოფისმომცემ ნიადაგს კებავს მაცოცხლებელი სხივით“ (XXVI, 184-189).

¹¹ მასვე მიეწერებოდა გრიგოლ ნაზიანზელის პომილიებზე დართული მითოლოგიური კომენტარების ავტორობა, თუმცა შემდეგ კომენტარების აგტორად ფსევდონონოსი იქნა აღიარებული (ფსევდონონების მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანების ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ა. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთოო თ. ოთხმეზურმა. თბილისი 1989).

¹² მეორე საუკუნითაა დათარილებული ორი სარქოფაგი: ერთზე გამოსახულია დიონისეს ბავშვობა, ხოლო მეორეზე – მისი ტრიუმფალური სვლა ინდოეთში (კრაგელანდი 2003: კატ. 19, 20).

¹³ მაგალითად, მეოთხე საუკუნით თარიღდება ანტინოპოლისში აღმოჩენილი ვუალი, რომელზეც გამოსახულია ტახტზე წამოწოლილი სემელქ, იქვე დგას ფრთიანი ზევსიც (რუსეთისკაია 1990: 28-

29, 82). მეოთხე საუკუნითაა დათარიღებული ასევე ნეა პათოსში აღმოჩენილი აიონის სახლის მოზაიკური გამოსახულება (დასტექები 1985: 35-38).

¹⁴ რისხვის ფუნქციას ეპოსში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. რისხვა ეპიკური გმირების ერთ-ერთი მასასიათებული შერიხია. „იდიადა” თუ აქილევსის რისხვით იწყება, „ოდისეა” ამ თხზულების მთავარი გმირის რისხვით მთავრდება. ოდისევსის სახელის ეტიმოლოგიაც რისხვას უკავშირდება. არისტოტელეს მიხედვით, რისხვა „ავსებს” სულს. რისხვის გარეშე ადამიანი მოდუნებულია, მოშვებული. მის გარეშე ყველაზე მამაციც კი ვერ ჩაიდენს გმირობას ომში. რისხვის გარეშე ვერც ერთ ომს ვერ მოიგებ (ცანავა 2005: 203, 189).

¹⁵ რ. ნიუბოლდმა ნონოსის „დიონისიაკაშა” და კვინტუს სმირნელის „პოსტკომერიკაში” გამოიკვლია გრძნობებისა და აზრების უსიტყვოდ გამოხატვის მაგალითები. რის საფუძველზეც გამოირკვა, რომ კომუნიკაციის ამგვარი ფორმის მიმართ კვინტუს სმირნელის დამოკიდებულება უფრო შეზღუდულია და სტერეოტიპული, კიდრე ნონოსის, რომლის გმირები ძალიან ხშირად გამოხატავენ ემოციებს ჟესტების, მიმიკების, ცეკვების დახმარებით (ნიუბოლდი 1992: 271-283).

¹⁶ ჰქვებარეშეა, რომ ეგვიპტელები, მესოპოტამიის მცხოვრები, ებრაელები და ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხები გრძნობდნენ სამყაროს პერიოდულად განახლების აუცილებლობას. ეს რიტუალი სიმბოლურად იმეორებდა კოსმოგონიაში. მესოპოტამიის ხალხთა რიტუალებში კოსმოგონია მეორდებოდა ახალი წლის ცერემონიაში. გ. ფრანკფორტის სიტყვებით, ყოველი ახალი წელი იმეორებდა შესაქმის პირველ დღეს. ხშირად მითს კოსმოგონიაზე უკითხავდნენ ავადმყოფს და სწამდათ, რომ მას შეუძლია დაეხმაროს სხველს სიცოცხლის თავიდან დაწყებაში.

დაწყებული ბაბილონის ახალი წლის რიტუალიდან და დამთავრებული ქრისტეს ადგიომით, ცხოვრებისეული წესრიგის მოშლა და ამ წესრიგთან დაბრუნება ადამიანის არსებობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. იმისათვის კი, რომ დაიწყოს რაღაც ჰეშმარიტად ახალი, სრულად უნდა განადგურდეს ძველი ციკლი. ყოველ ესქატოლოგიაში ხაზასმულია, რომ სანამ არსებული სამყარო საბოლოოდ არ განადგურდება, მანამ არ განხორციელდება მისი განახლება, რაც ერთადერთი შესაძლებლობაა პირველყოფილი სრულყოფილების მისაღწვად. მითები კოსმიურ კატაკლიზმებზე საყოველთაოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით კი მითები წარდგნაზე, მიწისძვრებზე, ხანძრებსა და ეპიდემიებზე. ესქატოლოგიაში მთავარია არა სამყაროს დასასრული, არამედ რწმენა მისი ახალი დასაწყისისა. ეს განახლება არის განმეორება აბსოლუტური დასაწყისის, ანუ კოსმოგონიის (ელიადე 2000: 26-75).

¹⁷ მამრობითი სქესის ბაგშვი ძლიერი სიყვარულის გამო დედის მიმართ, ხშირად თავის თავს დედისთან აიგივებს, მოგვიანებით მის ცნობიერებაში ერთადერთი ყველაზე თვალშისაცმი ნიშანი, რაც მას განასხვებს დედისგან, არის ფალოსი. სწორედ ამიტომ უსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბაგშვის ქვეცნობიერში არსებობს ფალიკური დედის სახე (ბაგი 1968: 15-36; კოპონი 1987: 213-228).

¹⁸ ნონოსის მკვლევარმა რ. ნიუბოლდმა საინტერესო პარალელები აღმოჩინა ნონოსის პოემასა და თანამედროვე მწერალ ჯ.მ. ბარის ნაწარმოებებში. მეცნიერი „დიონისიაკაში” ფრენის მოგივის, ანუ იკარიანიზმის არსებობის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დიონისე პიტერ პენის მსგავსი პერსონაჟია (ნიუბოლდი 1996: 1-9).

¹⁹ კაბირთა კაგშირს ფინიკიასთან კიდევ ერთხელ დასტურებს ჰეროდოტესიც, რომელიც კაბირებს „ფინიკიურ პატაიკებს” ადარებს. ფინიკიელები პატაიკების გამოსახულებას ათავსებდნენ ტრიერების კიჩოზე, რათა უსაფრთხოდ ემოგზაურათ ზღვაზე (კაპრიდისი 1986: 305).

²⁰ მ. ელიადეს მოსაზრებით, მეტალურგია ერთ-ერთია იმ აღმოჩენათა შორის, რომელთაც დიდი წელილი შეიგანება ადამიანის არსებობის პირობების შეცვლაში. მეტალის გამოყენების მეშვეობით, ისევე, როგორც მიწათმოქმედებისა, ადამიანი აღმოჩენს სხვა კოსმიურ დონეს, რაც ცვლის მის წარმოდგენებს სამყაროს შესახებ.

²¹ წმინდა ყუთთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სკივრში ან ყუთში ინახებოდა სამოს ფორმის საგანი, ფალოსი ან გველი, ან კიდევ გენიტალიის ფორმის ფუნთუშები. მ. ელიადე მიიჩნევს, რომ იქ ინახებოდა არქაული დროის რელიგიები, რომლებიც უკავშირდებოდნენ მიწისმოქმედ საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ სექსუალურ სიმბოლიკას (ელიადე 2002: 271). ყუთი, ანუ სკივრი ჩანს არგონავტების მითშიც: წამალი, რომელიც მედეამ გადასცა იასონს და რომლის მეშვეობითაც შეძლო მან აიეტის დავალების შესრულება, ინახებოდა ყუთში. თუკი ჰეკატეს მოილმობიერებდა ვინმე და ამ წამლით დაიზელდა სხეულს, მას ვერც იარაღი და ვერც ცეცხლი ვერაფერს დააკლებდა. ეს წამალი მზადდებოდა პრომეთეს დაღვრილ სისხლზე აღმოცენებული მცენარისაგან (გორდეზიანი 1999: 32).

²² საინტერესოა, რომ კადმოსს მიეწერება არა მხოლოდ თებეს დაარსება, არამედ ბერძნული ანბანის შექმნა, რომელიც მან ფინიკიურს მიუსადაგა. ფინიკიურში ანბანის პირველი ასო „ალფა“ – ფინიკიურად (aleph) „ხარი“ (ცანავა 2005: 263).

²³ მითი, რომელშიც მოთხრობილია ბეროეს გულის მოსაპოვებლად ღმერთების პაექრობა, სავარაუდოდ, ნონოსის ფანტაზიის ნაყოფია. ოუმცა, შემთხვევითი არაა, რომ ნონოსი თავის ბეროეს ამიმონეს ადარებს. მითოლოგიაში ამიმონე ერთ-ერთი დანაიდაა, რომელსაც სატირის დევნისგან პოსეიდონი იხსნის. ამიმონესა და პოსეიდონის შეუდლებით ქვეყნიერებას მოეფლინება ნავპლიონი, რომელიც არგოლიდის უდიდესი საპორტო ქალაქის დამაარსებელი და ეპონიმი გახდება. სატირი დიონისეს წრის ნაყოფიერების ხოონური ღვთაებაა. პოსეიდონის მეტოქე კი ნონოსთან „სატირთა მეფეა“ (X III, 8). ჩანს, ნონოსი სწორედ ამ არგოსულ მითს ეყრდნობა, როგორც კონსტრუირების ძირითად მოდელს. ხოლო, დიონისესა და პოსეიდონის დაპირისპირება „დიონისიაკაში“ წელისა და ხოონური ღვთაებების პაექრობის ამსახველია (ციბენკო 1983: 62-63).

²⁴ ტილოსს სასიკვდილოდ გაიმეტებს გველი, ხოლო მისი და მორია ევედრება გეას ვაჟს დამასენს შერი იძიოს მისი ძმის სიკვდილზე. დამასენი განგმირავს გველს, მაგრამ ქვეწარმავალს ცოლი გააცოცხლებს ჯადოსნური ბალახის მეშვეობით. მორია ამავე ბალახის საშუალებით შეძლებს სიცოცხლე დაუბრუნოს თავის ძმას (XXV, 451-552).

ბიბლიოგრაფია

ტექსტები:

- არისტოფანე 1962:** Aristophanis, *Comoediae*. F. W. Hall, W. M. Geldart. Tomus II, Oxford University Press, London, 1962.
- არისტოფანე 1993:** Arhstofanh~, Qesmoforiazousai, . , , 1994.
- აპოლონიოს ოდოსეული 1961:** Apollonius Rhodius, *Argonautica*, Ed. H. Fraenkel, Oxford, 1961.
- დემოსთენე 1792:** Demosthenis, *Orationes I-XIX*, Editio F. Blass, Lipsiae, 1792.
- დემოსთენე 1843:** Demosthenis *Orationes (Graecae et Latinae)*, Ed. D. S. Th. Voemelius, Paris, 1843.
- დიოდორე სიცილიელი 1888:** Diodori, *Bibliotheca Historica*, Ed. I. Bekker, L. Dindorf, Vol. I, Lipsiae, 1880.
- ევრიპიდე 1982:** Evripides, *Bacchae*, Edidit E. Ghr. Kopff, Leipzig, 1982.
- ევრიპიდე 1993:** ურიპიდ~, , 1993.
- ევრიპიდე 1993:** ურიპიდ~, *Elenh*, , 1993.
- ევრიპიდე 1993:** ურიპიდ~, *Iwn*, , 1993.
- ევრიპიდე 1983:** Evripides, *Cyclops*, Ed. Werner Biehl, Leipzig, 1983.
- აესქილე 1975:** Aeschyli, *Septem Quae Supersunt Tragoedias*, Edidit D. Page, Oxford University Press, London, 1975.
- ნონოსი 1857:** Nonni Panopolitani, *Dionysiaca*, Recensuit A. Koechly, L. 1857.
- ნონოსი 1940-42:** Nonnos. *Dionysiaca*. With an English Translation by W. H. D. Rouse. Mythological Introduction and Notes by H. J. Rose. Cambridge, Harvard University Press, 1940-42.
- ნონოსი 1996:** Nonno di Panopoli. Parafrasi del Vangelo di S. Giovanni. Canto XX. Introduzione, testo critico, traduzione e commento a cura di D. A., Pisa, 1996.

-
- ნონოსი 1501-1504:** Nonnou poihtou` Panopol itou Metabol h; tou` kata; jlwannhn abiu euaggel iou. Nonni Panopolitani Paraphrasis Evangelii secundum Ioannem Graece, Venetiis, 1501-1504.
- ოპიანუსი 2003:** Oppianus Apameensis Cynegetica, Eutecnius sophistes Paraphrasis metro soluta. Bibliotheca scriptorum graecorum et romanorum, 2003.
- პალადიუსი 1975:** Palladius, Edited by Robert H. Rodgers, Opus Agriculturae, London, 1975.
- პლუტარქე 1971:** Plutarchi, Moralia, Vol. IV. Recensuit et emendavit C. Hubert, Leipzig, 1971.
- პლუტარქე 1971:** Plutarchi, Vitae Parallelae, Vol. III. Recognoverunt Gl. Lindskog Et K. Ziegler, Leipzig, 1971.
- პლუტარქე 1994:** Plutarchus, Alexandre et Caesar, Edidit K. Ziegler. Stutgardiae; Lipsiae: Teubner, 1994.
- სოფოკლე 1992:** Sofokl h~, jAntigonh, . . . , , 1992.
- სოფოკლე 1992:** Sofokl h~, jOidipou~ epi; Kolwnw/, . . . , 1992.
- ჰესიოდე 1869:** Hesiodi, Carminum Reliquiae, Edidit G.F. Schoemann, Erga kai; Hmerai, Berolini, 1869.
- ჰესიოდე 1970:** Hesiodi, Theogonia, Opera et Dies SCVTVM, Edidit F. Solmsen, Oxford University Press, 1970.
- ჰომეროსი 1854:** Homeri, Ilias, Edidit G. Baeumlein, Lip. 1854.
- ჰომეროსი ა 1854:** Homeri, Odyssea. Edidit G. Baeumlein, Lip. 1854
- ქართული თარგმანები:**
- არისტოტელე 1976:** არისტოტელე, პოეტიკა, თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, “საბჭოთა ხელოვნება” №12. 1976.
- აპოლონიოს როდოსელი 1970:** აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმნა აკ. ურუშაძემ, თბილისი, 1970.

-
- ევრიპიდე 1979:** ევრიპიდე, “ბაკხი ქალები”, ძველი ბერძნულიდან თარგმნეს ზ. კიკნაძემ და გ. სარიშვილმა, თბილისი, 1979.
- ესქილე 1978:** ესქილე, ტრაგედიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გ. სარიშვილმა, თბილისი, 1978.
- ვერგილიუსი 1976:** ვერგილიუსი, “ენეიდა”, თარგმანი რ. მიმინოშვილისა, თბილისი 1976.
- ოვიდიუსი 1980:** ოვიდიუსი, მეტამორფოზები, ლათინურიდან თარგმნეს: ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაევანიძემ. თბილისი, 1980.
- პლუტარქე 1979:** პლუტარქე, ალექსანდრე მაკედონელი, თარგმნა აკ. ურუშაძემ, თბილისი, 1979.
- ჰეროდოტოსი 1975:** ჰეროდოტე, ისტორია, თარგმნა თ. ყაუხეჩიშვილმა, გ. I, თბილისი, 1975.
- ჰომეროსი 1979:** ჰომეროსი, “ილიადა”, თარგმანი და კომენტარები რ. მიმინოშვილისა, თბილისი, 1979.
- ჰომეროსი ა 1979:** ჰომეროსი, “ოდისეა”, თარგმნა პ. ბერაძემ, თბილისი, 1979.
- რუსული თარგმანები:**
- არისტოტელე 1957:** , , , ,
- , 1957.
- დემოსთენე 1996:** , III, , ,
- 1996.
- ევრიპიდე 1980:** , , , ,
- , 1980.
- ელიანე 1963:** , , , ,
- , 1963.
- თეოკრიტე 1958:** , , , , , ,
- . . - , , 1958.
- თუქიდიდე 1981:** , , , пер. Г. А. Стратановского, Москва,
- 1981.

- ლუკიანი 1935: Лукиан, Собрание сочинений, Т. 1, пер. и ком. Б. Л. Богаевского, Москва, 1935.

ნონოსი 1997: , 1997.

პავსანიასი 1938: , ,

. I, , 1938.

პლატონი 1971: , , ,

III, . . . : , 1971.

პლუტარქე 1999: , , 1999.

სტრაბონი 1964: , ,

. , 1964.

ჰესიოდე 1927: , , 1927.

ჰესიოდე 1897: , , ,

. , 1897.

ენციკლოპედიები,
ლექსიკონები:

კემბელი 1988: Campbell J., The Power of Myth. [www.online symbolism](http://www.online-symbolism.com) dictionary.

კერლოტი 1967: Cirlot J., A Dictionary of Symbols, Trans. J. Sage, New York, 1967.

მეთცლერი 1998: Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike, 4, Verlag J. B. Metzler Stuttgart –Weimar, 1998.

მეთცლერი 1999: Der Neue Pauly, Enzyklopädie der Antike, 7, J. B. Metzler Stuttgart-Weimar, 1999.

როშერი 1890-1897: Roscher, Ausfuhrl, Lexikon der Griechischen und Romischen Mythologie, Leipzig, 1890-1897.

-
- ვიგი 1968-1975:** Peek Werner, Lexikon zu den Dionysiaca des Nonnos, Bd. I-IV, Berlin, 1968-1975.
- ვრაისი . . . 2003:** The Oxford Dictionary of Classical Myth and Religion, Edited by S. Price and E. Kearns, Oxford, 2003.
- ვრეიზერი . . . 1997:** A Lexicon of Greek Personal Names, Edited by P. M. Fraser and E. Matthews, Vol. IIIA, Oxford, 1997.
- პათონდი . . . 1970:** The Oxford Classical Dictionary, Edited by N. G. L. Hammond and H.H. Scullard. Oxford, 1970.
- პაუერი . . . 1998:** .., .., ..,
, , 1998.
- დემრეცძი 1958:** . ., - , . I,
, 1958.
- დემრეცძი ა 1958:** . ., - , . II,
, 1958.
- ენციკლოპედია . . . 1999:** Энциклопедия символов, знаков, мblems. Москва, 1999.
- მელეტინსკი 1990:** , E. M.
Мелетинский, Москва. 1990.
- მელეტინსკი 2003:** M , , E. M.
Мелетинский, Москва, 2003.
- ტოკარევი 1991:** м , Энциклопедия, . I, . . ,
Москва, 1991.
- ტრესიდდერ 1999:** Тресиддер Дж. , Словарь символов, Москва, 1999.

სამეცნიერო ლიტერატურა:

გამსახურდია 1985:	გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის პულტი, ლიტერატურული ძიებანი. 2. XVII, თბილისი, 1985.
გამყრელიძე . . . 1989:	ფსევდო-ნონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ა. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა. თბილისი, 1989.
გორდეზიანი . . . 2005:	ანტიკური ლიტერატურა, საუნივერსიტეტო კურსი, რ. გორდეზიანისა და ნ. ტონიას საერთო რედაქციით, თბილისი, 2005.
გორდეზიანი 2002:	გორდეზიანი რ., ბერძნული ლიტერატურა, თბილისი 2002.
გორდეზიანი 1999:	ბერძნული მითების სამყარო, არგონავტები, თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა, თბილისი, 1999.
გურჩიანი 1999:	გურჩიანი ქ., დიონისე და მენადები ევრიპიდეს “ბაკქ ქალებში” და მიმართება რიტუალურ მენადიზმთან, (ANAOESIS), თბილისი, 1999.
კვირიკაშვილი 1994:	კვირიკაშვილი ლ., ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1994.
სირაძე 1992:	სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1992.
ურუშაძე 1964:	ურუშაძე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
ყაუხჩიშვილი 1971:	ყაუხჩიშვილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1971.
ყაუხჩიშვილი 1973:	ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. ტ. III, თბილისი, 1973.

-
- შენგელია 1961:** შენგელია ი., ეტრუსკული მითი და მისი მორფოლოგიური პარალელები ამირანის თქმულებაში. თბილისი, უცხო ენათა ინსტიტუტის შრომები, გ. 4, 1961.
- შამუგია 2009:** შამუგია ნ., ბაკერისის მითი ანტიკურ მითოლოგიაში, თბილისი, 2009.
- ცანავა 2009:** ცანავა რ., მეტაფორა, თბილისი, 2009.
- ცანავა 2005:** ცანავა რ., მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები, თბილისი, 2005.
- აბელ-ვილმანსი 1977:** Abel-Willmanns B., Der Erzählaufbau der Dionysiaca des Nonnos von Panopolis. Frankfurt am Main; Las Vegas, 1977.
- აგოსტი . . . 1995:** Agosti G. & Gonnelli F., Materiali per la storia dell'esametro nei poeti cristiani greci, Struttura e storia dell'esametro Greco, Ed. M. Fantuzzi, R. Pretagostini. Vol. I. Roma, 1995.
- აკორინთი 1997:** Accorinti D. L'etimologia di Beirutos: Nonn. Dion. XLI 364-7, Glotta 73, 1997.
- ალენი 1969:** Allen C., A Textbook of Psychosexual Disorders, Second Ed., London, 1969.
- ალენი . . . 1996:** Allen P., Jeffreys E., The Sixth Century. End or Beginning, Brisbane, 1996.
- ანთოლოგია 1994:** An Anthology, Greek Poetry of The Imperial Period, Selected and Edited by N. Hopkinson, Cambridge, 1994.
- ანთოლოგია 1917:** The Greek Anthology, with an English Translation by W.R. Paton, in Five Volumes III, London New York, 1917.
- არნდტი 1991:** Arndt W., Gender Disorders and Paraphilias, Madison, Conn, 1991.

-
- ბაგნალი 1993:** Bagnall S. Roger, Egypt in Late Antiquity, Princeton University Press, 1993.
- ბაკი 1968:** Bak R., The Phallic Woman: the Ubiquitous Fantasy in Male Perversions, Psychoanalytic Study of the Child 23, 1968.
- ბალდვინი 1985:** Baldwin B., An Anthology of Byzantine Poetry, Amsterdam, 1985.
- ბაჩელარი 1964:** Bachelard G., The Psychoanalysis of Fire, Trans. A. Ross, London, 1964.
- ბეი 1966:** Beye C. R., The Iliad, the Odyssey and Epic Tradition, New York, 1966.
- ბელოტი 1990:** Balty J., La Mosaique de Sarrin (Osrhoene), Paris, 1990.
- ბეკი 1990:** Beck Hans-Georg, , 1990.
- ბინთცი 1865:** Bintz J., De usu et significatione adiectivorum epikorum apud Nonnum Panopolitanum. Diss. Halis Saxoniae, 1865.
- ბლავატსკი 1963:** Blavatsky H. P., The Timeless Kabiri, Theosophy, Vol. 52, 32, December, 1963. ონ-ლაინ სტატია:
www.WisdomWorld Webside
- ბორნმანი 1975:** Bornmann F., Sulla Spedizione di Dionisio in India nel Poema di Nonno, SFIC 47, 1975.
- ბოუე 1980:** Bowie E. L., Ancient Greek Literature, Oxford, 1980.
- ბოუერსოქი 1994:** Bowersock G., Dionysos as an Epic Hero, Studies in the Dionysiaca of Nonnus, Edited by Neil Hopkinson, Cambridge Philological Society, 1994.
- ბოუერსოქი . . . 1999:** Bowersock G. W., Brown P., Grabar O., Late Antiquity, Cambridge London, 1999.
- ბოუერსოქი 1990:** Bowersock G. W., Hellenism in Late Antiquity, Cambridge, New York, 1990.
- ბოურა 1961:** Bowra C. M., Heroic Poetry, London, 1961.
- ბოურა 1955:** Bowra C. M., Homer and His Forerunners, Edinburg, 1955.

-
- ბრადენი 1974:** Braden G., Nonnos' Typhoon: Dionysiaca Books I and II, Texas Studies in Language and Literature 15 , 1974.
- ბრაუნი 1971:** Brown P. R. L., The World of Late Antiquity, Library of European Civilization, London, 1971.
- ბრაუნი 1978:** Brown P. R. L., The Making of Late Antiquity, Cambridge, 1978.
- ბრემერი 1983:** Bremmer J., The Early Greek Concept of the Soul, Princeton 1983.
- ბურკერტი 1985:** Burkert W., Greek Religion, Archaic and Classical, Translated by John Raffan, Stuttgart, 1985.
- ბურკერტი 1993:** Burkert W., μ , , 1993.
- ბურკერტი ა 1993:** Burkert W., Masks of Dionysus, Edited by Thomas H. Carpenter and Christopher A. Faraone, Cornell University Press, Ithaca and London, 1993.
- გათრი 1993:** Guthrie W. K. C., Orpheus and Greek Religion. Princeton, 1993.
- გერლაუდი 1994:** Gerlaud B., Nonnos de Panopolis, Les Dionysiaques VI, Paris, 1994.
- გერსთინგერი 1943-1947:** Gerstinger H., Zur Frage der composition, literarischen Form und Tendenz der Dionysiaka des Nonnos von Panopolis , WS 71-72, 1943-1947.
- გიგლი პიკარდი 1985:** Gigli Piccardi D., Metafora e poetica in Nonno di Panopoli. Firenze, 1985.
- გიგლი პიკარდი 1998:** Gigli-Piccardi D. , Nonno e l'Egitto, "Prometheus" XXIV, 1998.
- გიგლი პიკარდი 1993:** Gigli Piccardi D., Nonno, Proteo e l'isola di Faro, Prometheus 19, 1993.
- გიგლი პიკარდი 1984:** Gigli Piccardi D., Recensione a Fauth, Eidos poikilon, GGA 236, 1984.
- გორდონი 1965:** Gordon C. H., The Ancient Near East, New York, 1965.

-
- გორდონი 1962: Gordon C. H., Before the Bible. The Common Background of Greek and Hebrew Civilizations, London, 1962.
- გორდონი 1949: Gordon C. H., Ugaritic Literature, Rome, 1949.
- გოულდი 2001: Gould John, Myth, Ritual Memory, and Exchange, Essays in Greek Literature and Culture, Oxford, 2001.
- გრაფი 1993: Graf F., Greek Mythology, an Introduction, Translated by T. Marier, Baltimore and London, 1993.
- გრესმანი 1928: Gressmann Hugo. The Tower of Babel. Jewish Institute of Religion, N.Y. 1928.
- დარენდი 1999: Durand G., The Anthropological Structures of the Imaginary, Trans. M. Sankay and J. Heath, Brisbane, 1999.
- დასზევსკი 1985: Daszewski W. A., Dionysos der Erloser: griechische Mythen im spätantiken Cypern, Mainz am Rhein, 1985.
- დევისი 2001: Davies M., The Greek Epic Cycle, London, 2001.
- დელბი 2003: Dalby A., "Bacchus" a Biography, The British Museum Press, 2003.
- დეივი 1978: Dawe R. D., Dionysiaca: Nine Studies in Greek Poetry, 1978.
- დეონა 1985: Deonna W., Deux études de symbolisme religieux, Brussels, 1955.
- დეტიენი 1977: Detienne M., Dionysos mis à mort, Paris, 1977.
- დეტიენი 1977: Detienne M., Dionysos Slain. Translated by Mireille Muellner and Leonard Muellner. The Johns Hopkins University Press, Baltimore and London, 1977.
- დიბლი 1994: Dible A., Greek and Latin Literature of the Roman Empire, Translated by Manfred Malzahn, London and New York, 1994.
- დიელი 1980: Diel P., Symbolism in Greek Mythology, Human Desire and its Transformations, Translated from the French by V. Stuart, M. Stuart and R. Folkman. Shambhala, Boulder and London, 1980.

-
- დილერი 1983:** Diller A., Studies in Greek Manuscript Tradition. Adolf M. Hakkert – Publisher. Amsterdam 1983: 276-277.
- დ'იპოლიტო 1962:** D'Ippolito G., Draconzio, Nonno e gli "idromimi", Atene e Roma, 1962.
- დ'იპოლიტო 1991:** D'Ippolito G.. Nonno e Vergilio / Studi di filologia classica in onore di Giusto Monaco. Vol. II. Palermo, 1991.
- დ'იპოლიტო 1961:** D'Ippolito G., Studi Nonniani: I' Epillio nelle Dionisiache, Palermo, 1961.
- დირლმეირი 1966:** Dirlmeier F., Die Giftpfeile des Odysseus, Heidelberg, 1966.
- დიუმეზილი 1948:** Dumézil G., Jupiter Mars Quirinus IV, Paris, 1948.
- დოდსი 1953:** Dodds E. R. (Ed.), Euripides: Bacchae, Oxford, 1953.
- ეისლერი 1910:** Eisler R., Weltenmantel und Himmelzeit. Munich, 1910.
- ეისნერი 1987:** Eisner R., The Road to Daulis, Syracuse, 1987.
- ელიადე 1958:** Eliade M., Birth and Rebirth, Trans. W. Trask, London, 1958.
- ელიადე 1969:** Eliade M., The Quest: History and Meaning in Religion, Chicago 1969.
- ვაითი 1989:** White H., New Studies in Greek Poetry, Amsterdam, 1989.
- ვებერი 1870:** Weber A., Über das Ramayana, Berlin, 1870.
- ვეისი . . . 1962:** A Companion to Homer , Ed. By A. Wace and F. Stubbings, London, 1962.
- ვენსინქი 1916:** Wensinck A. J., The Ideas of the Western Semites Concerning the Navel of the Earth, Amsterdam, 1916.
- ვენსინქი 1919:** Wensinck A. J., The Ocean in the Literature of the Western Semites. Amsterdam, 1919.
- ვერმეული 1979:** Vermeule E., Aspects of Death in Early Greek Art and Poetry, Berkeley, 1979.
- ვიანი 1994:** Vian F., Dionysos in the Indian War, Studies in the Dionysiaca of Nonnus, Edited by Neil Hopkinson, Cambridge Philological Society, 1994.

-
- ვიანი ა 1994:** Vian F., *Theogamies et soteriologie dans les Dionysiaques de Nonnos*, JSau, 1994.
- ვიანი 1978:** Vian F., *Mythologie scolaire et mythologie erudite dans les ‘Dionysiaques’ de Nonnos*, Prometheus 4, 1978.
- ვიანი 1976:** Vian F., *Nonnos de Panopolis, Les Dionysiaques. Texte établi et traduit par F. Vian. T. I*, Paris, 1976.
- ვითბი 1994:** Whitby M., *From Moschus to Nonnus: The Evolution of the Nonnian Style*, Ed. N. Hopkinson. Cambridge, 1994.
- ვიქლანდი 1978:** Wiklund N., *The Icarus Complex*, Lund, 1978.
- ვილის 1958:** Willis W. H., *Greek Literary Papyri from Egypt and the Classical Canon*, Harrard Library Bulletin, 1958.
- ვინკლერი 1974:** Winkler J., *In Pursuit of the Nymphs. Comedy and Sex in Nonnos’ Tales of Dionysus*, Diss.U.Texas,1974.
- ვინტერნიცი 1908:** Winternitz W., *Geschichte der imdischen Literatur*, Bd 1, Leipzig, 1908.
- ვუდჰოუსი 1930:** Woodhouse W. J., *The Composition of Homer’s Odyssey*, Oxford, 1930.
- ვული 1930:** Woolley L., *Les Sumeriens*, Paris, 1930.
- ზანკერი . . . 2004:** Zanker P. and Erwald B. C., *Mit Mythen leben. Die Bilderwelt der römischen Sarkophage*, Munich, 2004.
- ზიეგერს-ვანდერ ვესთი 1972:** Zeegers-Vander Vorst N., *Les Citations des poètes grecs chez les Apologistes chrétiens du II siècle*, Louvain, 1972.
- იენსენი 1928:** Jensen P., *Das Gilgamesch-Epos in der Weltliteratur*, Bd I, Strassburg, 1906. Bd2, Marburg, 1928.
- ირვინგი 1990:** Irving Forbes P. M. C., *Metamorphosis in Greek Myths*, Oxford, 1990.
- კაიდელი 1927:** Keydell R., *Zur Komposition der Bücher XIII-XL der Dionysiaka des Nonnos*, Hermes 62, 1927.
- კაიდელი 1982:** Keydell R., *Kleine Schriften zur hellenistischen und spaetgriechischen Dichtung*, Ed. W. Peek. Leipzig, 1982.
- გაგრიძისი 1986:** . . , . . 1, . . , 1986.

-
- გაერიდისი ა 1986: . . , . 2, , 1986.
- გაერიდისი ბ 1986: . . , . 4, , 1986.
- გაერიდისი გ 1986: . . , . 5, , 1986.
- გალდველი 1989: Caldwell R., *The Origin of the Gods*, Oxford, 1989.
- გამერონი . . . 2003: Cameron A., Ward-Perkins B., Whitby M., *Late Antiquity, Mnemosyne, Series IV, Vol. LVI*. Brill Leiden-Boston, 2003.
- გამერონი 1985: Cameron A., *Literature and Society in the Early Byzantine World, Variorum Reprints*. London, 1985.
- გარპენთერი 1986: Carpenter T. H., *Dionysian Imagery in Archaic Greek Art, Its Development in Black-Figure Vase Painting*, Oxford, 1986.
- გარპენთერი . . . 1993: Masks of Dionysos, Edited by T. H. Carpenter and C. A. Faraone, London, 1993.
- კერენი 1976: Kerenyi C., *Dionysos. Archetypal Image of Indestructible Life*. Translated from the German by R. Manheim. Routledge and Kegan Paul, London, 1976.
- კერენი 1959: Kerenyi K., , , , 1959.
- კინგსლი 1995: Kingsley P., *Ancient Philosophy, Mystery and Magic*, Oxford, 1995.
- კლეინი 1932: Klein M., *The Psychoanalysis of Children*, London, 1932.
- კლინტონი 2003: Clinton K., *Greek Mysteries, The Archaeology and Ritual of Ancient Greek Secret Cults*, Edited by Michael B. Cosmopoulos, London and New York, 2003.
- კოლარი 1960: Collart P., *Nonnos de Panopolis; études sur la composition et le texte des Dionysiaques*. Le Caire, 1960.
- კოჟონი 1987: Kohon G., *Fetishism Revisited, International Journal of Psychoanalysis* 68, 1987.

-
- პრეგელანდი 2003:** Kragelund P., *The Licinian Tomb: Fact or Fiction?* Copenhagen, 2003.
- ლასკი 1978:** Lasky E. D., *Encomiastic Elements in the Dionysiaca of Nonnus*, *Hermes* 106. 1978.
- ლევი 1947:** Levi D., *Antioch Mosaic Pavements, I*, Princeton/London, 1947.
- ლესკი 1990:** . , , 1990.
- ლიურეა 1995:** Liurea E., *Sul Dioniso di Euforione, Nonno e Dionisio*, *ZPE* 108. 1995.
- ლინდი 1938:** Lind L.R., *Un-Hellenic Elements in the Dionysiaca'*, *LAC* 7, 1938.
- ლინდსეი 1952:** Lindsay J., *Byzantium into Europe*, London, 1952.
- ლინდსეი 1965:** Lindsay J., *Leisure and Pleasure in Roman Egypt*. London, 1965.
- ლორიმერი 1950:** Lorimer H. L., *Homer and the Monuments*, London, 1950.
- ლორქინი 1992:** Lorquin A., *Les Tissus coptes au musée national du Moyen Age – Thermes de Cluny*, Paris, 1992.
- მაგიული 1970:** Maggiuli G., in *Mythos: Scripta in honorem M. Untersteiner*, Genoa 1970.
- მაკგინტი 1978:** McGinty P., *Religion and Reason 16, Method and Theory in the Study and Interpretation of Religion. Interpretation and Dionysos, Method in the Study of a God*. Hague, Paris, New York, 1978.
- მარეი 1958:** Murray H.A., *Notes on the Icarus Syndrome*, *Folia Psychiatrica, Neurologica et Neurochirurgica* 61, 1958.
- მაცი 1968-75:** Matz F., *Die dionysischen Sarkophage I-IV*, Berlin, 1968-1975.
- მეისნერი 1925:** Meissner Bruno. *Babylonien und Assyrien*. Heidelberg, 1925.

-
- მიგუელები-კავერო 2009:** Miguelez-Cavero L., *The Appearance of the Gods in the Dionysiaca of Nonnus*, Oxford, 2009.
- მილერი 2000:** Miller D. A., *The Epic Hero*, Baltimore and London, 2000.
- მილერი 1986:** Miller J., *Measures of Wisdom: The Cosmic Dance in Classical and Christian Antiquity*, Toronto, 1986.
- მორგანი 1962:** Morgan K., *Poetry and the Imagery of Fire*, English 14, 1962
- ნეში 1984:** Nash Ronald H., *Christianity and the Hellenistic Word*, Texas, 1984.
- ნეცერი...1994:** Netzer E. and Weiss Z., *Zippori*, Jerusalem, 1994.
- ნილსონი 1906:** Nilsson M., *Griechische Feste*, Leipzig, 1906.
- ნილსონი 1978:** Nilsson M., *Evolutionary Interpretation of Dionysos. Religion and Reason 16*, The Hague. Paris, New York, 1978.
- ნილსონი 1955:** Nilsson M., *New Evidence for the Dionysiac Mysteries*, Gotoburgi, 1955.
- ნიუბოლდი 2000:** Newbold R. F., *Breasts and Milk in Nonnus' Dionysiaca*, Classical World 94, 2000.
- ნიუბოლდი 1984:** Newbold R. F., *Discipline, Bondage and the Serpent in Nonnus' Dionysiaca*, Classical World 78, 1984.
- ნიუბოლდი 2008:** Newbold R. F., *Curiosity and Exposure in Nonnus, Greek, Roman, and Byzantine Studies 48*, 2008.
- ნიუბოლდი ა 2003:** Newbold R. F., *Life and Death in Nonnus' Dionysiaca: Filling the Void and Bridging the Gap* Ramus 32, 2003.
- ნიუბოლდი 2010:** Mimesis and Illusion in Nonnus. Deceit, Distrust and the Search for Meaning, Helios 37, 2010.
- ნიუბოლდი 2001:** Newbold R. F., *Narcissism and Leadership in Nonnus' Dionysiaca*, Helios 28, 2001.
- ნიუბოლდი 2006:** Newbold R. F., *Nonnus' Fiery World*, Electronic Antiquity 10.1, 2006. (ონ-ლაინ სტატია: www.ElectronicAtiquity.com)

-
- ნიუბოლდი 1992:** Newbold R. F., Nonverbal Expressiveness in Late Greek Epic: Quintus of Smyrna, and Nonnus, in Advances in Nonverbal Communication (Ed.) F. Poyatos, Amsterdam, 1992.
- ნიუბოლდი 1985:** Newbold R. F., Power Motivation in Sidonius Apollinaris, Eugippius and Nonnus, *Florilegium* 7, 1985.
- ნიუბოლდი 2003:** Newbold R. F., The Power of Sound in Nonnus' *Dionysiaca*, Des Geants a Dionysos. *Melanges offerts à F. Vian, D. Accorintini et P. Chuvin (dd.)*, Alessandria, 2003.
- ნიუბოლდი ა 1985:** Newbold R. F., Sensitivity to Shame in Greek and Roman Epic, with Particular Reference to Claudian and Nonnus, *Ramus* 14, 1985.
- ნიუბოლდი 1981:** Newbold R. F., Space and Scenery in Quintus of Smyrna and Nonnus, *Ramus* 10, 1981.
- ნიუბოლდი 1993:** Newbold R. F., Some Problems of Creativity in Nonnus' *Dionysiaca*, *Classical Antiquity* 12, 1993.
- ნიუბოლდი 1998:** Newbold R. F., Fear of Sex in Nonnus' *Dionysiaca*, *Electronic Antiquity* 4.2, 1998. (ონლაინ სტატია: www.Electronic Antiquity.com)
- ნიუბოლდი 1996:** Newbold R. F., Flights of Fancy in Nonnus and J. M. Barrie, *Electronic Antiquity* 3.5, 1996. (ონლაინ სტატია: www.Electronic Antiquity.com)
- ნიუბოლდი 1999:** Newbold R. F., Chaos Theory in Nonnus' *Dionysiaca*, *Scholia* 8, 1999.
- ნიუბოლდი ა 2001:** Newbold R. F., The Character and Content of Water in Nonnus and Claudian, *Ramus* 30, 2001.
- ნიუბოლდი ა 2008:** Newbold R. F., Shamanism in Nonnus' *Dionysiaca*, A Devotional Anthology, Sannion (Ed.), Bibliotheca Alexandrina, 2008.

-
- ოვერბექი . . . 2005: Overbeck B., Overbeck M., “....”, μ , , 2005.
- ოტო 1965: Otto Walter F., Dionysus Myth and Cult, Translated with an Introduction by Robert B. Palmer, Indiana University Press, Bloomington and London, 1965.
- პარი 1930: Parry M., Studies in the Epic Technique of Oral Verse-making, P. I-II, Harvad, 1930.
- პარკერი 1995: Parker R., Mother Love/Mother Hate, New York, 1995.
- პატონი 1917: The Greek Anthology, in Five Volums, III, Trans. W. R. Paton, London – N.Y., 1917.
- პიურსი 1974: Purce J., The Mystic Spiral, London, 1974.
- ჟანმერი 1951: Jeanmaire H., Dionysos: Histoire du culte de Bacchus, Paris, 1951.
- ჟანმერი 1939: Jeanmarie H., Couroi et Courètes, Lille, 1939.
- როუზი 1933: Rose H. J. , A Handbook of Greek Mythology, London, 1933.
- რუტშოუსკაია 1990: Rutschowscaya M. H., Coptic Fabrics, Paris, 1990.
- საიდი . . . 1999: Said Suzanne and Trede Monique. A Short History of Greek Literature, Translated by Trista Selous and Others, London and New York, 1999.
- სამოთრაკეს . . . : Great Gods and the Mysteries of Samothrace, (ონ-ლაინ სტატია: www.alex.eled.duth.gr).
- სეგალი 1982: Segal Charles, Dionysiac Poetics and Euripides' Bacchae, Princeton University Press, 1982.
- სიფორდი 2006: Seaford R., Dionysos, London and New York, 2006.
- სლეითერი 1969: Slater P., The Glory of Hera, Boston, 1969.
- სტეიფლსი 1998: Staples A., Good Goddess and Vestal Virgins, London 1998.
- სტილი 1996: Steele V., Fetish, Oxford, 1996.

-
- სქმილი 1993:** Schmiel R. C., *The Story of Aura*, Hermes 121. 1993.
- ტილკამა 1968:** Tiljamaa T., *Studies in Greek Encomiastic Poetry of the Early Byzantine Period*, Helsinki, 1968.
- ტისონი 1998:** Tisconi F., *Nonno di Panopoli, I Canti di Penteo*, Florence, 1998.
- ტოროკი 2005:** Tórok L., *Transfigurations of Hellenism. Aspects of Late Antique Art in Egypt*, Leiden/ Boston, 2005.
- ტუეი 1992:** Toohey Peter, *Reading Epic, An Introduction to the Ancient Narratives*, London and New York, 1992.
- ფარნელი 1909:** Farnell L. R., *Cults of the Greek States*, Oxford, 1909.
- ფაუთი 1981:** Fauth W., *Eidos Poikilon : zur Thematik der Metamorphose und zum Prinzip der Wandlung aus dem Gegensatz in den Dionysiaka des Nonnos von Panopolis*. Goettingen, 1981.
- ფიკი 1969:** Peek W., *Kritische und erklaerende Beitraege zu den Dionysiaka des Nonnos*. Berlin. 1969.
- ფრანგულისი 1995:** Frangoulis H., *Nonnos transposant Homere. Etude du chant XXX-VII des Dionysiaques de Nonnos de Panopolis//RPh* 69, 1995.
- ფონტერო 1959:** Fontenrose J., *Python. A Study of Delphic Myth and Its Origins*, Berkeley-Los Angeles, 1959.
- შინდლერი 2008:** Schindler C., *Claudians ‘pagane’ Gotter, Tradition und Innovation in der spätantiken Panegyrik*, Gymnasium 115, 2008.
- შოროქი 2001:** Shorrock R., *The Challenge of Epic Allusive Engagement in the Dionysiaca of Nonnus*. Mnemosyne, Bibliotheca Classica Batava, Brill, Leiden, 2001.
- შრენკი 2004:** Schrenk S., *Textilien des Mittelmeerraumes aus spätantiker bis frühislamischer Zeit*, Riggisberg, 2004.
- შტეგემანი 1930:** Stegemann V. *Astrologie und Universalgeschichte: Studien und Interpretationen zu den Dionysiaca des Nonnos*. Leipzig, 1930.

-
- Բոյո 1995:** Chick S., Searching for Charmian, Sydney, 1995.
- Բորժմօլող 1995:** Paul Chirumbolo, Sex, Gods and Gay People Underlying the Myths, 1995 (www.guidancetochangeyourlife.com տեղան և ջաջոա).
- Բյցօն 1994:** Chuvin P., Local Traditions and Classical Mythology in the Dionysiaca, Studies in the Dionysiaca of Nonnos. Cambridge, 1994.
- Չառլուս 1986:** I. Zeitlin, Cultic Models of The Female: (Ed. Jentili / Petagostini, Edipo. Il Teatro Graeco e la cultura Europea. Atti del Convegno internazionale 15-16 nov. 1982), Roma, 1986.
- Հյօծօ 2006:** Jebb R. C. The Growth and Influence of Classical Greek Poetry. Whitefish, Montana 2006.
- Հյօթես 1981:** James A.W., Night and Day in the Epic Narratives of Nonnos and Others', Museum Philologum Londiniense 4, 1981.
- Հյըմեն 1954:** Germain G., Essai sur les origines de certains thèmes odysseens et sur la genèse de l'Odyssée, Paris, 1954.
- Հյօքրօս 2006:** Jeffreys E., Byzantine Style, Religion and Civilization : in Honour of Sir Steven Runciman, 2006.
- Հանճարով 1991:** Hainsworth J. B., The Idea of Epic, University of California Press, Berkeley. Los Angeles. Oxford, 1991.
- Հանջրօ 1991:** Hunger H., Βυζαντινή Λογοτεχνία, Τόμος Α, Αθήνα, 1991.
- Հանջրօ 1992:** Hunger H., Βυζαντινή Λογοτεχνία, Τόμος Β, Αθήνα, 1992.
- Հարարօ... 1982:** Harari J. and Ball D. (Edd.), Hermes: Literature, Science and Philosophy, Baltimore, 1982.
- Հարօս 1994:** Harries B., The Pastoral Mode in the “Dionysiaca”, Studies in the Dionysiaca of Nonnus, Ed. N. Hopkinson. Cambridge, 1994.

-
- პაუსერი 1979:** Houser C., Dionysos and His Circle, Ancient Thought Modern. With an Essay by Albert Henrichs. The Fogg Art Museum, Harvard University, 1979.
- პაქსლი 1969:** Huxley G. L., Greek Epic Poetry from Eumeles to Panyassis, London, 1969.
- პეილსი 1991:** Hayles N. (Ed.), Chaos and Order; Complex Dynamics in Literature and Science, Chicago, 1991.
- პემბერგი 1950:** Hemberg B., Die Kabiren. Uppsala, 1950.
- პერნანდეს დე ლა ფონტე 2008:** Hernández de la Fuente D., Bakkhos Anax: un estudio sobre Nono de Panópolis, Nueva Roma 30, 2008.
- პერშკოვიჩი 1998:** Hershkowitz D., The Madness of Epic, Oxford, 1998.
- პოლისი 1994:** Hollis A. S., Nonnus and Helleistic Poetry, Studies in the Dionysiaca of Nonnus, Ed. N. Hopkinson, Cambridge, 1994.
- პოპინსონი ა 1994:** Hopkinson N., Nonnus and Homer, Studies in the Dionysiaca of Nonnus, Ed. N. Hopkinson, Cambridge, 1994.
- პოპინსონი 1994:** Hopkinson N., Studies in the Dionysiaca of Nonnus, Edited by Neil Hopkinson, Cambridge Philological Society, 1994.
- პოუელსი 1984:** K. Howells (Ed.) The Psychology of Sexual Diversity, London, 1984.
- ავერინცევი 1971:** . ., “ ”
“ ”,
, , 1971.
- ავერინცევი 1977:** . .,
, , 1977.
- გორდეზიანი 1978:** . .,
1978.
- გრაბარ-პასეკი 1964:** - . .,
, II-IV ., , 1964.

